



*ეგვარ ჭობეგი*

**მკვდებობა  
აღმოსავათის  
ექსპრესში**

---

**ნიზნი**

---

წიგნის ელექტრონული ვერსია  
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

*[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)*

ნაცირი |

## ფაქტები

### 1. „შორისის ექსპრესში“ მნიშვნელოვანი მმზავრი აღის

სირიაში ზამთრის სუსხიანი დილის ხუთი საათი იყო. ალეპოს რკინიგზის სადგურში ბაქნის გასწვრივ დიდებულად ჩამომდგარიყო მატარებელი, რომელსაც სარკინიგზი ცნობარებში „ტოროსის ექსპრესს“ უწოდებდნენ. „ტოროსი“ ვაგონ-რესტორნის, საძილე ვაგონისა და ადგილობრივი დღის მატარებლის ორი ვაგონისგან შედგებოდა.

საძილე ვაგონის კიბესთან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ფრანგი ლეიტენანტი ქუდჩამოფხატულ და შარფშემოხვეულ დაბალ კაცს ელაპარაკებოდა, რომელსაც მხოლოდ განითლებული ცხვირი და ულვაშის აპრეხილი ბოლოები უჩანდა.

სიცივე ძვლებში ატანდა და ამიტომ წარჩინებული უცხოელის გაცილება დიდად სახარბიელო საქმე არ გახლდათ, თუმცა ლეიტენანტი დიუბოსკი მაინც ვაჟკაცურად ასრულებდა თავის მოვალეობას. ნატიფი ფრანგულით დახვენილ ფრაზებს აფრქვევდა. სიმართლე რომ ითქვას, საქმის ვითარება არც ესმოდა ბოლომდე, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ხმებისთვის ყური უკვე მოეკრა. გენერალს — მის გენერალს — კი ხასიათი დღითი დღე უუარესდებოდა. და სწორედ ამ დროს ეს ბელგიელი მგზავრიც გამოჩნდა, სავარაუდოდ, ინგლისიდან მოდიოდა. გარნიზონში მთელი კვირა დაძაბული მდგომარეობა იყო. ამის შემდეგ კი ერთ ამბავს მეორე მოჰყვა: ერთ-ერთმა საქმაოდ ცნობილმა ოფიცერმა თავი მოიკლა, მეორემ — უეცრად მიიღო გადადგომის

გადაწყვეტილება, თუმცა კი შეშფოთებულ სამხედროებს გულს მოეშვათ, რადგან სამხედრო ნაწილში უსაფრთხოების ზომები შეამსუბუქეს. და გენერალიც, კონკრეტულად ლეიტენანტ დიუბოსკის უფროსი, თითქოს ათი წლით გაახალგაზრდავდა.

დიუბოსკმა თავისი გენერლის და უცხოელის საუბრის ნაწყვეტს მოჰკრა ყური.

— თქვენ გადაგვარჩინეთ, *Mon cher<sup>1</sup>*, — უთხრა გენერალმა ემოციურად და ამ სიტყვების წარმოთქმაზე ჭაღარა ულვაში აუცახცახდა. — თქვენ გადაარჩინეთ საფრანგეთის არმიის ლირსება, დიდი სისხლის ლვრა აგვაცილეთ თავიდან! არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, ჩემს თხოვნას რომ გამოეხმაურეთ, ამ სიშორეს რომ ჩამობრძანდით...

რაზეც უცნობმა (სახელად ერკიულ პუარომ) შემდეგი ფრაზით უპასუხა:

— რას ბრძანებთ, განა დამავიწყდა, სიკვდილს როგორ გადამარჩინეთ?

გენერალმა თავის მხრივ შესაფერისი ფრაზა შეაგება და მოკრძალებულად უარყო საკუთარი დამსახურება; კიდევ ერთხელ ახსენა საფრანგეთი, ბელგია, დიდება, ლირსება და უამრავი საქებარი სიტყვაც დაამატა, მერე გულიანად გადაეხვივნენ ერთმანეთს და საუბარიც დასრულდა.

კონკრეტულად რას ეხებოდა მათი საუბარი, ლეიტენანტ დიუბოსკმა ვერ გაიგო, თუმცა, რაკი „ტოროსის ექსპრესზე“ პუაროს გაცილება მას დაევალა, ახალგაზრდა ოფიცერი დაკისრებულ მისიას საკადრისი გზნებითა და გულმოდვინებით ასრულებდა, რაც საიმედო კარიერის შექმნას უქადდა.

— დღეს კვირაა, — თქვა ლეიტენანტმა დიუბოსკმა. — ხვალ, ორშაბათ საღამოს, უკვე სტამბოლში იქნებით.

პირველად როდი გამოთქვა ეს აზრი. მაგრამ, როგორც ამბობენ, მატარებლის დაძვრამდე ბაქანზე საუბრისას ფრაზები ხშირად მეორდება.

<sup>1</sup> *Mon cher* (ფრ.). — ჩემო მეგობარო.

— სწორი ბრძანებაა, — დაეთანხმა პუარო.

— როგორც ვხვდები, რამდენიმე დღეს აპირებთ იქ დარჩენას, ხომ?

— Mais oui<sup>1</sup>. სტამბოლში არასდროს ვყოფილვარ. დასანანი იქნებოდა, ეს შანსი ხელიდან რომ გამეშვა, Comme ça<sup>2</sup>. — თქვა და მრავალმნიშვნელოვნად გაატკაცუნა თითები. — ხელს არაფერი მიშლის და რამდენიმე დღეს დავყოფ.

— La Sainte Sophie<sup>3</sup> მშვენიერი სანახავია, — უთხრა ლეიტენანტმა დიუბოსკმა, რომელსაც ეს ტაძარი არასდროს ენახა.

ბაქანზე ცივმა ქარმა დაუბერა და ორივე მოიბუზა. ლეიტენანტმა დიუბოსკმა მაჯის საათისკენ გააპარა თვალი. ხუთს ხუთი წუთი აკლდა, ანუ მატარებლის გასვლამდე ხუთი წუთილა რჩებოდა. ვაითუ, დამინახა, საათს რომ დავხედეო, გაიფიქრა და ისევ საუბარი წამოიწყო:

— წელიწადის ამ დროს ცოტა ვინმე თუ მოგზაურობს, — თქვა და საძილე ვაგონის ფანჯრებს ახედა.

— ასეა, — დაეთანხმა პუარო.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ტოროსში<sup>4</sup> დიდთოვლობაში არ მოჰყვებით.

— ასეთი რამეც ხდება?

— ცხადია, ხდება, თუმცა ნლეულს ჯერ არ მომხდარა.

— ჩვენც უკეთესის იმედი ვიქონიოთ, — თქვა პუარომ.

— ევროპიდან ამინდის პროგნოზი კარგს არაფერს გვიქადის?

— არაფერს. ბალკანეთში დიდთოვლობა ყოფილა.

— გერმანიაშიც, როგორც გავიგე.

<sup>1</sup> Mais oui (ფრ.). — რასაკეირველია;

<sup>2</sup> Comme ça (ფრ.). — აი, ასე;

<sup>3</sup> La Sainte Sophie (ფრ.). — „აია-ხოფია“. ყოფილი ბიზანტიური მართლმადიდებლური ეკლესია, აშენდა 324 წელს. ოსმანთა იმპერიის დროს 1453-1931 წლებში მეჩეთად გადაკეთდა. 1935 წლიდან მუზეუმია თურქეთის ქალაქ სტამბოლში.

<sup>4</sup> ტოროსი, იგივე ტავრი — მთათა სისტემა თურქეთის სამხრეთ ნაწილში, გადაჭიმულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ 1000 კმ-ზე.

— Eh bien<sup>1</sup>, — სწრაფად წარმოთქვა ლეიტენანტმა დიუბლსკმა, რადგან გრძნობდა, რომ მორიგი პაუზა ახლოვდებოდა. — ხვალ სალამოს, რვას რომ ოცი დააკლდება, კონსტანტინოპოლში იქნებით.

— დიახ, — უთხრა პუარომ, საუბარი რომ არ შეეწყვიტა. — გამიგია, რომ La Sainte Sophie საოცრად ლამაზია.

— ალბათ, მართლაც დიდებულია.

საძილე ვაგონის ერთ-ერთ ფანჯარაში ფარდები გასწიეს და ახალგაზრდა ქალმა გამოიხედა.

მერი დებენჰემს თითქმის არ მოუხუჭავს თვალი მას მერე, რაც გასულ ხუთშაბათს ბალდადიდან გამოემგზავრა. არც კირკუკამდე მატარებელში სძინებია, არც ქალაქ მოსულში მგზავრებისთვის განკუთვნილ სასტუმროში; ვერც წუხელ მგზავრობისას დაიძინა ხეირიანად. ახლა კი ჩახუთულ ვაგონში უძილოდ ნოლამ რომ შეანუხა, ადგა და გარეთ გამოიხედა.

ეს ალბათ ალეპო უნდა იყოს. ცხადია, სანახავი არაფერია, გარდა ცუდად განათებული გრძელი ბაქნისა, სადაც არაბულად ლანძლვა-გინება ისმის. მისი ფანჯარის ქვეშ კი ორი კაცი ფრანგულად საუბრობდა. ერთი, ეტყობა, ფრანგი ოფიცერი იყო, მეორე — ტანმორჩილი, დიდულვაშიანი კაცი. შეუმჩნევლად გაიღიმა. ასეთი ჩაფუთვნილი აქამდე არავინ ენახა. ალბათ გარეთ ძალიან ცივა, ამის გამო ათბობენ მატარებელს ასე საშინლადო, გაიფიქრა. მერე მინის ჩაწევა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

მამაკაცებს საძილე ვაგონის გამყოლი მიუახლოვდა. მატარებელი საცაა, გავა და ჯობია, ბატონი ავიდესო, გააფრთხილა. ტანმორჩილმა ქუდი მოიხადა. რა კვერცხის ფორმის თავი ჰქონდა! მერი დებენჰემს უნებურად გაელიმა. სასაცილო კაცი ჩანდა, აი იმ ტიპის, სერიოზულად რომ არავინ აღიქვამს.

ლეიტენანტმა დიუბლსკმა დამშვიდობებისას სიტყვა წარ-

<sup>1</sup> Eh bien (ფრ.). — რა გაეწყობა.

მოთქვა. წინასწარ ჰქონდა მომზადებული და ბოლო წუთის-თვის ინახავდა. ლამაზი, დახვენილი სიტყვა გამოუვიდა.

სიტყვაკაზმულობაში არ დამჯაბნოსო, პუარომაც ისე-თივე დახვენილი მანერით უპასუხა.

— En voiture, Monsieur<sup>1</sup>, — თქვა გამყოლმა. პუარო აშკარად უხალისოდ ავიდა ვაგონში. გამყოლიც აჟყვა. პუარომ ხელი დაუქნია ლეიტენანტს. დიუბოსკმა სამხედრო სალამი მისცა. მატარებელი შეჯანჯლარდა და ნელა დაიძრა.

— Enfin!<sup>2</sup> — ჩაილაპარაკა ერკიულ პუარომ.

— ბრრრრ, — გააურუოლა ლეიტანანტ დიუბოსკის, და ახლა მიხვდა, რომ მთლად გათოშილიყო.

— Voilà, Monsieur!<sup>3</sup> — გამყოლმა მრავალმნიშვნელოვანი მოძრაობით მიანიშნა პუაროს, ნახეთ, რა ლამაზი კუპეაო, და არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, აი, რა სათუთად დავაწყვე თქვენი ბარგიო... — თქვენი პატარა ჩემოდანი, მესიე, აქ მოვათავსე.

გამყოლს ხელი ისე ჰქონდა გამოწვდილი, რომ აშკარად რაღაცას მიანიშნებდა. ერკიულმა დაკეცილი ბანკოტი ჩაუდო.

— Merci, Monsieur.<sup>4</sup> — გამყოლი გამოცოცხლდა და საქმიანი იერი მიიღო. — მესიეს ბილეთები მე მაქვს. პასპორტ-საც გამოგართმევთ, გეთაყვა. თუ სწორად ვხვდები, მესიე, სტამბოლში ჩაბრძანდებით, ხომ?

პუარო დაეთანხმა.

— მგონი, ბევრი მგზავრი არ უნდა გყავდეთ? — ჰკითხა გამყოლს.

— არა, მესიე. მხოლოდ ორი მგზავრი მყავს თქვენ გარდა — ორივე ინგლისელია. პოლკოვნიკი ინდოეთიდან და ახალგაზრდა ინგლისელი ლედი ბალდადიდან. რამე ხომ არ გნებავთ, მესიე?

<sup>1</sup> En voiture, Monsieur (ფრ. აქ). — აბრძანდით, მესიე;

<sup>2</sup> Enfin (ფრ.). — როგორც იქნა;

<sup>3</sup> Voilà, Monsieur (ფრ.). — აი;

<sup>4</sup> Merci, Monsieur (ფრ.). — გმადლობთ, მესიე.

მესიერ „პერიეს“<sup>1</sup> პატარა ბოთლი ისურვა.

დილის ხუთ საათზე მატარებელში ასვლა არცთუ მოსახერხებელია. განთიადამდე ორიოდე საათიღა რჩებოდა. საპასუხისმგებლო მისის წარმატებით შესრულების შეგრძნებით და იმაზე ფიქრით, რომ ხეირიანად ვერ გამოიძინებდა, პუარო კუთხეში მიიკუნჭა და ჩასთვლიმა.

რომ გაეღვიძა, უკვე ათის ნახევარი იყო და ცხელი ყავის დასალევად ვაგონ-რესტორნისკენ გაეშურა.

რესტორანში მხოლოდ ერთი მგზავრი უჯდა მაგიდას, სავარაუდოდ, ის ახალგაზრდა ინგლისელი ლედი, გამყოლმა რომ ახსენა. ასე ოცდარვა წლის მაღალი, გამხდარი და მუქტმიანი ქალი იყო. ჭამის დროს ისე ძალდაუტანებლად ეჭირა თავი და ისე მიმართა მიმტანს, ყავა კიდევ მომიტანეო, ეტყობოდა, რომ პირველად არ მოგზაურობდა. მუქი ფერის სამოსი ეცვა, თხელი ქსოვილის, ჩახუთული ვაგონით მგზავრობის შესაფერისი.

მესიერ ერკიულ პუარო, რაკი სხვა საქმე არაფერი ჰქონდა, ფარულად მის თვალიერებას შეუდგა.

ახალგაზრდა ლედი იმ ყაიდის ქალი ჩანდა, ნებისმიერ ადგილას რომ მიხედავს თავს. განონასწორებული და საქმიანი იერი ჰქონდა. შეიძლება ითქვას, ქალის სწორი, მკაცრი ნაკვთები და ფერმკრთალი კანი მოეწონა კიდეც. მოიხიბლა მისი პრიალა, სათუთად დაწყობილი შავი დალალებითა და ცივი, უემოციონ ნაცრისფერი თვალებით. მაგრამ ლედის იმდენად სერიოზული და საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა, რომ *jolie femme*-ს<sup>2</sup> ვერაფრით უწოდებდა.

ამ დროს ვაგონ-რესტორანში სხვა მგზავრი შემოვიდა. ეს იყო მაღალი, ორმოციდან ორმოცდაათ წლამდე ასაკის, გამხდარი, გარუჯული და საფეთქლებთან თმაშევერცხლილი მამაკაცი.

<sup>1</sup> „პერიე“ — პრემიუმკლასის მინერალური ნიულის ფრანგული ბრენდი. ასხამენ საფრანგეთის სამხრეთით მდებარე გარის დეპარტამენტში, დაბა ვერუზის მახლობლად მდებარე ნაცრისფერი ნიულის ნიულით;

<sup>2</sup> *Jolie femme* (ფრ.). — ლამაზი ქალი.

— პოლკოვნიკი ინდოეთიდან, — თავისთვის ჩაილაპარაკა ჰუარომ.

ახალშემოსულმა ლედის მსუბუქად დაუკრა თავი.

— დილა მშვიდობისა, მის დებენჰემ.

— დილა მშვიდობისა, პოლკოვნიკო არბეთნოთ.

პოლკოვნიკი მის დებენჰემის წინ სკამის საზურგეს დაეყრდნო.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? — ჰერიტე ქალს.

— რას ბრძანებთ, დაბრძანდით.

— საუზმე სასაუბროდ ცოტა შეუფერებელი დროა.

— მეც ასე მგონია. მაგრამ არა უშავს, არ ვიკბინები.

პოლკოვნიკი დაჯდა.

— უკაცრავად! — ხელის აწევით და მბრძანებლური ტონით გასძახა მიმტანს და ყავა და კვერცხი შეუკვეთა.

ნამიერად ერკიულ ჰუაროს შეავლო მზერა და გულგრილად გაიხედა გვერდზე. ჰუარო, რომელსაც ინგლისელთა აზრების იოლად ამოკითხვა შეეძლო, პოლკოვნიკს ნაფიქრს მიუხვდა: „ვიღაც საძაგელი უცხოელია“.

ინგლისელები, როგორც სჩვევიათ კიდეც, დიდი მოსაუბრები არ არიან. ერთი-ორი წინადადება თუ უთხრეს ერთმანეთს, რის შემდეგაც ახალგაზრდა ქალი წამოდგა და თავის კუპეს მიაშურა.

სადილობისას ისევ ერთად უსხდნენ მაგიდას და ისევ არად ჩააგდო მესამე მგზავრი. ახლა უფრო მეტს და ცოცხლად საუბრობდნენ, ვიდრე საუზმობისას. პოლკოვნიკმა არბეთნოთმა პენჯაბზე ჩამოაგდო სიტყვა და ორიოდე კითხვა ბალდადზეც დაუსვა ლედის, სადაც, როგორც საუბრიდან გაირკვა, ქალი გუვერნანტად მუშაობდა. საუბრისას ისიც გაირკვა, რომ რამდენიმე საერთო მეგობარიც ჰყოლიათ, რამაც ერთმანეთისადმი უფრო მეგობრულად განაწყო ინგლისელები და ჩვეულმა თავშეკავებამაც უკან დაიხია. ვიღაც ბებერი ტომი და ვიღაც ჯერი ახსენეს. პოლკოვნიკმა ქალს ჰერიტე, პირდაპირ ინგლისში მიბრძანდებით თუ სტამბოლში გაჩერდებით.

- არა, პირდაპირ მივდივარ.
- არ ინანებთ?
- ორიოდე წლის წინაც ეს გზა გამოვიარე და სტამბოლში მთელი სამი დღე დავყავი.
- ჰო, გასაგებია. მართალი გითხრათ, მოხარულიც კი ვარ თქვენი გადაწყვეტილებით, რადგან სტამბოლში არც მე გავჩერდები.

მოუქნელად დაუკრა თავი და ოდნავ წამოწითლდა.

- რა მგრძნობიარე ყოფილა ეს ჩვენი პოლკოვნიკი, — ვაიფიქრა პუარომ და გულში გაეცინა. — მატარებლით მგზავრობაც ხომ ისევე განაწყობს რომანის გასაბმელად, როგორც გემით.

მის დებენჰემმა ფრიად თავდაჭერილად უთხრა, ჩემთვისაც სასიამოვნოაო.

როგორც ერკიულ პუარომ შენიშნა, კუპემდე ლედი პოლკოვნიკმა მიაცილა. მატარებელი ტოროსის თვალწარმტაც მთებს მიუახლოვდა. კილიკის კარიბჭის<sup>1</sup> გავლისას პუარომ, რომელიც ინგლისელებთან ახლოს იდგა, მის დებენჰემის ჩურჩული გაიგონა:

- რა სილამაზეა! ნეტავ... ნეტავ...
- ნეტავ რა?
- ნეტავ შემეძლოს ამ სილამაზით ტკბობა!
- არბეთნოთს აღარაფერი უთქვამს. ოთხკუთხა სახე კიდევ უფრო მკაცრი და სასტიკი გაუხდა.
- ღმერთია მოწმე, სიამოვნებით აგაცილებდით ამ ყველაფერს თავიდან, — უთხრა ქალს.
- ჩუმად! გევედრებით, ჩუმად!
- ოჟ! არა უშავს, — პოლკოვნიკმა პუაროს უკმაყოფილოდ გახედა და განაგრძო. — მაგრამ არ მომწონს, გუვერნანტად რომ მუშაობთ, ტირანი დედებისა და მათი ჭირვეული ნაშიერების ბრძანებებს რომ ასრულებთ!

<sup>1</sup> კილიკის კარიბჭე, იგივე გიულექის უდელტეხილი — უდელტეხილი ტოროსის მთებში, რომელიც კილიკის ქვედა ვაკეს ანატოლიის პლატოსთან აკავშირებს.

ქალს მხიარულად გაეცინა და მისი ჩვეული თავდაჭერილობა სადღაც გაქრა.

— ოჟ, ეს არც იფიქროთ. დაჩაგრული გუვერნანტი უკვე დრომოქმული მითია. გარნმუნებთ, არც მშობლებს ეშინიათ ჩემი და არც მე მათი. ერთმანეთს არ ვამცირებთ.

საუბარი შეწყდა. არბეთნოთს, ალბათ, შერცხვა ემოციები რომ ვერ შეიკავა.

— აი, კომედიაც ამას ჰქვია, — დაფიქრებით ჩაილაპარაკა პუარომ.

ეს აზრი მოგვიანებითაც გაახსენდება.

იმ ლამით, ასე თორმეტის ნახევარზე, კონიაში ჩავიდნენ. ორივე ინგლისელი მგზავრი ფეხის გასაშლელად ჩავიდა ვა-გონიდან და თოვლით დაფარულ ბაქანს გაუყვა.

პუარო ვაგონის სარკმლიდან დანახული აფუსფუსებული სადგურის დანახვას დასჯერდა. ათიოდ წუთში გაიფიქრა, სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა არც მე მანყენსო. საგულდაგულოდ ჩაიფუთნა: რამდენიმე პიჯაკი ჩაიცვა, შარფები მოიხვია, მაღალყელიან დახვეწილ ფეხსაცმელზე კი კალოშები ამოიცვა. ასე გამოწყობილი ფრთხილად ჩავიდა ვაგონის კი-ბეზე და ფართო ნაბიჯით გაუყვა ბაქანს ორთქლმავლამდე.

ხმით იცნო ორი ფიგურა, რომელთა კონტურებიც საბარგო ვაგონს ერწყმოდა სიბნელეში. არბეთნოთი ლაპარაკობდა.

— მერი...

ქალიშვილმა შეაწყვეტინა.

— ახლა არ ვინდათ, არა. როცა ყველაფერი მორჩება, ყველაფერი რომ დასრულდება, მერე...

მესიე პუარო ფრთხილად გამობრუნდა. არადა, დაინტერესდა საუბრით, მის დებენჰემის ასეთი ემოციური და აღელვებული ხმა ძლივს იცნო.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

მეორე დღეს მოეჩვენა, თითქოს ნაჩეუბრები იყვნენ. ერთმანეთს ძალიან ცოტას ელაპარაკებოდნენ. პუაროს აზრით, ქალიშვილი აღელვებული იყო, თვალის უპეებიც ჩაშავებოდა.

შუადღის სამის ნახევარი იქნებოდა, მატარებელი რომ გაჩერდა. ფანჯრებიდან ცნობისმოყვარე მგზავრები იყურებოდნენ. ლიანდაგებთან შეკრებილი რამდენიმე ადამიანი ვაგონ-რესტორნის ქვეშ რაღაცისკენ თითს იშვერდა.

პუაროც გადაეყუდა ფანჯრიდან და აჩქარებული ნაბიჯით მიმავალი გამყოლი იხმო. გამყოლმა კითხვაზე უპასუხა და პუარომაც თავი შეყო, შებრუნდა და მის ზურგს უკან მდგარ მის მერი დებენჰემს კინაღამ შეეჯახა.

— რა მოხდა? — აღელვებული ხმით ფრანგულად ჰერთხა ქალიშვილმა. — რატომ გავჩერდით?

— ისეთი არაფერი, მადმუაზელ. ვაგონ-რესტორნის ქვეშ რაღაცას ცეცხლი წაჰედებია. მალე შეაკეთებენ. გარნმუნებთ, საფრთხე არ გვემუქრება.

მერიმ უდარდელად ჩაიქნია ხელი, აქაოდა, ხანძარი რა საშიშიაო, და თქვა:

— ჰო, მესმის. მაგრამ დრო!

— რა დრო?

— ეს ხომ დაგვაყოვნებს.

— შესაძლოა, დაგვაყოვნოს, — დაეთანხმა პუარო.

— ჰო, მაგრამ, ჩემთვის დაგვიანება არ შეიძლება, ეს მატარებელი შვიდს რომ ხუთი აკლია, სტამბოლში უნდა იყოს, ბოსფორი უნდა გადავკვეთო, რომ იქითა ნაპირზე 9-საათიან „სიმპლონ-აღმოსავლეთის ექსპრესს“ მივუსწრო. აქ ერთი-ორი საათით რომ შევყოვნდეთ, გადაჯდომას ვეღარ მოვასწრებ.

— დიახ, შესაძლოა, — თავი დაუკრა პუარომ.

ქალს ინტერესით აკვირდებოდა. მერის ფანჯრის რაფაზე ჩამოდებული ხელი უკანკალებდა და ბაგეც უთროდა.

— ნუთუ, ასე მნიშვნელოვანია ეს თქვენთვის, მადმუაზელ?

— ჰერთხა მის დებენჰემს.

— დიახ, დიახ, ძალიან. მატარებელს უნდა მივუსწრო.

პუაროს ზურგი შეაქცია და დერეფანს გაუყვა პოლკოვნიკ არბეთნოთისკენ.

მისი მღელვარება ამაო აღმოჩნდა. ათ წუთში მატარებელი ისევ დაიძრა, სწრაფად მიქროდა და ჰაიდარფაშაში მხოლოდ ხუთი წუთის დაგვიანებით ჩავიდა.

იმ დღეს ბოსფორი ღელავდა და მესიე პუარომ თავი ცუდად იგრძნო. ბორანზე თანამგზავრები მხედველობის არიდან დაკარგა და აღარ უნახავს.

გალათის ხიდიდან პირდაპირ სასტუმრო „თოქათლიანისკენ“ გაემართა.

## 2. სასუმრო „ორქაზინი“

სასტუმროში ერკიულ პუარომ აბაზანიანი ნომერი შეუკვეთა, მერე კონსიერჟის მაგიდასთან მივიდა და იკითხა, წერილები ხომ არ მომსვლიაო.

მის სახელზე სამი წერილი და დეპეშა იყო მოსული. დეპეშის დანახვაზე წარბი ასწია, რადგან არ ელოდა.

ჩვეულებისამებრ ფაქიზად და აუჩქარებლად გახსნა. ნაბეჭდი ტექსტი იუწყებოდა:

„ქასნერის საქმეში, თქვენი ვარაუდისამებრ, მოულოდნელმა პრობლემებმა იჩინა თავი. გთხოვთ სასწრაფოდ დაბრუნდეთ“.

— Voilà ce qui est embêtant<sup>1</sup>, — ჩაიბურტყუნა გალიზიანებულმა პუარომ. საათს შეხედა. — ამაღამვე მომინევს გამგზავრება, — მიმართა კონსიერჟს. — „სიმპლონ-ალმოსავლეთის“ ექსპრესი რომელ საათზე გადის?

— ცხრაზე, მესიე.

— საძილე ვაგონზე ბილეთს ვერ მიშოვით?

— ცხადია, მესიე. წელიწადის ამ დროს უპრობლემოდ იშოვება ბილეთი. მატარებლები თითქმის ცარიელია. პირველი კლასი თუ მეორე?

— პირველი.

— Très bien<sup>2</sup>, მესიე. სად მიბრძანდებით?

— ლონდონში.

— Bien, მესიე. ბილეთს ლონდონამდე აგილებთ და ადგილს სტამბოლი-კალეს მატარებლის საძილე ვაგონში დაგიჯავშნით.

პუარომ საათს შეხედა. რვას ათი აკლდა.

— წახემსებას მოვასწრებ?

— რასაკვირველია, მესიე.

ტანმორჩილმა ბელგიელმა თავი დაუკრა. მერე ნომრის

<sup>1</sup> Voilà ce qui est embêtant (ფრ.). — რა დასანანია.

<sup>2</sup> Très bien (ფრ.). — ძალიან კარგი.

შეკვეთა გააუქმა, ჰოლი გადაჭრა და დეპეშით ხელში რესტორანში შევიდა.

როდესაც მიმტანს შეკვეთას აძლევდა, მხარზე ხელის დადება იგრძნო.

— ოჟ, ძველო მეგობარო, რა სასიამოვნო მოულოდნელობა! — მოესმა ზურგს უკნიდან.

მოსაუბრე დაბალი, ჩასკვნილი, ასაკოვანი მამაკაცი იყო. ხშირი თმა ზღარბივით აბურძგნოდა. გულითადად გაულიმა პუაროს.

პუარო წამოხტა.

— მესიე ბუკ!

— მესიე პუარო!

მესიე ბუკი ბელგიელი გახლდათ და ვაგონების საერთაშორისო კომპანიის დირექტორის პოსტი ეკავა. ბელგიის პოლიციის ვარსკვლავთან დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა.

— სამშობლოდან რა შორს წამოსულხართ, mon cher, — უთხრა მესიე ბუკმა.

— მცირეოდენი საქმე მქონდა სირიაში.

— აჟ! ახლა კი შინ ბრუნდებით, ალბათ, ხომ? როდის მიბრძანდებით?

— ამაღამ.

— დიდებულია! მეც. უფრო ზუსტად რომ მოგახსენოთ, მე ლოზანამდე მივდივარ, საქმეზე. ალბათ, თქვენც „სიმპლონ-ალმოსავლეთის“ ექსპრესით მიემგზავრებით, ხომ?

— დიახ. ეს-ესაა საძილე ვაგონის ბილეთი დავაჯავავშნინე. რამდენიმე დღით ვაპირებდი აქ დარჩენას, მაგრამ დეპეშა მომივიდა და ინგლისში გადაუდებელ საქმეზე მიწევს წასვლა.

— ოჟ! — ამოიხრა მესიე ბუკმა. — Les affaires – les affaires!<sup>1</sup> სამაგიეროდ დღეს დიდების მწვერვალზე იმყოფებით, ჩემო მეგობარო.

<sup>1</sup> Les affaires – les affaires (ფრ.). — საქმეები, საქმეები.

— ჰო, გარკვეულ ნარმატებებს მართლაც მივაღწი. —  
სცადა თავმდაბლობა გამოეჩინა, მაგრამ ამაოდ.

მესიე ბუკმა გაიცინა.

— მოგვიანებით შევხვდებით, — უთხრა მან.

ერკიულ პუარომ ყოველი ღონე იხმარა, რომ აპრეხილი  
ულვაში წვნიანით არ დასვროდა. ამას რომ თავი გაართვა,  
სანამ მეორე კერძს მოუტანდნენ, საზოგადოებას მოავლო  
თვალი. დარბაზში ექვსიოდე ადამიანი თუ იქნებოდა, მაგრამ  
პუაროს ყურადღება მხოლოდ ორმა მათგანმა მიიქცია. ისი-  
ნი ოდნავ მოშორებით ისხდნენ. მათგან შედარებით ახალ-  
გაზრდა და სანდომიანი სახის მამაკაცი ასე ოცდაათ წლამდე  
იქნებოდა, სავარაუდოდ, ამერიკელი. თუმცა, დეტექტივის  
ყურადღება მასზე მეტად მისმა თანამოსაუბრემ მიიპყრო.

სამოციდან სამოცდაათ წლამდე ასაკის იქნებოდა. ახლო  
მანძილიდან თუ დაუკვირდებოდით, ნამდვილ ფილანთროპს  
ამოიცნობდით მასში. თმა შესთხელებოდა, შუბლი გუმბათი-  
ვით ამობურცოდა, მოლიმარი ბაგიდან მეტისმეტად თეთრი  
კბილების პროთეზი მოუჩანდა. ერთი სიტყვით, დადებითი  
ჰაბიტუსის ჰატრონი იყო, მხოლოდ თვალები არღვევდა ამ  
კომპოზიციას: ჰატარა, ღრმად ჩამჯდარი, ცბიერი თვალები  
ჰქონდა. და არა მხოლოდ თვალები. თავის კომპანიონს რა-  
ღაც უთხრა, ოთახს თვალი მოავლო და წამიერად პუაროზე  
შეაჩერა მზერა. უცებ ამ მზერაში უჩვეულო დაძაბულობა  
და სიბოროტე გამოკრთა. მაშინვე წამოდგა.

— გადაიხადეთ, ჰექტორ, — ჩახლეჩილი ხმით უთხრა  
ახალგაზრდას, თითქოს მუქარის ნოტებიც გაისმა.

როდესაც პუარო ვესტიბიულში ძველ მეგობარს ისევ  
შეხვდა, ისინი უკვე სასტუმროდან გადიოდნენ, მათი ბარგიც  
ჩამოჰქონდათ. ახალგაზრდა ამ პროცესს თვალს ადევნებდა,  
მერე მინის კარი გააღო და ასაკოვანს მიმართა:

— ყველაფერი მზადაა, მისტერ რეთჩეთ.

მისტერ რეთჩეთმა რაღაც ჩაიბურტყუნა და გავიდა.

— Eh bien, — ჩაილაპარაკა პუარომ. — ამ ორზე რას ფი-  
ქრობთ?

— ამერიკელები არიან, — მიუგო მესიე ბუკმა.  
 — რასაკვირველია, ამერიკელები არიან. მე ვიგულისხმე,  
 მათ პიროვნებებზე რას ფიქრობთ-მეთქი?

— ახალგაზრდა კაცი სრულიად სასიამოვნო ადამიანად  
 მომეჩვენა.

— მეორე?

— სიმართლე გითხრათ, მეგობარო, სულ არ მადარდებს  
 ეგ კაცი. უსიამოვნო შთაბეჭდილება დამიტოვა. თავად რას  
 იტყვით?

ერკიულ პუარო დაფიქრდა.

— როდესაც რესტორანში შემოვიდა, — დაიწყო მან, —  
 უცნაური განცდა დამეუფლა. გარეული ცხოველი მეგონა,  
 მხეცი, მხეცზე დაუნდობელიც კი! გვერდით რომ ჩამიარა,  
 აი, ეს შეგრძნება დამეუფლა. გჯერათ?

— თუმცა, სავსებით რესპექტაბელურად გამოიყურება.

— Précisément!<sup>1</sup> სხეული გალიასავითაა: შეიძლება რეს-  
 პექტაბელურად გამოიყურებოდეს, მაგრამ ამ გალიიდან  
 დაუნდობელი მტაცებელი იმზირება.

— მდიდარი წარმოსახვა გაქვთ, მეგობარო, — უთხრა  
 მესიე ბუკმა.

— შესაძლოა. მაგრამ ის უსიამოვნო განცდა, თითქოს  
 ბოროტმა სულმა ჩამიარა, ვერ მოვიშორე.

— იმ რესპექტაბელურ ამერიკელ ჯენტლმენზე ამბობთ?

— სწორედ იმ რესპექტაბელური ამერიკელ ჯენტლმენზე.

— კეთილი, — მხიარულად თქვა მესიე ბუკმა. — გამო-  
 რიცხული არაფერია, ამქვეყნად ბოროტს და ავსულს რა  
 გამოლევს.

ამ დროს კარი გაიღო და მათკენ კონსიერჟი გამოემარ-  
 თა, აღელვებული და შენუხებული ჩანდა.

— უცნაურია, მესიე, — მიმართა პუაროს. — მაგრამ პირ-  
 ველი კლასის ვაგონში ერთი ადგილიც კი არ დარჩენილა.

— Comment?<sup>2</sup> — წამოიძახა მესიე ბუკმა. — წელიწადის

<sup>1</sup> Précisément (ფრ.). — ზუსტად;

<sup>2</sup> Comment? (ფრ.). — როგორ?

ამ დროს? ნამდვილად, უურნალისტებით ან პოლიტიკოსებით იქნება ვაგონი სავსე, ხომ?

— არ ვიცი, სერ, — თავაზიანად მიუბრუნდა კონსიერჟი.  
— მაგრამ ასე კია საქმე.

— კეთილი, რა გაეწყობა, — მესიე ბუკმა პუაროს შეხედა. — გული არ გაიტეხოთ, მეგობარო, რამეს მოვაგვარებთ. ერთი კუპე ყოველთვის არის ხოლმე, ნომერი 16. გამყოლი მას სათადარიგოდ ინახავს, — გაიღიმა, საათზე დაიხედა და თქვა: — წავიდეთ, უკვე დროა.

სადგურზე მესიე ბუკს დიდი პატივით შეეგება საძილე ვაგონის ყავისფერფორმიანი გამყოლი.

— სალამო მშვიდობისა, მესიე. თქვენი კუპე პირველი ნომერია.

გამყოლმა მებარგულებს გასძახა და მათაც ვაგონის ასასვლელთან მიიტანეს ბარგი, რომელზეც მიმართულების აღმნიშვნელი თუნუქის დაფა იყო მიკრული:

### სტამბოლი-ტრიესტი-პალე

— გავიგე, დღეს ყველა ადგილი დაკავებული გქონიათ.  
— წარმოუდგენელია, მესიე. მგონი, მოგზაურობის დაწყება მთელ სამყაროს ამაღლამ მოუნდა!  
— ასეა თუ ისე, ამ ჯენტლმენისთვის ერთი კუპე უნდა გამონახოთ როგორმე. ჩემი მეგობარია. მე-16 ნომერში შეუშვით.

— დაკავებულია, მესიე.

— რაო? მე-16 ნომერიც?

ერთმანეთს გაგებით შეხედეს და გამყოლს გაელიმა. გამყოლი მაღალი, გამხდარი, შუა ხნის კაცი იყო.

— რა ვქნა, მესიე, მართლა ყველა ადგილი დაკავებულია.

— კი მაგრამ, რა ხდება ასეთი? — გაბრაზებით იკითხა მესიე ბუკმა. — სადმე კონფერენცია იმართება? თუ წვეულება?

— არა, მესიე. შემთხვევითი ამბავია. ისე მოხდა, რომ ბევრმა ადამიანმა სწორედ ამაღლამ ისურვა გამგზავრება.

მესიე ბუკმა გაღიზიანებით გააწკლაპუნა პირი.

— ბელგრადში, — თქვა მან, — ამ შემადგენლობას ათენიდან მომავალ საძილე ვაგონს მიაპამენ. ბუქარესტში კი პარიზისკენ მიმავალ საძილე ვაგონსაც დაამატებენ. მაგრამ ბელგრადში ხვალ საღამომდე ვერ ჩავალთ. პრობლემა დღევანდელი ლამეა. არც მეორე კლასის ვაგონშია ადგილი?

— მეორე კლასში ერთი ადგილია, მესიე...

— ჰოდა, მშვენიერია...

— მაგრამ ეგ კუპე მხოლოდ ქალბატონისთვისაა, რადგან ერთი ადგილი უკვე დაკავებული აქვს ჩვენი მგზავრის გერმანელ მოსამსახურეს.

— რა დასანანია, — თქვა მესიე ბუკმა.

— ნულარ შეწუხდებით, მეგობარო, — მიმართა პუარომ.

— ჩვეულებრივი ვაგონით ვიმგზავრებ.

— არამც და არამც! — ისევ გამყოლს მიუბრუნდა. — უკვე ყველა მგზავრი მოსულია?

— დიახ, — უპასუხა გამყოლმა, მერე ცოტა ჭოჭმანით ხმადაბლა უთხრა. — მხოლოდ ერთი მგზავრი არ მოსულა ჯერ.

— მერე? მითხარით!

— მე-7 კუპე, მეორე კლასის ვაგონში. ჯენტლმენი ჯერ არ მოსულა, მაგრამ ოთხი წუთი კიდევ არის დარჩენილი.

— ვინაა ის ჯენტლმენი?

— ინგლისელია, — გამყოლმა დავთარს ჩახედა. — ა. მ. ჰარის.

— კარგი ნიშანია, — თქვა პუარომ. — დიკენსს თუ დავესესხები, მ. ჰარისი<sup>1</sup> არ მოვა.

— მესიეს ბარგი მე-7 კუპეში შეიტანეთ, — გასცა განკარგულება მესიე ბუკმა. — თუ ეგ ვიღაც ჰარისი გამოჩენდება, უთხარით, დაგაგვიანდათ, ამდენ ხანს ადგილს ვერ შეგინახავდით-თქო, მოკლედ, ასე თუ ისე, მოგვარდება ეს საქმე. და საერთოდაც, რაში მენალვლება ეს ვიღაც ა.მ. ჰარისი?

<sup>1</sup> აუტორი, სავარაუდოდ, ჩარლზ დიკენსის 1844 წელს გამოცემულ რომან „მარტინ ჩეზლევიტს“ გულისხმობს, სადაც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ქალი, სარა ჰემფუთი, სიმართლის დასამტკიცებლად იმონმებს არარსებულ ვინმე მისის ჰარისს.

— როგორც ინებებთ, — უთხრა გამყოლმა და მებარ-  
გულს დაავალა პუაროს ჩემოდნები აღნიშნულ კუპეში შეე-  
ტანა. მერე გვერდზე გადგა, რომ პუარო კიბეზე ამოეშვა.

— *Tout à fait au bout*<sup>1</sup>, მესიე, — მიაძახა პუაროს. — ბოლო-  
დან მეორე კუპეა.

პუარო დერეფვანს ნელი ნაბიჯით გაუყვა, რადგან ლა-  
მის ყველა მგზავრი კუპედან გამოსულიყო. ამიტომ პუარო  
იძულებული იყო, საათის მექანიზმის სიზუსტით ხან აქეთ  
ეხადა ბოდიში, ხან იქით. ბოლოს, როგორც იქნა კუპეში რომ  
შეაღწია, იქ ის ახალგაზრდა ამერიკელი დახვდა, სასტუმრო  
„თოქათლიანში“ რომ ნახა, ზედა თაროზე ჩემოდანს დებდა.

პუაროს დანახვაზე წარბი შეკრა.

— უკაცრავად, — უთხრა პუაროს. — მაგრამ მგონი, კუ-  
პე შეგეძლათ. — მერე იგივე ფრაზა გულმოდგინედ ფრან-  
გულადაც გაუმეორა. — *Je crois que vous avez un erreur.*

პუარომ ინგლისურად უპასუხა:

— მისტერ ჰარისი ბრძანდებით?

— არა, მე მაქქუინი ვარ...

სწორედ ამ დროს პუაროს ზურგს უკან საძილე ვაგონის  
გამყოლის გაბზარული ხმა გაისმა, თითქოს ბოდიშს იხდიდაო.

— მატარებელში სხვა თავისუფალი ადგილი არ არის, მე-  
სიე. ამ ჯენტლმენს თქვენთან ერთად მოუწევს მგზავრობა.

დერეფნის ფანჯარა ჩამოსწია და მებარგულს მესიე პუა-  
როს ბარგი გამოართვა.

პუარომ გამყოლს ხმაზე შეატყო, რომ მობოდიშებას ცდი-  
ლობდა, და გახალისდა. გაიფიქრა, ალბათ ვიღაც დაპეირდა,  
თუ კუპეში არავის შეუშვებ, კარგ გასამრჯელოს მიიღებო,  
მაგრამ როცა საქმე კომპანიის დირექტორს და მის დავალე-  
ბას ეხება, ყველანაირი გასამრჯელო ფასს კარგავს.

შეანუ თუ არა ჩემოდნები თაროზე, გამყოლი კუპედან  
გავიდა.

— *Voilà*<sup>2</sup>, მესიე, — თქვა მან. — ყველაფერი დანუბილია.

<sup>1</sup> *Tout à fait au bout* (ფრ.). — სულ ბოლომი;

<sup>2</sup> *Voilà* (ფრ.). — აი.

თქვენი ზედა საწოლია, მეშვიდე ადგილი. ერთ წუთში გავდივართ.

უთხრა თუ არა ეს, დერეფანს ჩქარი ნაბიჯით გაუყვა. პუარო კი ისევ კუპეში შევიდა.

— სად ნახულა, რომ გამყოლი თვითონ დატარებდეს ბარგს? — ხალისიანად თქვა მან. — გაუგონარი ამბავია!

ახალგაზრდა ამერიკელს გაელიმა. როგორც ჩანს, გაღიზიანებამ გაუარა, ალბათ, იფიქრა, ამ უსიამოვნებას, ჯობია, ფილოსოფიურად შევხედოო.

— მართლაც გადაჭედილია ვაგონი, — შენიშნა მან.

გაისმა სასტვენის ხმა, რასაც ლოკომოტივის გრძელი, მელანქოლიური საყვირის ხმა მოჰყვა. პუარო და მისი თანამგზავრი დერეფანში გავიდნენ. გარეთ ხმა გაისმა:

— En voiture!

— გავდივართ, — თქვა მაქქუინმა.

მაგრამ მატარებელი არც კი დაძრულა, სასტვენის ხმაც ხელახლა გაისმა.

— იმას ვამბობ, სერ, — უეცრად თქვა ახალგაზრდამ.

— თუ გირჩევნიათ, ქვედა საწოლზე მოთავსდით, ჩემთვის მაინც სულერთია.

სასიამოვნო ახალგაზრდა კაციაო, გაიფიქრა პუარომ.

— არა, არა, — იუარა პუარომ. — ასე როგორ შეგანუხებთ...

— მართლაც სულერთია...

— ძალიან თავაზიანი ბრძანდებით.

ამას ქათინაურების გაცვლა-გამოცვლა მოჰყვა.

— მხოლოდ ერთი ღამით მინდა, — აუხსნა პუარომ. — ბელგრადში...

— აჟ! გასაგებია. ბელგრადში ჩადიხართ?

— არც მთლად მასეა. იცით...

უეცრად ვაგონი შეინჯღრა. კაცების უმრავლესობა ფანჯრებს მიაწყდა და უკან დარჩენილ გაჩახჩახებულ ბაქანს გაჰყურებდა.

„აღმოსავლეთის ექსპრესმა“ ევროპაში თავისი სამდლიანი მოგზაურობა დაიწყო.

### 3. პუარო უას ამბობს საქმის გამოძიებაზე

მესიე პუარო მეორე დღეს ვაგონ-რესტორანში სადილზე მცირეოდენი დაგვიანებით გამოცხადდა. დილით ადრიანად ადგა, ადრიანადვე ისაუზმა, თითქმის მარტომ, და მთელი დილა იმ საქმეს ეცნობოდა, რომლის გამოსაძიებლადაც ლონდონში გამოიძახეს. თავისი თანამგზავრისთვის თვალიც კი არ მოუკრავს.

მესიე ბუკმა, რომელიც უკვე მისჯდომოდა მაგიდას, მეგობარს ხელით ანიშნა, ჩემს მაგიდასთან დაჯექიო. პუაროც დაჯდა და მალევე მიხვდა, რომ მშვენიერ მაგიდასთან მოხვდა: მათ პირველებს ემსახურებოდნენ და სულ დელიკატესები მოჰქონდათ, ყველაფერი მართლაც წარმოუდგენლად გემრიელი იყო.

ჩუმად სადილობდნენ, მაგრამ როგორც კი ნალების უნაზესი ყველი შემოიტანეს, მესიე ბუკმა საუბარი წამოიწყო. ნასადილევს ფილოსოფოსობის საღერღელი აეშალა.

— ოჟ! — ამოიოხრა მან. — ბალზაკის ნიჭი რომ მომცა, ამ სცენას აუცილებლად აღვწერდი! — თან ხელის მოძრაობით რესტორანზე მიანიშნა.

— ურიგო აზრი არ უნდა იყოს, — კვერი დაუკრა პუარომ.

— მაშ, მეთანხმებით? მგონი, მსგავსი რამ არავის ალუნერია; არადა, როგორი რომანტიკაა, არა, ჩემო მეგობარო? ჩვენ გარშემო რამდენი ხალხია — სხვადასხვა ფენის, ეროვნების, ასაკის ადამიანები, სრულიად რომ არ იცნობენ ერთმანეთს და მთელი სამი დღე ერთ ჭერქვეშ მოუნევთ ძილიც და ჭამაც, ვერც ერთმანეთს დააღწევენ თავს. სამი დღის მერე კი გაიფანტებიან, თავ-თავიანთი გზით წავლენ და ალბათ, ალარც არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს.

— თუმცა, — შეესიტყვა პუარო. — ხომ შეიძლება რამე ისეთი მოხდეს...

— ოჟ, შორს ჩვენგან, მეგობარო!

— გასაგებია, რომ თქვენი თვალთახედვით, ეს მეტად

არასასურველია, მაგრამ მოდით, ნუთიერად წარმოვიდგინოთ ასეთი ვითარება. აი, მაშინ კი არ არის გამორიცხული, რომ ყველა აქ მყოფი ადამიანი ერთმანეთს დააკავშიროს, ვთქვათ, სიკუდილმა.

— კიდევ ხომ არ დალევთ? — ჰესიე ბუკმა და ლვინო სასწრაფოდ ჩამოასხა ჭიქებში. — რა შავბნელი აზრები მოგდით, მეგობარო. ალბათ, საჭმლის მონელება გიჭირთ და ამის ბრალია.

— მართალია, — დაეთანხმა პუარო. — სირიული სამზარეულო ჩემი კუჭისთვის არ არის გათვლილი.

ლვინო მოსვა. საზურგეს მიაწვა და ვაგონ-რესტორანს მოავლო ფიქრიანი მზერა. რესტორანში ცამეტი კაცი იმყოფებოდა, და როგორც მესიე ბუკმა შენიშნა, ყველა მათგანი სხვადასხვა ფენას და ეროვნებას ეკუთვნოდა. პუარო მათ შესწავლას შეუდგა.

მოპირდაპირე მაგიდასთან საჭირო მამაკაცი იჯდა. რესტორნის მენეჯერი გუმანით მიმხვდარა, რომ ყოველი მათგანი მარტოხელა მოგზაური იყო და სამივეს ერთ მაგიდასთან მიუჩინა ადგილი. შავტუხა ახმახი იტალიელი სიამოვნებით იჩიჩენიდა კბილებს. მის წინ მჯდარ დახვეწილ ინგლისელს კი კარგად განწრთვნილი მსახურის გამკილავი, უემოციო სახე ჰქონდა. ინგლისელის გვერდით ჩასკვნილი ამერიკელი იჯდა ჭრელი პიჯაკით — სავარაუდოდ, კომივოიაუერი.

— ჩვენს საქმეში ფართო გაქანებაა საჭირო, — მოგუდული ხმით საკმაოდ ხმამაღლა საუბრობდა.

იტალიელმა კბილსაჩიჩენი პირიდან გამოილო და აქეთიქით გააქნია.

— ცხადია, — თქვა მან. — სულ ამას არ ვამბობ?!?

ინგლისელმა ფანჯრიდან გაიხედა და ჩაახველა.

პუარომ იქაურობას თვალი მოავლო. ერთ პატარა მაგიდასთან სარგადაყლაპულივით უჩვეულოდ უშნო მოხუცი ქალბატონი იჯდა. თუმცა, მისი სიუშნოვე უცნაურად მიმზიდველი და მომაჯადოებელიც კი იყო. ყელზე საკმაოდ მსხვილი მარგალიტის ყელსაბამი ეკეთა, რაოდენ უცნაუ-

რიც უნდა იყოს, ნამდვილი. თითებზე ბეჭდები აესხა. მხრებზე სიასამურის ქურქი მოეგდო. შავი ფერის პატარა, ძვირფასი ტოკა<sup>1</sup> გაყვითლებულ, გომბეშოს სახეს სულაც არ შვენოდა.

ქალი მკაფიო, თავაზიანი და ამავე დროს მბრძანებლური ტონით ელაპარაკებოდა ოფიციანტს:

— ძალიან დამავალებთ, თუ კუპეში მინერალურ წყალსა და დიდი ჭიქით ფორთოხლის წვენს მომართმევთ. და კიდევ: ვახშმად შემწვარი წინილა, ყოველგვარი საწებლის გარეშე და მოხარშული თევზი მინდა.

ოფიციანტმა თავაზიანად მოახსენა, ყველაფერს მოგართმევთო.

ლედიმ ოდნავ დაუკრა თავი და წამოდგა. რაღაც წამით პუაროს გაუსწორა თვალი, მერე კი არისტოკრატიული დაუდევრობით მოაშორა მზერა.

— ეს თავადის ქალი დრაგომიროვაა, — ხმადაბლა უთხარა მესიე ბუკმა. — რუსია. მისმა მეუღლემ რევოლუციამდე მთელი ფულის საზღვარგარეთ გატანა მოასწრო და დააბანდა. უზომოდ მდიდარია. თანაც ნამდვილი კოსმოპოლიტია.

პუარომ თავი დაუქნია. თავადის ქალ დრაგომიროვას შესახებ მანამდეც სმენია.

— ძლიერი პიროვნებაა, — უთხრა მესიე ბუკმა. — მომაკვდინებელ ცოდვასავით მახინჯია, მაგრამ ლირსეულად უჭირავს თავი. არ მეთანხმებით?

პუარო დაეთანხმა.

შედარებით დიდ მაგიდასთან მერი დებენჰემი ორ ქალბატონთან ერთად იჯდა. ერთ-ერთი ტანმაღალი და შეუახნისა იყო, კუბოკრული ზედატანი და ტვიდის ქვედაკაბა ეცვა. გრძელი, გახუნებული ქერა თმა კეფაზე დაეხვია, სათვალე ეკეთა, რაც სულაც არ უხდებოდა მის ვარცხნილობას და მოგრძო სახეს, რომელიც ცხვარს მიუგავდა. ის მესამე ქალბატონს უსმენდა, მაღალ, ლამაზი სახის, ასაკოვან ლედის, რომელიც მართალია, ხმადაბლა და მონოგონურად, მაგრამ

<sup>1</sup> ტოკა — (*toque* (ფრ.)). — ქალის მცირე ზომის ქუდი ერთგვარი.

გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ისე რომ, სულის მოთქმასაც ვერ ასწრებდა.

— ... და მაშინ ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, ამ ქვეყანაში ჩვენს ამერიკულ მეთოდს ვერ გამოვიყენებთ, რადგან აქაური ხალხი ბუნებით ზარმაცია, ვერაფრით გაანძრევო. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ჩემდა სასიხარულოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენმა კოლეჯმა საუკეთესო შედეგებს მიაღწია. საუცხოო პედაგოგები გვყავს. ვფიქრობ, განათლებას მაინც ვერაფერი შეეძრება. ჩვენი დასავლური იდეალები უნდა დავნერგოთ და მივაღწიოთ, რომ აღმოსავლეთში დავნერგოთ ისინი. როგორც ჩემი ქალიშვილი ამბობს...

მატარებელი გვირაბში შევიდა. მშვიდი, მონოტონური ხმა კიდევ უფრო მკაფიოდ გაისმა.

გვერდით, შედარებით პატარა მაგიდასთან, პოლკოვნიკი არბეთნოთი მარტო იჯდა და მერი დებენჰემის ზურგს თვალს არ აშორებდა. ცალ-ცალკე ისხდნენ. რას უნდა შეეშალა ხელი, ერთად რატომ არ დასხდნენ? ნეტავ, რა მოხდა?

შესაძლოა, პუარო ფიქრობდა, რომ თავად მერიმ მოითხოვა სხვაგან დაჯდომა. გუვერნანტ ქალს ხომ სიფრთხილე მართებდა. საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია. ქალიშვილს, რომელიც თავად ირჩენს თავს, წინდახედულობა არ აწყენს.

თვალი ვაგონის სხვა მხარეს გაექცა. მოშორებით, კედელთან, შუახნის, შავეაბიანი ქალი იჯდა მსხვილი, უემოციო სახით. ან გერმანელი იქნება, ან სკანდინავიელიო, გაიფიქრა პუარომ. ალბათ, უფრო ის გერმანელი ქალია, მგზავრი ქალბატონის მოსამსახურეაო, რომ უთხრეს.

მის უკან წყვილი იჯდა, წინ წახრილიყვნენ და ერთმანეთში გაცხოველებით მსჯელობდნენ. მამაკაცს ინგლისური სამოსი ეცვა, ტვიდის ფართო კოსტიუმი, თუმცა ინგლისელი არ ჩანდა. მართალია, ის პუაროსკენ ზურგით იჯდა, მაგრამ თავის ფორმა და მხრები გასცემდა. მსხვილი აღნაგობის კაცი იყო. უეცრად თავი მოატრიალა და პუარომ მისი

პროფილი დაინახა. ძალიან ლამაზი მამაკაცი იყო, ოცდაათს გადაცილებული, დიდი ქერა ულვაშით.

მის წინ მჯდარ ქალიშვილს კი ოც წელზე მეტს ვერ მის-ცემდით. ტანზე მომდგარი შავი ფერის კოსტიუმის შიგ-ნით თეთრი სატინის ინგლისური ბლუზა ეცვა. გვერდზე მოქცეული შავი, ნატიფი ტოკა ლამის ჩამოვარდნოდა. საუცხოოდ ლამაზი იყო, მარმარილოსავით თეთრი კანი, თაფლისფერი თვალები და გიშრისფერი თმა ჰქონდა. სიგა-რეტს გრძელი მუნდშტუკით ენეოდა. გრძელ ფრჩხილებზე წითელი ფერის ლაქი ესვა. მსხვილი ზურმუხტისთვლიანი პლატინის ბეჭედი ეკეთა. მის მზერასა და ხმაში კეკლუცობა იგრძნობოდა.

— *Elle est jolie – et chic<sup>1</sup>*, ჩაილაპარაკა პუარომ. — ცოლ-ქმა-რია ხომ?

მესიე ბუკმა თავი დაუქნია.

— მგონი, უნგრეთის საელჩოდან არიან, — თქვა მან. — ლამაზი წყვილია.

მხოლოდ ორ კაცს — პუაროს თანამგზავრ მაქქუინსა და მის უფროსს, მისტერ რეთჩეთს არ დაესრულებინათ სადი-ლობა. მისტერ რეთჩეთი პუაროსკენ პირით იჯდა და ჩვენს ბელგიელს უკვე მეორედ მიეცა მის უსიამოვნო სახეზე დაკ-ვირვების საშუალება. არც ამჯერად გამორჩენია ღრმად ჩას-მული თვალების ცრუ კეთილგანნყობილება.

მესიე ბუკმა, როგორც ჩანს, შენიშნა, როგორ შეეცვალა სახე მის მეგობარს.

— ისევ თქვენს მტაცებელ მხეცს უყურებთ? — ჰქითხა მან.

პუარომ თავი დაუქნია.

როდესაც პუაროს ყავა მიუტანეს, ბუკი წამოდგა. სანამ მისი მეგობარი სადილად დაჯდებოდა, თვითონ უკვე კარ-გა ხნის დაწყებული ჰქონდა ჭამა და შესაბამისად, მასზე ადრეც მორჩა.

---

<sup>1</sup> *Elle est jolie – et chic* (ფრ.). — რა ლამაზი და დახვენილი ქალია.

— კუპეში დავბრუნდები, — უთხრა პუაროს. — სადილის მერე მეწვიეთ და ვისაუბროთ.

— სიამოვნებით.

პუარომ ნელა მოსვა ყავა და ლიქიორი შეუკვეთა. ოფიციანტი მაგიდებს შორის მიდი-მოდიოდა, ანგარიშს ასწორებდა და მიღებულ ფულს კოლოფში ათავსებდა. ასაკოვანი ამერიკელი ქალბატონის სევდიანი და მთრთოლარე ხმა მთელ ვაგონში ისმოდა.

— ჩემი ქალიშვილი მეუბნება, კვების ჭალონები შეიძინება და დაისვენებო. დავისვენებ, კი, როგორ არა! ამათ ფეხის ქირად ათი პროცენტი უნდა მივცე თურმე და მინერალურ წყალში კი ფული ვიხადო. ღმერთმა უწყის, რას გვასმევენ. არც „ევიანი“ აქვთ, არც „ვიში“<sup>1</sup>, რაც არასასურველ ეჭვებს მიჩენს.

— ეს... როგორ უნდა ვთქვა?.. როგორ ამბობენ? აქაური წყალი უნდა გვასმევენ? — დამტვრეული ინგლისურით იკითხა ცხვრისსახიანმა ქალმა.

— რა ვიცი, უცნაურად კი მეჩვენება, — ამერიკელმა ქალმა ამრეზით დახედა მის წინ მაგიდაზე დაყრილ ხურდა ფულს. — აბა, ამას დახედეთ, რა დამიბრუნა ხურდად! დინარებია თუ რა ჯანდაბაა, ახლა როგორ გავიგო? ნაგავს არ ჰგავს? ჩემი ქალიშვილი მეუბნება...

მერე მის დებენჰემმა სკამი უკან გასწია, მაგიდასთან მსხდომ ქალებს მსუბუქად დაუკრა თავი და გავიდა. პოლკოვნიკი არბეთნოთიც წამოდგა და უკან გაჰყვა. ამასობაში ამერიკელმა ლედიმ საძაგელი ხურდა აკრიფა და ვაგონ-რესტორანი დატოვა, მას ფეხდაფეხ მიჰყვა ცხვრისსახიანი ქალი. უნგრელებიც გავიდნენ. ვაგონ-რესტორანი სულ დაცარიელდა, მხოლოდ სამნი დარჩინენ — პუარო, რეთჩეთი და მაქქუინი.

რეთჩეთმა მაქქუინს რაღაც უთხრა, ისიც ადგა და გავიდა. მერე თავადაც წამოდგა და იმის მაგივრად, რომ მაქ-

<sup>1</sup> ევიანი და ვიში — ფრანგული მინერალური წყლების სამარჯო დასახელება.

ქუინს გაჰყოლოდა უკან, პუაროს მაგიდისკენ წამოვიდა და მის წინ დაჯდა.

— ხომ ვერ მომიკიდებთ? — რბილი, ოდნავ მოგუდული ხმით მიმართა პუაროს. — მე რეთჩეთი გახლავართ.

პუარომ მსუბუქად დაუკრა თავი. ჯიბიდან ასანთის კოლოფი ამოილო და თანამოსაუბრეს გაუნოდა, მანაც გამოართვა, მაგრამ არ აუნთია.

— მგონი, — განაგრძო რეთჩეთმა. — მისტერ ერკიულ პუაროსთან საუბრის პატივი მერგო, ხომ არ ვცდები?

პუარომ ისევ დაუკრა თავი.

— სწორი ინფორმაცია გაქვთ, მესიე.

დეტექტივი მიხვდა, როგორი გამჭოლი მზერით უცქერდა ეს უცხო კაცი, თითქოს თვალებით ბურღავდა, სანამ კიდევ რამეს იტყოდა.

— ჩემს ქვეყანაში, — თქვა მან. — თავიდანვე საქმეზე გადასვლა სჩვევიათ. მისტერ პუარო, მინდა, ერთ საქმეს მოჰკიდოთ ხელი.

ერკიულ პუარომ წარპები ასწია.

— ამჟამად ჩემი კლიენტების წრე ფრიად შეზღუდულია, მესიე, და მეც მხოლოდ განსაკუთრებულ საქმეებს ვკიდებ ხელს.

— დიახ, სრულიად გასაგებია. მაგრამ, მისტერ პუარო, საქმე დიდალ ფულს ეხება, — მერე რბილი, დამაჯერებელი ტონით გაუმეორა: — დიდალ ფულს!

ერკიულ პუარო ორიოდე წუთს დუმდა. მერე ჰკითხა:

— ჩემგან რის გაკეთებას ითხოვთ, მესიე... რეთჩეთ?

— მისტერ პუარო, მე მდიდარი კაცი გახლავართ, ძალიან მდიდარი. ჩემნაირ ადამიანებს კი მტრებს რა გამოულევს. მეც მყავს მტერი.

— მხოლოდ ერთი?

— ამით რას გულისხმობთ? — გალიზიანებულმა ჰკითხა რეთჩეთმა.

— მესიე, ჩემი გამოცდილებიდან მოგახსენებთ: როცა ადამიანი, თქვენი თქმისა არ იყოს, მდიდარია, მას ერთი კი არა, რამდენიმე მტერი ჰყავს ხოლმე.

რეთჩეთმა პუაროს პასუხის გაგონებაზე შვებით ამოისუნთქა და სწრაფად დაამატა:

— დიახ, დიახ, ვხვდები, რასაც ბრძანებთ. თუმცა მტრებია თუ მტერი, ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარი ახლა ჩემი უსაფრთხოებაა.

— უსაფრთხოება?

— ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მისტერ პუარო. თუმცა, თავის დაცვაც კარგად შემიძლია. — პიჯაკის ჯიბიდან პისტოლეტი ამოაცურა. — სულელი არ ვარ და ჩემი გამოჭერაც იოლი საქმე არ გახლავთ. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში თავის დაზღვევა არ მაწყენს. მგონი, სწორედ თქვენ მჭირდებით, მისტერ პუარო; ჩემი ფინანსური შესაძლებლობაც გაითვალისწინეთ, აკი გითხარით, დიდძალი ფულის პატრონი ვარ-მეთქი.

პუარო რამდენიმე წუთი ჩაფიქრებული მისჩერებოდა. სახეზე ემოციის ნასახიც არ ეტყობოდა. მისი თანამოსაუბრევერაფრით მიხვდებოდა, რაზე ფიქრობდა ახლა გამოცდილი დეტექტივი.

— ვწუხვარ, მესიე, — უთხრა ბოლოს. — მაგრამ თქვენს ნინადადებას ვერ მივიღებ.

რეთჩეთმა ეშმაკი თვალები შეანათა.

— მაშ, თქვენი თანხა დამისახელეთ, — უთხრა მშვიდად.

პუარომ თავი გაიქნია.

— ვერ გამიგეთ, მესიე. ჩემი პროფესიის წყალობით ფული მეც საკმარისად მაქვს, რათა საჭიროებაც დავიკმაყოფილო და სურვილებიც. ახლა მხოლოდ იმ საქმეებს ვკიდებ ხელს, რომლებიც დამაინტერესებს.

— ძლიერი ნებისყოფა გქონიათ, — უთხრა რეთჩეთმა. — ოცი ათასი დოლარი დაგაფიქრებთ?

— არა.

— უფრო მეტის მიღების იმედი თუ გაქვთ, არაფერი გამოგივათ. კარგად ვიცი, რა რა ლირს.

— მეც, მისტერ რეთჩეთ.

— ჩემი ნინადადებით რატომ არ მოიხიბლეთ?

პუარო წამოდგა.

— თუ არ მიწყენთ, გულწრფელად მოგახსენებთ, მისტერ რეთჩეთ. თქვენი სახე არ მომწონს! — უთხრა პუარომ და ვაგონ-რესტორანი დატოვა.

## 4. ყვირილი ღამით

„სიმპლონ-ალმოსავლეთის“ ექსპრესის ბელგრადში ჩასვლისას ცხრას თხუთმეტი აკლდა. შემადგენლობა ნახევარი საათით გაჩერდა, ამიტომ პუარომ ბაქანზე ჩასვლა ამჯობინა. თუმცა გარეთ დიდხანს არ დარჩენილა. ძალიან ციოდა, მართალია, თავად ბაქანი საკმაოდ კარგად იყო დაცული, მაგრამ გარეთ კარგა გვარიანად ბარდნიდა. თავის კუპეში აბრუნდა. გამყოლი, გარეთ ფეხებს რომ აბაკუნებდა და ხელებს იფშვნეტდა, რომ გამთბარიყო, გამოელაპარაკა.

— თქვენი ჩემოდნები, მესიე, 1-ელ კუპეში გადავიტანეთ, მესიე ბუკის კუპეში.

— კი მაგრამ, მესიე ბუკი რა იქნა?

— ათენიდან ჩამოსულ ვაგონში გადავიდა, ახლახან რომ მოაბეს ჩვენს შემადგენლობას.

პუარომ მეგობარი მონახა. მესიე ბუკმა მისი პრეტენზიები არ მიიღო.

— ეს არაფერი. რა მოხდა მერე. ასე აჯობებს. თქვენ ხომ ინგლისამდე მიდიხართ, ჰოდა, კალემდე გადაჯდომის გარეშე უფრო იოლად იმგზავრებთ. მე კი აქაც მშვენივრად ვარ, თანაც უფრო სიმშვიდეა. მთელ ვაგონში მხოლოდ მე და ერთი ბერძენი ექიმი ვართ. ოჟ, მეგობარო, რა ღამეა! ამბობენ, ამისთანა თოვლი წლებია, არ გვინახავსო. იმედი ვიქონიოთ, რომ დიდთოვლობა არ შეგვაფერხებს. ახლა სულაც არ ვარ ზვავების და ნამქერის გუნებაზე.

21 საათსა და 15 წუთზე მატარებელი პუნქტუალურად დაიძრა და სადგურიდან გავიდა, პუაროც მალევე ადგა, მეგობარს ღამე ნებისა უსურვა და თავისი ახალი კუპესკენ წავიდა, რომელიც ვაგონ-რესტორნის შემდეგ პირველი იყო.

მოგზაურობის მეორე დღეს მგზავრებს შორის არსებული ბარიერები ნალ-ნელა ინგრეოდა. ჰოლკოვნიკი არბეთნოთი თავისი კუპეს კართან იდგა და მაქქუინს ესაუბრებოდა. როდესაც მაქქუინმა პუარო დაინახა, ლაპარაკი უცებ შეწყვიტა. გაოცებული ჩანდა.

— კი მაგრამ, — წამოიძახა მან. — აქ არ უნდა ჩასულიყავით? აკი მითხარით, ბელგრადში ჩავდივარო?

— სწორად ვერ გამიგეთ, — უთხრა პუარომ ლიმილით. — თუ გახსოვთ, როგორც კი ამ საკითხზე დავიწყეთ საუბარი სტამბოლში, მატარებელი სწორედ მაშინ დაიძრა.

— ჰო მაგრამ, ბატონო, თქვენი ბარგიც აღარ არის.

— სხვა კუპეში გადაიტანეს. ესაა და ეს.

— აჟა! გასაგებია.

მერე არბეთნოთთან განაგრძო საუბარი, პუარო კი დე-რეფანს გაუყვა.

მისი კუპედან ორი კარის შემდეგ ასაკოვანი ამერიკელი ლედი, მისის ჰაბარდი, ცხვრისსახიან შვედ ქალს ესაუბრებოდა და რაღაც უურნალს აჩეჩებდა.

— არა, გამომართვით, გენაცვალე, — ეუბნებოდა დაუინებით. — მე საკითხავს რა გამომილევს. რა საშინელი სიცივეა, არა? — მეგობრულად დაუკრა თავი პუაროს.

— რა კეთილი ხართ, — უთხრა შვედმა ლედიმ.

— რას ბრძანებთ. იმედია, კარგად გამოიძინებთ და თავის ტკივილი ხვალ დილით აღარც გემახსოვრებათ.

— ალბათ, გაციების ბრალია. ახლავე ჩაის მოვიმზადებ.

— ასპირინი გაქვთ? დარწმუნებული ხართ? ბევრი წამოვილე. კეთილი, ღამე ნებისა, გეთაყვა.

როგორც კი ცხვრისსახიანი ქალბატონი გაუჩინარდა, სა-ლერლელაშლილი ამერიკელი პუაროს მიუბრუნდა.

— საბრალო ქალი, შვედი გახლავთ. მგონი, მისიონერი უნდა იყოს. მასწავლებელია. სასიამოვნო ქალია, მაგრამ ინგლისურად ცუდად ლაპარაკობს. ჩემს ქალიშვილზე რომ ვესაუბრებოდი, ისეთი ინტერესით მისმენდა.

პუარომ საკმარისად მოისმინა მისი ქალიშვილის ქება, ისევე, როგორც მატარებლის ყველა მგზავრმა, ვისაც ინგლისური ენა ესმოდა. თანაც, ყველამ იცოდა, რომ ის და მისი მეუღლე სმირნაში მსხვილ ამერიკულ კოლეჯში მსახურობდნენ, ეს მის პირველი მოგზაურობა იყო აღმოსავლეთში, დაუფარავად ლანძღავდა თურქებს და მიაჩნდა, რომ თურქეთში უვარგისი გზები ჰქონდათ.

მეზობელი კუპეს კარი გაიღო და ფერმკრთალი, გამხდარი მსახური მამაკაცი გამოვიდა. პუარომ საწოლში წამომჯდარ მისტერ რეთჩეთს მოჰკრა თვალი. იმანაც დაინახა პუარო და სიბრაზისგან სახე შეეცვალა. კარი დაიხურა.

მისის ჰაბარდმა პუარო მცირე ხნით ისევ დაიმარტოხელა და გვერდზე გაიყვანა.

— იცით, ამ კაცის სიკვდილივით მეშინია. ოჟ! არა, მსახურზე კი არა, მის ბატონზე მოგახსენებთ. გამომივიდარა ეგეც ბატონი! რაღაცით მაეჭვებს ეგ კაცი. ჩემი ქალიშვილი მეუბნება ხოლმე, ადამიანის ამოცნობაში ბადალი არ გყავსო. იმასაც მეუბნება, ვინმეზე თუ რამეს გიგრძნობს გული, შეცდომა გამორიცხულიაო. ამ კაცზე კი კარგს არა-ფერს მიგრძნობს გული. ჩემ გვერდით კუპეშია და ეს სულაც არ მომწონს. წუხელ კარზე ჩემოდნები ავაყუდე, მომეჩვენა, თითქოს სახელურს აწვალებდა. იცით, სულაც არ გამიკვირდება, მკვლელიც რომ აღმოჩნდეს, ერთ-ერთი იმათგანი, მატარებლებს რომ დაჰყვებიან ფარულად. შეიძლება სულელურად მომდის, მაგრამ ასე მგონია. ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, მშვიდად იმგზავრებო, თუმცა, გული სულ სხვას მიგრძნობს. შეიძლება, ესეც სულელურად ულერდეს, მაგრამ გული მეუბნება, რომ რაღაც მოხდება, და ამას წყალი არ გაუვა. ეჟ, ნეტავ ეს სასიამოვნო ახალგაზრდა როგორ უძლებს მასთან მუშაობას, ვერ გამიგია.

პოლკოვნიკი არბეთნოთი და მაქქუინი მათკენ წამოვიდნენ.

— ჩემთან შემობრძანდით, — გაისმა მაქქუინის ხმა. — ჯერ ლოგინი არ გაუშლიათ. იცით, რა მაინტერესებს, თქვენი პოლიტიკა ინდოეთში...

მათ ჩაიარეს და მაქქუინის კუპესკენ განაგრძეს გზა.

მისის ჰაბარდმა პუაროს ღამე ნებისა უსურვა.

— წავალ, დავწვები და რამეს წავიკითხავ, — თქვა ქალმა.  
— ძილი ნებისა.

— ღამე მშვიდობისა, მადამ.

პუარო თავის კუპეში შევიდა, რომელიც რეთჩეთის კუ-

პეს შემდეგ იყო. გაიხადა, ჩანვა, ნახევარი საათი კითხვით შეიქცია თავი, მერე კი შუქი გამორთო.

რამდენიმე საათის შემდეგ გაელვიძა, თითქოს უბიძგესო. მერე მიხვდა, რომ ვიღაცის ხმამაღალმა კვნესამ, ლამის ყვირილმა გააღვიძა, და ეს ხმა სულ ახლოდან ისმოდა. თითქმის მაშინვე ზარის ხმაც გაისმა.

პუარო ნამოჯდა და შუქი აანთო. შეამჩნია, რომ მატარებელი გაჩერებული იყო, ალბათ, რომელიმე სადგურში იდგნენ.

ხმაურმა შეაშფოთა. გაახსენდა, რომ მეზობელ კუპეში რეთჩეთი იმყოფებოდა. კარი სწორედ მაშინ გააღო და გარეთ გაიხედა, როდესაც დერეფანში გამყოლმა გაირბინა და რეთჩეთის კარზე მიაკაკუნა. პუარომ ოდნავ გაღებული კარიდან მიაყურადა. გამყოლმა უკან გამოიხედა, რადგან კიდევ ერთ კარზე აინთო ნათურა და გაისმა:

— Ce n'est rien. Je me suis trompé.<sup>1</sup>

— Bien, Monsieur.<sup>2</sup> — გამყოლი დაფაცურდა და იმ კარისკენ წავიდა, რომელზეც სინათლე ენთო.

დამშვიდებული პუარო ისევ დანვა და სანამ შუქს ჩაქრობდა, მაჯის საათს დახედა: პირველს ოცდასამი წუთი აკლდა.

<sup>1</sup> Ce n'est rien. Je me suis trompé (ფრ.). — შემეშალა. ნუ შეწუხდებით;

<sup>2</sup> Bien, Monsieur (ფრ.). — კეთილი, მესიე.

## 5. ჩანაშეული

მაშინვე ჩაძინება გაუჭირდა. ერთი მხრივ მატარებლის უძრაობამ შეუშალა ხელი. სადგურში თუ იყო მატარებელი, მაშ, ასეთი სიჩუმე რატომ იდგა? სამაგიეროდ, მატარებელში ისმოდა ხმაური. რეთჩეთის კუპედან ხმა გამოდიოდა — ონკანის მოშვების ხმა, ხელსაბანში წყლის ჩხრიალი, შეფების ხმაური, ისევ ონკანის ჩაკეტვის ხმა. დერეფანში ვიღაცამ ჩაიარა, აშკარად ფლოსტები ეცვა.

ერკიულ პუარო ჭერს შეაცემდა. რატომ იყო სადგურში ასეთი სიჩუმე? ყელი გაუშრა. დაავიწყდა, რომ მინერალური წყალი შეეკვეთა. უკვე ორის თხუთმეტი წუთი იყო. იფიქრა, გამყოლს გამოვიძახებ, რომ მინერალური წყალი მომიტანოსო. ის იყო, ზარისკენ წაილო ხელი, რომ ზარის დარეკვის ხმაც გაისმა. სხვამ დაასწრო. გამყოლი ორ გამოძახებაზე ერთდროულად ვერ მივიდოდა, ამიტომ აღარ დარეკა.

ნკრრრ... ნკრრრ... ნკრრრ...

ნკრიალი არ წყდებოდა. ნეტავ, გამყოლი სად დაიკარგა? ვიღაცას აშკარად უჭირდა.

ნკრრრ!

ვინც უნდა ყოფილიყო, ჩანდა, რომ ზარის ღილაკიდან თითს არ იღებდა.

უცებ დერეფნიდან ფეხის ხმა შემოესმა, გამყოლმა ჩაირბინა. პუაროს კუპესთან ახლოს ვიღაცის კარზე დააკაკუნა.

მერე ხმები გაისმა: გამყოლი თითქოს ბოდიშს იხდიდა, ქალი კი დაუინებით რაღაცას ამბობდა.

მისის ჰაბარდი!

პუაროს ულვაშებში ჩაეღიმა. დავა, თუკი ამას დავა შეიძლება ეწოდოს, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა. უმთავრესად მისის ჰაბარდი ლაპარაკობდა, გამყოლი ხანდახან თუ ჩაურთავდა სიტყვას. ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა. მოისმა მამაკაცის ნათქვამი: *Bonne nuit, Madame<sup>1</sup>*, და კარის დახურვის ხმა. პუარომ ზარის ღილაკს დააჭირა თითი.

<sup>1</sup> *Bonne nuit, Madame* (ფრ.). — ლამე ნებისა, მადამ.

გამყოლი წამში გამოცხადდა. გახვითქული და აღელვებული ჩანდა.

— De l'eau minérale, s'il vous Plaît.<sup>1</sup>

— Bien, Monsieur. — პუარომ გამხნევების ნიშნად თვალი ჩაუკრა, ამით გამხნევებულმა გამყოლმა წუხილი გამოთქვა.

— La dame américaine...<sup>2</sup>

— რაო?

გამყოლმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი ხანი დავყავი მასთან! დაიუინა, ჩემს კუპეში მამაკაციაო! წარმოგიდგენიათ, რომ ასეთ პატარა კუპეში ვინმე იმალებოდეს? — კუპეზე ხელის წრიული მოძრაობით მიანიშნა. — სად დაეტევა? იძულებული გავხდი, შევკამათებოდი. ვუხსნიდი, შეუძლებელია-მე-თქი. მან კი აიჩემა, გავიღვიძე და აქ იდგაო. მერე ვკითხე, კი მაგრამ, დახურულ კარში ან როგორ შემოვიდა, ან როგორ გავიდა-მეთქი? მაგრამ სალი აზრის გაგონება არაფრით ისურვა. თითქოს სანერვიულო გვაკლდეს. გარეთ ისეთი თოვლია...

— თოვლია?

— დიახ, მესიე. ვერ შენიშნეთ? მატარებელიც კი გაჩერდა. ნამქერში მოვყევით. ღმერთმა უწყის, რამდენ ხანს მოგვინევს აქ ყურყუტი. მახსოვს, ერთხელ მთელი კვირა ვიდექით ნამქერის გამო.

— კი მაგრამ, სად ვართ?

— ვინკოვცსა და ბროდს შორის.

— Là-là!<sup>3</sup> — გაბრაზებით წარმოთქვა პუარომ.

გამყოლი გავიდა და ბოთლით ხელში დაბრუნდა.

— Bon soir, Monsieur.<sup>4</sup>

პუარომ ერთი ჭიქა მინერალური წყალი დალია და დასაძინებლად გაემზადა.

ის იყო ჩაეძინა, რომ ისევ რალაცამ გამოაღვიძა. ამჯე-

<sup>1</sup> De l'eau minérale, s'il vous Plaît (ფრ.). — მინერალური წყალი, გეთაყვა;

<sup>2</sup> La dame américaine (ფრ.). — ეს ამერიკელი ქალბატონი;

<sup>3</sup> Là-là (ფრ.). — აი, თურმე, სად;

<sup>4</sup> Bon soir, Monsieur (ფრ.). — ღამე ნებისა, მესიე.

რად ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს კარს რაღაც მძიმე მოხვდა.

ნამოხტა, კარი გააღო და გაიხედა. არაფერი. დერეფანში მარჯვნივ მიმავალ ქალს მოჰკრა თვალი, რომელსაც წითელი კიმონო ეცვა. მეორე ბოლოში გამყოლი იჯდა თავისთვის და რაღაც დავთარს ჩასჩერებოდა. სამარისებური სიჩუმე იდგა.

— აშკარად ნერვების ბრალია, — ჩაილაპარაკა პუარომ და ისევ საწოლს მიაშურა. ამჯერად დილამდე აღარ გაღვიძებია.

როდესაც გაიღვიძა, მატარებელი ისევ უძრავად იდგა. ფარდა გასწია და გარეთ გაიხედა. მატარებელი თოვლის ნამქერში იყო მოქცეული. საათზე დაიხედა, უკვე ათი იყო დაწყებული.

ათს რომ თხუთმეტი აკლდა, პუარო, როგორც ყოველთვის, დახვეწილი, აკურატული და კოხტად გამოწყობილი ვაგონ-რესტორანს ენვია, სადაც მოწყენილობა სუფევდა.

თუკი სხვადასხვა ფენის მგზავრებს შორის აქამდე რამე ბარიერი არსებობდა, უკვე პირნმინდად მოშლილიყო. ყველა მგზავრს საერთო მდგომარეობა აერთიანებდა. მისის ჰაბარდი ყველაზე ხმამაღლა წუნუნებდა.

— ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, ამქვეყნად ყველაზე იოლი გზა ეგ არისო. ჩაჯდები მატარებელში და პირდაპირ პარიზში ჩამოხვალო. არადა, ხათაბალაში მოვყევი, აქედან შეიძლება, რამდენიმე დღეც ვერ გავაღწიო. — ასლუკუნდა ქალი. — ჩემი გემი კი ზეგ გადის. როგორდა დავეწევი? დეპეშის გაგზავნაც კი არ შემიძლია, რომ ბილეთი გავაუქმებინო. ამაზე რომ ვფიქრობ, ლამის ჭურიდან შევიშალო.

იტალიელმა დაიჩივლა, მილანში სასწრაფო საქმე მქონდაო. ჩასკვნილმა ამერიკელმა კი ქალს თანაუგრძნო, რა სამწუხაროაო, და გულწრფელი იმედი გამოთქვა, რომ მატარებელი მაღლე გაარღვევდა თოვლის ნამქერს.

— ჩემი და და დისმვილები მელოდებიან, — თქვა შვედმა ლედიმ და ცრემლები გადმოყარა. — ვერაფრით ვატყობინებ. რას იფიქრებენ? იფიქრებენ, რამე ცუდი შეემთხვაო.

— აქ რამდენ ხანს მოგვიწევს დარჩენა? — იკითხა მერი დებენჰემმა. — ვინმემ იცის?

მერის ხმაში შეძფოთება იგრძნობოდა, თუმცა, როგორც პუარომ შენიშნა, არა ისეთი მღელვარება, „ტოროსის“ ექს-პრესში რომ გამოავლინა.

მისის ჰაბარდს ისევ ნერვებმა უმტყუნა.

— ამ მატარებელში ნეტავ, ვინმემ იცის საერთოდ რამე? ან ვინმე ცდილობს, რამე იღონოს? ისე, უმაქნისი უცხოელებისგან რას უნდა ელოდო. ჩვენთან, ვინმე მაინც ეცდებოდა, რამე მოემოქმედა!

არბეთნოთი პუაროსკენ მიბრუნდა და ბრიტანული მანერით ფრანგულად გაუბა საუბარი.

— Vous êtes un directeur de la ligne, je crois, Monsieur. Vous pouvez nous dire...<sup>1</sup>

პუარომ ლიმილით უპასუხა ინგლისურად:

— არა, არა, ეს მე არ გახლავართ. ჩემს მეგობარში, მესიე ბუკში, აგერიეთ.

— ოჟ, მომიტევეთ.

— არა უშავს. ეს ბუნებრივიცაა. ახლა ხომ მე ვარ იმ კუპეში, რომლითაც ის მგზავრობდა.

მესიე ბუკი ვაგონ-რესტორანში არ იმყოფებოდა. პუარომ ვაგონს თვალი მოავლო, კიდევ ვინ გვაკლიაო.

თავადის ასული დრაგომიროვა და უნგრელი წყვილი არ ჩანდნენ. არც რეთჩეთი, მისი ხელქვეითი და გერმანელი მოახლე ქალი მოსულან.

შვედმა ქალბატონმა თვალები შეიმშრალა.

— მე რა სულელი, — ძლივს ჩამოაყალიბა ინგლისურად. — ცუდია მე ტირილი... ყველაფერი, რაც ხდება, ხომ უკეთესობაშია.

ამ ქრისტიანული აზრის გაზიარება ყველამ როდი ისურვა.

— ცხადია, ყველაფერი კარგადაა, — ნამოიძახა ალმფოთებულმა მაქქუინმა. — შეიძლება, აქ რამდენიმე დღე ვიყურყუტოთ.

<sup>1</sup> Vous êtes un directeur de la ligne, je crois, Monsieur. Vous pouvez nous dire (ფრ.). — მე მგონი, თქვენ ამ ხაზების დირექტორი ხართ, იქნებ მითხრათ.

— ის მაინც თუ იცის ვინმემ, რომელ ქვეყანაში ვიმყოფებით? — იკითხა ცრემლმორეულმა მისის ჰაბარდმა?

როდესაც უთხრეს, იუგოსლავიაში ვართო, ქალმა განაგრძო:

— უი, ბალკანეთში ვყოფილვართ! აბა, სხვას რას ველოდით?!

— თქვენ ყველაზე მომმთენი მგზავრი ხართ, მადმუაზელ,  
— პუარომ მისის დებენჰემს მიმართა.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— სხვა რა დამრჩენია?

— ფილოსოფოსი ყოფილხართ, მადმუაზელ.

— ამისთვის განყენებული აზროვნებაა საჭირო. მე კი ეგოისტური აზროვნება უფრო მაქვს. ვიცი, რომ ემოციების უმიზნოდ გამოხატვა არ ღირს.

ქალი თითქოს თავის თავს უფრო ელაპარაკებოდა, ვიდრე პუაროს. არც კი უყურებდა. მისი მზერა პუაროს მიღმა, გარეთ იყო მიმართული, სადაც თოვლის ნამქერი მოჩანდა.

— ძლიერი ხასიათიც გქონიათ, მადმუაზელ, — თავაზიანად უთხრა პუარომ. — მგონი, აქ მყოფთა შორის ყველაზე ძლიერი ხასიათით თქვენ გამოირჩევით.

— არა, რას ბრძანებთ? არა მგონია. ერთი ნამდვილად ვიცი, ჩემზე ბევრად ძლიერი ხასიათი რომ აქვს.

— და ეს არის?..

უეცრად თითქოს გონს მოეგოო, მიხვდა, რომ უცნობს, თანაც უცხოელს, ესაუბრებოდა, რომლისთვისაც ამ წუთამდე ხუთიოდე წინადადება თუ ექნებოდა ნათქვამი.

მერიმ ზრდილობიანად, მაგრამ ცივად გაიცინა.

— აი, თუნდაც ის ასაკოვანი ლედი. ალბათ, უკვე შეამჩნევდით. ძალიან შეუხედავი მოხუცი ქალბატონია, მაგრამ რაღაცით მიმზიდველი. მისი ერთი თითის ანევა და ნახევარი ვაგონი მზადაა, ნებისმიერი სურვილი შეუსრულოს.

— მაგრამ ჩემი მეგობრის, მესიე ბუკის, თხოვნაზეც მთელი ვაგონი ფეხზე დგება, — ჩაურთო პუარომ. — მაგრამ ეს

იმიტომ, რომ სარკინიგზო კომპანიის დირექტორია და არა უჩვეულოდ ძლიერი ხასიათის პიროვნება.

მერი დებენჰემს გაელიმა.

დილა შუადლემ შეცვალა. რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, პუაროც, ვაგონ-რესტორანში დარჩა. ასეთ დროს სიმარტოვეს ხალხში ყოფნა ჯობდა. მისის ჰაბარდის ქალიშვილზე კიდევ ბევრი რამ მოისმინა, ასევე შეიტყო გარდაცვლილ მისტერ ჰაბარდის რჯულზე უმტკიცესი ჩვევებიც, თუ როგორ იწყებდა დილას შვრის ფაფით და როგორ იცვამდა ცოლის ხელით მოქსოვილ წინდას ძილის წინ.

როდესაც შვედი ქალბატონის მისიონერული საქმიანობის შესახებ ისმენდა აბდაუბდა მონაყოლს, სწორედ მაშინ შემოვიდა ვაგონში ერთ-ერთი გამყოლი და მის მაგიდას იდაყვით დაეყრდნო.

— Pardon, Monsieur.<sup>1</sup>

— გისმენთ.

— მესიე ბუკმა მოგიკითხათ და გთხოვათ, თუ არ შენუხდება, რამდენიმე წუთით ჩემს კუპეში მობრძანდესო.

პუარო ადგა, შვედ ლედის მოუბოდიშა და გამყოლთან ერთად ვაგონ-რესტორნიდან გავიდა. ეს მათი ვაგონის გამყოლი კი არა, სხვა მაღალი, ქერა მამაკაცი იყო.

პუარომ გამყოლთან ერთად თავისი ვაგონის დერეფანიც ბოლომდე გაიარა და მომდევნო ვაგონის დერეფანიც. მამაკაცმა კარზე მიაკაკუნა, მერე განზე გადგა და პუაროს დაუთმო გზა.

კუპე მესიე ბუკისა არ აღმოჩნდა. ეს მეორე კლასის კუპე იყო, რომელიც, როგორც ჩანს, დიდი ზომის გამო აერჩიათ. თუმცა, ზომის მიუხედავად, გადავსებულ კუპეში ნემსი არ ჩავარდებოდა.

თავად მესიე ბუკი ჰატარა სკამზე იჯდა მოპირდაპირე კუთხეში. მეორე კუთხეში ჭანმორჩილი, შავგვრემანი მამაკაცი იჯდა და თოვლს გაჰყურებდა. იქვე იდგნენ და პუაროს შეს-

<sup>1</sup> Pardon, Monsieur (ფრ.). — უკაცრავად, ბატონო.

ვლაში ხელს უშლიდნენ ლურჯფორმიანი ახმახი (მატარებლის უფროსი) და მისი პირადი საძილე ვაგონის გამყოლი.

— აჰ, ჩემო კეთილო მეგობარო, — წამოიძახა მესიე ბუკ-მა. — შემოდით. ყველას ძალიან გვჭირდებით.

ფანჯარასთან მჯდარმა პატარა კაცმა ჩაიჩოჩა; პუარომ ორ მამაკაცს შორის გაიარა და მეგობრის პირდაპირ დაჯდა.

მესიე ბუკი მეტად შეშფოთებული ჩანდა, რაც იმას მონ-მობდა, რომ რაღაც უჩვეულო მოხდა.

— რა მოხდა? — იკითხა პუარომ.

— მაგას კითხვა უნდა? ჯერ ეს დიდთოვლობა და შე-ყოვნება. ახლა კიდევ ეს...

ბუკი შეჩერდა, ხოლო საძილე ვაგონის გამყოლს ოხვრა აღმოხდა.

— კიდევ რა?

— კიდევ ის, რომ მგზავრი თავის ვაგონში გდია მოკლული, დანითაა აჩეხილი.

მესიე ბუკი მღელვარებას ძლივს იოკებდა.

— მგზავრი? რომელი მგზავრი?

— ამერიკელი. სახელად... სახელად... — მის წინ დადებულ დავთარში ჩაიხედა. — რეთჩეთი. ასეა, ხომ, რეთჩეთი?

— დიახ, მესიე, — დაემონმა სუნთქვაშეკრული გამყოლი.

პუარომ მას შეხედა, მიტკლისფერი ედო.

— ამ კაცს დაჯდომის საშუალება მიეცით, — თქვა პუარომ. — თორემ სადაცაა გული წაუვა.

მატარებლის უფროსი ჩაინია, ვაგონის გამყოლმა დაჯდომა შეძლო და სახეზე ხელები აიფარა.

— ოჟო! — თქვა პუარომ. — საქმე სერიოზულად ყოფილა!

— სერიოზულად და თან, როგორ! მკვლელობაზე სერიოზული უბედურება რაღა უნდა იყოს. მაგრამ მარტო ეს როდია. გარემოებებიც უჩვეულო დაემთხვა: თოვლის ხაფანგში ვართ მოყოლილი. ვინ იცის, რამდენი საათით ჩავრჩით, ანდა რამდენი დღით! ბედი არ ვინდა, ასეთ შემთხვევაში თითქმის ყველა ქვეყანა ადგილობრივ პოლიციას გზავნის

ხოლმე მატარებელთან, ჩვენ კი იუგოსლავიაში ვიმყოფებით, სადაც აზრადაც არ მოსდით, რომ ვინმე მოგვაშველონ. წარმოგიდგენიათ?

— გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიენიაო, ჩვენზეა ნათქვამი, — შენიშნა პუარომ.

— ჯერ სად ვართ! ექიმი კონსტანტინი, უკაცრავად, ერთ-მანეთი არ ვაგაცანით. ექიმი კონსტანტინი, მესიე პუარო.

პატარა შავტუხა კაცმა თავი დაუკრა, პუარომაც იმავე-თი უპასუხა.

— ექიმი კონსტანტინი მიიჩნევს, რომ მკვლელობა ლამის პირველ საათზე მოხდა.

— ასეთ პირობებში დაზუსტებით თქმა ძნელია, — თქვა ექიმმა. — მაგრამ ის კი დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ მკვლელობა ლამის თორმეტიდან ორამდე მოხდა.

— უკანასკნელად როდის ნახეს მისტერ რეთჩეთი ცო-ცხალი? — იკითხა პუარომ.

— როგორც ცნობილია, პირველს რომ ოცი აკლდა, ცო-ცხალი იყო და გამყოლს ელაპარაკებოდა, — უპასუხა მესიე ბუკმა.

— სრული სიმართლეა, — თქვა პუარომ. — ჩემი ყურით მოვისმინე ეს საუბარი. მეტი არაფერია ცნობილი?

— არა.

პუარომ ექიმ კონსტანტინს შეხედა, რომელმაც საუბარი განავრძო.

— მისტერ რეთჩეთის ფანჯარა სულ გაღებული დაგვხვდა, რომ გვეფიქრა, ვითომ მკვლელმა ამ გზით გააღწია. მაგრამ ფანჯარა ჩვენთვის თვალის ასახვევად გააღეს, თორემ მართლა რომ გადამხტარიყო ვინმე, თოვლში კვალს უეჭველად დატოვებდა. ნაფეხურები კი საერთოდ არ ჩანს.

— ცხედარი როდის აღმოაჩინეთ? — იკითხა პუარომ.

— მიშელ!

საძილე ვაგონის გამყოლი ფეხზე წამოხტა. ფერდაკარგულ სახეზე შიში აღბეჭდოდა.

— მოუყევით ამ ჯენტლმენს რა და როგორ იყო, — უთხრა მესიე ბუკმა.

გამყოლმა ნაწყვეტი-ნაწყვეტად დაიწყო მოყოლა.

— ამ დილით მისტერ რეთჩეთის ხელქვეითმა რამდენ-ჯერმე მიუკაკუნა კარზე. პასუხი არავის გაუცია. ამის შემდეგ, ასე ნახევარი საათის წინ, რესტორნიდან მიმტანი მივიდა, რომ გაეგო, ისაუზმებდა თუ არა მისტერ რეთჩეთი. იცით, უკვე თერთმეტი საათი იყო. ვცდილობ, ჩემი გასაღებით გავალო კარი, მაგრამ არ იღება, ჯაჭვით არის დაკუტილი. არც რამე ხმა გამოდის, მხოლოდ სიცივე, აუტანელი სიცივე. ფანჯარა ხომ ღია იყო და კუპეში თოვლი შემოიყარა. ვიფიქრე, მგზავრს გული ხომ არ გაუსკდა-მეთქი. მატარებლის უფროსს მივმართე. ჯაჭვი გავწყვიტეთ და ისე შევალნიეთ შიგნით. ის კი... აჲ, c'était terrible!<sup>1</sup>

ისევ ხელებში ჩარგო სახე.

— ესე იგი, კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი, თანაც ჯაჭვით, — დაფიქრებით თქვა პუარომ. — იქნებ თვითმკვლელობაა? ბერძენმა ექიმმა ცინიკურად ჩაიცინა.

— სადმე გინახავთ, რომ თვითმკვლელს საკუთარი თავისთვის დანით თხუთმეტამდე ჭრილობა მიეყენებინოს?

პუაროს თვალები გაუფართოვდა.

— რა სიმხეცეა! — თქვა გაოგნებულმა.

— ქალის ჩადენილია, — მატარებლის უფროსმა პირველად ამოიღო ხმა. — ქალის ჩადენილია, ამას წყალი არ გაუვა. ქალი თუ დაასახირებდა ასე.

ჩაფიქრებულმა ექიმმა კონსტანტინმა შუბლი შეიქმუხნა.

— თუ ქალის ჩადენილია, ძლიერი ხელი ჰქონია, — თქვა მან. — ტექნიკურ ტერმინოლოგიას არ მოვიშველიებ, რომ არ დაგაბნიოთ, მაგრამ ორიოდე ჭრილობა ძვლამდეა ჩასული, ამას კი სუსტი ხელით ვერ გააკეთებ.

— პროფესიონალი მკვლელის ჩადენილს არ ჰგავს, — თქვა პუარომ.

— ნამდვილად ასეა, — დაუდასტურა ექიმმა კონსტანტინმა. — ჭრილობების უმეტესობა შემთხვევით, ალალბედადა მიყენებული. ზოგი ღრმა და სასიკვდილოა. ისეთი შთა-

<sup>1</sup> C'était terrible! (ფრ.). — საშინელებაა!

ბეჭდილება იქმნება, თითქოს ვიღაც დანას თვალდახუჭული იქნევდა.

— C'est une femme<sup>1</sup>, — თქვა მატარებლის უფროსმა. — ასეთი რამ ქალებს სჩვევიათ. ბრაზი თუ ახრჩობთ, ძალაც ემატებათ. — ისე დაბეჭითებით თქვა, ყველას აფიქრებინა, პირადი გამოცდილებით ხომ არ ამბობსო.

— თქვენს სამხილებს მეც შევამატებ ერთი-ორს, — თქვა პუარომ. — მისტერ რეტჩეთი გუშინ მელაპარაკა. მითხრა, თუ სწორად გავუგე, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

— ანუ გაასალეს? ეს ამერიკული გამოთქმაა, ხომ? — იკითხა მესიე ბუკმა. — გამოდის, ქალის კი არა, განგსტერის ან ბანდიტის ჩადენილია.

მატარებლის უფროსს ნირი წაუხდა, რაკი მისი ვერსია არ გაიზიარეს.

— თუ ასეა, — თქვა პუარომ. — დილეტანტივით მოქცეულა. — ხმაზე შეეტყო, რომ ამ ვერსიას ინუნებდა, როგორც პროფესიონალი.

— მატარებელში ერთი ახმახი ამერიკელია. — წამოიწყო მესიე ბუკმა. — ვულგარული კაცი ჩანს და საშინლად უგემოვნოდ აცვია. თან სულ კევს ლეჭავს, რაც არ მგონია, ნორმალურ საზოგადოებაში მიღებული იყოს. იცით, ვის ვგულისხმობ?

გამყოლმა, ვისაც მიმართეს, თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

— Oui, Monsieur<sup>2</sup>, მე-16 კუპეშია, ოლონდ ის ვერაფრით ვერ იქნებოდა. კუპეში ან შესულს დავინახავდი, ან გამოსულს.

— იქნებ ვერ დაინახეთ. რა იცით? ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით, საკითხავი ისაა, ახლა რა ვქნათ? — თქვა და პუაროს შეხედა.

პუარომ თვალი გაუსწორა.

— მოკლედ, მეგობარო, — უთხრა მესიე ბუკმა პუაროს. — ალბათ, უკვე ხვდებით, რისი თხოვნაც მინდა თქვენთვის.

<sup>1</sup> C'est une femme (ფრ.). — (აქ) ქალის ნახელავია;

<sup>2</sup> Oui, Monsieur (ფრ.). — დიახ, მესიე.

ვიცი, რაც შეგიძლიათ. ამ საქმის გამოძიებას უნდა მოჰკიდოთ ხელი. არა, არა, უარი არ გამაგონოთ. ჩვენთვის ეს ფრიად მნიშვნელოვანია, საძილე ვაგონების საერთაშორისო კომპანიის სახელით მოგახსენებთ. კარგი იქნება, თუ იუგოსლავის პოლიციის მოსვლამდე რამე გადაწყვეტილებას მივიღებთ. თუ არადა ათასი კითხვა, შეფერხება და სრულიად უდანაშაულო ადამიანების შენუხება არ აგვცდება. თუ თქვენ ხელს მოჰკიდებთ და საიდუმლოსაც ამოხსნით, მაშინ შეგვეძლება ვთქვათ: აი, დანაშაული და აი, დამნაშავე!

— და თუ ვერ ამოვხსნი საიდუმლოს?

— ოჳ, მეგობარო! — თქვა მესიე ბუკმა დაყვავებით. — ვიცნობ თქვენს რეპუტაციას. თქვენი მეთოდების შესახებაც მსმენია. მგონი, ეს თქვენთვის იდეალური საქმეა. ჩვენი მგზავრების წარსულის ქექვა და მტყუან-მართალის გარკვევა დიდ დროსა და ენერგიას წაიღებს. არადა, რამდენჯერ მსმენია თქვენგან, კაცმა რომ საქმე გამოიძიოს, სავარძელში უნდა მოიკალათოს და იფიქროსო. ჰოდა, ქენით სიკეთე. გამოჰკითხეთ მგზავრები, დაათვალიერეთ ცხედარი, გაარკვიეთ, ვინ რას ამბობს, ვის რა კავშირი აქვს ამ ამბავთან, მოკლედ, თქვენი საქმეა და თქვენთვისვე მომინდვია. ხომ იცით, როგორ მნამს თქვენი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ნათქვამი ლიტონი სიტყვები კი არა, სრული სიმართლე იყო. ჰოდა, მოკალათდით ახლა სავარძელში და იფიქრეთ, გამოიყენეთ, როგორც ამბობთ ხოლმე, ტვინის ნაცრისფერი უჯრედები და ყველაფერს ამოხსნით.

მესიე ბუკი წინ გადაიხარა და დეტექტივს მუდარით შეხდა.

— ძალიან მსიამოვნებს, ჩემი ასე რომ გჯერათ, — ემოციურად მიუგო პუარომ. — როგორც ბრძანებთ, ეს რთული საქმე არ უნდა იყოს. მეც წუხელ... მაგრამ ახლა ამაზე საუბრის დრო არ არის. არ დაგიმალავთ, ამ ამბავმა მეც დამაინტერესა. ნახევარი საათის წინ ვფიქრობდი, თოვლში გაჩერებულ მატარებელში უსაქმოდ ჯდომას ყველაფერი სჯობია-მეთქი და აი, უცებ ეს საქმეც გამოჩნდა.

— მაშ, მოჰკიდებთ ხელს? — ალტაცება ვერ დამალა მე-  
სიე ბუკმა.

— C'est entendu.<sup>1</sup> ამისთანა საქმე ჩამივარდა ხელში.

— კეთილი. ყველა თქვენს სამსახურში გვიგულეთ.

— სანამ დავიწყებდე, სტამბოლი-კალეს მატარებლის გეგმა მინდა, სადაც მითითებული იქნება, რომელი მგზავრი რომელ კუპეში იმყოფება. მათი პასპორტებისა და ბილეთების ნახვაც დამჭირდება.

— მიშელი ყველაფერს მოგართმევთ.

საძილე ვაგონის გამყოლმა კუპე დატოვა.

— კიდევ ვინ მგზავრობის ჩვენი მატარებლით? — იკი-  
თხა პუარომ.

— ამ ვაგონში მხოლოდ მე და ექიმი კონსტანტინი ვართ. ბუქარესტის ვაგონში ერთი კოჭლი მოხუცი კაცია. გამყო-  
ლი კარგად იცნობს. ჩვეულებრივი ვაგონებიც არის, მაგრამ გათვალისწინება არ ლირს, რადგან წუხელ, ვახშმის მერე, ის ვაგონები ჩაკეტეს. სტამბოლი-კალეს ვაგონის ნინ მხოლოდ ვაგონ-რესტორანია.

— გამოდის, მკვლელი სწორედ სტამბოლი-კალეს ვა-  
გონში უნდა ვეძებოთ, — დაასკვნა პუარომ, მერე ექიმს მიუ-  
ბრუნდა. — თქვენც ამ ვაგონზე არ მიგვანიშნებდით?

ბერძენმა თავი დაუკრა.

— შუალამის პირველის ნახევარზე ნამქერში მოვყევით  
და მატარებელიც გაჩერდა. მას მერე მატარებლიდან ვერა-  
ვინ ჩავიდოდა.

მესიე ბუკმა ომახიანად დაასკვნა:

— მკვლელი ჯერ კიდევ მატარებელშია, ანუ ჩვენ შორის...

<sup>1</sup> C'est entendu (ფრ.). — შევთანხმდით.

## 6. ქარი

— უნინარეს ყოვლისა, მინდა, ორიოდე სიტყვით ახალგაზრდა მისტერ მაქეუინს გავესაუბრო, — თქვა პუარომ. — შესაძლოა, ღირებული ინფორმაცია მოგვაწოდოს.

— რასაკვირველია, — თქვა მესიე ბუკმა და მატარებლის უფროსს მიუბრუნდა. — მისტერ მაქეუინი მოიყვანეთ.

მატარებლის უფროსმა ვაგონი დატოვა.

ამასობაში გამყოლმა პასპორტები და ბილეთების დასტა შემოიტანა. მესიე ბუკმა ეს საბუთები გამოართვა.

— გმადლობთ, მიშელ. ახლა ჯობია, თქვენს ვაგონში დაბრუნდეთ. ფორმალურად მოგვიანებით ჩამოგართმევთ ჩვენებას.

— ძალიან კარგი, მესიე, — თქვა მიშელმა და გავიდა.

— მისტერ მაქეუინს რომ გავესაუბრებით, იქნებ ბატონი ექიმი მოკლულის კუპეში გამომყვეს, — თქვა პუარომ.

— რასაკვირველია.

— როდესაც მოვრჩებით...

სწორედ ამ დროს მატარებლის უფროსი ჰექტორ მაქეუინთან ერთად დაბრუნდა.

მესიე ბუკი ადგა.

— აქ ცოტა ვინწროდ ვართ, — უთხრა თავაზიანად. — ჩემს ადგილზე დაბრძანდით, მისტერ მაქეუინ. მესიე პუარო თქვენ ნინ დაჯდება. აი, ასე. — მერე მატარებლის უფროსს მიმართა:

— ვაგონ-რესტორნიდან ყველა მგზავრი დაითხოვეთ. მესიე პუაროს უნდა დავუთმოთ. იქ არ გირჩევნიათ მგზავრებთან გასაუბრება, *mon cher?*

— დიახ, უკეთეს ადგილს ვერც ვნახავთ, — დაეთანხმა პუარო.

მაქეუინმა ხან ერთს შეხედა, ხან მეორეს და სწრაფი ფრანგული საუბრის აღქმა გაუჭირდა.

— *Qu'est - ce qu'il y a?*<sup>1</sup> — დაიწყო დიდი მონდომებით. —

<sup>1</sup> *Qu'est - ce qu'il y a?* (ფრ.). — რა ხდება?

Pourquoi?..<sup>1</sup> — პუარომ ენერგიული ჟესტით მიანიშნა, კუთხეში დაჯექითო. მაქქუინი დაჯდა და ისევ იგივე კითხვა დასვა: Pourquoi? — მერე შეჩერდა და მშობლიურ ენაზე გადავიდა: — რა ხდება მატარებელში? რამე ცუდი მოხდა?

ხან ერთს შეხედავდა, ხან — მეორეს.

პუარომ თავი დაუკრა.

— ზუსტად, რომ რაღაც მოხდა. შოკისთვის მოემზადეთ. თქვენი უფროსი, მისტერ რეთჩეთი, მკვდარია.

მაქქუინმა უნებურად დაუსტვინა. რუხი თვალები აუბრჭყვიალდა, თუმცა შოკი კი არა, წუხილის მსგავსიც არაფერი დასტყობია.

— მაინც მოიხელთეს, ხომ?! — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— რას გულისხმობთ, მისტერ მაქქუინ?

მაქქუინს ყოყმანი დაეტყო.

— თქვენ ვარაუდობთ, რომ მისტერ რეთჩეთი მოკლეს?

— ჩაეკითხა პუარო.

— ნუთუ ვცდები? — ამჯერად მაქქუინმა გამოხატა გაკვირვება. — დიახ, — ნელა წარმოთქვა. — სწორედ, მაგას ვგულისხმობ. აბა, ვგონიათ, ძილში გაიპარა? მაგას ვერ დავიჯერებ, ბერიკაცი ისეთი ჯანმრთელი იყო, როგორც... როგორც...

სიტყვა გაუწყდა და შედარება ვეღარ დაასრულა.

— არა, არა, — თქვა პუარომ. — თქვენი ვარაუდი სავსებით სწორია. მისტერ რეთჩეთი მოკლეს, სავარაუდოდ, დანით. მაგრამ მე ის მაინტერესებს, რატომ იყავით ასე მყარად დარწმუნებული, რომ მაინცდამაინც მოკლული უნდა ყოფილიყო და არა თავისი სიკვდილით მკვდარი?

მაქქუინი ისევ შეყოყმანდა.

— ჯერ იმის გარკვევას ვისურვებდი, ვინ ბრძანდებით და საიდან? — დაინტყო მან.

— საძილე ვაგონების საერთაშორისო კომპანიას წარმოვადგენ. — პუარო შეყოვნდა, მერე კი დასძინა: — დეტექტივი ვარ, ერკიულ პუარო.

<sup>1</sup> Pourquoi? (ფრ.). — რატომ?

მის სიტყვებს მაქქუინზე დიდი ეფექტი არ მოუხდენია.  
მან უბრალოდ თქვა:

— დიახ, გასაგებია, — თქვა და გაჩუმდა, რომ პუაროს  
გაეგრძელებინა.

— შესაძლოა, ჩემი სახელი გსმენიათ კიდეც?

— თითქოს გვარი მეცნობა... ოღონდ ყოველთვის ვფი-  
ქრობდი, ალბათ, ქალების მოდელიერია-მეთქი<sup>1</sup>.

პუარომ ამრეზით შეხედა.

— წარმოუდგენელია! — თქვა მან.

— რა არის წარმოუდგენელი?

— არაფერი. მოდით, ცოტა წინ წავინიოთ. ყველაფერი  
მითხარით, მისტერ მაქქუინ, რაც გარდაცვლილის შესახებ  
იცით. ნათესავად ერგებით?

— არა. მე მისი მდივანი ვარ. უფრო სწორად — ვიყავი.

— რამდენი ხანია, ეს პოსტი ვიკავიათ?

— წელიწადზე მეტი იქნება.

— გთხოვთ, ყველაფერი დაწვრილებით მიამბეთ.

— კეთილი. მისტერ რეთჩეთს წელიწადზე მეტი ხნის წინ  
პირველად შევხვდი სპარსეთში...

პუარომ შეაწყვეტინა:

— იქ რას საქმიანობდით?

— ერთ-ერთი სანავთობო კონცესიის ადგილზე გასაცნო-  
ბად ვიყავი ნიუ-იორკიდან ჩასული. არა მგონია, ეს თქვენ-  
თვის საინტერესო იყოს. იმ საქმეში მე და ჩემს მეგობრებს  
გვარიანად მოგვეცარა ხელი. ჰოდა, მისტერ რეთჩეთი იმავე  
სასტუმროში იყო გაჩერებული, რომელშიც ჩვენ. თავის მდი-  
ვანთან ჩხუბი მოსვლოდა, ამიტომ ეს საქმე მე შემომთავაზა  
და სიამოვნებით დავთანხმდი. იმხანად ჯიბეგაფხევეკილი ვი-  
ყავი და რომ იტყვიან, სულზე მომისწრო. თან ანაზღაურე-  
ბაც არ დაინუნებოდა.

— მერე?

— მერე ვმოგზაურობდით. მისტერ რეთჩეთს მსოფლიოს

<sup>1</sup> პერსონაჟი, სავარაუდოდ, იმსანად ცნობილ მოდელიერს, პოლ პუარეს (1878-1944) გულისხმობს.

ნახვა უნდოდა, მაგრამ უცხო ენები არ იცოდა და ეს ხელს უშლიდა. დათვალიერება სურდა. უცხო ენების არცოდნა საქმეს უჭირვებდა. ისე, თარჯიმანი და გიდი უფრო ვიყავი, ვიდრე მდივანი. ცხოვრებას არ ვუჩიოდი.

— ახლა კი თქვენს დამქირავებელზე მომიყევით, რაც იცით.

ახალგაზრდა კაცმა მხრები აიჩინა. სახეზე დაბნეულობა დაეტყო.

— ეს არც ისე იოლი საქმეა.

— რა ერქვა სრულად?

— სემუელ ედვარდ რეთჩეთი.

— ამერიკის მოქალაქე იყო?

— დიახ.

— რომელი შტატიდან იყო?

— ეგ არ ვიცი.

— კეთილი, მაშინ ის მითხარით, რაც იცით.

— სიმართლე მოგახსენოთ, მის შესახებ არაფერიც არ ვიცი! მისტერ რეთჩეთს თავის თავზე ან ამერიკაში ცხოვრებაზე არასდროს არაფერი მოუყოლია.

— თქვენი აზრით, რატომ?

— წარმოდგენა არ მაქვს. მეგონა, თავისი წარმომავლობის რცხვენია-მეთქი. ზოგჯერ ხდება ხოლმე ასე.

— ნუთუ ამგვარი ახსნა გაკმაყოფილებთ?

— სიმართლე გითხრათ — არა.

— ნათესავები თუ ჰყავს?

— არასდროს უხსენებია.

პუარო ჩაეკითხა:

— რამე ახსნა გექნებოდათ, ალბათ, მისტერ მაქქუინ.

— დიახ, მქონდა. ჯერ ერთი, არ მჯეროდა, რომ რეთჩეთი ნამდვილი გვარი იყო. მე მგონი, ამერიკა იმიტომ დატოვა, რომ ვინმესგან ან რამისგან დაელწია თავი. ვფიქრობ, ამას კარგადაც ახერხებდა, სანამ რამდენიმე კვირის წინ...

— რა მოხდა?

— წერილები მოსდიოდა, მუქარის შემცველი წერილები.

— გინახავთ ის წერილები?

— დიახ. მისი კორესპონდენციისთვის თვალყურის დევნება ჩემი მოვალეობა გახლდათ. პირველი წერილი ორიოდე კვირის წინ მიიღო.

— წერილები გაანადგურეთ?

— არა, მგონი, ორი ცალი საქალალდეში უნდა მედოს. ერთ-ერთი, როგორც მახსოვს, გაბრაზებულმა რეთჩეთმა დახია. გნებავთ, მოვიტანო?

— თუ არ დამზარდებით, კარგი იქნებოდა.

მაქეუინი კუპედან გავიდა. რამდენიმე წუთში შემობრუნდა და პუაროს წინ საფოსტო ქალალდზე შედგენილი ორი ჭუჭყიანი წერილი დაუდო.

პირველ წერილში ეწერა:

„გეგონა, გაგვაცურებდი და შეგრჩებოდა? ვერ მოგართვით. ხომ მოგაგენით, რეთჩეთ, ჰოდა, მალე მოგწვდებით კიდეც!“

ხელმოწერა არ იყო.

პუარომ წარბები აზიდა, სხვა ემოცია არ გამოუხატავს. მერე მეორე წერილი აიღო.

„რეთჩეთ, მალე ჩაგიგდებთ ხელში. ძალიან მალე. ვერსად წაგვიხვალ!“

პუარომ წერილი დადო.

— სტილი ერთია! — დაასკვნა მან. — ხელწერა კი — განსხვავებული.

მაქეუინი მიაჩირდა.

— თქვენ ამას ვერ შენიშნავდით, — რბილად უთხრა ახალგაზრდას. — ამას გამოცდილი თვალი სჭირდება. წერილი ერთი ადამიანის დაწერილი არ არის, მესიე მაქეუინ. ორმა ან მეტმა დაწერა — თითომ თითო ასო გამოიყვანა სიტყვაში. გარდა ამისა, ბეჭდური ასოებია. ეს ხელწერის ამოცნობას ართულებს. — ერთხანს შეყოვნდა, მერე განაგრძო: — იცოდით, მე რომ მომმართა დახმარებისთვის?

— თქვენ?

მაქეუინის გაოცებულმა თვალებმა პუარო მიახვედრა, რომ ახალგაზრდამ არაფერი იცოდა.

დეტექტივმა თავი დაუქნია.

— დიახ, აღელვებული იყო. მითხარით, როგორი რეაქცია ჰქონდა, პირველი წერილი რომ მიიღო?

მაქქუინი შეყოვნდა.

— ძნელი სათქმელია. ის... მან თავისებურად მშვიდად ჩაიცინა. მაგრამ მაინც... — მაქქუინს თითქოს გააურჯოლა.

— მივხვდი, რომ ცდილობდა, მღელვარება დაეფარა.

პუარომ თავი დაუკრა. მერე მოულოდნელი შეკითხვა დაუსვა.

— მისტერ მაქქუინ, შეგიძლიათ, გულწრფელად მითხრათ, რას ფიქრობდით თქვენს დამქირავებელზე? მოგწონდათ?

ჰექტორ მაქქუინს მცირე პაუზა დასჭირდა პასუხის გასაცემად.

— არა, — უთხრა ბოლოს. — არ მომწონდა.

— რატომ?

— ვერ გეტყვით. მუდამ თავაზიანად მექცეოდა. — შეყოვნდა, მერე განაგრძო: — სიმართლეს გეტყვით, მისტერ პუარო, მაგრამ პატივისცემას და ნდობას არ იწვევდა. დარწმუნებული ვარ, ულმობელი და საშიში კაცი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ისიც უნდა ვალიარო, რომ ამგვარი დასკვნისთვის კონკრეტული მიზეზი არ მაქვს.

— გმადლობთ, მისტერ მაქქუინ. ერთი კითხვაც: უკანასკნელად როდის ნახეთ მისტერ რეთჩეთი ცოცხალი?

— წუხელ... — წამიერად დაფიქრდა. — ასე ათი იქნებოდა. კუპეში შევუარე, რომ მითითებები მოეცა.

— რა საკითხზე?

— სპარსეთში შეძენილ ანტიკურ კერამიკასა და ფილებზე. რადგან მან სხვა შეარჩია და ჩვენ სხვა მივიღეთ. ამ საკითხზე ხანგრძლივი, უსიამოვნო მიმოწერა გვქონდა.

— ცოცხალი ბოლოს ამ დროს ნახეთ?

— დიახ, მგონი, მაგ დროს.

— ხომ არ იცით, როდის მიიღო მისტერ რეთჩეთმა უკანასკნელი მუქარის წერილი?

— იმ დილით, კონსტანტინოპოლი რომ დავტოვეთ.

— კიდევ ერთი კითხვაც უნდა დაგისვათ, მისტერ მაქ-  
ქუინ. კარგი ურთიერთობა გქონდათ თქვენს უფროსთან?

ახალგაზრდა კაცს ანაზდად თვალები აუციმციმდა.

— ამ კითხვაზე ალბათ, ტანში უნდა დამპურძგლოს,  
ხომ? ჩვენი ბესტსელერებისა არ იყოს, „ვერაფერს ამკი-  
დებთ“. რეთჩეთსა და მე მშვენიერი ურთიერთობა გვქონდა.

— შესაძლოა, მისტერ მაქქუინ. ამერიკაში თქვენს მისა-  
მართსა და სრულ გვარ-სახელს ხომ ვერ მაცნობებდით?

მაქქუინმა უკარნახა, — ჰექტორ უილარდ მაქქუინი, და  
ნიუ-იორკის მისამართიც ჩააწერინა.

პუარო დივნის საზურგეს მიეყრდნო.

— ამჯერად კმარა, მისტერ მაქქუინ, — უთხრა მან. —  
დამავალებთ, თუ ცოტა ხნით მისტერ რეთჩეთის გარდაც-  
ვალების ამბავს საიდუმლოდ შეინახავთ.

— მისი პირადი მსახური მასთერმენი მაინც გაიგებს.

— ალბათ, უკვე ეცოდინება, — მშრალად მიუგო პუა-  
რომ. — თუ ასეა, თვალყური მიადევნეთ, რომ მცირე ხნით  
ენას კბილი დააჭიროს.

— როული არ იქნება. ბრიტანელია და როგორც თავად ამ-  
ბობს ხოლმე, ენაზე კბილის დაჭერა ეხერხება, ზედმეტი ლა-  
პარაკი არ სჩვევია. ამერიკელებზე არცთუ მაღალი წარმოდ-  
გენისაა, ხოლო სხვა ეროვნების წარმომადგენლებს საერთოდ  
არაფრად აგდებს.

— გმადლობთ, მისტერ მაქქუინ.

ამერიკელი კუპედან გავიდა.

— აბა? — იკითხა მესიე ბუკმა. — გჯერათ, რასაც ეს  
ახალგაზრდა კაცი ამბობს?

— პატიოსანი და პირდაპირი ჩანს. გასვრილი რომ იყოს  
ამ საქმეში, მაშინ თავის მოჩვენებას ეცდებოდა, ვითომ ძა-  
ლიან გულზე ეხატებოდა მისტერ რეთჩეთი. მართალია,  
რეთჩეთს მაქქუინისთვის არ უთქვამს, დახმარებისთვის მე  
რომ მომმართა და უარი მიიღო, მაგრამ მე ეს გარემოება  
განსაკუთრებულ ეჭვს არ მიჩენს. ეტყობა, გულჩათხრობი-  
ლი კაცი იყო.

— ანუ თქვენი აზრით, ერთი უდანაშაულო პირი უკვე გა-  
მოიკვეთა ამ საქმეში? — გახარებულმა იკითხა მესიე ბუკმა.

პუარომ საყვედურნარევი მზერით გახედა.

— მე პირადად ბოლო წუთამდე ვერავის უდანაშაულო-  
ბას ვერ ვიჯერებ ხოლმე, — თქვა დაფიქრებით. — ყოველ  
შემთხვევაში, იმის წარმოდგენა მიჭირს, რომ ამ საღად  
მოაზროვნე და წინდახედულ მაქქუინს დანა აეღო და თორ-  
მეტი თუ თოთხმეტი ჭრილობა მიეყენებინა რეთჩეთისთვის.  
მის ფსიქოლოგიასთან ეს მეტისმეტად შეუთავსებლად მეჩ-  
ვენება.

— არა, — ფიქრიანად თქვა მესიე ბუკმა. — ეს გაბორო-  
ტებისგან სიგიურემდე მისული კაცის ნახელავია — და უფრო  
ლათინურ ტემპერამენტზე მიუთითებს. ანდაც, როგორც  
ჩვენი მეგობარი მატარებლის უფროსი ფიქრობს, ქალის ჩა-  
დენილი უნდა იყოს.

## 7. ცხელანი

პუარო და ექიმი კონსტანტინი მეორე ვაგონში გავიდნენ, რომლის კუპეშიც ცხედარი ესვენა. გამყოლმა თავისი გასა-ლებით გაულო კარი. ორივე მამაკაცი კუპეში შევიდა. პუარო ბერძენს მიუბრუნდა და ჰქითხა:

- კუპეში რამე გადაადგილეს?
- ხელიც არაფრისთვის გვიხლია. დათვალიერებისას ვფრთხილობდი, რომ ცხედარს არ შევხებოდი.

პუარომ თავი დაუკრა და კუპეს თვალი მოავლო.

პირველი, რამაც მისი ყურადღება მიიპყრო, გაუსაძლი-სი სიცივე იყო. ფანჯარა ბოლომდე იყო ლია, ფარდა კი — ანეული.

— ბრრ, — გააკანკალა პუაროს.

ექიმმა სარკასტულად გაილიმა.

— განგებ არ დავკეტე, — თქვა მან.

პუარომ ფანჯარა ყურადღებით შეათვალიერა.

— მართალი ბრძანდებით, — უთხრა ექიმს. — ფანჯრი-დან ვერავინ გაიქცეოდა. შესაძლოა, ლია იმიტომ დატოვეს, რომ ჩვენთვის თავგზა აებნიათ, მაგრამ ვინმე რომც გადა-სულიყო, თოვლზე მისი ნაკვალევი დარჩებოდა, — ფან-ჯრის რაფას დააკვირდა და გულდასმით შეისწავლა. ჯიბი-დან პატარა კოლოფი ამოილო და რაფაზე რაღაც ფხვნილი მიმოაბნია. — თითის ანაბეჭდები არ ჩანს, — თქვა საქმიანი ტონით. — ეს იმას ნიშნავს, რომ გაუწმენდიათ. ანაბეჭდები რომც იყოს დარჩენილი, ბევრით წინ მაინც ვერ წაგვწევდა, თავად მისტერ რეთჩეთის, მისი მდივნის ან გამყოლის იქნე-ბოდა. ჩვენს დროში დამნაშავეები ასეთ შეცდომებს აღარ უშვებენ. და რაკი ასეა, შეგვიძლია, ფანჯარა დავხუროთ, თორემ აქაურობა საყინულედ იქცა.

სიტყვას საქმეც მოაყოლა და მხოლოდ ამის მერე გადაი-ტანა საწოლზე გაშოტილ უძრავ სხეულზე ყურადღება.

რეთჩეთი ზურგზე იწვა. გულზე გადალელილი პიუამა და-ჟანგული სისხლის წვეთებით იყო დალაქავებული.

— ხომ უნდა მენახა, რა ტიპის ჭრილობები იყო — აუხსნა ექიმმა.

პუარომ თავი დაუკრა. ცხედრისკენ დაიხარა, მერე ისევ გასწორდა და დაიჯდანა.

— საშინელი შესახედია, — დაასკვნა დეტექტივმა. — ვიღაც ეტყობა, იდგა და ერთიმეორის მიყოლებით ურტყამდა დანას. რამდენი ჭრილობა დათვალეთ?

— თორმეტი. ორიოდე კი ისეთი ზედაპირულია, ნაკანრს ჰგავს. მეორე მხრივ, სამი ისეთი ღრმა ჭრილობაა, რომ სიკვდილს თავისუფლად გამოიწვევდა.

ექიმის ხმაში გაულერებულ ტონზე პუარომ ყურები ცქვიტა და ყურადღებით მიაშტერდა. ტანმორჩილი ბერძენი კი შუბლ-შეჭმუხნილი იდგა და ცხედარს დასჩერებოდა.

— რაღაც უცნაურად გეჩვენებათ, არა? — თავაზიანად ჰკითხა პუარომ. — ნუ დამიმალავთ, მეგობარო, მითხარით, რამ გაგაოცათ?

— მართალი ბრძანდებით, — დაუდასტურა ექიმმა.

— სახელდობრ?

— ამ ორ ჭრილობას ხომ ხედავთ, აქ და აი, აქ? — ექიმმა თითით ანიშნა. — საკმაოდ ღრმა ჭრილობებია. უამრავი სისხლძარღვია გადაჭრილი, მაგრამ ჭრილობები გადახსნილი არ არის. არადა, ასეთ შემთხვევაში, სისხლის ტბა უნდა იდგეს.

— რაც იმას მოწმობს, რომ?..

— რომ მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო იმაზე ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ეს ჭრილობები მიაყენეს. მაგრამ ეს ხომ აბსურდია.

— ერთი შეხედვით — კი, — დაფიქრებით თქვა პუარომ.

— თუ, რა თქმა უნდა, ჩვენმა მკვლელმა არ იფიქრა, იქნებ ცოცხალი გადარჩაო და არ მობრუნდა, რომ საქმე ბოლომდე მიეყვანა. მაგრამ მეტისმეტად აბსურდულად ულერს! სხვა ეჭვი ხომ არ გაქვთ რამე?

— მხოლოდ ერთი.

— კერძოდ?

— ამ ჭრილობას ხედავთ აქ? — მარჯვენა იღლიასთან, მხართან ახლოს. ჩემი კალამი ინებეთ. ასეთ ჭრილობას მიაყენებდით?

პუარომ ხელი აღმართა.

— Précisément, — თქვა ფრანგულად. — მიგიხვდით. მარჯვენა ხელით ამის გაკეთება რთულია, შეუძლებელიც კი. ან ხელუკულმა უნდა ჩაერტყა... მაგრამ თუ მარცხენა ხელში ეჭირა...

— სწორედ რომ, მესიე პუარო. ეს ჭრილობა აშკარად მარცხენა ხელითაა მიყენებული.

— ანუ ჩვენი მკვლელი ცაცია? გამოდის, უფრო რთულად ყოფილა საქმე, ხომ?

— მართალს ბრძანებთ, მესიე პუარო. რადგან დანარჩენი ჭრილობები აშკარად მარჯვენა ხელითაა მიყენებული.

— ორის ნახელავია. ისევ ორი მკვლელის თეორიას ვუბრუნდებით, — ჩაილაპარაკა დეტექტივმა და უეცრად იკითხა: — შეუქი ენთო?

— ძნელი სათქმელია. გამყოლი ყოველ დილით ათ სააზიე თიშავს ხოლმე.

— ამას ჩამრთველით მივხვდებით, — თქვა პუარომ.

ჭერის ნათურისა და საწოლის ნათურის ჩამრთველები შეამონმა. პირველი გამორთული იყო, მეორე — ჩართული.

— კეთილი, — თქვა ჩაფიქრებულმა. — პირველი და მეორე მკვლელის ვერსია გვაქვს, როგორც დიდი შექსპირი იტყოდა. პირველმა მკვლელმა მსხვერპლი აჩეხა, სინათლე გამორთო და გავიდა. მეორე მკვლელი კი სიბნელეში შემოვიდა, ვერ დაინახა პირველი კაცის, ანდაც ქალის, ნამოქმედარი და უკვე მიცვალებულს ორჯერ ჩასცა დანა. Que pensez-vous de ça?<sup>1</sup>

— დიდებულია! — ხალისიანად წამოიძახა ტანმორჩილმა ექიმმა.

პუაროს თვალები აუციმციმდა.

— ასე ფიქრობთ? მიხარია. თორემ მე ეს ვერსია ცოტა სულელურად მომეჩვენა.

<sup>1</sup> Que pensez-vous de ça? (ფრ.). — ამაზე რას ფიქრობთ?

— აბა, სხვა რა ახსნა მოეძებნება?

— მეც მაგას ვკითხულობ. დამთხვევა ხომ არ არის? რამე სხვა ისეთ შეუსაბამობას ხომ ვერ ხედავთ, რომ ორი მკვლელის ვერსიაზე მიუთითებდეს?

— მგონი, შემიძლია გითხრათ, რომ ვხედავ. ზოგიერთი ჭრილობა, როგორც უკვე მოგახსენეთ, მოწმობს, რომ მკვლელი ან ფიზიკურად სუსტია, ან მის განზრახვას სიმტკიცე აკლია. სუსტი დარტყმებითაა მიყენებული, კანი ოდნავაა გაჭრილი. მაგრამ, აი, ეს ჭრილობა და აი, ეს, — თითოთ მიუთითა, — დიდ ძალას მოითხოვდა. კუნთი სულ ჩაჭრილია.

— მაში, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ჭრილობები მამაკაცის მიყენებულია?

— უფრო ასეა.

— ქალი ვერ მიაყენებდა?

— ახალგაზრდა, ძლიერი, სპორტული ქალი კი, შესაძლებელია, მით უმეტეს, თუკი განრისხებულიც იქნებოდა, მაგრამ ჩემი აზრით, ამისი ალბათობა ნაკლებია.

პუარო ერთხანს დადუმდა.

ექიმმა მოუთმენლად ჰკითხა:

— მიმიხვდით?

— როგორ არა, — უპასუხა პუარომ. — საქმეს თავისით ეფინება ნათელი! მკვლელი ძლიერი მამაკაცია, ან სუსტი, ან ქალია, ან ცაციაა, ან მარჯვენასაც კარგად ხმარობს. ეჰ, C'est rigolo, tout ça!<sup>1</sup> — თქვა უცებ გაპრაზებულმა. — მსხვერპლი კი რას აკეთებს? ყვირის? წინააღმდეგობას უწევს? თავს იცავს?

ბალიშის ქვეშ შეაცურა ხელი და ის პისტოლეტი გამოილო, მისტერ რეთჩეთმა რომ აჩვენა.

— ყველა ტყვია ადგილზეა, ხედავთ? — უთხრა ბერძენექიმს.

ირგვლივ მიმოიხედეს. რეთჩეთის ტანსაცმელი კედლის კაუჭებზე ეკიდა. პატარა მაგიდაზე, რომლის მაგივრობასაც ხელსაბანის გადმოსაწევი სახურავი სწევდა, იდო კბილის

<sup>1</sup> C'est rigolo, tout ça (ფრ.). — სასაცილოა პირდაპირ.

პროთეზიანი წყლიანი ჭიქა, მეორე ცარიელი ჭიქა, მინე-  
რალული წყლის ბოთლი, დიდი მათარა და საფერფულე, რო-  
მელშიც ეყარა სიგარის ნამწვავი, დანახშირებული ქალალ-  
დის ნაკუნები და კიდევ ორი ცალი დამწვარი ასანთის ლერი.

ექიმმა ცარიელი ჭიქა აიღო და დაყნოსა.

— ესეც მსხვერპლის ინერტულობის ახსნა, — მშვიდად  
თქვა.

— გათიშეს?

— დიახ.

პუარომ თავი დააქნია. ორივე ასანთი აიღო და ყურადღე-  
ბით დააკვირდა.

— ხელჩასაჭიდი ნახეთ რამე? — ინტერესით ჰკითხა ტან-  
მორჩილმა ექიმმა.

— ეს ორი ასანთის ლერი სხვადასხვა ფორმისაა, — თქვა  
პუარომ. — ერთ-ერთი უფრო ბრტყელია, ხედავთ?

— ამგვარი ასანთის შეძენა მატარებელშიც შეიძლება, —  
თქვა ექიმმა. — მუყაოს კოლოფშია.

პუარომ რეთჩეთის ტანსაცმლის ჯიბეები მოჩხრიკა. ასან-  
თის კოლოფი ამოიღო და დამწვარ ლერებს შეადარა.

— სქელი ლერი მისტერ რეთჩეთმა აანთო, — თქვა დაკ-  
ვირვებით. — ახლა ვნახოთ, ბრტყელი ლერიც მისივე ხომ არ  
არის.

მაგრამ ბრტყელლერიანი ასანთის ძებნამ შედეგი ვერ გა-  
მოიღო.

პუარომ კუპეს მოავლო მზერა. მის არწივისებრ მახვილ  
თვალს არაფერი გამოეპარებოდა.

უცებ წამოიყვირა, დაიხარა და იატაკიდან რაღაც აიღო.  
ქალის ბატისტის თხელი ცხვირსახოცი აღმოჩნდა, კუთხეში  
ამოქარგული ინიციალით — H.

— ქალის ცხვირსახოცია, — თქვა ექიმმა. — ჩვენი მეგო-  
ბარი მატარებლის უფროსი მართალს ბრძანებდა. ამ საქმე-  
ში ქალიც ურევია.

— და კვალზე დასაყენებლად აქ ცხვირსახოცი დაგვი-  
ტოვა, ხომ? — დაცინვით თქვა პუარომ. — როგორც წიგ-

ნებსა და ფილმებში ხდება ხოლმე, თანაც ჩვენთვის საქმე რომ გაეადვილებინა, ზედ თავისი ინიციალი ამოქარგა.

— ეს იშვიათი გამართლება! — წამოიძახა ექიმმა.

— მართლა? — ჰკითხა პუარომ, მისი ხმის ინტონაცია ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ექიმს, მაგრამ სანამ რამეს ჰკითხავდა, პუარო ისევ დაიხარა და მორიგ ნივთს მიაგნო.

ამჯრად ხელისგულზე ჩიბუხის საწმენდი ედო.

— ეს ალბათ მისტერ რეთჩეთის საკუთრებაა, ხომ? — შენიშნა ექიმმა.

— ჯიბეში რომ ჩიბუხი არ აღმოაჩნდა? არც თამბაქო და არც სათუთუნე...

— მაშინ, სამხილად გამოგვადგება.

— ოპ, რასაკვირველია. თან ისევ ჩვენ სასიკეთოდ დატოვებული. თუ შენიშნეთ, ამჯერად ეს სამხილი მამაკაცზე მიუთითებს. ნამდვილად ვერ დავიჩივლებთ, რომ სამხილები გვაკლია. მართლაც მტკიცებულებათა ცვენაა. ჰო, მართლა, იარაღს რა უქენით?

— არავითარი იარაღი არ ყოფილა. ეტყობა, მკვლელმა თან წაიღო.

— ნეტავ, რატომ? — გაიკვირვა პუარომ.

— ოპ! — ექიმმა მიცვალებულის პიუამის ჯიბეები საგულდაგულოდ შეამოწმა. — სულ გადამავიწყდა, — თქვა მან. — ქურთუუკი რომ გავიხსენი, ჯიბეები სულ მიმავიწყდა.

გულის ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო. კორპუსი უმოწყალოდ იყო დამახინჯებული, ისრები კი ორის თხუთმეტ წუთს უჩვენებდა.

— ხედავთ? — აღტაცებით წამოიძახა კონსტანტინმა. — აი, დანაშაულის დროც. სწორად გამომითვლია. ხომ ვამბობდი, სიკვდილის დრო შუალამიდან ორამდე, სავარაუდოდ, პირველი საათი უნდა იყოს, მაგრამ ამ პირობებში რთული დასადგენია-მეთქი. და აი, მტკიცებულებაც. ორის თხუთმეტი წუთი. დანაშაულის დროც დადგინდა.

— შესაძლოა, ასეც იყოს. სრულიად დასაშვებია.

ექიმმა გაოცეცებულმა შეხედა.

— უკაცრავად, მესიე პუარო, მაგრამ მთლად კარგად ვერ გაგიგეთ.

— ჩემი თავისა მეც ვერ გამიგია, — ჩაილაპარაკა პუარომ. — სულ არაფერი მესმის და ალბათ ხვდებით, რომ ეს ამბავი მაღელვებს.

ამოიოხრა და პატარა მაგიდაზე დაიხარა, რათა დამწვარ ქალალდს დაჰკვირვებოდა. თავისთვის ჩაიჩურჩულა:

— ერთადერთი, რაც ახლა მჭირდება, ქალის ძველმოდური ქუდის მუყაოს ყუთია.

ექიმი კონსტანტინი ვერაფერს მიუხვდა. თუმცა, პუარომ კითხვის დასმა არც აცალა, დერეფანში გამავალი კარი გააღო და გამყოლს დაუძახა.

ისიც სასწრაფოდ მოვარდა.

— რამდენი ქალია ვაგონში?

გამყოლმა თითებზე ჩამოთვალა.

— ერთი, ორი, სამი — ექვსი, მესიე. ასაკოვანი ამერიკელი ლედი, შვედი ქალბატონი, ახალგაზრდა ინგლისელი ლედი, გრაფინია ანდრენი, თავადის ასული დრაგომიროვა და მისი მოახლე.

პუარო დაფიქრდა.

— ყველას აქვს ქუდის ყუთი, ხომ?

— დიახ, მესიე.

— მაშინ, მომიტანეთ, რომ ვნახო, მოკლედ... შვედი ქალბატონისა და მოახლის ყუთები მომიტანეთ. ამ ორზე ვამყარებ იმედს. უთხართ, რომ საბაჟო შემოწმებისთვის გვჭირდება, ან ნებისმიერი სხვა რამ მოიმიზეზეთ, რაც ენაზე მოგადგებათ.

— ნუ წუხხართ, მესიე. ამნუთას არც ერთი ქალბატონი თავის კუპეში არ იმყოფება.

— მაშინ, იჩქარეთ.

გამყოლი გავიდა. მალევე დაბრუნდა ორი ცალი ყუთით ხელში. პუარომ მოახლის ყუთი გახსნა და გვერდზე გადააგდო. მერე შვედი ქალბატონის ყუთი გახსნა და კმაყოფილების შეძახილი აღმოხდა. ქუდები ფრთხილად ამოაწყო, მათ ქვეშ კი გუმბათის ფორმის მავთულნული აღმოაჩინა.

— აჲა, აი, სწორედ ეს გვჭირდებოდა! ხუთიოდე წლის ნინ ამგვარ ყუთებს ამზადებდნენ, ქუდებს კი ამ მავთულნულებზე ქინძისთავით ამაგრებდნენ. — მერე მავთულნულები მარჯვედ მოაძრო, ქუდები უკანვე ჩააწყო და გამყოლს დაავალა, უკან დააბრუნდა. გუმბათისებური მავთულნულები დაიტოვა.

როგორც კი გამყოლმა კარი გაიხურა, პუარო ისევ თანამოსაუბრეს მიუბრუნდა.

— ხედავთ, ძვირფასო ექიმო, მთლად საექსპერტო პროცედურებზე არ უნდა იყოს კაცი დამოკიდებული. მე ფსიქოლოგიურ ასპექტებს უფრო ვიყვლევ ხოლმე, ვიდრე თითის ანაბეჭდებსა და სიგარეტის ფერფლს. თუმცა ამ შემთხვევაში, მცირეოდენ სამეცნიერო დახმარებაზე უარს არ ვიტყოდი. კუპე ერთი შეხედვით სამხილებით არის სავსე, მაგრამ როგორ გავარკვიო, გამოდგება თუ არა ისინი მტკიცებულებად?

— თქვენი არ მესმის, მესიე პუარო.

— კეთილი, მაშინ, მაგალითს მოგიყვანთ: ჩვენ ქალის ცხვირსახოცს ვპოულობთ. საინტერესოა, ქალის დაგდებულია? თუ მამაკაცის, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და თქვა, მოდი, ისეთ სამხილს დავტოვებ, რომ ეჭვი ქალზე მიიტანონ. ჩემს მტერს აუარებელ ჭრილობას მივაყენებ, მათ შორის ზედაპირულსაც და ცხვირსახოცსაც დავტოვებ ისეთ ადგილას, სადაც ყველა დაინახავსო. ეს ერთ-ერთი ვარაუდია. მაგრამ არსებობს მეორეც: იქნებ ქალმა ჩაიდინა მკვლელობა და ჩიბუხის საწმენდი განგებ დააგდო, რომ ეჭვი მამაკაცზე მიიტანონ. აბა, იმას ხომ არ ვიფიქრებთ, რომ ჯერ კაცმა ჩაიდინა დანაშაული, მერე ქალმაც დაამატა და ორივემ შემთხვევით ან დაუდევრობით თითო-თითო სამხილი დაგვიტოვა... მეტისმეტად ბევრი დამთხვევა ხომ არ არის?

— ქუდის ყუთი აქ როგორ გაჩნდა? — იკითხა დაბნეულმა ექიმმა.

— ოჲ! ახლავე მოგახსენებთ. როგორც გითხარით, ეს

სამხილები — ორის თხუთმეტ წუთზე გაჩერებული საათი, ცხვირსახოცი, ჩიბუხის საწმენდი — ან ნამდვილია, ან ყალბი. მე უფრო ასანთის ბრტყელ ღერზე ვამახვილებ ყურადღებას, მესიე *le docteur*<sup>1</sup>. მჯერა, რომ ასანთი მკვლელმა გამოიყენა და არა თავად მისტერ რეთჩეთმა. ალბათ, იმიტომ აანთო, რომ სამხილად გამოსადეგი ფურცელი დაეწვა. ვინ იცის, რას შეიცავდა ის ფურცელი. თუკი ასეა, გამოდის, ამ დამწვარ ქალალდში რაღაც ხელჩასაჭიდი სამხილია, რომელიც პირდაპირ დამნაშავეზე მიუთითებს. უნდა ვეცადო და აღმოვაჩინო, რა ინფორმაციას შეიცავდა ეს ფურცელი.

დეტექტივი კუპედან გავიდა და რამდენიმე წუთში სპირტქურითა და თმის სახვევი მაშებით ხელში შემოვიდა.

— ულვაშის ასაპრეხად ვიყენებ ხოლმე, — თქვა და მაშებს დახედა.

ბერძენი ექიმი დიდი ინტერესით უყურებდა. პუარომ ორივე მავთულწნული გაშალა და დიდი გულმოდგინებითა და სიფრთხილით დაადო დამწვარი ქალალდის ნაგლეჯი ერთ-ერთს, მეორე მავთულწნული კი ზემოდან დაადო. მერე მაშებით აიღო ეს კონსტრუქცია და სპირტქურის ალზე გააჩერა.

— თვითნაკეთი კია, — უთხრა მის უკან მდგარ ექიმს. — მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მიზნისთვის გამოდგება.

ექიმი კონსტანტინი ამ პროცედურას ყურადღებით ადევნებდა თვალს. მავთული გახურდა და ქალალდზე ოდნავ გამოიკვეთა ასოები. ასოები ნელ-ნელა სიტყვებად იქცა, ცეცხლით დაწერილ სიტყვებად.

ქალალდის ნაგლეჯი ძალიან პატარა იყო. მხოლოდ სამი მთლიანი სიტყვა და მეოთხის ნაწილი გამოჩნდა.

„...ხსოვდეს პატარა დეიზი არმსთრონგი“.

— ოჟ! — წამოიძახა პუარომ.

— ეს რამეს გეუბნებათ? — ჰკითხა ექიმმა.

პუაროს თვალები გაუბრნებინდა. მაშები ფრთხილად დააწყო ძირს.

<sup>1</sup> *Le docteur* (ფრ.). — ექიმო.

— დიახ, — უთხრა მან. — ახლა გარდაცვლილის ნამდვილი გვარი და მისი ამერიკიდან წასვლის მიზეზი ვიცი.

— და რა გვარი იყო?

— კასეტი.

— კასეტი? — კონსტანტინმა წარბები ასწია. — ეს გვარი თითქოს რაღაცას მეუბნება, წლების წინანდელს. ვერ ვიხსენებ... ამერიკაში რაღაც ამბავი რომ გახმაურდა...

— დიახ, — დაუდასტურა პუარომ. — ამერიკაში მართლაც ხმაური გამოიწვია. — პუარომ დეტალებში ჩაღრმავება აღარ მოისურვა. კუპეს თვალი მოავლო და განაგრძო. — ამაზე საუბრის დროც მოვა. ახლა კი დავრწმუნდეთ, რომ ყველაფერი დავათვალიერეთ.

სწრაფად და მარჯვედ მოუჩერიკა მიცვალებულს ჯიბები, მაგრამ საინტერესოს ვერაფერს მიაგნო. მერე მეზობელ კუპეში გამავალ კარს მიადგა, მაგრამ მეორე მხრიდან აღმოჩნდა დაკეტილი.

— ერთი რამ არ მესმის, — თქვა ექიმმა კონსტანტინმა.  
— თუკი მკვლელს ფანჯრიდან არ დაუღწევია თავი, თუკი მეორე კუპესთან დამაკავშირებელი კარი იქითა მხრიდან არის დაკეტილი და თუკი დერეფანში გამავალი კარიც შიგნიდან არა მარტო საკეტით, არამედ ჯაჭვითაც იყო ჩაკეტილი, მკვლელმა კუპედან როგორლა გააღწია?

— მაყურებელიც სწორედ ამას ამბობს ხოლმე, როცა საცირკო სანახაობისას ილუზიონისტი ხელფეხშებორკილ ადამიანს ყუთში სვამს, საიდანაც ის უკვალოდ ქრება.

— ანუ იმას გულისხმობთ...

— იმას ვგულისხმობ, — აუხსნა პუარომ, — რომ თუკი მკვლელს სურდა, დავერწმუნებინეთ, ვითომც ფანჯრიდან გადაიპარა, მაშინ საქმეს ისე მოაწყობდა, რომ დარჩენილი ორი კარიდან გაღწევის საშუალება წარმოუდგენლად მოგვჩვენებოდა. აქ იმავე ფანდთან გვაქვს საქმე, რომელთანაც ყუთიდან გამქრალი ადამიანის შემთხვევაში. ხოლო ეს ფანდი, გნებავთ, ფოკუსი, როგორ ამოვხსნათ, ეს უკვე ჩვენი საზრუნავია.

პუარომ გვერდით კუპეში გამავალი კარი ჩაკეტა.

— ვაითუ, — თქვა მან, — დიდებულ მისის ჰაბარდს თავისი კუპედან პირდაპირ შემოსვლა და დანაშაულის ადგილის დათვალიერება მოუნდეს. ვინ იცის, თავის ქალიშვილსაც მისწეროს რამე.

საკეტი კიდევ ერთხელ გადაატრიალა.

— მგონი, აქ აღარაფერი გვესაქმება. მოდით, მესიე ბუკთან დავბრუნდეთ.

## 8. არმსთრონის გაცაცხაბის საქმე

მესიე ბუკის კუპეში რომ შევიდნენ, ის ომლეტის ჭამას ამთავრებდა.

— ვიფიქრე, უმჯობესი იქნებოდა, თუ ვაგონ-რესტორანში მგზავრებს ცოტა ადრე ასადილებდნენ, რომ სწრაფადვე გაეთავისუფლებინათ და მესიე პუაროს მოწმეთა დაკითხვის საშუალება მისცემოდა, — თქვა მან. — ჩვენ სამისთვის კი აქ მოვატანინე.

— მშვენიერი აზრია, — თქვა პუარომ.

სამიდან არც ერთი მშიერი არ იყო, ამიტომ სადილობას მცირე დრო მოანდომეს. მხოლოდ ყავის სმისას წამოიწყო მესიე ბუკმა მათთვის საინტერესო საკითხზე საუბარი.

— აბა, რა ქენით?

— რა და, მსხვერპლის ვინაობა დავადგინე. უკვე ვიცი, რატომ მოუწია ამერიკის დატოვება.

— და ვინ იყო?

— გახსოვთ, გაზეთები არმსთრონგების ბავშვზე რომ წერდნენ? სწორედ მან, რეთჩეთმა, იმავე კასეტიმ, მოკლა პატარა დეიზი არმსთრონგი.

— ჰო, ახლა გამახსენდა. შოკისმომგვრელი საქმე იყო, თუმცა დეტალები დამავიწყდა.

— პოლკოვნიკი არმსთრონგი ინგლისელი იყო, ვიქტორიას ორდენის კავალერი, დედა კი ამერიკელი ჰყავდა, უოლსტრიტელი მილიონერის უ. კ. დერ ჰალტის ქალიშვილი. არმსთრონგმა ცოლად შეირთო ამერიკაში თავისი დროის ყველაზე ცნობილი ტრაგიკული მსახიობის ლინდა არდენის ქალიშვილი. ოჯახი ამერიკაში ცხოვრობდა და გოგონა შეეძინათ, რომელსაც აღმერთებდნენ. სამი წლის რომ გახდა, ბავშვი მოიტაცეს და მშობლებს წარმოუდგენელი გამოსასყიდი შეუთვალეს. დეტალებით თავს არ შეგანსუნოთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ როდესაც მშობლებმა კოლოსალური თანხა — ორასი ათასი დოლარი — გადაიხადეს, ბავშვის ცხე-

დარი იპოვეს. სულ ცოტა, ორი კვირის მკვდარი იყო. საზოგადოების ვნებათაღელვამ პიკს მიაღწია. თუმცა ოჯახის უბედურება ამით არ დასრულებულა. მისის არმსთრონგი მეორე ბავშვზე იყო ორსულად. ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, ბავშვი მკვდარი გააჩინა და თვითონაც მშობიარობას გადაჰყვა. სასოწარკვეთილმა პოლკოვნიკმა შუბლში ტყვია დაიხალა.

— Mon Dieu,<sup>1</sup> რა საშინელი ტრაგედია. ახლა გამახსენდა, — თქვა მესიე ბუკმა. — მაგრამ კიდევ ერთი მსხვერპლი იყო, თუ სწორად მახსოვს, ხომ?

— კი, საუბედუროდ ფრანგი თუ შვეიცარიელი გადია დაიღუპა. პოლიციას ეგონა, რომ დანაშაულში მისი ხელიც ერია. ქალიშვილი ისტერიკულად უარყოფდა ყველაფერს, მაგრამ რატომლაც არ დაუჯერეს. შედეგად, სასოწარკვეთლმა, საწყალმა გოგომ ფანჯარა გამოაღო და გადახტა. ცხადია, დაიღუპა. მერე გაირკვა, რომ დანაშაულში არავითარი ბრალი არ მიუძღვდა.

— შემზარავი ამბავია, — თქვა მესიე ბუკმა.

— დაახლოებით ექვსი თვის თავზე კასეტი დააპატიმრეს, როგორც იმ ბანდის მეთაური, რომელმაც ბავშვი გაიტაცა. ბანდას მსგავსი მეთოდები წარსულშიც არაერთხელ გამოუყენებია. როცა გაიგებდნენ, რომ პოლიცია მათ კვალს დაადგა, მძევალს კლავდნენ, თუმცა ოჯახს მანამდე სძალავდნენ თანხებს, სანამ დანაშაული გაიხსნებოდა. პირდაპირ გეტყვით, მეგობარო, გოგონა კასეტის მოკლულია, ამას წყალი არ გაუვა! მაგრამ დიდძალი ქონების წყალობით, შავბნელი საქმეებით რომ ჰქონდა დაგროვებული, და გარკვეულ ადამიანებზე ზემოქმედებით იმდენი მოახერხა, რომ გაამართლეს, რაღაც ტექნიკური უზუსტობის წყალობით. ამისდა მიუხედავად, ხალხი მაინც ლინჩის წესით გაუსწორდებოდა, რასაც თვითონაც მშვენივრად ხვდებოდა, ამიტომაც ამერიკიდან აითესა, გვარი შეიცვალა და დიდი ფულის წყალობით ნეტარი ცხოვრება და მოგზაურობა დაიწყო.

<sup>1</sup>Mon Dieu (ფრ.). — ღმერთო ჩემო.

— ო, რა მხეცი ყოფილა, — გულწრფელი ზიზღით წარმო-  
თქვა მესიე ბუკმა. — სულაც არ მწყდება გული, რომ მოკლეს.  
— სავსებით გეთანხმებით.

— *Tout de même!*<sup>1</sup>, რაღა „აღმოსავლეთის ექსპრესში“ მოკ-  
ლეს, სხვა ადგილები დაილია?

პუაროს გაელიმა. მიხვდა, რომ მესიე ბუკი მიკერძოებუ-  
ლად მსჯელობდა.

— ახლა ერთი კითხვა უნდა დავუსვათ ჩვენს თავს, —  
თქვა მან. — ეს მკვლელობა რომელიმე ბანდიტური და-  
ჯგუფების ჩადენილია, რომელთანაც კასეტი წარსულში  
ჩაიჭრა თუ კერძო პირის, რომელმაც პირადი შურისძიების  
მიზნით მოუსწრაფა სიცოცხლე? — და მან დამწვარ ქალალ-  
დზე ამოკითხული სიტყვის შესახებ უამბო ბუკს. — თუ ჩემი  
ვარაუდი გამართლდა, მაშინ წერილი მკვლელმა დაწვა, მა-  
გრამ, რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ წერილში არმსთრონ-  
გის გვარი იყო ნახსენები, რაც საიდუმლოს ამოხსნაში გა-  
მოგვადგებოდა.

— არმსთრონგების ოჯახიდან ცოცხალი დარჩა ვინმე?

— ეს, სამწუხაროდ, ნამდვილად არ ვიცი. თუ სწორად  
მახსოვს, სადღაც წავიკითხე, რომ მისის არმსთრონგს უმ-  
ცროსი და ჰყავდა.

პუარო განაგრძობდა იმ დასკვნების ჩამოყალიბებას, მან  
და ექიმმა კონსტანტინმა რომ გამოიტანეს. დაზიანებული  
საათი რომ ახსენეს, მესიე ბუკს თვალები გაუბრნებინდა.

— ასე ხომ დანაშაულის დროის ზუსტად დადგენას შე-  
ვძლებთ?

— დიახ, წარმოიდგინეთ, რა მოსახერხებელია, — ისეთი  
ტონით თქვა პუარომ, რომ ორივე მამაკაცმა გაოცებულმა  
შეხედა.

— თქვენ არ თქვით, რომ გაიგონეთ, როგორ ელაპარაკე-  
ბოდა მისტერ რეთჩეთი გამყოლს, პირველს რომ ოცი აკლ-  
და? — ჰკითხა მესიე ბუკმა.

<sup>1</sup> *Tout de même* (ფრ.). — ამისდა მიუხედავად.

პუარომ ყველაფერი ისე მოჰყვა, როგორც იყო.

— ასეა თუ ისე, — თქვა მესიე ბუკმა, — ეს ამტკიცებს, რომ კასეტი, — გნებავთ რეთჩეთი, კვლავაც ასე მოვიხსენიებ, პირველს რომ ოცი აკლდა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

— უფრო ზუსტად, პირველს ოცდასამი წუთი აკლდა.

— მაშინ, მეც დავაზუსტებ და ვიტყვი, თორმეტ საათსა და ოცდაჩვიდმეტ წუთზე მისტერ რეთჩეთი ცოცხალი იყო. ყოველ შემთხვევაში, ეს ერთი ფაქტი მაინც გვაქვს.

პუარომ არაფერი უპასუხა. ჩაფიქრებული იყურებოდა ნინ.

კარზე კაკუნი გაისმა და რესტორნის მიმზანი შემოვიდა.

— რესტორნის ვაგონი თავისუფალია, მესიე, — უთხრა ბუკს.

— მაშინ, იქ გადავინაცვლებთ, — თქვა მესიე ბუკმა და წამოდგა.

— მეც გამოგყვეთ? — იკითხა კონსტანტინმა.

— ცხადია, ჩემო ძვირფასო ექიმო, თუკი მესიე პუაროს საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

— სრულებითაც არა, რა საწინააღმდეგო! — თქვა პუარომ.

თავაზიანი ფრაზების გაცვლის შემდეგ — Après vous, Monsieur და Mais non, après vous<sup>1</sup> — სამივე მამაკაცი კუპედან გავიდა.

<sup>1</sup>Après vous, Monsieur, Mais non, après vous (ფრ.). — თქვენ მერე, ბატონო. არა, ბატონო, ჯერ თქვენ.

ნაცირი ||

# მოწმოთა ჩვენებები

## 1. საძირე ვაგონის გამყორის ჩვენება

ვაგონ-რესტორანი დაკითხვისათვის სრულიად გამზადებული დახვდათ. პუარო და მესიე ბუკი მაგიდის ერთ მხარეს დასხდნენ, ექიმმა კონსტანტინმა — გასასვლელის მხრიდან დაიკავა ადგილი.

პუაროს წინ მაგიდაზე სტამბოლი-კალეს მატარებლის გეგმა იდო, რომელზეც წითელი მელნით მგზავრთა გვარები იყო აღნიშნული. ერთ მხარეს პასპორტებისა და ბილეთების გროვა იდო, საწერ ქაღალდთან, მელანთან, კალამთან და ფანქრებთან ერთად.

— დიდებულია, — თქვა პუარომ. — შეგვიძლია, ჩვენი სასამართლო გამოკითხვა ზედმეტი ფაციფუცის გარეშე დავინყოთ. პირველ რიგში, ჩემი აზრით, საძილე ვაგონის გამყოლს უნდა ჩამოვართვათ ჩვენება. ალბათ, რამე გეცოდინებათ მის შესახებ. რა ზნის კაცია? შეიძლება თუ არა ვენდოთ მის სიტყვას?

— სრული დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ვენდობი. პიერ მიშელი ჩვენს კომპანიაში თხუთმეტ წელზე მეტია, რაც მუშაობს. ეროვნებით ფრანგია, კალეში ცხოვრობს. პატივსაცემი და პატიოსანი ადამიანია, თუმცა კი დიდი ჭკუაგამჭრიახობით არ გამოირჩევა.

პუარომ თავი დაუქნია, გასაგებიაო.

— კეთილი, — თქვა მან, — მოდი, ვნახოთ.

პიერ მიშელს თავდაჯერებულობა დაბრუნებოდა, თუმცა მაინც საგრძნობლად ნერვიულობდა.

— იმედი მაქვს, მესიე ჩემს დაუდევრობას არ მიაწერს

მომხდარს, — თქვა აღელვებულმა და პუაროდან მესიე ბუკზე გადაიტანა მზერა. — საშინელება მოხდა. ვიმედოვნებ, მესიეს მე არ ვგონივარ ამ ამბავში გარეული?

პუარომ ჯერ დაუყვავა, რომ კაცს შიში დაეძლია, და კითხვები მერე დაუსვა. თავიდან სრული გვარ-სახელი და მისამართი ჰქითხა მიშელს, მერე გაარკვია, რამდენი ხანი მუშაობდა ამ კომპანიაში და კონკრეტულად ამ ხაზზე. მართალია, ეს დეტალები ისედაც იცოდა, მაგრამ ამგვარი კითხვებით გამყოლის ალაპარაკებას ცდილობდა.

— ახლა კი, — განავრძო პუარომ, — მოდით, წუხანდელ ამბავს დავუბრუნდეთ. მისტერ რეთჩეთი რომელ საათზე წავიდა დასაძინებლად?

— ნავახშმევს, მესიე, მაშინვე ადგა და წავიდა. სანამ ბელგრადიდან გამოვიდოდით. იმის წინა ღამითაც ასევე მოიქცა. წუხელ მითხრა, სანამ ვივახშმებდე, ლოგინი გამიშალეო, მეც, ბუნებრივია, მისი დავალება შევასრულე.

— ამის მერე ვინმე შევიდა მის კუპეში?

— მისი პირადი მსახური, მესიე, და ახალგაზრდა ამერიკელი ჯენტლმენი, მისი მდივანი.

— სხვა?

— არა, მესიე, რამდენადაც ვიცი, არავინ.

— კარგი. უკანასკნელად ამ დროს ნახეთ მისტერ რეთჩეთი?

— არა, მესიე. გავიწყდებათ, რომ ღამის თორმეტ საათსა და ორმოც წუთზე ზარი დარეკა. ამის მერე მატარებელიც მალევე გაჩერდა.

— ზუსტად რა მოხდა?

— კარზე მივუკაკუნე, მაგრამ გამომძახა, შემთხვევით მომივიდაო.

— ინგლისურად თუ ფრანგულად?

— ფრანგულად.

— ზუსტად რა სიტყვები თქვა?

— Ce n'est rien. Je me suis trompé.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Ce n'est rien. Je me suis trompé (ფრ.). — არაფერია. შემეშალა.

- მართალია, — თქვა პუარომ. — მეც ასე გავიგონე.  
ამის მერე წახვედით?
- დიახ, მესიე.
- თქვენს ადგილს დაუბრუნდით?
- არა, მესიე, ჯერ შემდეგ ზარს გამოვეხმაურე, იმნამსვე  
რომ დაირეკა.
- ახლა კი, მიშელ, ერთ მნიშვნელოვან შეკითხვას და-  
გისვამთ: ორის თხუთმეტ წუთზე სად იყავით?
- მე, მესიე? ვაგონის ბოლოში, ჩემს პატარა კუთხეში,  
დერეფნისკენ პირით ვიჯექი.
- დარწმუნებული ხართ?
- Mais oui.<sup>1</sup> თუმცა... გვერდით, ათენის ვაგონში გავე-  
დი ჩემს კოლეგასთან დასალაპარაკებლად. ნამქერის შე-  
სახებ ვისაუბრეთ. ალბათ, უკვე ორი იქნებოდა დაწყებული.  
დაზუსტებით თქმა გამიჭირდება.
- და როდის დაბრუნდით?
- ჩემი ვაგონიდან ზარის ხმა მომესმა, მესიე, მახსოვს,  
. გითხარით კიდეც, ამერიკელი ლედი რომ რეკავდა გაუთა-  
ვებლად.
- მახსენდება, — უთხრა პუარომ. — ამის მერე?
- ამის მერე, მესიე? თქვენს ზარს ვუპასუხე და მინე-  
რალური წყალი მოგართვით. შემდეგ, ასე ნახევარი საათი  
რომ გავიდა, ახალგაზრდა ამერიკელ ჯენტლმენს ლოგინი  
გავუშალე. მისტერ რეთჩეთის მდივანზე მოგახსენებთ.
- სანამ ლოგინს უშლიდით, მისტერ მაქეუინი მარტო  
იყო თავის კუპეში?
- მასთან ინგლისელი პოლკოვნიკი იმყოფებოდა, მე-15  
კუპედან. ისხდნენ და საუბრობდნენ.
- მისტერ მაქეუინის კუპედან გასული პოლკოვნიკი საით  
წავიდა?
- თავის კუპეში დაბრუნდა.
- ნომერი 15 თქვენს მოსასვენებელ ადგილთან საკმაოდ  
ახლოს არის, ხომ?

<sup>1</sup> Mais oui (ფრ.). — რა თქმა უნდა.

- დიახ, მესიე. ბოლოდან მეორეა.
- პოლკოვნიკს ლოგინი უკვე გაშლილი ჰქონდა?
- დიახ, მესიე. მე თვითონ გავუშალე, სანამ ვახშმობდა.
- რომელი საათი იქნებოდა?
- დაზუსტებით ვერ მოგახსენებთ, მესიე. ორ საათზე  
მეტი კი არ უნდა ყოფილიყო.
- მერე რა მოხდა?
- მერე ჩემს ადგილას დავჯექი და დილამდე ვიჯექი.
- ათენის ვაგონში აღარ შესულხართ?
- არა, მესიე.
- ალბათ, გეძინათ?
- არა მგონია, მესიე. მიმავალ მატარებელში მეძინება  
ხოლმე, მაგრამ შემადგენლობა რომ გაჩერდა, ძილი გამიკრთა.
- დერეფანში რომელიმე მგზავრისთვის ხომ არ მოგი-  
კრავთ თვალი?
- მამაკაცი დაფიქრდა.
- მგონი, ერთი ქალბატონი საპირფარეშოში შევიდა დე-  
რეფნის მეორე ბოლოში.
- რომელი ქალბატონი?
- არ ვიცი, მესიე. დერეფნის ბოლოში მოვკარი თვალი,  
თან ზურგით იყო ჩემკენ. ის კი გავარჩიე, რომ მეწამული  
ფერის, დრაკონებიანი კიმონო ეცვა.
- პუარომ თავი დაუკრა.
- ამის შემდეგ?
- დილამდე აღარავინ დამინახავს.
- არ ცდებით?
- აჲ, უკაცრავად! წამიერად თქვენ გამოაღეთ თქვენი  
კუპეს კარი და გამოიხედეთ.
- კეთილი, მეგობარო, — უთხრა პუარომ. — მაინტერე-  
სებდა, ეგ დეტალი თუ გახსოვდათ. სიმართლე გითხრათ, ამ  
დროს ხმაურმა გამაღვიძა: ჩემს კარს თითქოს რაღაც მძიმე  
დაეჯახა. ხომ არ იცით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო?
- გამყოლმა თვალები მიაშტერა:

— არაფერი, მესიე. დარწმუნებული ვარ, არაფერი ყოფილა.

— გამოდის, კოშმარი დამსიზმრებია, — ფილოსოფიურად დაასკვნა პუარომ.

— ან, — ჩაერთო მესიე ბუკი, — მეზობელი კუპედან მოისმახმა.

პუარომ აინუნში არ ჩააგდო მეგობრის ნათქვამი. თითქოს არ სურდა, რომ გამყოლს ამ სიტყვებისთვის ყურადღება მიექცია.

— მოდით, მეორესაკითხს შევეხოთ, — თქვამან. — ვთქვათ, მკვლელი წუხელ ამოვიდა მატარებელში. ხომ აშკარაა, რომ მკვლელობის ჩადენის შემდეგ მატარებელს ვერ დატოვებდა?

პიერ მიშელმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— შეიძლება სადმე აქ, მატარებელში დამალულიყო?

— ყველაფერი გაჩერიკეს, — უპასუხა მესიე ბუკმა. — ეს აზრი შეგიძლიათ უკუაგდოთ, მეგობარო.

— გარდა ამისა, — თქვა მიშელმა, — საძილე ვაგონში ისე ვერავინ შემოალწევდა, მე რომ ვერ დამენახა.

— უკანასკნელი გაჩერება როდის იყო?

— ვინკოვცში.

— რომელ საათზე?

— 11:58-ზე უნდა გავსულიყავით იქიდან, მაგრამ ამინდის გაუარესების გამო ოცი წუთით დავაგვიანეთ.

— ვინმეს შეეძლო სხვა ვაგონიდან თქვენს ვაგონში შემოსულიყო?

— არა, მესიე. სადილის მერე ვაგონ-რესტორანთან საძილე ვაგონის დამაკავშირებელი კარი იკეტება.

— ვინკოვცში ხომ არ ჩასულხართ სადგურზე?

— დიახ, მესიე. ბაქანზე ჩავედი და ჩვეულებისამებრ ვაგონში ამოსასვლელ კიბესთან ვიდექი. დანარჩენი გამყოლებიც ჩამოვიდნენ.

— წინა კარზე რას მეტყვით, აი, ვაგონ-რესტორანთან რომ არის?

- ყოველთვის შიგნიდან გვაქვს ჩაკეტილი.
- ახლა რომ არ არის ჩაკეტილი?
- გამყოლი გაოგნდა, მერე კი აზრებს მოუყარა თავი.
- ალბათ, რომელიმე მგზავრმა გააღო, რომ თოვლის-თვის გადაეხედა.
- შესაძლოა, — თქვა პუარომ.
- ორიოდ წუთი ჩაფიქრებული თითს აკაკუნებდა მაგი-დაზე.
- მესიე უყურადღებობაში ხომ არ მდებს ბრალს? — მო-რიდებით იკითხა გამყოლმა.
- პუარომ კეთილად გაულიმა.
- არ გაგიმართლათ, მეგობარო, — უთხრა გამყოლს.
- ჰო, მართლა, კიდევ ერთი საკითხი, სანამ დამვიწყებია. თქვენ თქვით, სხვა ზარის ხმა გაისმა, როდესაც რეთჩეთის კარზე ვაკაკუნებდიო. ეგ ზარი მეც გავიგონე. ვინ დარეკა?
- თავადის ქალმა დრაგომიროვამ. დამავალა, ჩემს მოა-ხლეს დამიძახეო.
- და თქვენც დაუძახეთ?
- დიახ, მესიე.
- პუარო წინ დადებულ გეგმას დააკვირდა. მერე თავი გა-დახარა.
- ჯერჯერობით საკმარისია, — თქვა მშვიდად.
- გმადლობთ, მესიე.
- გამყოლი ადგა და მესიე ბუკს შეხედა.
- ნუ წუხხართ, — თბილად უთხრა გამყოლს. — თქვენს საქციელში უყურადღებობას და დაუდევრობას ვერ ვხედავ.
- პიერ მიშელმა კმაყოფილმა დატოვა კუპე.

## 2. მდივნის ჩვენება

ორიოდე წუთით პუარო ფიქრებმა წაილო.

— მგონი, მისტერ მაქქუინს ხელახლა უნდა გავესაუბროთ იმ მონაცემების გათვალისწინებთ, რაც უკვე ხელთ გვაქვს, — თქვა მან ბოლოს.

ახალგაზრდა ამერიკელი სწრაფად გამოცხადდა.

— აბა, — იკითხა მან. — როგორ მიდის საქმე?

— არცთუ ცუდად. ჩვენი უკანასკნელი საუბრის შემდეგ რაღაც შევიტყვე, კერძოდ მისტერ რეთჩეთის ვინაობა გავარკვიეთ.

ჰექტორ მაქქუინი ისე დაინტერესდა, რომ ნინ მიინია.

— მართლა? — გაიკვირვა მან.

— რეთჩეთი, როგორც თქვენც ეჭვობდით, მისი მეტ-სახელი აღმოჩნდა. სინამდვილეში კი კასეტი იყო, რომელიც გატაცებების დიდოსტატი გახლდათ, მათ შორის დეიზი არ-მსთრონგის გატაცების გახმაურებული საქმის მონაწილე და მოთავე.

მაქქუინს სახეზე გაოცება კი არა, გაოგნება გამოეხატა, ფერი დაკარგა.

— წყეული ნაძირალა! — ნამოიძახა ცხელ გულზე.

— ამას ადრეც ხვდებოდით, მისტერ მაქქუინ?

— არა, სერ, — გადაჭრით უპასუხა ახალგაზრდა ამერიკელმა. — ეს რომ მცოდნოდა, უმაღლ მარჯვენას მოვიჭრიდი, ვიდრე მის მდივნად დავიწყებდი მუშაობას!

— ამ ამბავმა ძალიან აღგაშფოთათ ხომ, მისტერ მაქქუინ?

— ამის მიზეზიც მაქვს. მამაჩემი საოლქო პროკურორი იყო, რომელიც ამ საქმეს წარმართავდა, მისტერ პუარო. არაერთხელ შევხვედრივარ მისის არმსთრონგს, უმშვენიერესი ქალბატონი იყო, კეთილშობილი და სათნო. უბედურებას ვერ გაუძლო, — მაქქუინს სახე მოელუშა. — თუკი ამქვეყნად ვინმეს დამსახურებისამებრ მიეზღო, სწორედ ეგ რეთჩეთია, თუ კასეტი. მიხარია კიდეც, რომ ასე მოელო ბოლო. ასეთი არამზადა არც იყო სიცოცხლის ლირსი.

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს თქვენც სიამოვნებით აღას-რულებდით ამ საქმეს.

— დიახ, ასეა... — შეყოვნდა, მერე უფრო გაბრაზებით დასძინა, — ისე გამოდის, თითქოს საკუთარ თავს ვამხელ.

— თუმცა, უფრო მეტ ეჭვს თქვენ მიმართ ის გამიჩენდა, მისტერ მაქქუინ, მისტერ რეთჩეთის სიკვდილი მეტისმეტად რომ გედარდათ.

— არა მგონია, ოდესმე ასეთი რამ დამცდენოდა, სასა-მართლოზეც რომ დამჭირვებოდა თავის მართლება, — კუშტად თქვა მაქქუინმა. — თუ ჩემი კითხვა სულელურად არ მოგეჩენებათ, იქნებ მითხრათ, ეგ ინფორმაცია საიდან მიიღეთ? ანუ კასეტი რომ აღმოჩნდა.

— მის კუპეში ნაპოვნი წერილის ნაგლეჯით.

— კი მაგრამ... ნუთუ ეს ბებერი ძალლი ასე დაუდევრად მოიქცა?

— გააჩნია, რა კუთხით შეხედავ, — მიუგო პუარომ.

ახალგაზრდა კაცი ამ შენიშვნამ კიდევ უფრო დააპნია. ისე მიაჩერდა პუაროს, თითქოს ცდილობდა, მზერით გაეგო რამე.

— ჩემი ამოცანაა, — თქვა პუარომ, — გავიგო, სად იყო და რას აკეთებდა თითოეული მგზავრი, უკლებლივ ყველა. არ მინდა ვინმეს ჩრდილი მივაყენო, ხომ გესმით, მაგრამ, ფორმალობა უნდა დავიცვა.

— ცხადია. ჩემით დაიწყეთ და ეჭვებისგან გამათავისუ-ფლეთ, თუ შეიძლება.

— თქვენი კუპეს ნომერი რომ ვიკითხო, აზრი არ აქვს, — უთხრა პუარომ ღიმილით, — რადგან ერთი ღამე იმავე კუ-პეში ვიმყოფებოდი. მეორე კლასის კუპეა, მე-6 და მე-7 ად-გილები. ჩემი გადასვლის მერე ისევ იქ დარჩით?

— დიახ.

— ახლა კი, მისტერ მაქქუინ, თქვენს წუხანდელ მარშ-რუტს მინდა, გავყვე, მას მერე, რაც ვაგონ-რესტორნიდან გახვედით.

— სულ იოლია. ჩემს კუპეში დავბრუნდი, ცოტა წავიკითხე, მერე ბელგრადში ბაქანზე ჩავედი, ძალიან რომ ციონდა, ისევ უკან ამოვედი. ცოტა ხანს ახალგაზრდა ინგლისელ ქალბატონს ვესაუბრე, ჩემ გვერდით რომ უკავია კუპე. ამის მერე მე და ინგლისელ პოლკოვნიკს, მისტერ არბეთნოთს ლაპარაკის საღერლელი აგვეშალა, და, მგონი, სწორედ თქვენ ჩაგვიარეთ, როდესაც დერეფანში ვსაუბრობდით. მერე, როგორც უკვე მოგახსენეთ, მისტერ რეთჩეთს მივაკითხე კუპეში, სადაც გარკვეული წერილების დაწერასთან დაკავშირებით მივიღე დავალება. მერე ლამე ნებისა ვუსურვე და გამოვედი. პოლკოვნიკი არბეთნოთი ისევ დერეფანში დამხვდა. მას ლოგინს უშლიდნენ, ამიტომ ჩემთან შევიპატიუე. სასმელი შევუკვეთე და, როგორც იტყვიან, თითო ჭიქა გადავკარით. მსოფლიო პოლიტიკაზე ვმსჯელობდით, ინდოეთის მთავრობასაც შევეხეთ. სიტყვამ მოიტანა და მშრალ კანონზეც ვილაპარაკეთ და უოლ-სტრითის პრობლემებზეც. რაღა დაგიმალოთ და, ინგლისელები გულზე დიდად არ მეხატება, თუმცა, ჩვენი პოლკოვნიკისადმი დადებითად განვეწყვე.

— თუ გახსოვთ, ზუსტად რა დროს გავიდა თქვენი კუპედან?

- საკმაოდ გვიან. ალბათ, ორი საათი იქნებოდა.
- შენიშნეთ, რომ მატარებელი გაჩერდა?
- დიახ, დიახ. გაგვიკვირდა კიდეც. გარეთ გავიხედეთ და დავინახეთ, რომ თოვლი კარგა გვარიანად დაედო, თუმცა არ გვეგონა, თუ საქმე ასე სერიოზულად იქნებოდა?
- რა მოხდა, როდესაც პოლკოვნიკი არბეთნოთი გავიდა?
- თავის კუპეში წავიდა, მე კი გამყოლი მოვიხმე, რომ ჩემთვის ლოგინი გაეშალა.
- სად იმყოფებოდით, როდესაც გამყოლი ლოგინს გიშლიდათ?
- გარეთ, დერეფანში ვიდექი და სიგარეტს ვეწეოდი.
- ამის მერე?
- მერე დავწექი და დილამდე არ ავმდგარვარ.

- გუშინ საღამოს თუ ჩახვედით მატარებლიდან?
- მე და არბეთნოთმა გადავწყვიტეთ, ჩავსულიყავით იმ ადგილას... რა ერქვა?.. ვინკოვცი. ცოტას ფეხს მაინც გავშლიდით, მაგრამ სიცივე ძვლებში ატანდა და ქარბუქიც იყო, ამიტომ მალევე ამოვბრუნდით.
- რომელი კარიდან ჩახვედით მატარებლიდან?
- ჩვენს კუპეებთან რომ არის, ახლოს.
- ვაგონ-რესტორნის შესასვლელის გვერდით რომ არის?
- დიახ.
- თუ გახსოვთ, დაკეტილი იყო?
- მაქქუინი დაფიქრდა.
- კი, როგორც მახსოვს, დაკეტილი იყო. ყოველ შემთხვევაში, სახელურში რაღაც ძელაკივით იყო გადებული. ამას მეკითხებით?
- დიახ. და მატარებელში რომ ამობრუნდით, სახელურში ისევ გაუყარეთ ის ძელაკი?
- არა, არ მახსენდება. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიყრია. არ მახსოვს, — მერე უეცრად დაამატა, — ეს ასეთი მნიშვნელოვანია?
- შეიძლება, იყოს კიდეც. როდესაც თქვენ და პოლკოვნიკი არბეთნოთი ისხედით და საუბრობდით, დერეფანში გამავალი კუპეს კარი ღია იყო?
- ჰექტორ მაქქუინმა თავი დაუკრა.
- იქნებ გაიხსენოთ და მითხრათ, როცა მატარებელი ვინკოვციდან გამოვიდა, ვინმეს ხომ არ გაუვლია დერეფანში, სანამ დაიშლებოდით?
- მაქქუინმა წარბები შეკრა.
- მგონი, ერთხელ ვაგონ-რესტორნიდან მომავალმა გამყოლმა ჩაგვიარა, — თქვა მან. — ქალმაც ჩაიარა, ვაგონ-რესტორნისკენ.
- რომელმა ქალმა?
- ვერ გეტყვით. არც შემიმჩნევია. იცით, არბეთნოთს ცხარედ ვეკამათებოდი. მხოლოდ ის ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ კარიდან მენამული თუ ალისფერი აბრეშუმი დავინახე.

მის სახეს მაინც ვერ დავინახავდი, ყურადღებაც რომ მიმე-  
ქცია, მე ხომ სახით რესტორნისკენ ვიჯექი, ქალმა კი დე-  
რეფანში იმ მიმართულებით ჩაიარა, რომ მხოლოდ ზურგს  
ვხედავდი.

პუარომ თავი დააქნია.

— ეტყობა, ტუალეტში მიდიოდა, ხომ?

— ალბათ.

— უკან დაბრუნებული თუ დაინახეთ?

— სიმართლე გითხრათ, არა. ნამდვილად არ მახსენდება,  
რომ უკან მომავალი დამენახოს.

— კიდევ ერთი კითხვა. ჩიბუხს ეწევით, მისტერ მაქქუინ?

— არა, სერ, არ ვეწევი.

პუარო წამით შეყოვნდა.

— მგონი, ამჯერად საკმარისია. ახლა კი მისტერ რეთჩე-  
თის პირად მსახურს გავესაუბრებოდი. ჰო, მართლა, თქვენ  
ორივე მუდამ მეორე კლასის კუპეთი მგზავრობთ?

— ის კი, მე კი პირველი კლასით მგზავრობას ვამჯობი-  
ნებ. მისტერ რეთჩეთი ჩვეულებრივ ჩემს კუპეში ათავსებ-  
და ხოლმე თავის ბარგს, ასე რომ, ბარგიც და მეც მუდამ მის  
ხელთ ვიყავით ნებისმიერ დროს. მაგრამ ამჯერად პირველი  
კლასის ყველა კუპე, მისი კუპეს გარდა, დაკავებული ალ-  
მოჩნდა.

— გასაგებია. გმადლობთ, მისტერ მაქქუინ.

### 3. პირადი მსახურის ჩვენება

ამერიკელს ფერმურთალი ინგლისელი მოჰყვა, რომელ-  
საც სახეზე ემოციის მსგავსიც კი არაფერი ეტყობოდა. ეს  
კაცი პუაროს ერთი დღის შემჩნეული ჰყავდა. შემოსული  
მოკრძალებულად გაჩერდა და იცდიდა. პურომ ხელით ანიშ-  
ნა, დაბრძანდით.

— თქვენ, როგორც ვხვდები, მისტერ რეთჩეთის პირადი  
მსახური ბრძანდებით?

— დიახ, სერ.

— თქვენი სახელი?

— ედვარდ ჰენრი მასთერმენი.

— ასაკი?

— ოცდაცხრამეტის.

— თქვენი მისამართი?

— ქლერქენული, ფრაიარ-სტრითის 21.

— უკვე შეიტყვეთ, რომ თქვენი ბატონი მოკლულია?

— დიახ, სერ. შოკის მომგვრელი ამბავია.

— ხომ ვერ მეტყოდით, გეთაყვა, უკანასკნელად რომელ  
საათზე ნახეთ მისტერ რეთჩეთი?

მსახური დაფიქრდა.

— წუხელ, ასე ცხრა საათზე. შესაძლოა, ოდნავ მოგვია-  
ნებით.

— დაწვრილებით მომიყევით, თუ შეიძლება.

— ჩვეულებრივ მისტერ რეთჩეთთან შევედი, სერ, რომ  
მოვმსახურებოდი.

— და ზუსტად რა შედიოდა თქვენს მოვალეობებში?

— მისი ტანისამოსი უნდა დამეკეცა ან ჩამომეკიდა, სერ,  
კბილის პროთეზი წყლიან ჭიქაში ჩამედო, შემემონმებინა,  
ყველაფერი ადგილზე იყო თუ არა, რაც ლამით დასჭირდე-  
ბოდა.

— რამე უცნაური ხომ არ შეგინიშნავთ?

მსახური წამიერად ისევ შეყოვნდა.

— რა მოგახსენოთ, სერ, მგონი, აღელვებული იყო.

- რის გამო იყო აღელვებული?
- იმ წერილის, რომელსაც კითხულობდა. მკითხა, ეს წერილი თქვენ შემოიტანეთ ჩემს კუპეშიო? ცხადია, უარი ვუთხარი, თვალითაც არ მინახავს-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა, გამომლანძლა და ყველაფერზე მეჯიჯლინებოდა.
- რამე უცნაურად ან უჩვეულოდ ხომ არ მოგეჩვენათ?
- ოჟ, არა, სერ. უბრალოდ ხასიათი ჰქონდა წამხდარი და ყველაფერზე ღიზიანდებოდა.
- თქვენს უფროსს ოდესმე თუ მიუღია ძილის წამალი? ექიმი კონსტანტინი ოდნავ წინ გადმოიხარა.
- მატარებლით მგზავრობისას ყოველთვის სვამდა, სერ. სხვაგვარად ვერ ვიძინებო, ჩიოდა.
- თუ იცით, რომელ წამალს სვამდა?
- ვერ გეტყვით, სერ, წარმოდგენა არ მაქვს. ბოთლზე წამლის სახელი არ ეწერა, მხოლოდ აღნიშნული იყო: „ძილის წამალი, მიიღეთ დაწოლამდე“.
- წუხელ დალია?
- დიახ, სერ. მე ჩავუსხი წყლიან ჭიქაში და იქვე, ტუალეტის მაგიდაზე დავუდგი.
- ხომ არ დაგინახავთ, დალია თუ არა?
- არა, სერ.
- შემდეგ რა მოხდა?
- ვკითხე, რამე ხომ არ გნებავთ-მეთქი და ისიც ვკითხე, დილით რომელ საათზე გაგაღვიძოთ-მეთქი, მითხრა, სანამ ზარს არ დავრეკავ, არ შემაწუხოო.
- ეს ჩვეულებრივი საქციელი იყო მისგან?
- სრულიად ჩვეულებრივი, სერ. როდესაც ასადგომად მზად იყო, გამყოლს ზარს ურეკავდა და ჩემს დასაძახებლად გზავნიდა ხოლმე.
- ჩვეულებრივ ადრე იღვიძებდა ხოლმე თუ გვიან?
- ეს მის განწყობაზე იყო დამოკიდებული, სერ. ზოგჯერ საუზმისთვის დგებოდა, ზოგჯერ კი სამხრამდეც იწვა.
- გამოდის, სულაც არ აღელვებულხართ, როცა დილით არ გიხმოთ?

- არა, სერ.
- იცოდით, რომ თქვენს ბატონს მტრები ჰყავდა?
- დიახ, სერ, — მამაკაცი სრულიად უემოციოდ პასუხობდა.
- საიდან იცოდით?
- ყური მოვკარი, როდესაც მისტერ მაქქუინთან ერთად რაღაც წერილებს განიხილავდა.
- პატივს თუ სცემდით თქვენს ბატონს, მასთერმენ?
- მასთერმენს სახე, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, კი-დევ უფრო შეუვალი და უმეტყველო გაუხდა.
- არა მგონია, ეს განსახილველი საგანი იყოს. გულუხვი დამქირავებელი გახლდათ.
- მაგრამ დიდად არ გეხატებოდათ გულზე, ხომ?
- გულზე ამერიკელები საერთოდ არ მეხატება, სერ.
- ამერიკაში ნამყოფი ხართ?
- არა, სერ.
- არმსთრონგების ბავშვის მოტაცების შესახებ რომ წერდნენ გაზეთებში, ალბათ, გეხსომებათ?
- მამაკაცს ოდნავ შეეფაკლა ლოყები.
- დიახ, ცხადია, სერ. პატარა გოგონაზე არ მეუბნებით? შოკის მომგვრელი ამბავი იყო.
- იცოდით, რომ თქვენი ბატონი, მისტერ რეთჩეთი, ამ ამბის სულისჩამდგმელი იყო?
- ცხადია, არა, სერ, — მსახურის ხმაში პირველად გაისმა ალშტონთება. — დაჯერებაც კი მიჭირს, სერ.
- არადა, ასეა. ახლა კი ისევ თქვენს წუხანდელ ღამეს დავუბრუნდეთ. წესი მოითხოვს, ხომ ხვდებით. მისი კუპე-დან რომ გამოხვედით, მერე რას აკეთებდით?
- მისტერ მაქქუინს გადავეცი, სერ, ბატონი გეძახით-მე-თქი. მე ჩემს კუპეში შევედი და კითხვა დავიწყე.
- თქვენი კუპე სად...
- მეორე კლასის ბოლო კუპეა, ვაგონ-რესტორნის კარის შემდეგ.
- პუარომ მატარებლის გეგმას დახედა.

- ვხედავ... და თქვენ რომელი საწოლი გიკავიათ?
- ქვედა, სერ.
- ნომერი 4?
- დიახ, სერ.
- თქვენთან ერთად კიდევ არის ვინმე კუპეში?
- დიახ, სერ. მსხვილი იტალიელი კაცი.
- ინგლისურად ლაპარაკობს?
- დიახ, ცოტას, სერ, — ამრეზით თქვა მსახურმა. — როგორც მივხვდი, ამერიკაშია ნამყოფი, ჩიკაგოში.
- ერთმანეთს ხშირად ელაპარაკებით?
- არა, სერ. კითხვას ვამჯობინებ.
- პუაროს გაელიმა. წარმოიდგინა, რა საყვედურით უყურებს ეს ჯენტლმენთა ჯენტლმენი მსხვილ, ენად გაკრეფილ იტალიელს.
- ნება მიბოძეთ, გუითხოთ, რას კითხულობთ? — დაინტერესდა პუარო.
- ამჟამად მისის არაბელა რიჩარდსონის „სიყვარულის ტყვეს“.
- კარგი წიგნია?
- მე ვიტყოდი, თავშესაქცევი, სერ.
- კეთილი, მოდით, განვაგრძოთ. ესე იგი, თქვენს კუპეში დაბრუნდით და „სიყვარულის ტყვის“ კითხვა დაიწყეთ... რომელ საათამდე კითხულობდით?
- დაახლოებით თერთმეტის ნახევრამდე, სერ, ამ დროს იტალიელმა დაწოლა მოისურვა. ამიტომ, გამყოლი მოვიდა და ლოგინები გავვიშალა.
- და თქვენც დაწექით და დაიძინეთ?
- დაწოლით კი დავწექი, სერ, მაგრამ არ დამძინებია.
- რატომ?
- კბილი მტკიოდა, სერ.
- ოჰ, როგორი ტკივილი იცის!
- ყველაზე აუტანელი, სერ.
- რამე მიიღეთ?
- მიხაკის ზეთი წავისვი, სერ, ცოტა დამიამა, მაგრამ ძი-

ლი კი გამიკრთა. საწოლის თავზე დამაგრებული სანთურა ავანთე და კითხვა განვაგრძე, იქნებ გული გადავაყოლო-მე-თქი.

- და საერთოდ ვერ დაიძინეთ?
- როგორ ვერა, სერ, გამთენისკენ, ასე ოთხისთვის ჩა-მეძინა.
- და თქვენი თანამგზავრი?
- ვინ, იტალიელი? მთელი ღამე ხვრინავდა.
- ღამით კუპედან არ გასულა?
- არა, სერ.
- თქვენ?
- არა, სერ.
- ღამით რამე ხმა ხომ არ შემოგესმათ?
- არ მახსენდება, სერ. ყოველ შემთხვევაში, უჩვეულო არაფერი. მატარებელი რომ გაჩერდა, ყველაფერი მიყუჩდა.
- პუარო მცირე ხნით დადუმდა, მერე კი ისევ დაუსვა კი-თხვა:
  - კეთილი, მგონი სალაპარაკო ბევრი აღარაფერი და-გვრჩა. მომხდარ ტრაგედიას სინათლეს ვერაფრით მოჰ-ფენთ?
  - ვშიშობ, ვერაფრით, სერ. ძალიან ვწუხვარ.
  - თუ იცით, მისტერ რეთჩეთსა და მისტერ მაქქუინს შო-რის რამე ჩხუბი ან უსიამოვნება ხომ არ მომხდარა?
  - ოჳ, არა, სერ! მისტერ მაქქუინი ძალზე სასიამოვნო ჯენტლმენია.
  - სად მსახურობდით, სანამ მისტერ რეთჩეთთან დაინ-ყებდით მუშაობას?
  - სერ ჰენრი თომლინსონთან, სერ, გროსვენორ-სქუერზე.
  - რატომ წამოხვედით მისგან?
  - აღმოსავლეთ აფრიკაში აპირებდა წასვლას, სერ, და ჩემი მომსახურებაც აღარ ესაჭიროებოდა. მაგრამ დარწმუ-ნებული გახლავართ, ჩემზე კარგის მეტს არაფერს იტყვის, სერ. წლები ვიმუშავე მასთან.
  - და მისტერ რეთჩეთთან რამდენი ხანი იმუშავეთ?

- მხოლოდ ცხრა თვე, სერ.
- გმადლობთ, მასთერმენ. ჰო, მართლა, ჩიბუხს ეწევით?
- არა, სერ, მხოლოდ იაფფასიან სიგარეტს ვეწევი.
- გმადლობთ, საკმარისია.

პუარომ თავი დაუკრა, თავისუფალი ხარო.

მსახური ერთხანს შეყოვნდა და ყოყმანით დაიწყო.

— უკაცრავად, სერ, მაგრამ ის ხნიერი ამერიკელი ქალბატონი, რომ იტყვიან, წყობიდან არის გამოსული. ერთთავად იმას იმეორებს, ვიცი, ვინც არის მკვლელიო. ძალიან აღელვებულია.

— რაკი ასეა, — თქვა პუარომ, — სჯობს, შემდეგი ის დავკითხოთ.

— გადავცე? კარგა ხანია, მოითხოვს, უფროსობასთან მინდა გასაუბრებაო. გამყოლი მის დამშვიდებას ცდილობს.

— გამოგვიგზავნეთ, მეგობარო, — უთხრა პუარომ. — მის ამბავსაც მოვისმენთ.

## 4. ამერიკელი ღვერდის ჩვენება

მისის ჰაბარდი ვაგონ-რესტორანში ისეთი აღელვებული შევიდა, რომ სუნთქვა უჭირდა და სიტყვებს გამართულად ვერ წარმოთქვამდა.

— გამარკვიეთ როგორმე, ვინ არის აქ უფროსი? ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს, ისეთი მნიშვნელოვანი, მეტი რომ არ შეიძლება, და სასწრაფოდ უნდა ვაცნობო უფროსობას! ჯენტლმენებო, თქვენ შორის...

სამ მამაკაცს მიაპყრო კითხვით აღსავსე მზერა. პუარო წინ გადმოიხარა.

— მე მითხარით, მადამ, — უთხრა მან. — მაგრამ მანამ-დე ჯობია, დაბრძანდეთ.

მისის ჰაბარდი პუაროს წინ სკამზე მძიმედ დაეშვა.

— მოკლედ, აი, რის თქმას ვაპირებ: წუხელ მატარებელში მკვლელობა მოხდა და მკვლელი ჩემს კუპეში იმყოფებოდა!

თქვა და გაჩუმდა, რომ მეტი სიმძაფრე მიეცა თავისი სიტყვებისთვის.

— დარწმუნებული ხართ, მადამ?

— ცხადია, დარწმუნებული ვარ! ეჭვი გეპარებათ? ვიცი, რასაც ვამბობ. ყველაფერს გიამბობთ. დავწექი და დავიძინე, მაგრამ უეცრად გამომეღვიძა: სრული სიბნელე იყო და მაინც მივხვდი, რომ ჩემს კუპეში მამაკაცი იმყოფებოდა. ისე შევშინდი, დაყვირებაც ვერ მოვახერხე. გაყურსული ვინექი და ვფიქრობდი, ღმერთო, მოკვლას მიპირებს-მეთქი. ვერ აგინერთ, რას განვიცდიდი. ოჟ, ეს საშინელი მატარებლები, რამდენი უბედურება ხდება აქ, სულ ამის შესახებ არ წერენ-მეთქი. და კიდევ გავიფიქრე, სამკაულებს ვერ წაიღებს-მეთქი?! რადგან წინდაში გავახვიე და ბალიშის ქვეშ ამოვიდე, ამიტომაც თავი ძალიან მოუხერხებლად მედო, ხომ ხვდებით. მოკლედ, იმის თქმა მინდოდა... ჰო, რას ვამბობდი?

— მიხვდით, რომ ვიღაც იმყოფებოდა თქვენს კუპეში.

— დიახ, ჰო... თვალდახუჭული ვიწერი და ვფიქრობდი, რა ვიღონო-მეთქი. მერე გავიფიქრე, კიდევ კარგი, ჩემმა ქალიშვილმა არ იცის, რა ხათაბალაში გავეხვიე-მეთქი. მერე, როგორც იქნა, გონება მოვიკრიბე, ხელი ზარისკენ ნავიღე, რომ გამყოლი გამომეძახა, და დავაჭირე. და აი, ვაჭერ ხელს და ვაჭერ, მაგრამ არავინ მოდის. ლმერთო ჩემო, გავიფიქრე, ვინ იცის, მატარებელში ყველანი ამოხოცეს-მეთქი. მატარებელი დგას და ჩამიჩუმი არსაიდან ისმის. კიდევ ერთხელ დავაჭირე ზარის ლილაკს და გულზე მომეშვა, დერეფნიდან ფეხის ხმა რომ შემომესმა. მერე კარზეც დამიკაუჭნეს. შემოდით-მეთქი, გავძახე, მაშინვე შუქიც ავანთე, და ნარმოგიდგენიათ, კუპეში არავინ იყო.

მისის ჰაბარდმა ამ სიტყვებით არათუ კვანძის გახსნა, არამედ დრამატული კულმინაციის მიღწევა სცადა.

— შემდეგ რა მოხდა, მადამ?

— ეს ამბავი გამყოლსაც მოვუყევი, მაგრამ აშკარად არ დამიჯერა. ალბათ, იფიქრა, დაესიზმრაო. სანოლის ქვეშ-აც შევახედე, მაგრამ მითხრა, მანდ იმდენი ადგილიც კი არ არის, რომ კაცი სანახევროდ მაინც დაიმალოსო; ცხადია, ის ვიღაც გაიქცა, მაგრამ გამყოლმა დამშვიდება რომ დამინ-ყო, ნერვები მომეშალა. მე ის ქალი არ ვარ, რომ რაღაცები მოვიგონო, მისტერ... უკაცრავად, თქვენი სახელი არ ვიცი.

— ჰუარო, მადამ. ეს კი მესიე ბუკია, კომპანიის დირექ-ტორი, ხოლო ეს ბატონი — ექიმი კონსტანტინია.

მისის ჰაბარდმა სამივე მამაკაცის მისამართით ჩაიბურ-ტყუნა:

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, — და ლაპარაკის საღერღელაშლილმა განაგრძო. — არა, არ გეგონოთ, თით-ქოს ვამტკიცებდე, ყველაფერში მალევე გავერკვიე-მეთქი. ჯერ მეგონა, გვერდითა კუპედან მეზობელი კაცი შემოვი-და-მეთქი, აი ის, საცოდავი, რომელიც მოუკლავთ. გამყოლს ისიც კი ვუთხარი, კუპეებს შორის კარი შეამონმეთ-მეთქი. ჩაკეტილი არ აღმოჩნდა. ამიტომ საგულდაგულოდ ჩავაკე-

ტვინე და რომ გავიდა, დიდი ჩემოდანი მივადგი, უფრო უსა-  
ფრთხოდ რომ მეგრძნო თავი.

- ეს ყველაფერი რომელ საათზე მოხდა, მისის ჰაბარდ?
  - იცით, დაზუსტებით ვერ გეტყვით. საათისთვის არც  
დამიხედავს, ისეთი აფორისქებული გახლდით.
  - რით შეგიძლიათ ეს ყველაფერი ახსნათ?
  - რა ვიცი, მე მგონი, ისედაც დღესავით ნათელია ყვე-  
ლაფერი. მეტი რა ახსნა გინდათ, ჩემს კუპეში მკვლელი იმ-  
ყოფებოდა. აბა, სხვა ვინ იქნებოდა?
  - გგონიათ, მეზობელ კუპეში შებრუნდა?
  - აბა, ეს საიდან მეცოდინება? თვალები ხომ დახუჭული  
მქონდა.
  - იქნებ, მთავარი კარით დერეფანში გავიდა?
  - ვერ გეტყვით. თვალები დახუჭული მქონდა-მეთქი,
  - მისის ჰაბარდმა აღელვებულმა ამოიოხრა. — მადლობა  
ღმერთს, გადავრჩი! ეს რომ ჩემმა ქალიშვილმა იცოდეს...
  - არ ფიქრობთ, ქალბატონო, ის ხმები, თქვენ რომ შემო-  
გესმათ, მეზობელი კუპედან გამოდიოდა?
  - არა, არ მგონია, მისტერ... რა გქვიათ... პუარო. მამაკა-  
ცი სწორედ ჩემს კუპეში იმყოფებოდა. და რაც მთავარია, მე  
ამის მტკიცებულება მაქვს.
- მისის ჰაბარდმა საზეიმოდ აიღო დიდი ჩანთა და შიგ ქექ-  
ვა დაიწყო.
- ჩანთიდან ორი ცალი დიდი, სუფთა ცხვირსახოცი ამოი-  
ლო, რქისჩარჩოიანი სათვალე, ასპირინის ფლაკონი, გლაუ-  
ბერის მარილის ჰაკეტი, პიტნის სანელებლის ლიამნვანე  
ფერის ცელულოიდის ჰარჯი, გასაღებების აცმა, მაკრატე-  
ლი, „ამერიქან ექსპრესის“ ჩეკების წიგნაკი, ძალიან უშნო  
ბავშვის ფოტო, რაღაც წერილები, ფრესკდოალმოსავლური  
სტილის ხუთი მძივი და ლითონის ჰატარა ნივთი, რომელიც  
ღილი აღმოჩნდა.
- ხედავთ ამ ღილს? ჩემი არ არის. ასეთი ღილი ჩემსას  
არაფერს აკერია. ამ ღილით ვიპოვე, რომ ავდექი.

როდესაც ქალმა მაგიდაზე ლილი დადო, მესიე ბუკმა ახლოდან დახედა და წამოიძახა:

— ეს ხომ საძილე ვაგონის გამყოლის ლილია!

— ამას შეიძლება ბუნებრივი ახსნა მოვუძებნოთ, — თქვა პუარომ.

ქალბატონს თავაზიანად მიუბრუნდა.

— ეს ლილი შეიძლება გამყოლის ფორმას წუხელ ასწყდა, როცა საწოლქვეშ შეიხედა ან როცა ლოგინს გიშლიდათ.

— ვერ გავიგე, რა დაგემართათ, ხალხო? გამოდის, კამა-თის მეტი არაფერი გინდათ. კარგად მისმინეთ. წუხელ, და-ძინებამდე, უურნალს ვკითხულობდი. სანამ შუქს ჩავაქრობდი, უურნალი ფანჯარასთან დადგმულ პატარა ჩემოდანზე დავდე. გესმით, რას ვამბობ?

მამაკაცებმა დაარწმუნეს, გვესმისო.

— ჰოდა, ძალიან კარგი. გამყოლმა ჯერ საწოლის ქვეშ შეიხედა, მერე კი ადგა და კუპეებს შორის კარი ჩაკეტა, მაგრამ ფანჯარასთან არც მისულა. ამ დილით კი ეს ლილი სწორედ უურნალზე აღმოვაჩინე. აბა, ახლა რაღას იტყვით, ძალიან მაინტერესებს?

— სამხილია-მეთქი, ამას ვიტყვი, ქალბატონო, — უპა-სუხა პუარომ.

პასუხმა ლედი დააკმაყოფილა.

— ვცოფდები, როცა არ მიჯერებენ, — აუხსნა დამსწრეთ ამერიკელმა ლედიმ.

— ეგზომ მნიშვნელოვანი და საინტერესო ჩვენება ჯერ არავის მოუცია ჩვენთვის, — დამამშვიდებლად უთხრა პუა-რომ. — ახლა კი შემიძლია, რამდენიმე კითხვა დაგისვათ?

— დიახ, რასაკვირველია.

— როგორ მოხდა, რომ კუპეებს შორის გამავალი კარი არ ჩაკეტეთ, როცა ისედაც გეშინოდათ მისტერ რეთჩეთის?

— ჩავკეტე კიდეც, — მყისიერად მიუგო მისის ჰაბარდმა.

— ჩაკეტეთ?

— მართალია, თავად არ მინახავს, მაგრამ შვედ ქალბა-ტონს ვკითხე, უსათნოეს პიროვნებას, დაკეტილიათუ არა-მე-თქი და მან მითხრა, დაკეტილიაო.

- კი მაგრამ, თავად რატომ ვერ დაინახეთ?
- უკვე ვიწექი, კარის სახელურზე კი ჩემი საპაზანო ჩანთა ეკიდა და არ ჩანდა.
- რომელ საათზე დაუსვით ეს შეკითხვა შვედ ქალბატონს?

— დამაცადეთ, დავფიქრდე... ათი საათი და ოცდაათი ან ორმოცდახუთი წუთი იქნებოდა. შვედმა ქალბატონმა ერთი წუთით შემომიარა, ასპირინი მთხოვა. ვუთხარი, სადაც მედო და ამოილო.

- თქვენ უკვე იწექით, ხომ?
- დიახ.

უეცრად სიცილი აუვარდა.

- საწყალი ქალი, ისე იყო აფორიაქებული. წარმოიდგინეთ, შემთხვევით გვერდითა კუპეს კარი შეულია.

- მისტერ რეთჩეთის?

— დიახ. იცით, რა ძნელია, როდესაც ვაგონის დერეფანში მიდიხარ და ყველა კარი დახურულია. შეცდომით მისი კარი შეულია. ქალს ლამის გული გაუსკდა. იმას კი სიცილი აუტეხავს მის დანახვაზე და როგორც ვხვდები, რაღაც უხამსობაც უთქვამს. საწყალი ქალი, ლამის გაგიუდა. როგორ შემეშალაო, ლულლულებდა, ასე სამარცხვინოდ როგორ შემეშალაო. მე კი მითხრა, რა უსიამოვნო კაციაო, ასე უთქვამს, ჩემთვის შენ ბებერიო, — შვედი ქალბატონივით დაამახინჯა ინგლისური ამერიკელმა ლედიმ.

ექიმმა კონსტანტინმა ჩაიხითხითა და მისის ჰაბარდმა ყინულივით ცივი მზერა ესროლა.

— არ იყო დახვეწილი და ზრდილი მამაკაცი, — თქვა წყრომით, — თორემ ლედის ასეთ რამეს როგორ ეჭყოდა. და ეს სულაც არ არის სასაცილო.

ექიმმა კონსტანტინმა მაშინვე მოუბოდიშა.

— ამის მერე მისტერ რეთჩეთის კუპედან ხმაური მოგესმათ? — ჰკითხა ჰუარომ.

— მთლად ასეც არა...

— რას ჰქვია, მთლად ასეც არა, მადამ?

- იცით... — ქალი შეყოვნდა. — ხვრინავდა.
- ოჟ! მაშ, ხვრინავდა?
- საშინლად. წინა ლამით ძილიც კი გამიკრთო.
- მას მერე, რაც თქვენს კუპეში ვიღაცამ შეგაშინათ, მისი ხვრინვა აღარ გაგიგიათ?
- როგორ გავიგონებდი, მისტერ პუარო, ის ხომ უკვე მკვდარი იყო?
- ჰო, მართლაც. — თქვა შემცბარმა პუარომ.
- არმსთრონგების გოგონას გატაცების საქმე გახსოვთ, მისის ჰაბარდ?
- ჰკითხა ქალს.
- დიახ, რასაკვირველია. როგორ დააღწია იმ ნადირმა მართლმსაჯულებას თავი. ერთი, ხელში ჩამვარდნოდა.
- არ დაუღწევია. მკვდარია. წუხელ მოკლეს.
- ანუ, გინდათ თქვათ, რომ... — აღელვებული მისის ჰაბარდი ნახევრად წამოიწია სკამიდან.
- დიახ, სწორედ ამის თქმა მინდა. ის კაცი რეთჩეთი იყო.
- უყურე შენ! ვინ იფიქრებდა?! აუცილებლად უნდა მივწერო ჩემს ქალიშვილს. წუხელ ხომ გითხარით, ამ კაცს ბოროტი სახე აქვს-მეთქი? აი, ხომ ხედავთ, მართალი აღმოვჩნდი. ჩემი ქალიშვილი სულ ამბობს, დედაჩემმა თუ ვინმეს ეჭვით შეხედა, შეგიძლიათ, სანაძლეოდ ბოლო დოლარიც კი დადოთო.
- არმსთრონგების ოჯახიდან ვინმეს ხომ არ იცნობდით, მისის ჰაბარდ?
- არა, მხოლოდ ვიწრო წრეში ტრიალებდნენო, გამიგია. თუმცა ისიც მსმენია, რომ მისის არმსთრონგი საყვარელი ქალი ყოფილა და ქმარიც აღმერთებდა თურმე.
- კეთილი, მისის ჰაბარდ, საკმაოზე მეტადაც კი დაგვეხმარეთ. იქნებ თქვენი სრული სახელიც მითხრათ?
- რატომაც არა: ქეროლაინ მართა ჰაბარდი.
- თქვენს მისამართსაც ხომ ვერ დამინერდით?
- მისის ჰაბარდმა ისე დაწერა მისამართი, რომ ენა არ გაუჩერებია.
- ვერაფერი გამიგია. კასეტი ამ მატარებელში როგორ

მოხვედა? არადა, კი მაუჭვებდა ეგ კაცი, გახსოვთ, ბატონი  
პუარო?

— დიახ, ცხადია, მადამ. ჰო მართლა, მენამული ან ალის-  
ფერი აბრეშუმის ხალათი ხომ არ გაქვთ?

— მომიტევეთ, მაგრამ რა სასაცილო კითხვაა. ორი  
ხალათი მაქვს: ვარდისფერი ფლანელის, სამგზავროდ ძა-  
ლიან მოსახერხებელია და მეორე ჩემი ქალიშვილის ნაჩუქა-  
რი — მოწითალო ფერის აბრეშუმი, აღმოსავლურ სტილში.  
გევედრებით, ნუ დამიმალავთ, რაში დაგაინტერესათ ჩემმა  
ხალათებმა?

— იცით, რა ხდება, მადამ, მისტერ რეთჩეთის ან თქვენს  
კუპეში წუხელ ვიღაც შევიდა მენამული ფერის კიმონოთი.  
როგორც თქვენ პრძანეთ წელან, მართლაც ძალზე რთუ-  
ლია, განსაზღვრო, ვის რომელი კუპე ეკუთვნის, როდესაც  
ყველა კარი დახურულია დერეფანში.

— ჩემს კუპეში მენამულკიმონიანი არავინ შემოსულა.

— მაშინ, მისტერ რეთჩეთის კუპეში შესულა.

მისის ჰაბარდმა ტუჩები მოპრუნა და კუშტად თქვა:

— არც მიკვირს.

პუარო წინ გადმოიხარა.

— გვერდითა კუპედან ქალის ხმა ხომ არ გავიგონიათ?

— არ ვიცი, როგორც მიხვდით ამას, მისტერ პუარო, მა-  
გრამ... მართალი გითხრათ, გავიგონე.

— მაგრამ წელან რომ გკითხეთ, მეზობელი კუპედან რა  
გაიგონეთ-მეთქი, თქვენ მიპასუხეთ, მხოლოდ ხვრინვაო.

— არც მომიტყუებიხართ. ჯერ მისი ხვრინვა ისმოდა.  
მერე კი... — მისის ჰაბარდმა დაირცხვინა. — მესმის, არც  
დამალვა ივარგებს, მაგრამ სათქმელადაც ძნელია.

— რომელი საათი იქნებოდა, როდესაც ქალის ხმა გაი-  
გონეთ?

— ვერ გეტყვით. ერთ წუთს გამეღვიძა და ქალის საუბა-  
რი მომესმა, მივხვდი, რომ გვერდითა კუპედან იყო. ვხვდე-  
ბოდი, რა ჩიტიც პრძანდებოდა ეგ ბატონი და არც გამკირ-  
ვებია. მერე ისევ ჩამეძინა. დარწმუნებული ვარ, სამი უცხო

მამაკაცის თანდასწრებით მსგავსს ვერაფერს ვიტყოდი, თქვენ რომ არ ჩამძიებოდით.

— ეს მანამდე მოხდა, ვიდრე უცხო კაცი შეგაშინებდათ თქვენს კუპეში თუ შემდეგ?

— წელანდელივით მოგდით, ბატონო! როგორლა დაელა-პარაკებოდა იმ ქალს, თუ უკვე მკვდარი იყო?

— მომიტევეთ. ალბათ, ძალიან სულელი გვინდივართ, არა, მადამ?

— ალბათ, თქვენც მოგდით შეცდომა ხანდახან. მაგრამ მაინც ვერ მოვსულვარ გონს, როგორ მოხდა, რომ ეს არამზადა კასეტი ამდენი ხანი ჩემ გვერდით იმყოფებოდა. რას იტყვის ჩემი ქალიშვილი.

პუარომ მარჯვედ შეაშველა ხელი კეთილ ქალბატონს, რომ ჩანთაში უკანვე ჩაედო ყველაფერი, რაც ამოალაგა, და კარისკენ გააცილა.

გასვლისას მისის ჰაბარდს უთხრა:

— ცხვირსახოცი დაგივარდათ, მადამ.

მისის ჰაბარდმა ბატისტის ჰატარა ნაჭერს დახედა.

— ჩემი არ არის, მისტერ პუარო. ჩემი თან მაქვს.

— უკაცრავად. ვიფიქრე, რაკი ინიციალად მთავრული „H“ აქვს, მისის ჰაბარდის იქნება-მეთქი.

— კურიოზული დამთხვევაა, მაგრამ ჩემი არ გახლავთ. ჩემსას C.M.H. ანერია. ეს პრაქტიკული ცხვირსახოცებია და არა ჰარიზული მოდური მეტიჩობა. ის რა ცხვირსახოცია, რომლითაც ცხვირსაც კი ვერ მოიწმენდ?

სამიდან არც ერთ მამაკაცს ამ კითხვაზე ჰასუხი არ აღმოაჩნდა და მისის ჰაბარდი გამარჯვებულის სახით გავიდა ვაგონიდან.

## 5. შვერი ქადაგონის ჩვენება

მესიე ბუკი მისის ჰებარდის მიერ დატოვებულ ღილა  
ხელში ატრიალებდა.

— ამ ღილის ვერაფერი გავიგე. ნუთუ პიერ მიშელია რა-  
მეში ჩარეული? — იკითხა მან. წუთიერად შეყოვნდა და რა-  
კი პუარომ არაფერი უპასუხა, ისევ თვითონ განაგრძო. —  
რას იტყვით, აბა, მეგობარო?

— ეს ღილი სხვადასხვა ვარაუდის შესაძლებლობას იძლე-  
ვა, — დაფიქრებით უპასუხა პუარომ. — მაგრამ მოდით,  
სანამ ამ სამხილზე დავიწყებდეთ მსჯელობას, ჯერ შვედი  
ქალბატონი დავკითხოთ.

წინ დახვავებულ პასპორტებში საჭირო მოძებნა.

— აჲა! აი, ისიც. გრეტა ოლსონი, ორმოცდაცხრა წლის.

მესიე ბუკმა მიმტანს დავალება მისცა და მან რამდენიმე  
წამში შუახნის ჭალარაშერეული ქერათმიანი ქალი შემოიყ-  
ვანა. მოგრძო კეთილი სახე ცხვარს მიუგავდა. სათვალიდან  
ახლომხედველი თვალებით პუაროს მიშტერებოდა, თუმცა  
სრულიად მშვიდად გამოიყურებოდა.

როგორც გაირკვა, ფრანგული იცოდა, ამიტომაც ფრან-  
გულად დაიწყეს საუბარი. პუარომ ჯერ ის კითხვები დაუს-  
ვა, რომლებზეც პასუხები ისედაც იცოდა: სახელი, ასაკი,  
მისამართი. მერე სამსახურის შესახებ ჰკითხა.

სტამბოლთან ახლოს მისიონერულ სკოლაში სამეურნეო  
ნაწილს განაგებდა. მედდის კურსები ჰქონიდა გავლილი.

— ალბათ, უკვე გეცოდინებათ, რა ამბავიც დატრიალდა  
წუხელ, მადმუაზელ?

— დიახ, საშინელება მოხდა. ამერიკელი ლედი ამბობს,  
მკვლელი ჩემს კუპეში იყოო.

— როგორც ვიცი, მადმუაზელ, თქვენ უკანასკნელმა  
ნახეთ ცოცხალი მისტერ რეთჩეთი.

— არ ვიცი. შესაძლოა. მისი კუპეს კარი შემთხვევით შე-  
ვალე. როგორ შევრცხვი. ასეთი რამ როგორ მომივიდა.

- შეხედეთ მას?
- დიახ. წიგნს კითხულობდა. მაშინვე ბოლომში მოვუხადე და კარი გამოვიხურე.
- რამე გითხრათ?
- ლირსეულ ქალბატონს სახეზე ალმური აუვიდა.
- გაიცინა და რაღაც მითხრა. წესიერად ვერც კი გავიგე.
- ამის მერე რა ქენით, მადმუაზელ? — ჰერიტაჟის მუზეუმში და უხერხულ თემას ტაქტიანად აარიდა თავი.
- ამერიკელ ლედისთან, მისის ჰაბარდთან, შევედი. ასპირინი გამოვართვი.
- მან გკითხათ ხომ, ჩემსა და მისტერ რეთჩეთის კუპებს შორის გამავალი კარი დაკეტილია თუ არა?
- დიახ.
- დაკეტილი იყო?
- დიახ.
- მერე?
- მერე ჩემს კუპეში დავბრუნდი, ასპირინი დავლიერ და დავწექი.
- რომელი საათი იქნებოდა?
- როდესაც დავწექი, თერთმეტს ხუთი აკლდა. ზუსტად მახსოვს, რადგან საათს დავხედე, რომ დამექოქა.
- მალევე ჩაგეძინათ?
- არც მთლად. თავის ტკივილმა გამიარა, მაგრამ კარგა ხანს ვერ დავიძინე.
- მატარებელი რომ გაჩერდა, გაიგეთ თუ უკვე გეძინათ?
- არ მგონია. სწორედ ჩაძინების დროს გავჩერდით რომელილაც სადგურში.
- ალბათ, ვინკოვცის გულისხმობთ. ეს თქვენი კუპეა, მადმუაზელ? — გეგმაზე მიანიშნა.
- დიახ, ეს არის.
- ზედა საწოლი გიკავიათ თუ ქვედა?
- ქვედა, ნომერი 10.
- თანამგზავრი გყავთ?

- ახალგაზრდა ინგლისელი ლედი. ძალიან სათნო და სასიამოვნო ქალიშვილია. ბაღდადიდან მოდის.
- მას მერე, რაც მატარებელი ვინკოვციდან გამოვიდა, კუპე თუ დატოვა?
- არა, დარწმუნებული ვარ, არ დაუტოვებია.
- რატომ ხართ დარწმუნებული, თუკი გეძინათ?
- ძალიან ფხიზელი ძილი მაქვს. ოდნავ ხმაურზეც კი მეღვიძება. დარწმუნებული ვარ, ზედა საწოლიდან რომ ჩა-მოსულიყო, აუცილებლად გავიგებდი.
- თქვენ თუ გახვედით კუპედან?
- ამ დილამდე არ გამოვსულვარ.
- მენამული ან ალისფერი კიმონო ხომ არ გაქვთ, მად-მუაზელ?
- არა. ძალიან კომფორტული ტრიკოტაჟის ხალათი მაქვს და კიმონო რაღად მინდა.
- იმ ლედის, მის დებენჰემს? მისი ხალათის ფერი თუ იცით?
- მკრთალი უოლოსფერი, აღმოსავლეთში რომ იყიდება ხოლმე.
- პუარომ თავი დაუკრა. მერე მეგობრული ტონით ჰქითხა:
- ახლა შვებულება გაქვთ?
- დიახ, მინდა, შვებულება შინ გავატარო. მაგრამ მანამ-დე ლოზანაში ვაპირებ ჩასვლას, ჩემს დასთან, ერთი-ორი კვირა დავრჩები, ალბათ.
- თუ არ დამზარდებით და პატივს დამდებთ, იქნებ თქვე-ნი დის სახელი და მისამართი დამინეროთ?
- სიამოვნებით.
- პუაროს მიერ მინოდებული საწერ-კალმით დის გვარ-სახელი და მისამართი დაწერა.
- ამერიკაში ნამყოფი ხართ, მადმუაზელ?
- არა. ერთხელ ვაპირებდი, ინვალიდ ლედის უნდა გა-ვყოლოდი, მაგრამ გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე გეგ-მა ჩაიშალა. ძალიან დამწყდა გული. ამერიკელები კეთილი ხალხია. სკოლების და საავადმყოფოების დასაფინანსებლად ფულს არ იშურებენ. თან პრაქტიკულებიც არიან.

— არმსთრონგების გოგონას გატაცების ამბავი გსმენიათ?  
— არა, რა ამბავი?

პუარომ აუხსნა.

გრეტა ოლსონი აღმტოოთდა. მღელვარებისგან კეფაზე შეკრული თმაც კი შეერხა.

— როგორ იტევს ქვეყნიერება ასეთ ბოროტ ხალხს. ყველაფრის რწმენას დაუკარგავენ ადამიანს. საცოდავი დედამისი, როგორ გაუძლებდა ამხელა დარდს. ლამის გული გამისკდეს, ისე მეცოდება.

სასიამოვნო შვედი ქალბატონი გავიდა, კეთილი სახე გასწითლებოდა და თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი.

პუარო საქმიანად წერდა ქალალდის ფურცელზე.

— რას წერთ, მეგობარო? — ჰკითხა მესიე ბუკმა.

— მეგობარო, ჩვევად მაქვს ყველაფრის დაფიქსირება. ჩვენებების პატარა ქრონოლოგიურ ცხრილს ვადგენ.

წერას რომ მორჩა, ფურცელი მესიე ბუკს გაუნიდა.

\* \* \*

09:15-ზე მატარებელი ბელგრადიდან გამოვიდა.

დაახლოებით 09:40-ზე მსახურმა მაგიდაზე ძილის წამალი დატოვა და რეთჩეთის კუპედან გამოვიდა.

დაახლოებით 10:00-ზე მაქქუინი რეთჩეთის კუპედან გამოვიდა.

დაახლოებით 10:40-ზე გრეტა ოლსონი ხედავს რეთჩეთს (ცოცხალი უკანასკნელად ნახეს). N.B. რეთჩეთს ელვიძა და ნიგნს კითხულობდა.

00:00-ზე მატარებელი ვინკოვციდან გამოვიდა (დაგვიანებით).

00:30-ზე მატარებელი ნამქერში მოჰყვა.

00:37-ზე რეთჩეთმა ზარი დარეკა. გამყოლი მივიდა. რეთჩეთმა უთხრა: Ce n'est rien. Je me suis trompé.

დაახლოებით 01:17-ზე მისის ჰაბარდს ეგონა, რომ მის კუპეში მამაკაცი იყო. გამოიძახა გამყოლი.

მესიე ბუკმა მოწონების ნიშნად დააქნია თავი.

— ყველაფერი გასაგებია, — თქვა მან.

— არათერი გეჩვენებათ საეჭვოდ ან უცნაურად?

— არა, ყველათერი სრულიად მკაფიო და გასაგებია. ეს მონმობს, რომ დანაშაული 01:15-ზე მოხდა. საათზე ასახული დრო და მისის ჰაბარდის ჩვენებაც იკმარებს ამ ვერსიის გასამყარებლად. თამამად შემიძლია მკვლელთან დაკავშირებითაც გამოვთქვა ვარაუდი. მე მგონი, მეგობარო, ეს ჩასკვნილი იტალიელია. ამერიკიდანაა, თანაც ჩიკაგოდან, ისიც გაითვალისწინეთ, რომ იტალიელებს დანის ხმარება უყვართ, ეშვში შესულები კი ერთ დარტყმას არ სჯერდებიან.

— მართალია.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ სწორედ ამით შეიძლება საიდუმლოს ამოხსნა. ის და რეთჩეთი ბავშვის გატაცების საქმეში ერთად მონაწილეობდნენ. კასეტიც იტალიური გვარია. ეტყობა, რეთჩეთმა, როგორც იტყვიან, რაღაცაში გააცურა. იტალიელიც ჯერ კვალში ჩაუდგა, მიაგნო, მერე წერილების სახით შეტყობინებაც გაუგზავნა და ბოლოს პირადად იძია შური ამ ველური მეთოდით. სრულიად მარტივადაა საქმე.

პუარომ ეჭვიანად გადააქნია თავი.

— მართლა ასე მარტივად რომ იყოს საქმე... — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— პირადად მე სრულიად დარწმუნებული ვარ, — თქვა მესიე ბუკმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ ჩამორაკრაკებული თეორია სულ უფრო და უფრო მოსწონდა.

— და მიცვალებულის მსახურზე რას იტყვით, რომელიც თავს დებს, იტალიელს კუპედან ფეხი არ მოუცვლიაო?

— გამოცანაც ეს არის.

პუაროს თვალებში დამცინავი მზერა გაუკრთა.

— დიახ, დასანანია. თქვენი თეორიის საუბედუროდ და იტალიელის საბედნიეროდ, რეთჩეთის მსახურს კბილი სტკიოდა.

— ამას ახსნა მოეძებნება, — ასპროცენტიანი დარწმუნებით წარმოთქვა მესიე ბუკმა.

პუარომ ისევ გაიქნია თავი.

— მართლა ასე მარტივად რომ იყოს საქმე... — გაიმეორა პუარომ.

## 6. ჩუსი თავაღის ქაღის ჩვენება

— მოდი, გავიგოთ, რას იტყვის ამ ლილთან დაკავშირებით პიერ მიშელი, — თქვა პუარომ.

საძილე ვაგონის გამყოლი დაიბარეს. მან კითხვით ალსავსე მზერით შეხედა პუაროსა და მის კომპანიონებს.

მესიე ბუკმა ჩაახველა.

— მიშელ, — მიმართა შემოსულს, — აი, თქვენი ფორმიდან აწყვეტილი ლილი. ამერიკელი ლედის კუპეში ვიპოვეთ. რას იტყვით ამის შესახებ, იქ საიდან მოხვდა?

გამყოლმა ხელი ავტომატურად ფორმის პიჯაკისკენ წაიღო.

— მე რომ ლილი არ დამიკარგავს, მესიე... — თქვა მშვიდად. — ალბათ, რაღაც შეცდომაა.

— ძალიან უცნაურია.

— ვერაფერს მოგახსენებთ, მესიე, — გამყოლი გაკვირვებული ჩანდა, ოლონდ არც დაბნეული იყო და არც დამნაშავესავით გამოიყურებოდა.

მესიე ბუკმა მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

— შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ეს ლილი მას მოსწყდა, ვინც ნუხელ მისის ჰაბარდის კუპეში იმყოფებოდა, როდესაც მან ზარი დარეკა.

— ჰო, მაგრამ, მესიე, იქ არავინ დამხვდა. ლედის ალბათ მოეჩვენა.

— არ მოსჩვენებია, მიშელ. მისტერ რეთჩეთის მკვლელმა სწორედ ეს გზა გაიარა და ლილიც მოსწყდა.

როგორც კი მესიე ბუკის მიერ ნათქვამის მნიშვნელობას ჩასწოდა, პიერ მიშელს თავზარი დაეცა.

— ტყუილია, მესიე, ტყუილი! — დაიყვირა აფორიაქებულმა. — დანაშაულს მაბრალებთ! მე უდანაშაულო ვარ. სრულიად უდანაშაულო! რატომ უნდა მომეკლა ვიღაც მესიე, რომელიც მანამდე არც კი მინახავს?

— სად იყავით, როდესაც მისის ჰაბარდის ზარი დაირეკა?

— უკვე მოგახსენეთ, მესიე, მეზობელ ვაგონში, ჩემს კოლეგას ველაპარაკებოდი.

— მასაც მოვიყვანთ.

— მოიყვანეთ, მესიე. გემუდარებით, მოიყვანეთ.

მეზობელი ვაგონის გამყოლი გამოიძახეს. მან მყისვე დაადასტურა პიერ მიშელის ნათქვამი. ისიც დაამატა, ბუდაპეშტის ვაგონის გამყოლიც იქვე იყოო. სამივე ნამქერის შესახებ ვსაუბრობდითო. ათიოდე წუთი ულაპარაკიათ, როდესაც მიშელს უთქვამს, მგონი, ვიღაც ზარს რეკავსო. როდესაც ვაგონების დამაკავშირებელი კარი გააღო, ყველამ გაიგონა უწყვეტი წერიალი. მიშელი აჩქარებით გაიქცა ზარის ხმაზეო, დასძინა მისმა კოლეგამ.

— როგორც ხედავთ, მესიე, მე დამნაშავე არ ვარ, — იყვირა გალიზიანებულმა მიშელმა.

— ამ ლილის ამბავს როგორ აგვიხსნით?

— ვერანაირად, მესიე. ჩემთვის გამოცანის ტოლფასია, ჩემი ყველა ლილი ადგილზეა.

ორივე დანარჩენმა გამყოლმა განაცხადა, არც ერთი ლილი არ აგვწყვეტია, მისის ჰაბარდის კუპეში კი ფეხიც არ შეგვიდგამსო.

— დამშვიდდით, მიშელ, — უთხრა მესიე ბუკმა. — მოდით, ის სცენა წარმოვიდგინოთ, როდესაც მისის ჰაბარდის ზარის ხმა მოგესმათ. დერეფანში ვინმეს ხომ არ გადასწყდომიხართ?

— არა, მესიე.

— დერეფნის ბოლოშიც არავისთვის მოგიკრავთ თვალი?

— ისევ და ისევ არა, მესიე.

— უცნაურია, — თქვა მესიე ბუკმა.

— არც ისე, — შეედავა პუარო. — ეს დროის საკითხია. მისის ჰაბარდმა გაიღვიძა და ვიღაც დალანდა, მერე რამდენიმე წუთს თვალდახუჭული გაუნძრევლად იწვა. შესაძლოა, სწორედ ამ დროს გაძვრა ის ვიღაც კუპედან და ლედიმაც მერე დარეკა ზარი. მაგრამ გამყოლი მაშინვე არ მისულა.

მხოლოდ მესამე თუ მეოთხე დაწერიალება გაიგონა. მე ვიტყოდი, სრულიად საკმარისი დრო იყო...

— საკმარისი რისთვის? რისთვის, mon cher? არ დაგავინყდეთ, რომ მატარებლის გარშემო თოვლის სქელი ნამქერია.

— ჩვენს იდუმალ მკვლელს ორი გზა ჰქონდა, — ნელა უპასუხა პუარომ. — შეეძლო, ტუალეტში ან რომელიმე კუპეში შემალულიყო.

— მაგრამ ყველა დაკავებული იყო.

— დიახ.

— საკუთარ კუპეში შეპარვას გულისხმობთ?

პუარომ თავი დაუკრა.

— სრულიად დასაშვებია, — ჩაიბურტყნა მესიე ბუკმა.

— მთელი ათი წუთის განმავლობაში გამყოლი არ გამოჩენილა და მკვლელს რაღა დაუდგებოდა წინ, რომ თავისი კუპედან გამოსულიყო, მისტერ რეთჩეთის კუპეში შეეღწია, მოეკლა, კარი შიგნიდან ჩაეკეტა, მისის ჰაბარდის კუპეში გადასულიყო და გამყოლის გამოჩენამდე მშვიდად დაბრუნებულიყო თავის კუპეში.

— ეგ არც ისე იოლია, მეგობარო, — ხმადაბლა უთხრა პუარომ. — ჩვენი მეგობარი ექიმიც იმავეს გეტყვით.

მესიე ბუკმა სამივე გამყოლს ანიშნა, დაგვტოვეთო.

— კიდევ რვა მგზავრი გვყავს დასაკითხი, — თქვა პუარომ. — ხუთი პირველი კლასით მგზავრობს — თავადის ქალი დრაგომიროვა, გრაფი და გრაფინია ანდრენები, პოლკოვნიკი არბეთნოთი და მისტერ ჰარდმენი. სამიც მეორე კლასის მგზავრია — მის დებენჟემი, ანტონიო ფოსკარელი და თავადის ქალის მოახლე ფროლაინ შმიდტი.

— პირველი ვინ მოვიყვანოთ, იტალიელი?

— ეს იტალიელი რაღაც თვალში არ მოგდით. არა, ხის წვერიდან დავიწყოთ, როგორც იტყვიან. იქნებ თავადის ქალმა მოილოს მოწყალება და რამე გაგვიმხილოს წუხანდელი ღამის შესახებ. მიშელ, სთხოვეთ, რომ მობრძანდეს.

— Oui, Monsieur, — თქვა გამყოლმა გასვლისას.

— გადაეცით, თუკი აქ მოსვლას არ ინებებს, მაშინ ჩვენ მივაკითხავთ კუპეში, — სიტყვა დააწია მესიე ბუკმა.

მაგრამ თავადის ქალმა თავის კუპეში მიღება არ ისურვა და ვაგონ-რესტორანში გამოცხადდა. თავი გვერდზე გადახარა ოდნავ და პუაროს პირდაპირ დაჯდა.

გომბეშოს მსგავსი სახე გუშინდელთან შედარებით უფრო მეტად გაყვითლებოდა. მართლაც შეუხედავი იყო და გომბეშოსავით თვალები უბზინავდა — შავი და მბრძანებლური თვალები ერთდროულად ფარულ ენერგიასა და ინტელექტუალურ ძალას ასხივებდა.

ხმა დაბალი და უხეში ჰქონდა, მეტყველება — დახვეწილი.

მესიე ბუკს შეაწყვეტინა სიტყვა, როცა ის მობოდიშებას ცდილობდა:

— საბოდიშო არაფერი გაქვთ, ბატონებო. ვიცი, რომ მკვლელობა მოხდა. ბუნებრივია, რომ ყველა მგზავრი უნდა დაჰკითხოთ. ჩემი მხრივ, მოხარულიც კი ვიქნები, თუკი რამით დაგეხმარებით.

— ყველაზე თავაზიანი ქალბატონი ბრძანდებით, — ქათინაური არ დაიშურა პუარომ.

— რას ბრძანებთ, ეს ყველას მოვალეობაა. რისი გაგება გნებავთ?

— თქვენი სრული სახელისა და მისამართის, მადამ. იქნებ თავად დაგვინეროთ?

პუარომ საწერ-კალამი შესთავაზა ქალბატონს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელის აქნევით უარი თქვა.

— შეგიძლიათ, თქვენ დაწეროთ, — უთხრა მშვიდად. — რთული არაფერია. ნატალია დრაგომიროვა, კლებერის ავენიუ 17, პარიზი.

— კონსტანტინოპოლიდან შინ მიემგზავრებით, მადამ?

— დიახ. ავსტრიის საელჩოში ვიყავი გაჩერებული. მოახლეც მახლავს.

— თუ არ დამზარდებით, იქნებ გვითხრათ, წუხელ ვახშის მერე რას აკეთებდით.

— სიამოვნებით. ჯერ კიდევ ვახშმობისას გამყოლს და-

ვავალე, საწოლი გაეშალა ჩემთვის. ნავახშმევს კი პირდაპირ დასაწოლად წავედი, ასე, თერთმეტ საათამდე ვკითხულობდი, მერე შუქი გამოვრთე. სახსრები მტკიოდა და დაძინება გამიჭირდა საერთოდ, რევმატიზმი მანუხებს. პირველს რომ თხუთმეტი აკლდა, მოახლე ვიხმე ზარით. მასაუი გამიკეთა და მანამ მიკითხავდა წიგნს, სანამ ძილი არ მომერია. დაზუსტებით ვერ გეტყვით, როდის გავიდა ჩემგან. იქნებ, ნახევარი საათი დაჰყო, იქნებ — მეტიც.

- მერე მატარებელი გაჩერდა?
- უკვე გაჩერებული იყო.
- ამ დროს რამე უჩვეულო ხმები ხომ არ გაგიგონიათ, მადამ?
- უჩვეულო არაფერი.
- თქვენს მოახლეს რა ჰქვია?
- ჰილდეგარდ შმიდტი.
- დიდი ხანია თქვენთან მუშაობს?
- თხუთმეტი წელია.
- სანდო პიროვნებად მიგაჩნიათ?
- აბსოლუტურად. წარმოშობით ჩემი გარდაცვლილი მეუღლის მამულიდან არის, გერმანიდან.
- ამერიკაში, ალბათ, ნამყოფი იქნებით, მადამ?
- საუბრის საგნის ასეთმა უეცარმა ცვლილებამ მოხუც ქალბატონს წარბი ააწევინა.
- ბევრჯერ.
- არმსთრონგების ოჯახს ხომ არ იცნობდით შემთხვევით, აი, იმ არმსთრონგებზე მოგახსენებთ, დიდი ტრაგედია რომ დაატყდათ თავს?
- თქვენ ახლა ჩემს მეგობრებზე მეკითხებით, მესიე. — აღელვებული ხმით უპასუხა თავადის ქალმა.
- მაშ, პოლკოვნიკ არმსთრონგსაც იცნობდით?
- ძალიან ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ მისი მეუღლე სონია არმსთრონგი ჩემი ნათლული გახლდათ. დედამისის, მსახიობ ლინდა არდენის, მეგობარი ვიყავი. ლინდა გენიალური მსახიობი იყო, უნიჭიერესი ტრაგიკოსი მსახიობი.

ლედი მაქბეთის თუ მაგდას<sup>1</sup> როლში ბადალი არ ჰყავდა. არა მარტო მისი ხელოვნების დამფასებელი, არამედ მისი ახლო მეგობარიც ვიყავი.

— გარდაიცვალა?

— არა, ცოცხალია, მაგრამ სრულად განდეგილად ცხოვრობს. ძალიან სუსტი ჯანმრთელობა აქვს და თითქმის სულ წევს.

— მგონი, მეორე ქალიშვილიც ჰყავს, ხომ?

— დიახ, მისის არმსტრონგზე ბევრად უმცროსი.

— ცოცხალია?

— რასაკვირველია.

— სად ცხოვრობს?

ბებერმა ლედიმ მახვილი მზერა შეაგება პუაროს.

— ამ კითხვის დასმის მიზეზი უნდა გვითხოთ. ეს ყველა-ფერი მატარებელში მომხდართან რა კავშირშია?

— იმ კავშირშია, მადამ, რომ წუხელ მოკლული მამაკაცი არმსტრონგების გოგონას გატაცების მოთავე იყო.

— ოჟ!

დრაგომიროვამ წარპები შეჰყარა და ოდნავ წამოიწია.

— გამოდის, რომ ეს მკვლელობა მისასალმებელი ყოფილა. იმედია, ჩემს ამ მოსაზრებას მომიტევებთ.

— ბუნებრივია, მადამ. მესმის თქვენი. ახლა კი იმ კითხვას დავუბრუნდეთ, რომელზეც არ მიპასუხეთ. სად იმყოფება ახლა ლინდა არდენის უმცროსი ქალიშვილი, მისის არმსტრონგის და?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, მესიე. ახალგაზრდა თაობასთან კავშირი დაკარგული მაქვს. როგორც მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ერთ ინგლისელ ჯენტლმენს გაჰყვა ცოლად და ინგლისში ცხოვრობენ, მაგრამ იმ ბატონის გვარი არ მახსოვს.

წამიერად შეყოვნდა, მერე იკითხა:

— კიდევ გაინტერესებთ რამე, ჯენტლმენებო?

<sup>1</sup> მაგდა — ჰაუპტმანის პიესის „ჩაძირული ზარის“ მთავარი პერსონაჟი.

— დიახ, მხოლოდ ერთი და ძალზე პირადული შეკითხვა  
მაქვს, მადამ. რა ფერისაა თქვენი ხალათი?

ქალბატონმა წარბები ასწია.

— ალბათ, მსგავსი კითხვის დასასმელად საბაბიც გექნე-  
ბათ. შევი საჭინის ხალათი მაქვს.

— მეტი აღარაფერი მაქვს საკითხავი, მადამ. დიდად და-  
მავალეთ, რომ ჩემს შეკითხვებს დაუზიარებლად გაეცით პა-  
სუხი.

ქალბატონმა სამკაულებით დახუნდლული ხელი ოდნავ  
გააქნია, მერე წამოდგა. მამაკაცებიც წამოიშალნენ, მაგრამ  
თავადის ქალი შეჩერდა:

— იმედია, მომიტევებთ, მესიე, მაგრამ შეიძლება, თქვე-  
ნი სახელი ვიკითხო? სახეზე მეცნობით და იმიტომ.

— მე ერკიულ პუარო გახლავართ, მადამ, და თქვენს სამ-  
სახურში მიგულეთ.

— ერკიულ პუარო, — წუთიერი დუმილის შემდეგ განა-  
გრძო დრაგომიროვამ. — დიახ. ახლა გამახსენდა, ბედისწე-  
რაა წამდვილად.

წელში გამართული წავიდა კარისკენ, თუმცა ეტყობოდა,  
რომ სიარული უჭირდა.

— Voilà une grande dame<sup>1</sup>, — თქვა მესიე ბუკმა. — რას ფი-  
ქრობთ მის შესახებ, მეგობრებო?

ერკიულ პუარომ თავი გადააქნია.

— როგორ მაინტერესებს, რა იგულისხმა ბედისწერაში?

<sup>1</sup> Voilà une grande dame (ფრ.). — აი, ნამდვილი არისტოკრატი.

## 7. ბრაზ და ბრაზინის ანგლიურის ჩვენება

გრაფი და გრაფინია, მართალია, ორივე გამოიძახეს, მა-  
გრამ ვაგონ-რესტორანში მხოლოდ გრაფი შევიდა.

ახლოდან უფრო კარგი სანახავი იყო. ასე 185 სანტიმე-  
ტრი იქნებოდა სიმაღლეში, მხარბეჭიანი, წელწვრილი. კონ-  
ტად შეკერილი ინგლისური ტვიდის პიჯაკი ეცვა და რომ  
არა ულვაში და ყვრიმალების თავისებური ფორმა, საერთო-  
დაც ინგლისელი ეგონებოდა კაცს.

— აბა, ბატონებო, — თქვა მან. — რით შემიძლია, გემ-  
სახუროთ?

— იცით, მესიე, — მიმართა პუარომ, — იმ ვითარებიდან  
გამომდინარე, რომელიც მომხდარმა ინციდენტმა შექმნა,  
იძულებული ვარ, რამდენიმე კითხვა დაგისვათ ისევე, რო-  
გორც დანარჩენ მგზავრებს.

— კი ბატონო, რა თქმა უნდა, — ძალდაუტანებლად თქვა  
გრაფიმა. — მესმის თქვენი მდგომარეობა. მხოლოდ იმას ვში-  
შობ, რომ მე და ჩემი მეუღლე ბევრით ვერაფრით დაგეხმარე-  
ბით. გვეძინა და არაფერი გაგვიგია.

— მიცვალებულის ვინაობა თუ არის თქვენთვის ცნობი-  
ლი, მესიე?

— ვხვდები, რომ ბობოლა ამერიკელი უნდა ყოფილიყო.  
ძალიან უსიამოვნო სახე კი ჰქონდა. სადილობის დროს აი, იმ  
მაგიდასთან იჯდა, — იმ მაგიდაზე მიუთითა, რომელთანაც  
რეთჩეთი და მაქქუინი ისხდნენ.

— დიახ, დიახ, მესიე, სრულიად მართალი ბრძანდებით.  
მე ვიგულისხმე, მისი ვინაობა თუ იცოდით, ვთქვათ, გვარი?

— არა, — პუაროს მიერ დასმულმა კითხვამ ცოტა გააოცა  
გრაფი. — მისი გვარი თუ გაინტერესებთ, — უპასუხა მან, —  
პასპორტში ენერება.

— პასპორტის მიხედვით გვარად რეთჩეთია, — უთხრა  
პუარომ. — მაგრამ ეს გვარი ნამდვილი არ გახლავთ. მისი

ნამდვილი გვარი კასეტია და ამერიკაში ბავშვის გატაცების გახმაურებული საქმის მოთავე იყო.

დეტექტივი გრაფის სახეს დაკვირდა, მაგრამ ამ უკანას-კნელს დიდი გაოცება არ დასტყობია ამ ამბის მოსმენისას. მხოლოდ თვალები გაუფართოვდა.

— ოჟ! — მსუბუქად შეიცხადა. — ალბათ, მომხდარი სწორედ ამ ფაქტით შეიძლება აიხსნას. უჩვეულო ქვეყანაა ეს ამერიკა.

— ალბათ, ყოფილხართ იქ, გრაფო?

— ერთი წელი გახლდით ვაშინგტონში.

— არმსთრონგების ოჯახსაც ხომ არ იცნობდით?

— არმსთრონგების... არმსთრონგების... არ მახსენდება. იმდენი გვარი შემხვედრია. — გაიღიმა და მხრები აიჩეჩა. — საქმეს დავუბრუნდეთ, ბატონებო, — თქვა მან. — სხვა რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— როდის დაწექით დასაძინებლად, მესიე გრაფო?

ერკიულ პუარომ მაგიდაზე მატარებლის გეგმისკენ გააპარა თვალი: გრაფსა და გრაფინია ანდრენებს მომიჯნავე, მე-12 და მე-13 კუპეები ეკავათ.

— ვახშმობისას ერთ კუპეში გავაშლევინეთ ლოგინი, თუმცა მანამდე ცოტა ხნით მეორეში შევედით...

— რომელ ნომერში?

— მე-13-ში. ცოტა ხანს პიკე ვითამაშეთ. ასე თერთმეტისკენ ჩემი მეულლე დასაძინებლად გავიდა. გამყოლს ჩემთანაც გავაშლევინე ლოგინი და დავწექი. დილამდე თვალი არ გამიხელია.

— მატარებელი რომ გაჩერდა, თუ შენიშნეთ?

— ეს ამბავი მხოლოდ ამ დილით შევიტყვე.

— თქვენმა მეულლემ?

გრაფს გაეცინა.

— ჩემი მეულლე მატარებლით მგზავრობისას ყოველ-თვის ძილის წამალს სვამს ხოლმე. წუხელაც „ტრიონალის“ ჩვეულებრივი დოზა მიიღო, — წამით შეჩერდა. — მომიტევეთ, რომ ვერაფრით გეხმარებით.

პუარომ სანერ-კალამი გაუწოდა.

— გმადლობთ, გრაფო. უბრალო ფორმალობაა, მაგრამ თქვენს სრულ გვარ-სახელსა და მისამართს ხომ ვერ დამინერდით?

გრაფმა ნელა და ლამაზად დაწერა.

— მართლაც, ჯობია, თვითონ დავწერო, — ძალდაუტანებელი ლიმილით თქვა ანდრენიმ. — ჩემი მამულის მისამართი ძნელი აღსაქმელია იმათთვის, ვინც უნგრული არ იცის.

ფურცელი პუაროს დაუბრუნა და ადგა.

— ჩემი მეუღლის აქ მოსვლას აზრი არ აქვს, — თქვა მან.

— ჩემს ნათქვამს მაინც ვერაფერს დაამატებს.

პუაროს თვალები აუცილებელი ადგინდება.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. — უთხრა პუარომ. — მაგრამ მაინც ჯობია, გრაფინიასგანაც მოვისმინო თრიოდ სიტყვა.

— მერნმუნეთ, ტყუილად დაკარგავთ დროს, — გრაფის ხმას მბრძანებლური ნოტები შეეპარა.

პუარომ მისი სიტყვები არად ჩააგდო.

— ეს უბრალო ფორმალობაა, — უთხრა გრაფს, — მაგრამ ჩემი პატაკისთვის აუცილებელია.

— როგორც გენებოთ.

გრაფი უხალისოდ წავიდა კარისკენ და უცხოურ ყაიდაზე დაუკრა გასვლისას თავი.

პუარომ პასპორტისკენ წაილო ხელი, სადაც გრაფის გვარი და ტიტულები ეწერა. მერე იყო ინფორმაცია მისი მეუღლის შესახებ: „თან ახლავს მეუღლე, ნათლობის სახელია ელენა-მარია, ქალიშვილობის გვარია გოლდენბერგი; ასაკი: ოცი წლის“. ასაკის გრაფაზე ცხიმიანი თითის ანაბეჭდი ჩანდა, რაც ეტყობა, ვიღაც მოხელის დაუდევრობის შედეგი იყო.

— დიპლომატიური პასპორტია, — თქვა მესიე ბუკმა. — ფრთხილად უნდა ვიყოთ, მეგობარო, რომ რაიმეთი ჩრდილი არ მივაყენოთ ამ პატიოსან ხალხს. თანაც მომხდართან ამათ რა უნდა აკავშირებდეთ?!

— ნუ ლელავთ, მეგობარო. ტაქტიანად მოვიქცევი. ეს ხომ ფორმალობაა და სხვა არაფერი.

სიტყვა დაასრულა თუ არა, ვაგონ-რესტორანში გრაფინია ანდრენი შემოვიდა. მშვენიერი გრაფინია მეტად მოკრძალებული ჩანდა.

— ჩემი ნახვა გსურდათ, ბატონებო?

— უბრალო ფორმალობის გამო, გრაფინია. — პუარო წამოდგა, გალანტურად დაუკრა თავი და მის წინ მდგარ სკამზე მიუთითა, დაბრძანდითო. — მხოლოდ იმის კითხვა მსურდა, რამე ისეთი ხომ არ დაგინახავთ ან გაგიგონიათ წუხელ, რომ მომხდარს როგორმე სინათლე მოვფინოთ.

— სრულიად არაფერი, მესიე. მეძინა.

— ვთქვათ, მეზობელ კუპეში რამე ხმაურისთვის ხომ არ მოგიკრავთ ყური? თქვენ გვერდით კუპეში ხომ ამერიკელი ლედი მგზავრობს, ჰოდა, ლამით ისტერიკა დაემართა და რამდენჯერმე დარეკა ზარი გამყოლის გამოსაძახებლად.

— არაფრისთვის მომიკრავს ყური, მესიე. იცით, ძილის წამალი მქონდა დალეული.

— ოჟ, მესმის. მაშინ, ალარ შეგაყოვნებთ. — გრაფინია მაშინვე წამოდგა. — მხოლოდ ერთი წუთით შეიცადეთ, სულ უმნიშვნელო დეტალები მჭირდება: აქ მითითებული თქვენი ქალიშვილობის გვარი, ასაკი და დანარჩენი მონაცემები სწორია?

— სავსებით, მესიე.

— მაშინ, იქნებ ამ განცხადებაზე ხელმოწერით დაგვდოთ პატივი.

სწრაფად მოაწერა ხელი დახვენილი, დახრილი ასოებით

— ელენა ანდრენი.

— ამერიკაში ახლდით თქვენს მეუღლეს, მადამ?

— არა, მესიე, — გაილიმა და ლოყები შეეფაკლა. — მაშინ დაქორწინებულები არ ვიყავით. სულ ერთი წელია, რაც ვიქორწინეთ.

— გასაგებია, გმადლობთ, მადამ. ჰო მართლა, თქვენი მეუღლე ენევა?

გასასვლელად გამზადებული გრაფინია პუაროს მიაშტერდა.

— დიახ.

— ჩიბუხს?

— არა, მხოლოდ სიგარას და სიგარეტს.

— აჰა! კეთილი. გმადლობთ.

ახალგაზრდა ქალი შეყოვნდა და დეტექტივს გაოცებული მზერა შეავლო. ლამაზი მუქი ფერის, ნუშისებრი ჭრილის თვალებს გრძელი წამნამები უმშვენებდა, რაც ფერმკრთალ სახეზე საკმაოდ მკაფიოდ იკვეთებოდა. ტუჩები უცხოურ ყაიდაზე წითლად ჰქონდა შეღებილი. ეგზოტიკური სილამაზის ქალი იყო.

— რატომ მეკითხებით?

— მადამ, — პუარომ გრაციოზულად აიქნია ხელი. — დეტექტივი იმისაა, რომ ყველანაირი კითხვა დასვას. აი, მაგალითად, რა ფერისაა თქვენი ხალათი?

ქალი კიდევ უფრო მეტად გაოცდა. მერე გაეცინა.

— ხორბლისფერია. ნუთუ ესეც მნიშვნელოვანია?

— ფრიად მნიშვნელოვანი, მადამ.

— მართლა დეტექტივი ხართ? — ხმაში გაკვირვების ინტონაციამ გაიუღერა.

— და ნებისმიერ დროს თქვენს სამსახურში მიგულეთ, მადამ.

— არ მეგონა, იუგოსლავის ტერიტორიაზე მატარებელში გამომძიებლები თუ იქნებოდნენ. ვფიქრობდი, ალბათ, იტალიაში ამოვლენ-მეთქი.

— იუგოსლავიელი კი არა, მადამ, საერთაშორისო კლასის დეტექტივი გახლავართ.

— ერთა ლიგას ეკუთვნით?

— მთელ მსოფლიოს ვეკუთვნი, მადამ, — ამაყად უპასუხა პუარომ. — ძირითადად ლონდონში ვმუშაობ. ჰო, მართლა, ინგლისურად ლაპარაკობთ? — ჰკითხა უცემ ინგლისურად.

— ძალან ცუთათ, — დამტვრეული ინგლისურით მიუგო გრაფინიამ.

პუარომი ისევ დაუკრა თავი.

— მაშინ, აღარ შეგაყოვნებთ, მადამ. ხომ ნახეთ, არც  
ისეთი საშინელი პროცედურა აღმოჩნდა.

ქალს გაელიმა, თავი გრაციოზულად დაუკრა და გავიდა.

— Elle est jolie femme<sup>1</sup>, — აღტაცებულმა თქვა მესიე ბუკ-  
ბა. — თუმცა, ვერაფრით დაგვეხმარა.

— ვერა, — დაეთანხმა პუარო. — არც არაფერი გაუგო-  
ნიათ, არც არაფერი დაუნახავთ.

— ახლა მაინც დავიბაროთ იტალიელი?

პუარომ მაშინვე არ უპასუხა. უნგრულ დიპლომატიურ  
პასპორტში ცხიმიან ლაქას აკვირდებოდა.

<sup>1</sup> Elle est jolie femme (ფრ.). — ლამაზი ქალია.

## 8. პოლკოვიკის აჩატონობის ჩვენება

პუარომ მსუბუქად გაიქნია თავი და ფიქრებიდან გამოერკვა. მესიე ბუკს რომ გაუსწორა მზერა, თვალებში ეშმაკუნები აუთამაშდა.

— ოჟ, მეგობარო, — მიმართა მესიე ბუკს. — რასაც ჰქვია, სწობი გავხდი! ჯერ პირველი კლასის მგზავრები უნდა დავკითხოთ, მერე — მეორე კლასის. ახლა კი წარმოსადევ პოლკოვნიკ არბეთნოთს გავესაუბროთ.

რაკი პოლკოვნიკის მნირი ფრანგულით ფონს ვერ გავიდოდნენ, პუარომ ისევ ინგლისურის მოშველიება გადაწყვიტა.

პოლკოვნიკის სრული გვარ-სახელის, ასაკის, მისამართისა და სხვა მსგავსი მონაცემების დაზუსტების შემდეგ პუარომ განაგრძო:

— გამოდის, ინდოეთიდან შინ იმიტომ ბრუნდებით, რომ შვებულება მოგცეს თუ როგორც იტყვიან *en permission?*<sup>1</sup>

პოლკოვნიკს დიდი დაინტერესება არ გამოუვლენია ამ ფრანგული გამოთქმისადმი, საერთოდაც არ აღელვებდა, უცხოელები რას როგორ უნდებენ, ამიტომ ბრიტანული ლაკონიურობით უპასუხა:

— დიახ.

— ესე იგი, აღმოსავლეთის ხაზის ხომალდით არ ისარგებლეთ?

— არა.

— და რატომ?

— მატარებლით მირჩევნია მგზავრობა პირადი მიზეზებიდან გამომდინარე. — თან ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, რა კითხვებს მისვამ, შე თავხედოო.

— პირდაპირ ინდოეთიდან მოდიხართ?

— ერთი ლამით ურში შევჩერდი, ქალდეაში, და სამი დღე ბალდადში დავყავი ა. ო. ქ-სთან, რომელიც ჩემი დიდი ხნის მეგობარია.

<sup>1</sup> *En permission* (ფრ.). — ნებართვით.

— სამი დღე ბალდადში დაჰყავით. როგორც ვხვდები, ახალგაზრდა ლედი, მის დებენჰემიც ბალდადიდან მოდის. ალბათ, იქ შეხვდით ერთმანეთს?

— არა, იქ არა. პირველად კირკუკიდან ნისიბინამდე მი-მავალ მატარებელში შევხვდით ერთმანეთს, ერთ ვაგონში მოგვიწია მგზავრობამ.

პუარო მისკენ გადაიხარა და ხაზგასმით მკვეთრი უცხოური აქცენტით მიმართა.

— მესიე, ერთი თხოვნით მინდა, მოგმართოთ. თქვენ და მისის დებენჰემი ორად ორი ინგლისელი ხართ ამ მატარებელში. ამიტომ უნდა გავარკვიო, ერთმანეთის შესახებ რას ფიქრობთ.

— ფრიად უჩვეულო თხოვნაა, — ცივად თქვა პოლკოვნიკმა არბეთნოთმა.

— არც ისე. იცით, ეს დანაშაული დიდი ალბათობით ქალის ჩადენილია. კაცი, სულ ცოტა, თორმეტი დარტყმით იქნა მოკლული. მატარებლის უფროსმაც კი თქვა, ქალის ნახელავიაო. და რა არის ჩემი პირველი ამოცანა? დაწვრილებით შევიტყო ყველაფერი სტამბოლი-კალეს რეისის ყველა მგზავრის, განსაკუთრებით კი ქალბატონების შესახებ. მაგრამ არც ისე ადვილია გაუგო ინგლისელ ლედის. თქვენი ქალბატონები ხომ თავდაჭერილობით გამოირჩევიან. ამიტომაც თქვენ მოგმართავთ, მესიე, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ამიხსნათ, რა პიროვნებაა მის დებენჰემი? რა იცით მის შესახებ?

— მის დებენჰემი ნამდვილი ლედია, — საკმაოდ თბილად თქვა პოლკოვნიკმა.

— ოპ! — პუარომ ისეთი კმაყოფილი სახე მიიღო, თითქოს ყველაფერი გაარკვია. — ასე რომ, გვინიათ, მაგ დანაშაულში არ იქნება გარეული?

— სრული აბსურდია, — მიუგო პოლკოვნიკმა. — ის კაცი სრულიად უცხო იყო მისთვის და მანამდე არც შეხვედრიან ერთმანეთს.

— ასე გითხრათ?

— დიახ. მისი უსიამო სახის დანახვისას თქვა ერთხელ.  
თუკი მაინცდამაინც ქალია ამ საქმეში გარეული, როგორც  
თქვენ ბრძანებთ სამხილის გარეშე, მაგრამ ვარაუდით, შე-  
მიძლია, დაგარწმუნოთ, რომ მისის დებენჰემი აქ არაფერ  
შუაშია.

— გეტყობათ, რომ ეს საკითხი გაღელვებთ, — ღიმილით  
უთხრა პუარომ.

პოლკოვნიკი არბეთნოთი ცივად მიაჩირდა.

— ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ.

ამ მზერამ პუარო შეაცბუნა. თვალები დახარა და საბუ-  
თების თვალიერება დაიწყო.

— თემას გადავუხვიეთ, — თქვა მშვიდად. — მოდით, ფა-  
ქტებს დავუბრუნდეთ. ეს დანაშაული, გვაქვს საფუძველი,  
რომ ასე ვიფიქროთ, ორის თხუთმეტ წუთზე მოხდა. ფორ-  
მალური შინარსის კითხვებიც არსებობს, რომლებიც და-  
ნაშაულის დროს მატარებელში მყოფ ნებისმიერ მგზავრს  
უნდა დავუსვათ.

— გასაგებია. ორის თხუთმეტ წუთზე, ჩემს მეხსიერებას  
თუ დავეყრდნობი, ახალგაზრდა ამერიკელს ვესაუბრებო-  
დი, მოკლულის მდივანს.

— ოპ! მის კუპეში ბრძანდებოდით თუ ის გსტუმრობ-  
დათ?

— მის კუპეში გახლდით.

— იმ ახალგაზრდაზე ბრძანებთ, გვარად მაქქუინი რომ  
არის?

— დიახ.

— თქვენი მეგობარია თუ უბრალოდ ნაცნობი?

— არა, პირველად ამ მატარებელში ვნახე. გუშინ შემთხ-  
ვევით გავესაუბრეთ ერთმანეთს და ორივე დავინტერესდით.  
ჩვეულებრივ ამერიკელები დიდად არ მეხატება გულზე, რა-  
დგან საერთოს ვერაფერს ვპოულობ მათთან, მაგრამ...

პუაროს გაელიმა, რადგან მაქქუინის დამოკიდებულება  
გაახსენდა ბრიტანელთა მიმართ.

— თუმცა, ეს ახალგაზრდა პატონი მომენტია. სიტყვამ

მოიტანა და, ინდოეთი ვახსენეთ, მას კი რაღაც სისულელის-თვის მოუკრავს ყური იქ არსებული ვითარების მოგვარებას-თან დაკავშირებით. ამერიკელები ხომ ძალიან იდეალისტები და ყველა უბედურებასთან ერთად სენტიმენტალურებიც არიან. ინდოეთში მთელი ოცდაათი წელი მაქვს გატარებული და ბევრი საგულისხმო რამ შეიტყო ჩემგან. მე კი ამერიკაში არსებული მშრალი კანონი და ფინანსური კრიზისი მაინტერესებდა. რაკი პოლიტიკაზე ჩამოვარდა სიტყვა, მსოფლიო პოლიტიკასაც შევეხეთ. ბოლოს, საათს რომ დავხედე, გავოცდი, რადგან ორს აკლდა თხუთმეტი.

— ამ დროს შეწყვიტეთ საუბარი?

— დიახ.

— ამის მერე რა ქენით?

— ჩემს კუპეში წავედი.

— ლოგინი გაშლილი დაგხვდათ?

— დიახ.

— თქვენი კუპე... დავხედო აქ... ნომერი 15-ია? ვაგონ-რესტორნის საპირისპირო მხარეს ბოლოს წინაა, ხომ?

— დიახ.

— თქვენს კუპეში რომ შეხვედით, გამყოლი სად იყო იმ დროს?

— დერეფნის ბოლოს პატარა მაგიდასთან იჯდა. სხვათა შორის, სწორედ იმ დროს იხმო მაქქუინმა გამყოლი, როდესაც ჩემს კუპეში შევდიოდი.

— რატომ იხმო?

— ლოგინის გასაშლელად, ალბათ. სანამ იქ ვიყავი, ლოგინი არ იყო გაშლილი.

— ახლა კი, პოლკოვნიკო არბეთნოთ, მინდა, კარგად გაიხსენოთ: სანამ მისტერ მაქქუინს ესაუბრებოდით, დერეფანში არავის გაუვლია?

— ალბათ, უამრავმა ადამიანმა. ყურადღება არ მიმიქცევია.

— აჳ! მაგრამ მე თქვენი საუბრის ბოლო საათ-ნახევრის მონაკვეთი ვიგულისხმე. ვინკოვცის სადგურზე ჩახვედით?

— დიახ, ოლონდ ერთი წუთით. ქარბუქი იყო, სიცივე ძვლებში ატანდა. ისევ დახუთულ ვაგონში ვარჩიე ყოფნა. ისე, უნდა გითხრათ, რომ ვაგონების ასე გახურება აღმაშ-ფოთებელია.

მესიე ბუკმა ამოიოხრა.

— ყველას გულს ვერ მოიგებ, — ჩაილაპარაკა თავის-თვის. — ინგლისელები ყველა ფანჯარას აღებენ, სხვები — კეტავენ. ვერ გაიგებ, ვის რა უნდა.

არც პუაროს და არც პოლკოვნიკს ამ სიტყვებისთვის ყუ-რადლება არ მიუქცევია.

— ახლა კი, მესიე, გონებით ცოტა უკან დავბრუნდეთ, — გამამხნევებლად უთხრა პუარომ. — გარეთ ციონდა. თქვენ მატარებელში დაბრუნდით. ისევ დაჯექით, სიგარეტი გაა-ბოლეთ — ალბათ, სიგარეტი — ან ჩიბუხი...

ნახევარი წამით შეყოვნდა.

— ჩიბუხი მე მქონდა. მაქქუინი სიგარეტს ეწეოდა.

— მატარებელი გადის, თქვენ ჩიბუხს ეწევით, ევრო-პის პოლიტიკურ მდგომარეობაზე მსჯელობთ, მერე მსო-ფლიოზე გადადიხართ. ღამით ბევრი მგზავრი ბრუნდება კუპეებში. ვინმემ ხომ არ ჩაიარა კართან? გაიხსენეთ.

არბეთნოთმა წარბი შეკრა, თითქოს რაღაცას იხსენებდა.

— რთული სათქმელია, — თქვა მან. — იცით, ყურადლე-ბა არავისთვის მიმიქცევია.

— ჰო, მაგრამ, თქვენ როგორც სამხედროს მახვილი თვა-ლი გაქვთ და დეტალები არ უნდა გამოგეპაროთ. რომ იტყ-ვიან, დაუკვირვებლად ამჩნევთ ყველაფერს.

პოლკოვნიკი ისევ დაფიქრდა, მაგრამ თავი გაიქნია.

— ვერ გეტყვით. დერეფანში გამყოლის მეტს ვერავის ვიხსენებ. ერთი წუთით — ქალს მოვკარი თვალი, მგონი.

— ქალს? ასაკოვანი იყო თუ ახალგაზრდა?

— ვერ დავინახე. იმ მხარეს არ ვიყურებოდი, ალბათ, კა-ბის შრიალით ან სუნამოს სურნელით უფრო აღვიქვი.

— სურნელი? სასიამოვნო სურნელი იყო?

— აი, შორიდანვე რომ იგრძნობ, ისეთი, საკმაოდ მძაფური. მაგრამ გაითვალისწინეთ, — სწრაფად განავრძო პოლკოვნიკმა. — შესაძლოა, ეს უფრო ადრეც მომხდარიყო, ვთქვათ, საღამოს და არა შუაღამისას. თქვენი თქმისა არ იყოს, დაუკუვირვებლად შევამჩნიე. მახსოვს, გულში გავიფიქრე, ამ ქალს რამდენი სუნამო დაუსხამს-მეთქი. მაგრამ ზუსტად როდის იყო ეს ამბავი, ვერ გეტყვით, ერთი ის მახსოვს, ვინკოვციდან გამოსვლის შემდეგ რომ იყო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დამამახსოვრდა, სურნელმა მიიქცია ყურადღება; სუნამოს შემდეგ, ბუნებრივია, ქალებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ქალების თემამ რუსეთში გადაგვისროლა, კერძოდ, საბჭოთა კავშირში ქალების მდგომარეობასა და ხუთწლედზე ვისაუბრეთ. მაგრამ, როგორც მახსოვს, ეს საუბრის ბოლოს იყო.

— უფრო დაწვრილებით ხომ ვერ გაიხსენებდით?

— ვ-ვერა! ალბათ ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში ვისაუბრეთ.

— ეს მატარებლის გაჩერების მერე იყო?

პოლკოვნიკმა თავი დაუკრა.

— დიახ, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მატარებელი უკვე გაჩერებული იყო.

— კეთილი, სხვა საკითხზე გადავიდეთ. ამერიკაში თუ ყოფილხართ, პოლკოვნიკო არბეთნოთ?

— არასდროს. არც მაქვს სურვილი.

— პოლკოვნიკი არმსთრონგი გეუბნებათ რამეს?

— არმსთრონგი... არმსთრონგი... ორი-სამი არმსთრონგი კი მახსენდება. 60-იანებში ერთს ვიცნობდი, თომი არმსთრონგს, მას ხომ არ გულისხმობთ? სელბი არმსთრონგსაც ვიცნობდი, სომაზე<sup>1</sup> მოკლეს.

— მე პოლკოვნიკ არმსთრონგს ვულისხმობ, ამერიკელი ქალი რომ ჰყავდა ცოლად; მათი ბავშვი კი გაიტაცეს და მოკლეს.

<sup>1</sup> სომი, იგივე სომა — მდინარე ჩრდილოეთ საფრანგეთში.

— აა, ჰო, გამახსენდა, ამ ამბის შესახებ წამიკითხავს — შოკის მომგვრელი რამ მოხდა მაშინ. არ მგონია, ოდესმე სადმე შევხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ ცხადია, მასზე მსმენია. თობი არმსთრონგი. ყველამ გულთან მიიტანა მისი უბედურება. როგორი წარმატებული კარიერა ჰქონდა. ვიქტორიას ჯვრითაც კი იყო დაჯილდოებული.

— მამაკაცი, რომელიც წუხელ გამოასალმეს სიცოცხლეს, სწორედ პოლკოვნიკ არმსთრონგის გოგონას მკვლელობაში იყო გარეული.

არბეთნოთი მოიღუშა.

— მე რომ მკითხოთ, მაგ ლორს საკადრისი მიზღვია. თუმცა, სახრჩობელაზე უფრო სიამოვნებით ვიხილავდი ან ელექტროსკამზე.

— გამოდის, პოლკოვნიკო არბეთნოთ, თქვენ კანონიერი სასჯელის მომხრე ხართ და არა პირადი შურისძიების?

— სისხლის ალება და დანებით ერთმანეთის აჩეხა, კორსიკელებსა და მაფიის წევრებს რომ სჩვევიათ, რა საკადრისია, — თქვა პოლკოვნიკმა. — რაც გინდათ, თქვით, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველაზე გონივრული სისტემაა.

პუარო ორიოდე წუთს ჩაფიქრებული უყურებდა.

— დიახ, — თქვა მან. — დარწმუნებული ვარ, ასე ფიქრობთ. კეთილი, პოლკოვნიკო არბეთნოთ, მგონი, კითხვები ამომენურა. ერთი ის მითხარით, რამე ხომ არ მოგჩვენებიათ საეჭვოდ წუხელ ან თუნდაც იმის გათვალისწინებით, რაც ახლა შეიტყვეთ?

პოლკოვნიკი ორიოდე წამს დაფიქრდა.

— არა, — თქვა მშვიდად. — სრულიად არაფერი. თუმცა... — შეყოყმანდა.

— დიახ, დიახ, განაგრძეთ, გთხოვთ.

— ისეთი არაფერია, მაგრამ რაკი ამბობთ, რამეო...

— დიახ, დიახ, ნებისმიერი რამ!

— ოჟ! დიდი არაფერი. უბრალო წვრილმანია. კუპეში რომ ვპრუნდებოდი, ჩემი მეზობლის კარი, ანუ ბოლო კუპეს ვგულისხმობ...

— დიახ, ნომერი 16.

— მოკლედ, მეზობელი კუპეს კარი მთლად დახურული არ იყო. შიგნით მყოფი პირი კი ჩუმად იყურებოდა დერეფანში. ცხადია, ამაში კრიმინალური არაფერია, მაგრამ მაშინვე თვალში მომხვდა და უცნაურად მეჩვენა. იმას მოგახსენებთ, რომ კარის გალება და გარეთ გამოხედვა სრულიად გასაგებია, მაგრამ ასე მალულად ყურება ცოტა უცნაურად მეჩვენება. ამიტომაც მივაქციე ყურადღება.

— დი-ახ, — თქვა დაეჭვებულმა პუარომ.

— აკი გითხარით, ეს შეიძლება არც არაფერია, — მობოდიშებასავით გამოუვიდა არბეთნოთს, — მაგრამ გამთენისას, როცა სრული სიჩუმეა, ვიღაც კი მალულად იჭყიტება, ცოტა არ იყოს უჩვეულოა. რა ვიცი, დეტექტიური რომანიდან შიშის მომგვრელი სცენა წარმომიდგა თვალწინ. თუმცა, არც არის ეს საყურადღებო, რაღაც ნონსენსია!

პოლკოვნიკი წამოდგა.

— კეთილი, რაკი აღარ გჭირდებით...

— გმადლობთ, პოლკოვნიკო არბეთნოთ, სხვა კითხვა აღარ მაქვს.

პოლკოვნიკი წუთიერად შეყოყმანდა. თავდაპირველი გალიზიანება იმის გამო, რომ უცხოელს უნდა დაეკითხა, უკვალოდ გაუქრა.

— რაც შეეხება მის დებენჰემს, — ცოტა მორცხვად დაინტენდება, — გარნმუნებთ, არაფერ შუაშია. მის დებენჰემი *pukka sahib*-ია<sup>1</sup>.

ოდნავ შეფაკლული ლოყებით დატოვა ვაგონ-რესტორანი.

— აბა, — ინტერესით იკითხა მისტერ კონსტანტინმა, — რას ნიშნავს *pukka sahib*?

— იმას ნიშნავს, — მიუგო პუარომ, — რომ მისის დებენჰემის მამას და ძმებს იგივე სკოლა აქვთ გავლილი, რაც პოლკოვნიკ არბეთნოთს.

— ოპ! — წამოიძახა იმედგაცრუებულმა ექიმმა კონსტანტინმა. — მაშინ ამას დანაშაულთან არაფერი აქვს საერთო.

<sup>1</sup> *Pukka sahib* (ინგლ-ინდ.). — სრულიად უდანაშაულოა.

- არავითარი, — დაუდასტურა პუარომ. მოგონებებმა წაილოდა მაგიდაზე ხელით კაჯუნს მოჰყვა. მერე თავი ასწია.
- პოლკოვნიკი არბეთნოთი ჩიბუხს ეწევა, — თქვა მან.
- კუპეში ჩიბუხის საწმენდი ვიპოვეთ. თავად მისტერ რეთ-ჩეთი კი სიგარას ეწეოდა.
- თქვენ ფიქრობთ?..
- ჯერჯერობით მხოლოდ მან აღიარა, რომ ჩიბუხს ეწე-ვა. თანაც არმსთრონგის ამბავიც კარგად ახსოვს; ვინ იცის, იქნებ ახლოსაც იცნობდა, მაგრამ არ აღიარებს.
- გვინიათ, რომ შესაძლებელია?..
- პუარომ მკვეთრად გააქნია თავი.
- არა, შეუძლებელია, სრულიად შეუძლებელიც კი, რომ პატივცემულ, ქედმაღალ, თავდაჭერილ ინგლისელს მტერი დანის თორმეტჯერ დარტყმით მოეკლა. ნუთუ ვერ ხვდე-ბით, მეგობრებო, რაოდენ უსუსურია ეს ვარაუდი?
- აქ ფსიქოლოგიასთან გვაქვს საქმე, — შენიშნა მესიე ბუკმა.
- ფსიქოლოგიას პატივი უნდა ვცეთ. დანაშაულში ისე-თი ხელწერა იგრძნობა, რომელიც არანაირად პოლკოვნიკი-სა არ უნდა იყოს. ახლა კი მორიგი მგზავრი შემოვიყვანოთ დაკითხვაზე.
- ამჯერად მესიე ბუკს იტალიელი აღარ უხსენებია, თუმ-ცა კი გაიფიქრა.

:

[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

## 9. მისტერ ჰანდენის ჩვენება

პირველი კლასის ვაგონიდან უკანასკნელი მგზავრი დარჩა დასაკითხი, მისტერ ჰარდმენი — მსხვილი აღნაგობის, წითური ამერიკელი, რომელიც იტალიელთან და მსახურთან ერთად იჯდა მაგიდასთან.

ვაგონ-რესტორანში კევის ღეჭვით შემოვიდა. ჭრელი პიჯაკი და ვარდისფერი პერანგი ეცვა, ჰალსტუხს დიდი ქინძისთავი უმშვენებდა, მსხვილი, უხეში ნაკვთები ჰქონდა, თუმცა სახეზე კეთილი განწყობა ეტყობოდა.

— ჯენტლმენებს მივესალმები, — თქვა მოახლოებისას.  
— რით შემიძლია გემსახუროთ?

— ალბათ მომხდარი მკვლელობის შესახებ შეიტყობდით, მისტერ ჰარ... ჰარდმენ?

— აბა! — კევი ახლა მეორე ყბაში მოიქცია.  
— მატარებელში მყოფი ყველა მგზავრის დაკითხვა გვინევს.  
— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ალბათ, სხვაგვარად არც გამოვა.

პუარომ მაგიდაზე დადებულ პასპორტში ჩაიხედა.  
— თქვენი სრული სახელი საირუს ბეთემ ჰარდმენია, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ხართ, ორმოცდაერთი წლის და საბეჭდი მანქანების ლენტებით მოვაჭრე ფირმის კომივოიაჟორი ბრძანდებით?

— კი, ასეა.  
— სტამბოლიდან პარიზისკენ მიემგზავრებით?  
— ასეა.  
— მიზეზი?  
— საქმე.  
— ყოველთვის პირველი კლასით მგზავრობთ, მისტერ ჰარდმენ?  
— დიახ, სერ. მგზავრობის ხარჯს ფირმა იხდის, — თვალი ჩაუკრა ამერიკელმა.

— ახლა კი, მისტერ ჰერდენ, წუხანდელ ამბებს დაუბრუნდეთ.

ამერიკელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

— რას გვეტყვით მომხდარზე?

— ვერც ვერაფერს.

— დასანანია. იქნებ დაწვრილებით მოგვიყვეთ, მისტერ ჰერდენ, წუხელ ვახშმის შემდეგ რას აკეთებდით?

ამჯერად ამერიკელმა მაშინვე ვერ გასცა პასუხი.

— უკაცრავად, ბატონებო, მაგრამ ვინ ბრძანდებით? იქნებ გამარკვიოთ, — იკითხა ბოლოს.

— ეს მესიე ბუკია, საძილე ვაგონების კომპანიის დირექტორი. ეს ბატონი კი — ექიმია, ცხედარი მან გამოიკვლია.

— თქვენ?

— მე ერკიულ პუარო გახლავართ. კომპანიამ საქმის გამოსაძიებლად დამიქირავა.

— მსმენია თქვენი გვარი, — თქვა მისტერ ჰერდენმა. ორიოდ წუთით დადუმდა. — მაშინ ჯობია, არაფერი დავმალო.

— მეც ამას გირჩევდით. ჯობია, ყველაფერი გვითხრათ, რაც იცით, — მშრალად უთხრა პუარომ.

— ნეტა, რამე ვიცოდე და არაფერს დაგიმალავდით. მაგრამ არაფერი ვიცი. სულ არაფერი, როგორც გითხარით. მაგრამ რამე უნდა მცოდნოდა, ეს მაბრაზებს ძალიან. სწორედ მე უნდა მცოდნოდა რამე.

— აგვიხსენით, თუ შეიძლება, მისტერ ჰერდენ.

მისტერ ჰერდენმა ამოიხხრა, კევი გამოილო და ჯიბეში. ჩაიდო. იმავე წუთს მთლიანად შეიცვალა. გაფხორილი ამერიკელი უცებ ჩვეულებრივ ადამიანად იქცა. ცხვირში ლაპარაკიც შეწყვიტა.

— ჩემი პასპორტი ყალბია, — თქვა მან. — აი, ვინ ვარ სინამდვილეში.

პუარომ მიწოდებულ პირადობის მოწმობას ყურადღებით დახედა; მის უკან მდგარმა მესიე ბუკმაც გადმოხედა დოკუმენტს.

„მისტერ საირუს ბ. ჰარდმენი, მაქნეილის დეტექტიური სააგენტო, ნიუ-იორკი“.

პუარომ იცოდა მაქნეილის სააგენტოს შესახებ, ეს ნიუ-იორკის ერთ-ერთი ყველაზე სანდო და ცნობილი კერძო საგამოძიებო სააგენტო იყო.

— ახლა კი, მისტერ ჰარდმენ, — მიმართა ამერიკელს, — აგვიხსენით, რას ნიშნავს ეს ყველაფერი.

— ახლავე მოგახსენებთ. საქმე ის გახლავთ, რომ ევროპაში მომიწია ჩამოსვლამ, ორ თალღითს ვედექი კვალში, ამ მკვლელობასთან მათ საერთო არაფერი აქვთ. მათი დევნა სტამბოლში დავასრულე. შეფს დეპეშა გავუგზავნე და დაბრუნების განკარგულებაც მივიღე. უკვე ნიუ-იორკში ვაპირებდი გამგზავრებას, რომ აი ეს მომივიდა:

„თოქათლიანის“ სასტუმროს ბლანკზე დაბეჭდილი ნერილი გაუნიდა პუაროს.

„ძვირფასო სერ, თქვენზე მაცნობეს, რომ მაქნეილის საგამოძიებო სააგენტოს წარმომადგენელი ხართ. გთხოვთ, დღეს ოთხ საათზე ჩემს ნომერში მობრძანდეთ“. ს. ე. რეთჩეთი.

— მერე?

— მითითებულ დროს ვეწვიე და მისტერ რეთჩეთმა თავისი მდგომარეობა გამანდო. ორი ნერილიც მიჩვენა.

— აფორიაქებული იყო?

— არ იმჩნევდა, მაგრამ აშეარად ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა. შემომთავაზა, ჰარიზამდე ამავე მატარებლით იმგზავრე და თვალი ადევნე, არავინ გამასაღოსო. მოკლედ, როგორც ხედავთ, ჯენტლმენებო, ამავე მატარებელში კი ვარ, მაგრამ მაინც გაასაღეს. ძალიან ვწუხვარ. ამან ჩრდილი მიაყენა ჩემს რეპუტაციას.

— კონკრეტული განკარგულება მოგცათ, ვთქვათ, რა უნდა გაგეკეთებინათ?

— ცხადია. კარგა ხნით ადრე ჰქონია მოფიქრებული. ამ მატარებლით მასთან ერთად მგზავრობაც ხომ მან მოიფიქრა. უნდოდა, მეზობელ კუპეში ვყოფილიყავი, მაგრამ არ

გამოვიდა. მე-16 კუპეს ბილეთი ავიღე, ისიც ძლივს ვიშოვე. მე მგონი, გამყოლს ვიღაცისთვის უნდოდა ამ ადგილის შენახვა. მოკლედ, რომ გადავხედე განლაგებას, ნომერი 16 საკმაოდ კარგიც მეჩვენა სტრატეგიული თვალსაზრისით. სტამბოლის საძილე ვაგონისგან მხოლოდ ვაგონ-რესტორანი ჰყოფდა, ბაქანზე ჩასასვლელ წინა კარს კი ღამით კეტავდნენ. ვინმე თავზე ხელალებული თუ გადაწყვეტდა შემოლწევას, უკანა კარით უნდა შემოსულიყო ან სხვა ვაგონიდან, ასე იყო თუ ისე, ყველა შემთხვევაში ჩემს კუპესთან უნდა ჩაევლო.

— შესაძლო მკვლელი ვინ იქნებოდა, ალბათ, წარმოდგენა არ გაქვთ, ხომ?

— როგორ გამოიყურება, ვიცი. მისტერ რეთჩეთს ჰქონდა აღწერილი.

— რა? — სამივე მამაკაცი გაოცებისგან წინ გადმოიხარა.

ჰარდმენმა კი განაგრძო:

— დაბალი კაცია, შავგვრემანი, ქალივით ხმა აქვს. აი, ასე აღმინერა მოხუცმა. ისიც დააყოლა, არა მგონია, პირველსავე ღამეს გამოჩნდეს, ალბათ, უფრო მეორე ან მესამე ღამეს ეცდებაო.

— რაღაც სცოდნია, — დაასკვნა მესიე ბუკმა.

— აშკარად მეტი სცოდნია, ვიდრე მდივანს გაანდო, — შენიშნა ჩაფიქრებულმა პუარომ. — რამეს თუ მოგიყვათ თავის მტერზე? ვთქვათ, ის თუ გაგიმხილათ, მოკვლით რატომ ემუქრებოდნენ?

— არა, ამაზე არაფერი უთქვამს. მხოლოდ ის მითხრა, ტყავიდან გაძვრება, ოლონდ სადმე მომიხელთოსო.

— დაბალი კაცი, შავგვრემანი, ქალის ხმით, — გაიმეორა პუარომ. მერე ჰარდმენს თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა: — ალბათ, გეცოდინებოდათ, სინამდვილეში ვინ იყო, ხომ?

— ვინ, რეთჩეთი?

— დიახ. იცანით?

— ვერ მიგიხვდით.

— რეთჩეთი სინამდვილეში გვარად კასეტი იყო, არმ-სთრონგების ქალიშვილის მკვლელი.

მისტერ ჰარდმენმა გაოცებისგან დაუსტვინა.

— აი, სიურპრიზი! — თქვა გაოცებულმა. — ნამდვილი სიუპრიზია! არა, სერ, ვერ ვიცანი. როდესაც ეგ ამბავი მოხდა, მაშინ დასავლეთში ვიყავი საქმეზე. მგონი, მისი ფოტოებიც მქონდა ნანახი გაზეთებში, მაგრამ ისე ბეჭდავენ, მშობელ დედას ვერ იცნობს კაცი. ეჭვიც არ მეპარება, რომ ენდომებოდათ მისთვის ანგარიშის გასწორება.

— არმსთრონგის საქმიდან ვინმე ხომ არ გახსენდებათ ასეთი აღნერილობით: ტანმორჩილი, შავთმიანი და ქალის ხმით?

ჰარდმენი ერთი-ორ წუთს ჩაფიქრდა.

— რთული სათქმელია. ვინც იმ საქმეში ფიგურირებდა, ყველა მკვდარია.

— გახსოვთ, ერთ-ერთი ახალგაზრდა ქალი ფანჯრიდან რომ გადახტა?

— ცხადია. მე მგონი, სწორ გზას ადგახართ. ის მომვლელი უცხოელი იყო. იქნებ ვინმე ნათესავი დარჩა. მაგრამ ასეც ვერ გაიგებ კაცი, კასეტის ხომ არმსთრონგების შვილის გატაცების გარდა სხვა დანაშაულიც ბევრი აქვს ჩადენილი. მაინცდამაინც ამ კონკრეტულ შემთხვევას ვერ დავუკავშირებთ.

— ჰო მაგრამ, გვაქვს საფუძველი, რომ ეს მკვლელობა სწორედ არმსთრონგების საქმეს დავუკავშიროთ.

მისტერ ჰარდმენმა გაოცებულმა შეხედა. პუარომ არა-ფერი უპასუხა. ამერიკელმა თავი გადააქნია.

— ასეთი გარეგნობით ვერავის ვიხსენებ, — ნელა წარმოთქვა. — ისე, არმსთრონგების საქმეში მონაწილეობა არ მიმიღია, ასე რომ, ბევრი არაფერი ვიცი.

— კეთილი. განაგრძეთ, რასაც გვიყვებოდით, მისტერ ჰარდმენ.

— ბევრი სათქმელიც აღარ დამრჩა. დღისით მეძინა, ღამით კი ვფხიზლობდი, რომ მედარაჯა. პირველ ღამეს საეჭ-

ვო არაფერი მომხდარა. მეგონა, არც წუხელ მოხდებოდა რამე. კარი ოდნავ შეღებული დავტოვე და პერიოდულად ვიხედებოდი. უცხოსაც არავის ჩაუვლია.

— ამაში დარწმუნებული ხართ, მისტერ ჰარდმენ?

— სავსებით. მატარებელში გარედან არავინ ამოსულა, არც სხვა ვაგონიდან გადმოსულა ვინმე. შემიძლია, დავიფიცო.

— თქვენი პოზიციიდან გამყოლის დანახვა შეგეძლოთ?

— ცხადია. ლამის ჩემი კუპეს კარზე აქვს სკამი მოდგმული.

— მას მერე, რაც ვინკოვცში გაჩერდა მატარებელი, გამყოლმა თუ დატოვა ადგილი?

— ეგ ბოლო გაჩერება იყო? კი, მგონი, ორ გამოძახებას უპასუხა. ოღონდ მას მერე, რაც მატარებელი კარგა ხნით გაჩერდა. ამის მერე შემდეგ ვაგონში გავიდა და ასე თხუთმეტი წუთი დაჰყო. მერე ვიღაცამ გიუივით რეკვა ატეხა და მანაც მოირბინა. დერეფანში გავედი, რომ გამეგო, რა ხდება-მეთქი, ხომ ხვდებით, ცოტა შევშტოოთდი კიდეც, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამერიკელი ქალბატონი რეკავდა. გამყოლს რაღაც სისულელეზე ერთი ამბავი აუტეხა, გამეცინა და კუპეში შევბრუნდი. სხვა კუპედანაც დარეკეს და ვიღაცას მინერალური წყალი მიუტანა. მერე თავისი ადგილი დაიკავა და მანამ არ მოუცვლია ფეხი, სანამ კუპეს ბოლოში ვიღაცისთვის ლოგინის გასაშლელად არ წავიდა. მას მერე, მგონი, დილის ხუთამდე, მართლა აღარც დაძრულა ადგილიდან.

— გამყოლს ხომ არ ჩასძინებია?

— ვერ გეტყვით, შესაძლოა.

პუარომ თავი დაუქნია. ხელი ავტომატურად წაილო მაგიდისკენ და პირადობის მოწმობა კიდევ ერთხელ აიღო.

— თუ არ შეწუხდებით, თქვენი ინიციალები დაწერეთ აქ,

— უთხრა ამერიკელს.

ამ უკანასკნელმა თხოვნა შეასრულა.

— მისტერ ჰარდმენ, არის ვინმე, ვინც თქვენს პიროვნებას დაადასტურებს?

— ამ მატარებელში? არა მგონია. თუ ახალგაზრდა მაქუინს არ მივიღებთ მხედველობაში. საკმაოდ კარგად ვიც-

ნობ, ნიუ-იორკში, მამამისის ოფისში მყავს ნანახი. თუმცა, მეტვება, რომ ვახსოვდე, ჩემ გარდა სხვა გამომძიებლებიც იყვნენ იქ. არა, ბატონო პუარო, მოცდა მოგიწევთ და როცა აქედან გავაღწევთ, ნიუ-იორკიდან უნდა გამოითხოვოთ ჩემი მონაცემები. მაგრამ, მერნმუნეთ, სრული სიმართლე გითხარით. აბა, დროებით, ბატონებო. სასიამოვნო იყო თქვენთან გასაუბრება, მისტერ პუარო.

პუარომ პორტსიგარი გაუწოდა.

— იქნებ ჩიბუხს ამჯობინებთ?

— არა, ჩიბუხი საჩემო არ არის, — სიგარეტი ამოილო და სწრაფად გავიდა.

სამივე მამაკაცმა ერთმანეთს გადახედა.

— გვონიათ, მართალს ამბობს? — იკითხა ექიმმა კონსტანტინმა.

— დიახ, დიახ. ასეთ ტიპებს კარგად ვიცნობ. თანაც, ისეთ ამბავს მოჰყვა, გადამოწმება არ გავვიჭირდება.

— ძალიან საინტერესო ჩვენება კი მოგვცა, — შენიშნა მესიე ბუკმა.

— დიახ, რასაკვირველია.

— ტანმორჩილი, შაგვრემანი მამაკაცი, თანაც წვრილი ხმით, — ჩამოთვალა მესიე ბუკმა.

— ამგვარი აღწერილობის ამ მატარებელში მგონი, არავინაა, — დაასკვნა პუარომ.

## 10. იშარიელის ჩვენება

— ახლა კი, — ირონიული ღიმილით თქვა პუარომ, — მე-სიე ბუკის გული მოვიგოთ და იტალიელი დავკითხოთ.

ანტონიო ფოსკარელი ვაგონ-რესტორანში სწრაფად, მა-გრამ კატასავით უხმაუროდ შემოვიდა. იტალიელისთვის და-მახასიათებელი სახე ჰქონდა, გარუჯული და მხიარული.

ფრანგულად უშეცდომოდ და თავისუფლად საუბრობ-და, თუმცა მცირედი აქცენტით.

— თქვენ ანტონიო ფოსკარელი ბრძანდებით?

— დიახ, მესიე.

— როგორც ვხედავ, ამერიკის ქვეშევრდომობა მიგი-ლიათ.

იტალიელს ჩაეცინა.

— დიახ, მესიე. ჩემს საქმეს ასე სჭირდებოდა.

— „ფორდის“ ავტომობილების გაყიდვის აგენტი ხართ?

— დიახ, იცით...

ამას თავისი საქმიანობის ვრცელი აღწერა მოაყოლა, რომლის დასასრულ სამივე მამაკაცმა იცოდა გაამერი-კელებული იტალიელის მუშაობის მეთოდების, მოგზაუ-რობის, შემოსავლების შესახებ, ასევე მისი აზრი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად არ მიაჩნდა. ფოსკარელი ევრო-პის ქვეყნებს დიდმნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა. ეს ის კაცი არ იყო, სიტყვები ძალით რომ უნდა ამოჰგლიჯო, პირიქით, ნიაღვარივით მოსდიოდა.

ლაპარაკი რომ დაასრულა, ბავშვურად გულუბრყვილო სა-ხე კმაყოფილებით უბრნყინავდა, დაცვარული შუბლი ცხვირ-სახოცით მოიწმინდა.

— ასე რომ, როგორც ხედავთ, დიდ საქმეებს ვატრია-ლებ, — თქვა მან. — თანამედროვე ვაჭრობაში ნამდვილად კარგად ვერკვევი.

— ესე იგი, ბოლო ათი წლის განმავლობაში ამერიკაში არაერთხელ ყოფილხართ?

— დიახ, მესიე. ოჰ, რა კარგად მახსოვს ის დღე, პირველად რომ ავედი გემზე! ამერიკაში, მიუდიოდი, რამხელა გზას ვადექი! დედაჩემი, ჩემი უმცროსი და...

პუარომ მოგონებები შეაწყვეტინა.

— ამერიკაში ყოფილისას გარდაცვლილს ხომ არ შეხვედრიხართ?

— არა, თუმცა მისნაირებს კარგად ვიცნობ, — ეფექტის-თვის თითები გაატკაცუნა. — გარეგნულად პატივსაცემი კაცი ჩანს, კარგად ჩაცმულ-დახურული, მაგრამ ამ ყველა-ფრის მიღმა შავბნელი ბუნება იმაღება. ენდეთ ჩემს გამოცდილებას, დიდი თაღლითი ვინმე ჩანდა. ეს ჩემი აზრია, ბატონებო.

— და ეგ თქვენი აზრი სავსებით სწორია, — ცივად თქვა პუარომ. — რეთჩეთი სინამდვილეში კასეტი იყო, ბავშვების გამტაცებელი.

— რა გითხარით?! ადამიანების ამოცნობა ცხოვრებამ მასწავლა, სახეზე ვატყობ. სხვაგვარად ფონს ვერც გავალ. მხოლოდ ამერიკაშია ვაჭრობის საქმე ასე დაყენებული.

— არმსთრონგების საქმე გახსოვთ?

— რაღაც ვერ ვიხსენებ. გვარი კი მეცნობა. მგონი, პატარა გოგონას ეხებოდა, მთლად ბავშვს, ხომ?

— დიახ, ფრიად ტრაგიკული ამბავია.

იტალიელი პირველი მგზავრი აღმოჩნდა, რომელიც ამ მოსაზრებას მთლად არ იზიარებდა.

— ოჰ, რას ბრძანებთ? მსგავსი რამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება, — დაასკვნა ფილოსოფიურად. — იმხელა ცივილიზაციაში, როგორიც ამერიკაა...

პუარომ შეაწყვეტინა:

— არმსთრონგების ოჯახის რომელიმე ნევრს თუ შეხვედრიხართ ოდესმე?

— არა, არ მგონია. ისე, ძნელი სათქმელია. მარტო შარშან, მაგალითად, იმდენი გავყიდე...

— მესიე, გთხოვთ, თემას ნუ ავცდებით.

იტალიელმა ბოდიშის ნიშნად ხელები აღაპყრო.

— ათასი ბოდიში.

— ახლა კი, თუ შეიძლება, თქვენი წუნანდელი მარშრუტის შესახებ გვიამბეთ. მაშ, ასე, ვახშმის მერე ვაგონ-რესტორნიდან რომ გახვედით, სად წახვედით?

— სიამოვნებით. აქ საკმაოდ დიდხანს ვიჯექი. საკმაოდ ხალისიანი განწყობა სუფევდა. ჩემს მაგიდასთან ამერიკელ ჯენტლმენს ვესაუბრებოდი. საბეჭდი მანქანების ლენტებით ვაჭრობს. ამის მერე ჩემს კუპეში დავბრუნდი, იქ არავინ დამხვდა. ის გაუბედურებული ჯონ ბული, ჩემი თანამგზავრი, თავის უფროსთან იყო დაბარებული. როგორც იქნა დაბრუნდა, როგორც ყოველთვის, სახე ჩამოსტიროდა. საერთოდ არ ლაპარაკობს, მხოლოდ „ჰოს“ და „არას“ ამბობს. უსიამოვნო რასაა ეს ინგლისელები, ხმას ვერ ამოაღებინებ. სულ კუთხეში ზის, გაშეშებული, და წიგნს კითხულობს. მერე გამყოლი მოვიდა და ლოგინი გაგვიშალა.

— თქვენი მე-4 და მე-5 ადგილებია, — ჩაილაპარაკა პუარომ.

— დიახ, ბოლო კუპეა. ჩემი ზედა საწოლია. ზევით ავედი, ვეწეოდი და ვკითხულობდი. ჩია ინგლისელს, თუ არ ვცდები, კბილი სტკიოდა. პატარა ბოთლიდან წამალი დალია, საკმაოდ უცნაური სუნი კი ჰქონდა. მერე დაწვა და ოხრავდა. მერე დავიძინე, რომ გამეღვიძა ისევ ოხრავდა.

— თუ იცით, ღამით კუპედან ხომ არ გასულა?

— არამეონია. გავიგებდი. დერეფნიდან შუქირომშემოდის, მაშინვე მეღვიძება ხოლმე, მგონია, საბაჟოზე ვართ-მეთქი.

— თავის უფროსზე თუ უთქვამს რამე? საყვედური თუ დასცდენია მასზე?

— გეუბნებით, ხმას ვერ ამოაღებინებ-მეთქი. არაკონტაქტური ტიპია. თევზივით პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.

— ეწევით, ხომ? კონკრეტულად რას, ჩიბუხს, სიგარეტს თუ სიგარას?

— მხოლოდ სიგარეტს.

პუარომ სიგარეტი შესთავაზა, იტალიელმაც ერთი ლერი აიღო.

— ჩიკაგოში თუ ყოფილხართ? — ჰეიტხა მესიე ბუკმა.

— ოჟ, დიახ! მშვენიერი ქალაქია, მაგრამ ბევრად უკეთესად ნიუ-იორკს, ქლივლენდსა და დეტროიტს ვიცნობ. შტატებში თქვენც ხართ ნამყოფი? არა, აუცილებლად უნდა ჩახვიდეთ. იცით...

პუარომ ქალალდი გაუწოდა.

— იქნებ აქ მოგვიწეროთ ხელი და თქვენი მუდმივი მისამართიც მიუთითოთ.

იტალიელმა ასოები საგანგებოდ გამოიყვანა. მერე წამოდგა და ისევ მომხიბვლელად გაიღიმა.

— მოვრჩით? მეტი აღარ გჭირდებით? კეთილი, ბატონებო, ბედნიერ დღეს გისურვებთ. იმედია, ამ თოვლს მალე დავალწევთ თავს. მილანში შეხვედრა მაქვს დანიშნული, — შენუხებულმა გაიქნია თავი. საქმე არ ჩამეშალოსო, თქვა გასვლისას.

პუარომ მეგობარს შეხედა.

— ამერიკაში დიდი ხანია ცხოვრობს, — თქვა მესიე ბუკმა. — თანაც იტალიელია, იტალიელებს კი უყვართ დანის ტრიალი. საკმაოდ მატყუარებიც არიან. არ მიყვარს იტალიელები.

— *Ça se voit*<sup>1</sup>, — ღიმილით ჩაილაპარაკა პუარომ. — შესაძლოა, მართალს ამბობთ, მეგობარო, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, ამ კაცის წინააღმდეგ არავითარი სამხილი არ გვაქვს.

— ფსიქოლოგია მოიშველიერ. განა იტალიელებს დანის ხმარება არ უყვართ?

— რასაკვირველია, — მიუგო პუარომ. — განსაკუთრებით გაცხარებულ ჩხუქში. მაგრამ ეს სულ სხვაგვარი დანაშაულია. მე მგონია, მეგობარო, რომ ეს მკვლელობა წინასწარიყო დაგეგმილი და საგულდაგულოდ მომზადებული. კარგა

<sup>1</sup> *Ça se voit* (ფრ.). — ისედაც ჩანს.

ხნით ადრეა გათვლილი. ეს, ასე ვთქვათ, ფიცხი ლათინის ჩა-  
დენილი დანაშაული არ უნდა იყოს. აქ ცივი გონიება, საზრია-  
ნობა და სხარტი აზროვნება იგრძნობა, რაც ანგლოსაქსებს  
უფრო ახასიათებთ.

უკანასკნელი ორი პასპორტი აიღო.

— მოდით, ახლა მის მერი დებენჰემს შევხვდეთ, — თქვა  
მან.

## 11. მის ჩებენჭების ჩვენება

როდესაც მერი დებენჭემი ვაგონ-რესტორანში შევიდა, პუარო დარწმუნდა, რომ მის შეფასებაში არ შემცდარა. კოხტად ეცვა: ტანს მომდგარი მოკლე, შავი კოსტიუმი და ფრანგული რუხი პერანგი. მუქი თმაც საგულდაგულოდ და სადად დაევარცხნა. მანერებიც თავშეკავებული და მშვიდი ჰქონდა.

პუაროსა და მესიე ბუკის პირდაპირ დაჯდა და ორივეს კითხვით აღსავსე მზერით შეხედა.

— თქვენი სრული სახელია მერი ჰერმიონ დებენჭემი და ოცდაექვსი წლის ხართ? — დაინტ პუარომ.

— დიახ.

— ინგლისელი?

— დიახ.

— თუ არ დაგვზიარდებით, მადმუაზელ, იქნებ ამ ფურცელზე თქვენი მუდმივი მისამართი დაგვინეროთ.

მერის უარი არ უთქვამს. სუფთა და მკაფიო ხელით დაწერა.

— ახლა კი, მადმუაზელ, წუხანდელზე ხომ არაფერს გვეტყოდით?

— ვშიშობ, სათქმელი არაფერი მაქვს. ვიწექი და მეძინა.

— დიდად დაგამნუხრათ მატარებელში წუხელ მომხდარმა ამბავმა, მადმუაზელ?

კითხვა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. მერის ნაცრისფერი თვალები გაუფართოვდა.

— თქვენი შეკითხვა კარგად ვერ გავიგე.

— სრულიად მარტივი კითხვა დაგისვით, მადმუაზელ. გაგიმეორებთ. დიდად დაგამნუხრათ მატარებელში წუხელ მომხდარმა დანაშაულმა?

— მე ასე არ შემიხედავს მომხდარისთვის. არა, ვერ გეტყვით, რომ საერთოდ დამწუხრებული ვიყო.

— აბა, დანაშაული თქვენთვის ჩვეული ამბავია?

— ბუნებრივია, უსიამოვნო ამბავია, — მშვიდად მიუგო  
მის დეპენტემბა.

— ნამდვილი ანგლოსაქსი ბრძანდებით, მადმუაზელ.  
*You n'eprouvez pas d'emotion.*<sup>1</sup>

მერის ოდნავ გაელიმა

— ვწუხვარ, რომ ჩემი გრძნობების გადმოსაცემად ის-  
ტერიკას ვერ გავმართავ. ხალხი ისედაც ყოველდღიურად  
იხოცება.

— ადამიანები, რა თქმა უნდა, იხოცებიან, მაგრამ მკვლე-  
ლობა მაინც უფრო იშვიათად ხდება.

— ოჟ, რასაკვირველია!

— მოკლულს არ იცნობდით?

— გუშინ სამხრობისას ვნახე პირველად.

— როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვათ?

— ვერც კი შევამჩნიე.

— თქვენზე ბოროტი ადამიანის შთაბეჭდილება არ მოუ-  
ხდენია?

მერიმ მხრები აიჩეჩა.

— თუ სიმართლე გაინტერესებთ, ამაზე არც მიფიქრია.  
პუარომ მკაცრად შეხედა.

— მე მგონი, ცოტა დამცინავად ეკიდებით ჩემი გამოძიე-  
ბის მეთოდებს, — ეშმაკურად გაულიმა ახალგაზრდა ქალს.

— ინგლისელი, ალბათ, გამოძიებას ასე არ წარმართავდა.

ყველაფერ ზედმეტს უკუაგდებდა და მხოლოდ მშრალ ფა-  
ქტებზე დაყრდნობით დასვამდა შეკითხვებს, ანუ მკაცრად

გაწერილი წესებით იმოქმედებდა. მაგრამ მე, მადმუაზელ,  
ჩემი თავისებურებები მახასიათებს. ჯერ ვაკვირდები ჩემს

მოწმეს, ვსწავლობ მის ხასიათს და ვაანალიზებ, ხოლო  
ჩემს შეკითხვებს სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით

ვაყალიბებ. აი, ერთი წუთის წინ იმ ჯენტლმენს ვუსვამდი  
შეკითხვებს, რომელიც მზად იყო, ნებისმიერ დეტალი გაე-

საჯაროებინა. ამიტომ მკაცრად მივუთითე, რომ თემიდან  
არ გადაეხვია, კონკრეტული პასუხების გაცემა მოვთხოვე.

<sup>1</sup> *You n'eprouvez pas d'emotion* (ფრ.). — აქ: ემოცია არ გავაჩნიათ.

თქვენ კი, როგორც ვხედავ, საკმაოდ თანამიმდევრული და მოწესრიგებული ბრძანდებით. დარწმუნებული ვარ, თქვენი პასუხები მოკლე და კონკრეტული იქნება. და ვინაიდან ადამიანს წინააღმდეგობრივი ბუნება აქვს, ამიტომაც გისვამთ განსხვავებულ კითხვებს. არ მოგწონთ ასეთი მიღვომა?

— გულწრფელ პასუხს თუ მომიტევებთ, ცოტა არ იყოს, დროის კარგვა მგონია. მომენტია თუ არა მისტერ რეთჩეთის სახე, არა მგონია, ამ კითხვაზე პასუხმა მკვლელი გაპოვნინოთ.

— და თუ იცით, ვინ იყო სინამდვილეში ეგ რეთჩეთი, მადმუაზელ?

მან თავი დაუქნია.

— მისის ჰაბარდმა ყველას მოსდომ მისი ამბავი.

— არმსთრონგის საქმეზე რა აზრის ხართ?

— საშინელებაა, — გადაჭრით უპასუხა ქალიშვილმა.

პუარომ ეჭვით შეხედა.

— როგორც ვიცი, ბალდადიდან მოემგზავრებით, ხომ, მის დებენჰემ?

— დიახ.

— ლონდონში მიდიხართ?

— დიახ.

— ბალდადში რას საქმიანობდით?

— ორი ბავშვის გუვერნანტი ვიყავი.

— აპირებთ ამ საქმეს შვებულების მერეც დაუბრუნდეთ?

— არ ვარ დარწმუნებული.

— რატომ?

— ბალდადი ყველაფერს მოწყვეტილია. ლონდონში მირჩევნია ყოფნა, თუკი რამე შესაფერისს ვიპოვი.

— გასაგებია. ისიც ვიფიქრე, გათხოვებას ხომ არ აპირებს-მეთქი.

მის დებენჰემს პასუხი არ გაუცია. უბრალოდ პუაროს თვალებში შეხედა. თითქოს მზერით ანიშნა, რა მოურიდებელი ვინმე ხართო.

- იმ ლედიზე რა შეგიძლიათ თქვათ, თქვენთან ერთ კუპეში რომ მგზავრობს, მის ოლსონსზე?
- სასიამოვნო და უბრალო ქალია.
- რა ფერის ხალათი აქვს?
- მერი დებენჰემი მიაშტერდა.
- მოყავისფრო, შალის.
- გავძედავ და ყოველგვარი კადნიერების გარეშე ვახსენებ, რომ ალეპოდან სტამბოლისკენ მიმავალ მატარებელში თქვენი ხალათი შევნიშნე. ღია უოლოსფერი იყო, თუ არ ვცდები.
- დიახ, სწორია.
- სხვა ხალათი თუ გაქვთ, მადმუაზელ? ვთქვათ, მენამული ან ალისფერი?
- არა, ეგ ხალათი ჩემი არ არის.
- პუარო ისე გადაიხარა მისკენ, თითქოს კატა ეპარება თავსო.
- აბა, ვისია?
- მერიმ ოდნავ უკან დაიწია და გაწითლდა.
- არ ვიცი. რას გულისხმობთ?
- თქვენ არ გითქვამთ, ევეთი ხალათი არ მაქვსო, თქვენ თქვით, ეგ ხალათი ჩემი არ არისო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეგ ხალათი არსებობს და სხვას ეკუთვნის.
- მერიმ თავი დაუკრა.
- მატარებელში ვინმეს აქვს ასეთი?
- დიახ.
- ვის?
- გითხარით, არ ვიცი-მეთქი. დღეს, გამთენისას, ხუთ საათზე, იმ შეგრძნებით გამელვიძა, რომ მატარებელი კარგა ხნის გაჩერებული იყო. კარი გავაღე და დერეფანში გავიხედე, ვიფიქრე, ალბათ, რომელიმე სადგურში გავჩერდით-მეთქი. დერეფანის ბოლოში ვიღაცას მოვკარი თვალი, მენამული კიმონო ეცვა.
- არ იცით, ვინ იყო? ქერა იყო, შავგვრემანი თუ ჭალარა?
- ვერ გეტყვით. თავზე ჩაჩი ეხურა, თან ზურგიდან დავინახე.

— როგორი აღნაგობა ჰქონდა?

— საკმაოდ მაღალი და გამხდარი, როგორც აღვიქვი, მაგრამ ძნელი სათქმელია. კიმონოზე დრაკონები იყო ამოქარგული.

— დიახ, დიახ, მართალია, დრაკონები. — პუარო წუთიერად ფიქრებს მიეცა. თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— ვერ გამიგია. ვერაფერი გამიგია. ერთი მეორეს არ ებმის.

მერე მის დებენჰემს შეხედა და უთხრა:

— მეტად აღარ შეგაყოვნებთ, მადმუაზელ.

— ოჟ! — გაუკვირდა და სწრაფად წავიდა კარისკენ, თუმცა ვაგონიდან არ გასულა, კართან შეყოვნდა და უკან შემობრუნდა.

— შვედი ქალბატონი, მის ოლსონი, ძალიან აღელვებული ჩანს. მისთვის გითქვამთ, ცოცხალი ყველაზე ბოლოს თქვენ ნახეთო. მგონი, ჰერნია, რომ მასზე გაქვთ ეჭვი. შეიძლება, ვუთხრა, რომ ტყუილად ღელავს? ისეთი სათნო არსებაა, ბუზსაც კი ვერ მოკლავს, — საუბრისას ღიმილი შეერია.

— რომელ საათზე გავიდა მისის ჰაბარდთან ასპირინის გამოსართმევად?

— ასე, თერთმეტის ნახევარი იქნებოდა.

— და რამდენ ხანში შემობრუნდა უკან?

— ხუთიოდე წუთში.

— ღამით კუპედან აღარ გასულა?

— არა.

პუარო ექიმს მიუბრუნდა.

— შესაძლებელია, რომ რეთჩეთი დროის ამ მონაკვეთში მოეკლათ?

ექიმმა თავი გააქნია.

— ვფიქრობ, თქვენი მეგობარი შეგიძლიათ დაამშვიდოთ, მადმუაზელ.

— გმადლობთ, — მერიმ ისე გაულიმა, რომ პუარომ მის მიმართ სიმპათია იგრძნო. — იცით, ეს შვედი ქალბატონი ცხვარს წააგავს. თავგზა აქვს აბნეული და სულ სლუკუნებს.

მერი დებენჰემი შეტრიალდა და ვაგონიდან გავიდა.

## 12. ბერმანები მოახდის ჩვენება

მესიე ბუკმა თავის მეგობარს ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— მთლად კარგად არ მესმის თქვენი, მეგობარო. რის პოვნას ცდილობთ?

— ბზარს ვეძებ, მეგობარო, ბზარს.

— ბზარს?

— დიახ, ახალგაზრდა ლედის თავშეკავების ჯავშანში. მისი გულგრილობის კედელი მინდოდა გამერლვია. მივაღწიე კი რამეს? ეს არ ვიცი, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ ჩემგან ასეთ მიდგომას არ ელოდა.

— მასზე ეჭვობთ, — რბილად შეაპარა მესიე ბუკმა. — მაგრამ რატომ? ძალიან მომხიბვლელი ქალიშვილია და ალბათ, ამქვეყნად ყველაზე ბოლოს მასზე მივიტანდი ეჭვს.

— გეთანხმებით, — თქვა კონსტანტინმა. — ცივსისხლიანია, ემოციებს მოკლებული. ამიტომ კაცს ვერ დაჭრიდა დანით, წავიდოდა და სასამართლოში უჩივლებდა.

პუარომ ამოიოხრა.

— ორივემ უნდა მოიშოროთ აკვიატებული აზრი, თითქოს ეს შემთხვევითი და მოულოდნელი მკვლელობაა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვეჭვობ მის დებენჰემზე, საამისოდ ორი მიზეზი მაქვს. პირველი ისაა, რომ ერთ საინტერესო საუბარს მოვკარი ყური, რომელიც თქვენ არ იცით.

პუარომ ალეპოდან მომავალ მატარებელში მოსმენილი უამბო ორივეს.

— ნამდვილად საინტერესოა, — თქვა მესიე ბუკმა, როდესაც პუარომ თხრობა დასრულა. — ამას ახსნა სჭირდება. თუკი ზუსტად ისეა, როგორც თქვენ ბრძანებთ, გამოდის, ამ საქმეში ორივე ყოფილა გარეული, ლედიც და პირქუში ინგლისელი მამაკაციც.

პუარომ თავი დაუქნია.

— მაგრამ ეს ფაქტებით არ მტკიცდება, — თქვა პუარომ.

— აბა, დაუკვირდით, თუკი ორივე გარეულია მკვლელობაში, მაშინ რა გამოდის? ერთმანეთს ალიბი უნდა შეუქმნან. ხომ ასეა? მაგრამ მთლად ასე არ ხდება. მისის დებენჰემის ალიბის შვედი ქალბატონის ჩვენება ამყარებს, რომელსაც აქამდე არ იცნობდა. პოლკოვნიკ არბეთნოთს კი მაქქუინი, თავად მოკლულის მდივანი უქმნის ალიბის. არა, ამ ამოცანას ასეთი მარტივი ამოხსნაც არ ექნება.

— თქვენ თქვით, მეორე მიზეზიც არსებობს, რომ მერიზე ეჭვი მივიტანო, — შეახსენა მესიე ბუკმა.

პუაროს გაელიმა.

— ოჟ, ეს მხოლოდ ფსიქოლოგიური მიზეზია. ჩემს თავს ვეკითხები, რამდენად შესაძლებელია, რომ მისის დებენჰემს ეს დანაშაული წინასწარ დაეგეგმა. ამ საქმის უკან, ღრმად ვარ დარწმუნებული, ცივი, გამჭრიახი და სხარტი გონების ადამიანი დგას. მის დებენჰემი კი ამ კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებს.

მესიე ბუკმა თავი გააქნია.

— მე მგონი, ცდებით, მეგობარო. ეს ინგლისელი ქალიშვილი არც ასეთი ცივსისხლიანი მგონია.

— კეთილი, — თქვა პუარომ და უკანასკნელი პასპორტი აიღო. — უკანასკნელ გვარს მივადექით. პილდეგარდ შმიდტი, მოახლე.

გამყოლმა ამ უკანასკნელსაც მოახსენა, გიბარებენო, და პილდეგარდ შმიდტი ვაგონ-რესტორანში გამოცხადდა. ქალმა თავაზიანი მზერა მოავლო მამაკაცებს და დაელოდა, სანამ რამეს ეტყოდნენ.

პუარომ ანიშნა, დაბრძანდითო.

ქალი მშვიდად დაჯდა და გულხელი დაიკრიფა. საერთოდაც მშვიდი ბუნების ჩანდა. შესაძლოა, დიდი ინტელექტით არ გამოირჩეოდა, თუმცა პატივისცემას ნამდვილად იწვევდა.

პუარომ პილდეგარდის დაკითხვისას სხვა მეთოდს მიმართა, მერი დებენჰემის დაკითხვის მეთოდისგან სრულიად განსხვავებულს.

ძალიან კეთილგანწყობილად და თავაზიანად მიუდგა ქალს, რომ უფრო გაეხსნა და აელაპარაკებინა. როდესაც ჰილდე-გარდ შმიდტმა თავისი ვინაობა წერილობითაც დაადასტურა, პუარო კითხვების დასმაზე გადავიდა.

საუბარი გერმანულად წარიმართა.

— გვინდა, მაქსიმალურად ბევრი რამ შევიტყოთ წუხელ მომხდარი ამბის შესახებ, — აუხსნა ქალს. — ვიცით, რომ კონკრეტულად დანაშაულის შესახებ ბევრს ვერაფერს გვეტყვით, მაგრამ იქნებ რამე ხმაური გაიგონეთ ან რამეს მოჰკარით შემთხვევით თვალი? ის, რაც თქვენ უბრალო წვრილმანად გეჩვენებათ, შესაძლოა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი დეტალი აღმოჩნდეს. ხომ გესმით?

ქალს სახის გამომეტყველებაზე ემჩნეოდა, რომ ვერაფერიც ვერ გაიგო. პასუხის გაცემის დროსაც ფართო, კეთილსახეზე სულელური გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი.

— სრულიად არაფერი ვიცი, მესიე.

— კეთილი. ის მაინც თუ გახსოვთ, წუხელ თქვენმა ქალბატონმა რომ გიხმოთ?

— დიახ, მახსოვს.

— რა დრო იყო, გახსოვთ?

— არა, მესიე. მეძინა, როდესაც გამყოლი მოვიდა და მითხრა, ქალბატონი გიბარებთო.

— დიახ, დიახ. რამდენად ხშირად გიხმობენ ხოლმე ღამით?

— არცთუ იშვიათად, მესიე. დიდებულ ქალბატონს ხშირად სჭირდება ღამით ყურადღება. უძილობა ანუხებს.

— კეთილი. ესე იგი, დავალება რომ მიიღეთ, ადექით. ხალათი მოიცვით?

— არა, მესიე, ახალი კაბა ჩავიცვი. თავადის ქალთან ხალათით როგორ შევიდოდი?

— თუმცა საკმაოდ ლამაზი წითელი ხალათი გაქვთ, ხომ ასეა?

მოახლე მიაშტერდა.

— ლურჯი ფლანელის ხალათი მაქვს, მესიე.

— ოჟ, მომიტევეთ. განაგრძეთ. ეს ისე, ვიხუმრე. მოკლედ, თავადის ქალთან წაბრძანდით. მის კუპეში რას აკეთებდით?

— მასაუი გავუკეთე, მესიე, და ვუკითხავდი. მართალია, ხმამაღლა კარგად ვერ ვკითხულობ, მაგრამ მისი აღმატებულება მეუბნება, შენი ხმა ძილს მვვრისო. როდესაც ძილი მოერია, მითხრა, შეგიძლია, წახვიდეო. მეც დავხურე წიგნი და ჩემს კუპეში დავბრუნდი.

— რომელი საათი იქნებოდა, არ გახსოვთ?

— არა, მესიე.

— კეთილი. რამდენი ხანი დაჲყავით თავადის ქალთან?

— ალბათ, წახევარი საათი, მესიე.

— კარგი, განაგრძეთ.

— თავდაპირველად ქალბატონს ჩემი კუპედან კიდევ ერთი პლედი წავულე, მართალია, კარგად ათბობენ, მაგრამ ძალიან სციოდა. პლედი გადავაფარე და ლამე ნებისა მისურვა. ცოტაოდენი მინერალური წყალიც დავუსხი. მერე შუქი ჩავუქრე და წამოვედი.

— მერე?

— მერე არაფერი, მესიე. ჩემს კუპეში შევედი და დავიძინე.

— დერეფანში არავინ შეგხვედრიათ?

— არა, მესიე.

— თვალი ხომ არ მოგიკრავთ დრაკონებით მორთული წითელკიმონოიანი ქალბატონისთვის?

ჰილდეგარდ შმიდტმა გაფართოებული, თუმცა მშვიდი თვალებით შეხედა.

— არა, ბატონო, მსგავსიც არავინ დამინახავს. გამყოლის გარდა სხვა არავინ იყო. ყველას ეძინა.

— გამყოლი დაინახეთ?

— დიახ, მესიე.

— რას აკეთებდა?

— ერთ-ერთი კუპედან გამოდიოდა, მესიე.

— რა? — მესიე ბუკი წინ წამოიწია. — რომელი კუპედან? ამ მოულოდნელმა შეკითხვამ ჰილდეგარდ შმიდტი თი-

თქოს შეაშინა და პუარომ საყვედურით გახედა მეგობარს.

— როგორც წესი, გამყოლს ღამლამობით ზარით იძახებენ ხოლმე, — უთხრა მან. — ხომ ვერ გაიხსენებთ, რომელი კუპედან გამოდიოდა?

— ვაგონის შუაში იყო, მესიე. თავადის ქალის კუპედან ორი ან სამი კარის მოშორებით.

— ოჟ! თუ არ დაგვზარდებით, მოგვიყევით, მერე რა მოხდა?

— ლამის სირბილით ჩამიქროლა. ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც ჩემი კუპედან გავდიოდი, რომ თავადის ქალისთვის პლედი შემეტანა.

— და ის სწორედ მაშინ გამოვარდა კუპედან დაკინალამ დაგეჯახათ? რომელი მიმართულებით გარბოდა?

— ჩემი მიმართულებით, მესიე. მომიბოდიშა და ვაგონ-რესტორნისკენ გაიქცა. ამ დროს ისევ დაირეკა ზარი, მაგრამ არ მგონია, რომ ეპასუხა. — ქალი შეყოვნდა, მერე ისევ განაგრძო.

— ვერ ვხვდები, როგორ...

პუარომ დასამშვიდებლად უთხრა:

— მხოლოდ დროის დადგენა გვინდა, ჩვეულებრივი რიგითი შეკითხვებია. იმ საწყალ გამყოლს ეტყობა, მეტად დამლლელი ლამე ჰქონდა. ჯერ თქვენ გაგალვიძათ, მერე ზარებზე მოუხდა რეაგირება.

— ის გამყოლი არ იყო, რომელმაც მე გამალვიძა, მესიე. სხვა იყო.

— რაო?! სხვა? მანამდე გინახავთ?

— არა, მესიე.

— ოჟ, როგორ გგონიათ, ხელახლა რომ ნახოთ, იცნობთ?

— მგონი კი, მესიე.

პუარომ რაღაც გადაუჩურჩულა მესიე ბუკა. ეს უკანასკნელი წამოდგა და კარისკენ წავიდა ბრძანების გასაცემად.

პუარომ კი კითხვების დასმა მეგობრული ჭონით განაგრძო.

— ამერიკაში თუ ხართ ნამყოფი, ფროილაინ შმიდტ?

— არასდროს, მესიე. ალბათ, ლამაზი ქვეყანაა.

— ალბათ, გაიგებდით, ვინ აღმოჩნდა მოკლული? ის კაცი პატარა ბავშვის მკვლელობაში იყო გარეული.

— დიახ, ეს ამბავი მეც გავიგე. რამხელა ცოდვა სდებია მაგ უბედურს. ლმერთი როგორ უშვებს ასეთ საშინელ დანაშაულს. ჩვენთან, გერმანიაში, მსგავსი არაფერი ხდება.

ქალს თვალები აუცრემლიანდა. ეტყობა, მასში დედობრივმა გრძნობებმა გაიღვიძა.

— მართლაც საშინელი დანაშაული იყო, — დაეთანხმა პუარო.

მან ბატისტის ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და ქალს გაუწოდა.

— ეს თქვენი ცხვირსახოცია, ფროილაინ შმიდტ?

სანამ ქალი კარგად შეათვალიერებდა ნივთს, წუთიერი დუმილი ჩამოვარდა. მერე პუაროს გახედა. სახე ოდნავ წამოსწითლებოდა.

— ეს ჩემი ცხვირსახოცი, არ არის, მესიე.

— როგორც ხედავთ, მასზე ინიციალი H-ია გამოსახული. ამიტომაც მეგონა თქვენი.

— ოჟ, მესიე, ეს ვიღაც ლედის ცხვირსახოცი იქნება. ძალიან ძვირიც ელირება. ხელითაა ნაქარგი. ალბათ პარიზშია ნაყიდი.

— გამოდის, თქვენი არ არის და არც ის იცით, ვისია?

— მე? არა, მესიე, ნამდვილად არ ვიცი.

სამი მამაკაციდან მხოლოდ პუარომ შენიშნა ერთი პატარა ნიუანსი — პასუხის გაცემისას ქალი შეყოყმანდა.

მესიე ბუკმა რაღაც ჩასჩურჩულა მეგობარს ყურში და პუარომ ქალს მიმართა:

— ახლა სამივე საძილე ვაგონის გამყოლები მოვლენ. იქნებ პატივი დაგვდოთ და გვითხრათ, რომელი შეგეჩეხათ დერეფანში, როდესაც თავადის ქალისთვის პლედი მიგქონდათ?

სამი მამაკაცი შემოვიდა. პიერ მიშელი, ათენი-პარიზის ვაგონის მაღალი, ქერა გამყოლი და ბუქარესტის ვაგონის ჩასკვნილი, ახოვანი გამყოლი.

ჰილდეგარდ შმიდტმა სამივეს შეხედა და უარყოფის ნიშ-

ნად თავი გააქნია.

— არა, მესიე, — თქვა მან. — ამათგან არც ერთი არ არის  
ის, ვინც წუხელ ვნახე.

— კი მაგრამ, ჩვენს მატარებელს მხოლოდ ეს სამი გამ-  
ყოლი ემსახურება. ალბათ, ცდებით.

— სრულიად დარწმუნებული გახლავართ, მესიე. ესენი  
ყველა მაღალი, ტანსრული მამაკაცები არიან. ის კი ტან-  
მორჩილი, შავთმიანი კაცი იყო, პატარა ულვაშიც ჰქონდა.  
რომ მომიბოდიშა, რაღაც ქალივით ხმა ჰქონდა. რატომლაც  
კარგად დამამახსოვრდა, მესიე.

### 13. მგზავრთა ჩვენებების შეკამება

— ტანმორჩილი, შავგვრემანი კაცი ქალის ხმით, — თქვა მესიე ბუკმა.

სამივე გამყოლი და ჰილდეგარდ შემიდგი უკვე წასულები იყვნენ.

მესიე ბუკმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— ვერაფერი გავიგე, სრულიად ვერაფერი! რეთჩეთის მიერ ნახსენები მტერი იყო თუ არა საერთოდ ამ მატარებელში? თუ აქ იყო, ახლა სადაა? ხომ ვერ გაქრებოდა? თავბრუ მეხვევა. რამე გვითხარით, მეგობარო, გევედრებით. ამიხსენით, როგორ აღვიქვა შეუძლებელი შესაძლებლად!

— კარგი ნათქვამია, — უთხრა პუარომ. — შეუძლებელი ვერ მოხდებოდა, ამიტომ, რაც გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებლად გვეჩვენება, სრულიად შესაძლებელი და დასაშვები უნდა იყოს.

— მაშინ დროზე აგვიხსენით, რა მოხდა წუხელ ამ მატარებელში.

— ჯადოქარი ხომ არ ვარ, *mon cher*. მეც, თქვენი არ იყოს, ძალიან დაბნეული ვარ. ეს საქმე მეტისმეტად უცნაურად ნელა მიიწევს წინ.

— სულაც არ მიიწევს წინ. ისევ იქ არის, სადაც იყო.

პუარომ თავი გადააქნია.

— არა, ასე არ გახლავთ. აშკარად წავიწიეთ წინ. კონკრეტული გარემოებები ვიცით. მგზავრთა ჩვენებებიც მოვისმინეთ.

— მერე, ამ ჩვენებებმა რა მოგვცა? სრულიად არაფერი.

— ასე არ ვიტყოდი, მეგობარო.

— შესაძლოა, ვაჭარბებ. ამერიკელმა ჰარდმენმა და გერმანელმა მოახლეობაშკარად გვითხრეს რაღაც ახალი, მაგრამ ამან კიდევ უფრო ჩახლართა ეს საქმე.

— არამც და არამც, — დამამშვიდებელი ინტონაციით უთხრა პუარომ.

მესიე ბუკი მიუბრუნდა.

— მაშ, გვითხარით რამე, ერკიულ პუაროს სიბრძნეს გვაზიარეთ.

— ხომ გითხარით, თქვენსავით დაბნეული ვარ-მეთქი. მაგრამ ახლა პრობლემა უფრო გამოიკვეთა და შეგვიძლია, ყველა ფაქტი წესისა და რიგის მიხედვით დავაწყოთ.

— გთხოვთ, განაგრძეთ, მესიე, — სთხოვა ექიმმა კონსტანტინმა.

პუარომ ჩაახველა და საშრობი ქალალდის ნაგლეჯი გაასწორა.

— მოდით, გავერკვეთ იმაში, რაც გვაქვს. ჯერ ერთი, საქმეში გვაქვს რამდენიმე უტყუარი ფაქტი. ამ კაცს, რეთჩეთს, ანუ კასეტს, წუხელ დანით თორმეტი ჭრილობა მიაყენეს და მოკლეს. ეს ერთი ფაქტი.

— გეთანხმებით, მეგობარო, ეს დიდი აღმოჩენაა, — ირონიულად გამოეპასუხა მესიე ბუკი.

პუარო არ გალიზიანებულა, წინანდებურად მშვიდად განაგრძო.

— ზოგიერთ აშკარად უჩვეულო გარემოებას ჯერ არ ვახსენებ, ამაზე მე და ექიმმა კონსტანტინმა უკვე ვისაუბრეთ. ამას მოგვიანებით დავუბრუნდები. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი, მე თუ მკითხავთ, დანაშაულის ჩადენის დროა.

— ესეც იმ მნირი ინფორმაციის დეტალია, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილია, — ჩაერთო მესიე ბუკი. — დანაშაული რომ წუხელ ორის თხუთმეტ წუთზე მოხდა, ამას ხომ ყველაფერი ისედაც მოწმობს.

— ყველაფერი არა, აჭარბებთ. ამის დასტურად მცირე და საკმაოდ სუსტი მტკიცებულებები გვაქვს.

— მოხარული ვარ, ამას მაინც რომ ადასტურებთ.

პუარომ ისე აუღელვებლად განაგრძო, თითქოს არც არავის გაუწყვეტინებია სიტყვა.

— სამი ვარაუდის გამოთქმის საშუალება გვაქვს:

პირველი ის, რომ მკვლელობა, როგორც თქვენ ბრძა-

ნებთ, ორის თხუთმეტ წუთზე მოხდა. ამ ვარაუდს ადასტურებს საათი, ასევე მისის ჰაბარდის და გერმანელი მოახლის ჩვენება. ეს ვარაუდი ექიმ კონსტანტინის ჩვენებითაც მყარდება.

მეორე ის, რომ მკვლელობა შესაძლოა, უფრო გვიან მოხდა და საათის ისრები განგებ, თავგზის ასაბნევად გადასწინებული გვიან.

და მესამე: მკვლელობა უფრო ადრე მოხდა, საათის ისრები კი ზემოხსენებული მიზეზით გადასწინებული ახლა კი, თუ პირველ ვარაუდს ყველაზე დასაშვებად მივიჩნევთ, რომელიც სხვაზე მეტად დამაჯერებელია და ჩვენებათა უმეტესობითაც მყარდება, მაშინ ამ ვარაუდიდან გამომდინარე ფაქტებიც უნდა გავითვალისწინოთ. მაშ, ასე, თუკი მკვლელობა ორის თხუთმეტ წუთზე მოხდა, მკვლელი მატარებლიდან ველარ გააღწევდა. ისმის კითხვა: სად იმყოფება ახლა? ან ვინ არის?

ეს ვარაუდი რომ განვავითაროთ, მოდით, ჩვენებები დიდი სიფრთხილით განვიხილოთ. ტანმორჩილი, შავგვრემანი კაცის არსებობა, რომელსაც თურმექალის ხმა ჰქონია, პირველად მისტერ ჰარდმენისგან შევიტყვეთ. გვითხრა, რეთჩეთმა მიამბო მის შესახებ და მთხოვა, თვალი გეჭიროსო. მაგრამ ამის მტკუიცებულება სად არის? მხოლოდ ჰარდმენის სიტყვას ვეყრდნობით. განვაგრძოთ ეს საკითხი: არის კი ჰარდმენი მართლაც ნიუიორკელი გამომძიებელი, როგორც თავს წარმოგვიდგენს?

ყველაზე საინტერესო კი, ჩემიაზრით, ის არის რომ პოლიციისთვის ხელმისაწვდომ ყველა საშუალებას მოკლებულნი ვართ. ვერც ერთი ამ ადამიანის bona fide-ს<sup>1</sup> ვერ შევამოწმებთ. მხოლოდ ვარაუდებს უნდა დავეყრდნოთ. ეს, რაღა დაგიმალოთ და, ამ საქმეს ჩემთვის უფრო საინტერესოს ხდის. აღარავითარი რუტინული სამუშაო, აღარ გამოდის. მხოლოდ და მხოლოდ გონებაზე ხარ დამოკიდებული. შეგვიძლია, ვენდოთ ჰარდმენის ჩვენებას? მე ჩემს გადაწყვე-

<sup>1</sup> *Bona fide* (ლათ). — კეთილსინდისიერი ჩვენება.

ტილებას გაგაცნობთ და გეტყვით „დიახ“. მიმაჩნია, რომ ჰარდმენს უნდა ვენდოთ.

— საკუთარ ინტუიციას ეყრდნობით? ამერიკელები გუმანს რომ ეძახიან? — ჰკითხა ექიმმა კონსტანტინმა.

— სრულიადაც არა. ყველანაირ ალბათობას განვიხილავ. ჰარდმენი ყალბი პასპორტით მოგზაურობს, რაც მის პიროვნებაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა. როდესაც პოლიცია მოვა, პირველი, რასაც იზამს, ჰარდმენს დააკავებს და ნიუ-იორკს აცნობებს, რომ მისი ვინაობა დაადგინოს. მგზავრთა დიდი ნაწილის ვინაობის დადგენა საკმაოდ გართულდება და არც არავინ მოიკლავს ამ საქმეზე თავს, რადგან მათი უმეტესობა ისედაც არ იძლევა დაეჭვების რაიმე საფუძველს. მაგრამ ჰარდმენის შემთხვევაში ყველაფერი მარტივადაა. ან მართლაც ის პიროვნებაა, რომლადაც თავს ასაღებს, ან არა. ამიტომაც მგონია, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე უნდა იყოს.

— ანუ მასზე სულ არ მიგაქვთ ეჭვი?

— სულ-მეთქი, ვერ ვიტყვი. არასწორად გამიგეთ. მე რომ მკითხოთ, ნებისმიერ ამერიკელ გამომძიებელს შეიძლება რეთჩეთის მოკვლის პირადი მიზეზი ჰქონდეს. მაგრამ ახლა სხვა რამეს ვამბობ: ჩემი აზრით, ჰარდმენი შესაძლოა მართლაც დეტექტივი იყოს და სულაც არ ცრუობდეს. ხოლო ის ამბავი, რომ რეთჩეთმა თავის დასაცავად დაიქირავა, შესაძლოა, ასევე შეესაბამებოდეს სიმართლეს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მტკნარი სიცრუეც იყოს. თუ გვინდა, რომ ეს ინფორმაცია ვირწმუნოთ, მაშინ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებაც უნდა მოვიძიოთ. ამ მტკიცებულებას კი, სრულიად მოულოდნელად, ჰილდეგარდ შმიდტის ჩვენებაში ვპოულობთ. ამ ქალბატონის მიერ დერეფანში დანახული გამყოლი რატომლაც ძალიან ჰგავს რეთჩეთის მიერ აღწერილ მკვლელს. შემდეგ რა ხდება, აქვს ამ ორ ამბავს კიდევ რამე საერთო? აქვს! ესაა ღილი, რომელიც მისის ჰაბარდმა თავის კუპეში იპოვა. ამას გარდა, არის კიდევ ერთი დამადასტურებელი განცხადება, რომელიც თქვენ გამოგრჩათ.

— რომელი?

— პოლკოვნიკი არბეთნოთიც და ჰექტორ მაქქუინიც ადასტურებენ, რომ დერეფანში მიმავალ გამყოლს მოჰკრეს თვალი. მათ, ცხადია, ამას ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ როგორც ვიცით, ბატონებო, პიერ მიშელს თავისი ადგილი არ დაუტოვებია გარდა იმ რამდენიმე შემთხვევისა, როდესაც გამოიძახეს, მაგრამ არც ერთი გამოძახების დროს მას მაქქუინის კუპესთან არ ჩაუვლია.

მაშასადამე, გამყოლის უნიფორმიანი ტანდაბალი, შავგვრემანი და წვრილხმიანი მამაკაცის შესახებ ვერსია ოთხი მგზავრის პირდაპირი და ირიბი ჩვენებებით მყარდება.

— ერთი მცირე დეტალი, — ჩაერთო ექიმი კონსტანტინი.  
— თუკი ჰილდეგარდ შმიდტის მონაყოლი სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ნამდვილმა გამყოლმა რატომ ვერ შენიშნა ეს ქალბატონი, როდესაც მისის ჰაბარდთან მიდიოდა? ყოველ შემთხვევაში, გამყოლს არ უხსენებია, ფროილაინ შმიდტი დავინახეო.

— ამისი ახსნა შესაძლებელია: როცა გამყოლი მისის ჰაბარდთან მიდიოდა გამოძახებაზე, მოახლე იმ დროს თავის ქალბატონთან იმყოფებოდა კუპეში, ხოლო როცა ქალი თავის კუპეში დაბრუნდა, გამყოლი მისის ჰაბარდის კუპეში იყო.

მესიე ბუკი მოუთმენლად იცდიდა, სანამ პუარო წინადაღებას დაასრულებდა.

— დიახ, დიახ, მეგობარო, — მიმართა პუაროს. — პირდაპირ ალფროვანებული ვარ თქვენი გამჭრიახობით და იმასაც ვხვდები, რომ მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევთ, მაგრამ მთავარი გამოგრჩათ. ყველა ისედაც ვთანხმდებით, რომ ეს პიროვნება არსებობს, მაგრამ საკითხავი ისაა, თუ სად იმყოფება ახლა?

პუარომ თავი გააქნია და მომდურავი თვალებით შეხედა.

— ცდებით. ურიკას ცხენის წინ აჩერებთ. სანამ იმას ვკითხავდე ჩემს თავს, ეს კაცი სად გაქრა-მეთქი, მანამდე მინდავკითხო, საერთოდ არსებობს კი ეს კაცი? აბა, წარმოიდგინეთ, თუ ეს კაცი საერთოდ არ არსებობს და გამოგონილია,

მაშინ ხომ მისი გაქრობაც იოლზე იოლი იქნებოდა! ასე რომ, ჯერ იმის დადგენას ვცდილობ, მართლაც რეალურად არსებობდა თუ არა ეს კაცი.

— თუ იმ მოსაზრებას დავეყრდნობით, რომ მართლაც არსებობს, მაში, ახლა სად იმყოფება?

— ამაზე მხოლოდ ორი პასუხი მაქვს, *mon cher*. ან ჯერ კიდევ მატარებელშია და ისეთ იდუმალ ადგილას იმაღება, რომ ვერასდროს მივაგნებთ, ანდა საქმე ორ პიროვნებასთან გვაქვს. ანუ ერთდროულად ის კაციცაა, ვისიც მისტერ რეთჩეთს ასე ეშინოდა და ერთ-ერთი მგზავრიც, რომელიც ისე კარგად შეინიღბა, რომ მსხვერპლმა ვერ იცნო.

— ურიგო აზრი როდია, — სახე გაუბრნებინდა მესიე ბუკს, მაგრამ მაღევე მოილუშა, — მაგრამ ერთი შეუსაბამობაა...

პუარომ სიტყვა ჩამოართვა:

— მამაკაცის სიმაღლე. ამის თქმა გნებავდათ? გარდა მისტერ რეთჩეთის მსახურისა, ყველა მამაკაცი ტანმაღლია — იტალიელი, პოლკოვნიკი არბეთნოთი, ჰექტორ მაქეუინი, გრაფი ანდრენი. მხოლოდ მსახურილა გვრჩება, მაგრამ მკულელის როლს ნაკლებად ერგება. თუმცა ჩნდება მეორე ვარაუდიც: ქალის ხმა, ანუ მამაკაცისთვის მეტისმეტად წვრილი ხმა. ეს უკვე ალტერნატივის წინაშე გვაყენებს. მამაკაცი, რომელიც თავს ქალად ასაღებდა ან ქალი, რომელიც მამაკაცად შეინიღბა. მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი მაღალი ქალიც ტანდაბალი გამოჩნდებოდა.

— მაგრამ რეთჩეთს ხომ უნდა სცოდნოდა...

— იქნებ, იცოდა კიდეც. ვინ იცის, იქნებ, მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილმა ამ ქალმა მანამდეც სცადა თავს დასხმოდა. იქნებ, რეთჩეთმა იფიქრა, ისევ იმავე ხრის მიმართავს ჩემს მოსაკლავადო და ამიტომაც გააფრთხილა ჰარდმენი, მამაკაცზე გეჭიროთ თვალიო. თან ხომ ქალის ხმაც ახსენა.

— შესაძლებელია, — ჩაერთო მესიე ბუკი. — და მაინც...

— მისმინეთ, მეგობარო, ახლა იმ შეუსაბამობაზეც მინდა

მოგახსენოთ ორიოდ სიტყვით, ექიმმა კონსტანტინმა რომ შენიშნა.

პუარომ მეგობარს გააცნო ჭრილობების ხარისხიდან გამომდინარე ვარაუდები და დასკვნები, რომლებიც ბერძენ ექიმთან ერთად გააანალიზა და სარწმუნოდ მიიჩნია. მესიე ბუკმა ამოიოხოდა და ხელები თავზე წაივლო.

— მესმის, — უთხრა თანაგრძნობით პუარომ. — ვხვდები, რას უნდა განიცდიდეთ. თავი გიბრუით, ხომ ასეა?

— რაღაც წარმოუდგენელი ამბავია, — წამოიყვირა მესიე ბუკმა.

— გეთანხმებით. მართლაც დაუჯერებელი და წარმოუდგენელია, ნამდვილი აბსურდია. ბოლომდე მეც ვერ ვიჯერებ, მაგრამ რას ვიზამთ, ფაქტებს სად გავექცევით.

— სრული სიგიჟეა!

— აბა! თან ისეთი სიგიჟე, რომ ზოგჯერ მგონია, ამ ამოცანის ამოხსნა იოლზე იოლი უნდა იყოს-მეთქი... მაგრამ ეს ისე, უცებ თავში გამიელვა...

— ორი მკვლელი, — ამოიკვნესა მესიე ბუკმა. — და ორივე „აღმოსავლეთის ექსპრესში“!

ამის გაფიქრებაზე ლამის ატირდა.

— მოდით, ახლა ჩვენი ფანტაზია ფანტასტიკის სფეროში გადავიტანოთ, — მხიარულად შესთავაზა პუარომ. — წუხელ ვაგონში ორი იდუმალი უცხო იმყოფებოდა. ერთი მამაკაცი, რომელიც მისტერ ჰარდმენისა და ჰილდეგარდ შმიდტის, პოლკოვნიკი არბეთნოთისა და მაქქუინის ჩვენების თანახმად, საძილე ვაგონის გამყოლია, მეორე — ქალია, რომელსაც წითელი ან მენამული ფერის კიმონო აცვია — მაღალი, გამხდარი ქალი, რომელიც პიერ მიშელმა, მის დებენჟემბა და ჰექტორ მაქქუინმა დაინახეს. ეს ქალი მეც დავინახე. სწორედ ამ ქალის სუნამოს სურნელი იგრძნო პოლკოვნიკმა არბეთნოთმა. მაშ, ვინ იყო ის ქალი? მატარებელში არავის აქვს წითელი კიმონო. თავად ქალიც გაქრა. იქნებ ის და ცრუ გამყოლი ერთი და იგივეა? დავიჯერო, პერსონალის წევრია? ან გამყოლის ფორმა სად გაქრა, ან წითელი კიმონო?

— ოჰ, ამის შემოწმებას რა უნდა! — წამოხტა გახალისებული ბუკი. — ყველა მგზავრის ბარგი უნდა გავჩერიკოთ, რამეს აუცილებლად მივაგნებთ.

პუაროც წამოდგა.

— შემიძლია, ვინინასწარმეტყველო, — თქვა მშვიდად.

— იცით, სად არის ეს სამოსი?

— ისევ რაღაც აზრმა გამიელვა.

— მაშ, გვითხარით.

— კიმონოს რომელიმე მგზავრი მამაკაცის ბარგში მიაგნებთ, ხოლო გამყოლის კოსტიუმს — ჰილდეგარდ შმიდტის ჩემოდანში.

— ჰილდეგარდ შმიდტის? გგონიათ, რომ...

— რაც თქვენ იფიქრეთ, ის არ მგონია. აგიხსნით. თუკი ჰილდეგარდ შმიდტი დამნაშავეა, უნიფორმა შესაძლოა, მის სკივრში ან ჩემოდანში აღმოჩნდეს, ხოლო თუ უდანაშაულოა, ნამდვილად იქ იქნება.

— კი მაგრამ, როგორ... — დაიწყო მესიე ბუკმა და შეჩერდა. — ეს რა ხმაურია? — წამოიძახა უცებ. — თითქოს ორთქლმავალი გვიახლოვდება.

ხმაური გაძლიერდა. ქალების გამყინვი კივილი და ალშფოთებული შეძახილები ერთმანეთში აირია. ვაგონ-რესტორნის კარი გაიღო და მისის ჰაბარდი შემოვარდა.

— რა საშინელება! — იკივლა განწირული ხმით. — რა საშინელება! ჩემს სააბაზანო ჩანთაში, წარმოგიდგენიათ? ჩემს სააბაზანო ჩანთაში დიდი და სისხლიანი დანა იდო!

უცებ წაბარბაცდა და გულშელონებული მესიე ბუკს მიესვენა მკერდზე.

## 14. იარაღი, ჩოგოჩის სამხილი

მთლად გალანტურად არა, მაგრამ ენერგიულად კი სტაცა მესიე ბუკმა გულწასულ ლედის ხელი და თავი მაგიდაზე დაადებინა. ექიმმა კონსტანტინმა ვაგონის გამყოლს უხმო, რომელიც მაშინვე მოქანდა.

— თავი ასე დაუჭირეთ, — დაარიგა ექიმმა. — გონს თუ მოვა, ცოტაოდენი კონიაკი დაალევინეთ. გასაგებია? — თქვა და ვაგონიდან გასული ლედის კუპესკენ გაემართა. დანაშაულის ადგილი უფრო აინტერესებდა, ვიდრე გულწასული შუახნის ქალი.

შესაძლოა, სწორედ ამ უხეში მოპყრობით უფრო მოვიდა გონს მისის ჰაბარდი ასე მალე, ვიდრე სხვა რამ მიზეზით. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე იჯდა და ვამყოლის მიერ მიწოდებული ჭიქიდან კონიაკს წრუპავდა, თან წინანდელზე მეტს ლაპარაკობდა.

— სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა საშინელება იყო! არა მგონია, ამ მატარებლის მგზავრებიდან ვინმემ შეძლოს და წარმოიდგინოს, რა განვიცადე. რაც თავი მახსოვს, ღრმა ბავშვობიდანვე ძალიან მგრძნობიარე ვიყავი. სისხლის დანახვაც კი მზარავდა. ახლაც კი გული მიმდის, რომ მახსენდება.

ვამყოლმა ისევ მიაწოდა კონიაკიანი ჭიქა.

— Encore un peu, Madame?<sup>1</sup>

— გგონიათ, მიშველის? საერთოდ, არ ვსვამ. არც არაყი და არც ლვინო ცხოვრებაში არ გამისინჯავს. ჩემს ოჯახში ერთ სასმლის მოყვარულსაც ვერ ნახავთ. მაგრამ რაკი მედიცინა მოითხოვს... — კიდევ მოსვა კონიაკი.

ამასობაში პუარომ და მესიე ბუკმა, გზაში ექიმი კონსტანტინი რომ წამოენიათ, სტამბოლის ვაგონის დერეფანი გაირბინეს და მისის ჰაბარდის კუპეს მიუახლოვდნენ.

ვაგონში ლამის ყველა მგზავრი დერეფანში გამოფენი-

<sup>1</sup> Encore un peu, Madame? (ფრ.) — ცოტაოდენიც, მადამ?

ლიყო. გამყოლი, მკაცრი გამომეტყველებით, ცდილობდა, მგზავრები თავ-თავიანთ კუპეებში შეეყვანა.

— Mais il n'y a rien à voir<sup>1</sup>, — მიმართა მგზავრებს, თუმცა ფრანგულის გარდა კიდევ რამდენიმე ენაზე წარმოთქვა იგივე წინადადება.

— გაგვატარეთ, ბატონებო, — ამბობდა მესიე ბუკი.

შეჯგუფებული მგზავრები მესიე ბუკმა აქეთ-იქით მისწომოსწია და მისის ჰაბარდის კუპეში შეაღწია, პუარო და კონსტანტინი ფეხდაფეხ შეჰყვნენ.

— მიხარია, რომ გამოჩნდით, მესიე, — უთხრა მესიე ბუკს გამყოლმა და შვებით ამოისუნთქა. — ყველა აქ ცდილობს შემოღწევას. ეს ამერიკელი ლედი ისე კიოდა, ვიფიქრე, ვინმემ ხომ არ დაჭრა-მეთქი! ხმაურზე რომ მოვირბინე, კი არ დამშვიდდა, შეძლილივით აკივლდა. მერე თქვენი ნახვა მოინდომა და გამოიქცა, თან გზადაგზა ყველას უყვებოდა, რაც ნახა, — გამყოლმა ხელი აიქნია და განაგრძო: — აი, ყველაფერი აქაა, ბატონებო. ხელი არაფრისთვის მიხლია.

მეორე კუპესთან დამაკავშირებელი კარის სახელურზე დიდი ზომის სააბაზანოს რეზინის ბადისებრი ჩანთა ეკიდა. ზუსტად მის ქვეშ, იატაკზე, ანუ იმ ადგილას, სადაც მისის ჰაბარდს გაუვარდა ხელიდან, სისხლიანი სატევარი ეგდო — ფსევდოალმოსავლური სტილის ორნამენტით მოჭედილი სახელურითა და ალესილი პირით. სატევარს უანგისფერი ლაქები ეტყობოდა.

პუარომ ფრთხილად აიღო.

— ესაა, — ჩაიდუდლუნა თავისთვის. — აქ შეცდომა გამორიცხულია. ესეც ჩვენი დაკარგული იარაღი! რას იტყვით, ექიმო?

ექიმმა ყურადღებით შეათვალიერა.

— სულ ტყუილად ირჯებით, — უთხრა პუარომ. — მისის ჰაბარდის ანაბეჭდების გარდა სხვა ანაბეჭდს ამ სატევარზე ვერ ნახავთ.

<sup>1</sup> Mais il n'y a rien à voir (ფრ.). — აქ საყურებელი არაფერია.

ექიმ კონსტანტინს დასათვალიერებლად დიდი დრო არც  
დასჭირვებია.

— სწორედ ის იარაღია, — თქვა მან. — ჭრილობებიდან  
ნებისმიერის მიყენება შეიძლებოდა ამით.

— გევედრებით, მეგობარო, ასეც ნუ იტყვით!

ექიმი ამ სიტყვებმა გააოცა.

— ამ საქმეში ისედაც ბევრი დამთხვევაა. წუხელ ორმა  
ადამიანმა გადაწყვიტა მისტერ რეთჩეთის მოკვლა. უცნაუ-  
რი იქნებოდა, რომ ორივეს ერთი და იგივე იარაღი აერჩია.

— რაც შეეხება ამ დამთხვევას, ეს დიდად გასაკვირი არც  
არის, — თქვა ექიმმა. — ფსევდოალმოსავლური სტილის  
ათასობით ასეთი დანა მზადდება და კონსტანტინოპოლის  
ბაზრებში იყიდება.

— თქვენმა სიტყვებმა ნაწილობრივ დამამშვიდა, ოლონდ  
ნაწილობრივ, — უთხრა პუარომ.

დაფიქრებულმა კარს შეხედა, მერე სააბაზანოს ჩან-  
თა გასწია და სახელური ჩამოსწია. კარი არ გაღებულა.  
სახელურის ზემოთ, ასე ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღ-  
ლეზე, კარს ურდფული ჰქონდა გაყრილი. პუარომ ურდფული  
გასწია და ხელახლა სცადა გაღება, მაგრამ კარი არც ამჯე-  
რად გაიღო.

— ჩვენ ხომ მეორე მხრიდან გადავკეტეთ, — შეახსენა  
ექიმმა.

— მართალია, — დაბნეულად თქვა პუარომ. ეტყობა,  
იმწამს სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. შუბლი შეეჭმუხნა, ეტ-  
ყობა, რაღაც აღელვებდა.

— ყველაფერი ემთხვევა, ხომ? — იკითხა მესიე ბუკმა. —  
მკვლელი, ალბათ, ამ კუპედან გავიდა დერეფანში. კუპეების  
დამაკავშირებელი კარი რომ გამოიხურა, ხელით იგრძნო საა-  
ბაზანო ჩანთა, ჰოდა, უცეპ მოიფიქრა და სისხლიანი დანა ჩან-  
თაში ჩადო. მერე კი, მისის ჰაბარდი ისე გააღვიძა, რომ ვერც  
მიხვდა, და გარეთ დერეფანში გამავალი კარით გავიდა.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, ალბათ, ასეც მოხდა —

ხმადაბლა უთხრა პუარომ, თუმცა სახეზე ისევ დაბნეულობა ეტყობოდა.

— აბა, რა ხდება? — ჰკითხა მესიე ბუკმა. — ამ ვერსიაში რა არ მოგწონთ?

პუარომ სწრაფი მზერა შეავლო.

— თავად ვერ შენიშნეთ? როგორც ჩანს, ვერა. თუმცა ეს წვრილმანია.

გამყოლმა კუპეში შემოიხედა.

— ამერიკელი ლედი ბრუნდება.

ექიმ კონსტანტინს სინდისი ქენჯნიდა, მიხვდა, რა არა-გალანტურად მოექცა ქალს. მაგრამ მის ჰაბარდი საყველურის თქმას არც აპირებდა, მთელი ენერგია სულ სხვა რამის-კენ მიმართა:

— ახლავე უნდა განვიცხადოთ, — თქვა აქოშინებულმა, როგორც კი კუპეში ფეხი შემოდგა. — ამ კუპეში დარჩენას არ ვაპირებ! აქ ვერ დავიძინებ, მილიონებითაც რომ ამავ-სოთ.

— კი მაგრამ, მადამ...

— ვიცი, რის თქმასაც აპირებთ, ამიტომ გიმეორებთ: აქ არ დავრჩები. მირჩევნია, მთელი ღამე დერეფანში ვიყურყუ-ტო, — მისის ჰაბარდს ჭირილი აუვარდა. — ოჟ, ჩემმა ქა-ლიშვილმა ეს რომ იცოდეს, ჩემი ქალიშვილი რომ ხედავდეს, ახლა აქ რა დღეში ვარ...

პუარომ მკაცრად გააწყვეტინა.

— არასწორად გაგვიგეთ, მადამ. თქვენი მოთხოვნა სრუ-ლიად საფუძვლიანია. თქვენს ბარგს დაუყოვნებლივ გადაი-ტანენ სხვა კუპეში.

მისის ჰაბარდმა თვალებიდან ცხვირსახოცი მოიშორა.

— მართლა? ოჟ, გულს მომეშვა. კი მაგრამ, აკი ვაგონში ყველა ადგილი დაკავებულიაო?! ან იქნებ ვინმე მამაკაცი... მესიე ბუკმა უპასუხა.

— თქვენს ბარგს იმ ვაგონში გადაიტანენ, ბელგრადში რომ მოაბეს, და კუპესაც იქ გამოგიყოფთ.

— შესანიშნავია! ისტერიკები არ მჩვევია, მაგრამ მკვდა-

რი კაცის გვერდით კუპეში ძილი შეუძლებელია! — ამ სიტყვებზე გააკანკალა. — ნამდვილად ჭკუიტან შევიშლები.

— მიშელ, — გასძახა მესიე ბუკმა. — ეს ბარგი ათენი-პარიზის ვაგონის ცარიელ კუპეში გადაიტანეთ.

— დიახ, მესიე. ასეთივე კუპეში? ანუ მესამე კუპეში?

— არა, — პუარომ თავის მეგობარს დაასწრო. — ალბათ, ქალბატონისთვის აჯობებს, სხვა კუპეში დაბინავდეს. ვთქვათ, მეთორმეტე კუპეში.

— Bien, Monsieur.

გამყოლმა ბარგს ხელი დაავლო. მისის ჰაბარდი მადლიერებად იფრქვეოდა პუაროს წინაშე.

— რამხელა სიკეთე გამიკეთეთ, როგორი გულისხმიერება გამოიჩინეთ. ამას დიდად ვაფასებ, მერნმუნეთ.

— არ ღირს, მადამ. ჩვენც გამოგყვებით, რომ დავრწმუნდეთ, კომფორტულად მოეწყვეთ თუ არა.

მისის ჰაბარდი სამმა მამაკაცმა მიაცილა ახალ კუპემდე. ქალი ბედნიერებისგან ლამის ცას ეწია.

— მშვენიერია.

— მოგწონთ, მადამ? როგორც ხედავთ, ეს თითქმის ისე-თივე კუპეა, როგორშიც იყავით.

— ისეთივეა. თუმცა კარი სხვა მხრიდანაა. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მატარებელი ხომ ხან იქით მიდის, ხან

— აქეთ. ჩემს ქალიშვილს ვუთხარი, პირით ლოკომოტივისკენ რომ იყოს, ისეთი კუპე მინდა-მეთქი. მან კი, იცით, რა მიპასუხა? რა მნიშვნელობა აქვს, პირით საით იქნება კუპე,

რომ იძინებ, ერთი მიმართულებით მიდიხარ, რომ იღვიძებ, მეორე მიმართულებით. აი, ასეთი გონებამახვილი მყავს.

წუხელ ბელგრადში ერთი მხრიდან შევედით, დღეს კი სულ სხვა მხრიდან გამოვედით.

— ასეა თუ ისე, მადამ, ახლა ხომ ბედნიერი და კმაყოფილი ბრძანდებით?

— არა, მთლად ასეც ვერ ვიტყვი. ასეთ ნამქერში ვართ ჩარჩენილები და ამდენი ხანია არავინ არაფერი იღონა, არადა, ჩემი გემი ზეგ გადის.

— მადამ, — უთხრა მესიე ბუკმა. — ყველა ამ მდგომარეობაში ვართ.

— ჰო, მართალია, — დაეთანხმა მისის ჰაბარდი. — მაგრამ სხვასთან მევლელი შუალამით არ შესულა კუპეში.

— რაც მაკვირვებს, მადამ, — ჩაერთო პუარო, — როგორ მოხვდა თქვენს კუპეში მამაკაცი, თუკი კუპეებს შორის დამაკავშირებელი კარი, როგორც თქვენ ბრძანებთ, ურდულით იყო ჩაკეტილი? დარწმუნებული ხართ, რომ ჩაკეტილი იყო?

— ცხადია, შვედმა ლედიმ შეამოწმა ჩემ თვალწინ.

— მოდით, ეს პატარა სცენა აღვადგინოთ. თქვენ ამ დროს თქვენს საწოლში იწექით, აი, ასე, და როგორც ამბობთ, ვერ ხედავდით, კარი დაკეტილი იყო თუ არა?

— ვერა, რადგან სააბაზანო ჩანთა მიშლიდა ხელს. უი, დედა! ახალი სააბაზანო ჩანთა დამჭირდება! ამას რომ ვხედავ, გულ-მუცელი მიტრიალებს.

პუარომ ჩანთა აიღო და მეზობელ კუპესთან დამაკავშირებელი კარის სახელურზე ჩამოკიდა.

— Précisément<sup>1</sup>, ხომ? — ქალს შეხედა. — ურდული ზუსტად სახელურის ქვემოთაა, ამიტომაც სააბაზანო ჩანთა ფარავს. იმ ადგილიდან, სადაც იწექით, დაზუსტებით ხომ ვერ დაინახავდით, ურდულით დაკეტილი იყო თუ არა?

— მეც ეს არ გითხარით?!

— დაის შვედი ქალბატონი, მის ოლსონი, სწორედ აქ, თქვენსა და კარს შორის იდგა? ხელით მოსინჯა და გიპასუხათ, ჩაკეტილიაო?

— დიახ.

— მაგრამ მაინც, მადამ, ხომ შეიძლებოდა, შემცდარიყო? ხვდებით, რას ვგულისხმობ? — პუაროს ახსნის უინმა მოუარა.

— ურდული ფოლადის საგდულია. აი, როცა მარჯვნივ არის გაწეული, კარი ჩაკეტილია. როდესაც მარცხნივაა — კარი ლია. შესაძლოა, მან სახელურს მოჰკიდა ხელი და გალება სცადა და

<sup>1</sup> Précisément (ფრ.). — ზუსტად ასე.

რაკი კარი მეორე მხრიდან იყო ჩაკეტილი, იფიქრა, აქედანაა ჩაკეტილიო.

— მაშინ, სულელურად მოსვლია.

— მადამ, კეთილი და სათნო ადამიანი ჭკვიანს არ ნიშნავს.

— სწორი ბრძანებაა.

— ჰო, მართლა, მადამ, სმირნაში ამავე გზით იმგზავრეთ?

— არა. სტამბოლში ჩავედი გემით და ჩემი ქალიშვილის მეგობარი, მისტერ ჯონსონი (უსაყვარლესი ადამიანი, ნეტავ, თქვენც იცნობდეთ) დამხვდა და მთელი ქალაქი მომატარა. მაგრამ ქალაქმა იმედი გამიცრუა, ნანგრევების გროვაა. თან ყველგან ეს მეჩეთებია და შესვლისას ფეხსაცმელზე რაღაცას გაცმევენ... თუმცა, რას ვამბობდი?

— ამბობდით, მისტერ ჯონსონი დამხვდაო.

— ასეა. სწორედ მან მიმაცილა სმირნისკენ მიმავალ გემამდე, იქ კი, ნავმისადგომზე, ჩემი ქალიშვილის ქმარი მელოდა. ლმერთო, რას იტყვის, ამ ამბავს რომ გაიგებს?! ჩემი ქალიშვილი მეუბნებოდა, ყველაზე უსაფრთხო გზაო. მითხრა, შენს კუპეში დაჯდები და პარიზში ჩამოხვალო, იქ „ამერიკენ ექსპრესი“ დაგხვდებაო. ვაი, დედიკო, ახლა რაღა ვქნა, როგორ გავაუქმო გემის ბილეთი? აქამდე უნდა მეცნობებინა კომპანიისთვის, ახლა კი როგორლა მოვახერხებ? რა საშინელებაა...

მისის ჰაბარდმა ისევ გადმოყარა ცრემლები.

პუარომ, რომელიც მოუთმენლად ცქმუტავდა, ქალს სიტყვა შეაწყვეტინა.

— შოკში ხართ, მადამ. რესტორნის მიმტანს ჩაისა და ბისკვიტს მოვატანინებ.

— ჩაი დიდად არ მიყვარს, — თქვა სლუკუნით მისის ჰაბარდმა. — ჩაის სმა ინგლისელებს უფრო სჩვევიათ.

— მაშინ, ყავა, მადამ. რამე სტიმულის მომცემი გჭირდებათ...

— კონიაქმა სულ ამირია ტვინი. მგონი, ჯობია, ყავა დავლიო.

— ჩინებულია. ძალები უნდა აღიდგინოთ.

- ოჰ, ეს რა სასაცილო რამეს მეუბნებით!
- თუმცა, ჯერ ერთი პატარა ფორმალობა, მადამ. ნებას დამრთავთ, რომ თქვენი ბარგი გავჩერიკო?
- რისთვის?
- ყველა მგზავრის ბარგის გაჩერებას ვაპირებთ. არ მინდა, უსიამოვნო ამბავი გაგახსენოთ, მაგრამ თქვენს საა-ბაზანო ჩანთაში...
- ღმერთო! ალარ განაგრძოთ, ჯობია, საქმეს შეუდგეთ. კიდევ ერთ ასეთ სიურპრიზს ველარ გადავიტან.
- ჩხრეკა მალევე დასრულდა. მისის ჰაბარდს ცოტა ბარგი ჰქონდა — ქუდის ყუთი, მსუბუქი ჩემოდანი და გადაჭედილი სამგზავრო ჩანთა. მისის ჰაბარდს სულ ერთგვაროვანი ნივთები ეწყო და ჩხრეკა, ალბათ, ორ წუთზე მეტს არც გასტანდა, რომ არა მისივე უადგილო ჩარევები: ამერიკელი ქალბატონი წამდაუწუმ თავისი ქალიშვილისა და მისი ორი, საკმაოდ შეუხედავი, ბავშვის ფოტოებს სჩრიდა მამაკაცებს. ნახეთ, რა ლამაზი შვილები ჰყავს ჩემს გოგოსო.

## 15. მგზავრის ბაჩი, წომონას სამხიდი

პუარომ რამდენიმე ნაძალადევად თავაზიანი ფრაზით მიმართა მისის ჰაბარდს, უთხრა, ყავას ახლავე მოგართმევენო, და თავის მეგობრებთან ერთად გავიდა კუპედან.

— მოკლედ, სტარტი უკვე აღებულია, თუმცა კი პირველ მცდელობაზე ხელი მოგვეცარა, — შენიშნა მესიე ბუკმა. — ახლა ვის შევუტიოთ?

— მგონი, ყველაზე მარტივი იქნება, თუ კუპეებს რიგითობით გავყვებით და ისე შევამოწმებთ. მე-16 კუპეთი, ანუ მისტერ ჰარდმენის კუპეთი მოგვიწევს დაწყება.

მისტერ ჰარდმენმა, სიგარას რომ ეწეოდა, სიამოვნებით შეუშვა სამეული თავის კუპეში.

— შემობრძანდით, ჯენტლმენებო, თუკი შემოეტევით. თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, ისეთი სივიწროვეა.

მესიე ბუკმა ვიზიტის მიზანი აუხსნა და ტანსრულმა გამომძიებელმაც გაგების ნიშნად თავი დაუკრა.

— რა პრობლემაა. სიმართლე გითხრათ, კიდეც მიკვირდა, აქამდე რას ელოდებიან-მეთქი. აი, ჩემი გასაღებები, ჯენტლმენებო, და თუკი ჩემი ჯიბეების ნახვაც გნებავთ, წინააღმდეგი არ ვიქნები. გნებავთ, ჩემი ჩემოდნები გავხსნა?

— მაგას გამყოლი მიხედავს. მიშელ!

მისტერ ჰარდმენის ორი ჩემოდნის შიგთავსი მალევე შეათვალიერეს და საგულისხმოც ვერაფერი იპოვეს, თუ ზედმეტი რაოდენობის სპირტიან სასმელს არ მივიღებთ მხედველობაში. მისტერ ჰარდმენმა ჯენტლმენებს თვალი ჩაუკრა.

— ხომ იცით, საზღვრებზე ბარგის ჩერეკით დიდად არ იკლავენ თავს, მით უმეტეს, ცოტაოდენ თანხასაც თუ ჩაუჯიბავ. მე კი თურქული ბანკოტების დასტა მივეცი და ჯერჯერობით პრობლემა არ შემქმნია.

— ჰარიზის საბაჟოზე რას იზამთ?

მისტერ ჰარდმენმა ისევ ჩაუკრა თვალი.

— სანამ პარიზამდე ჩავალ, — თქვა მან, — აქედან იმდენი თუ დარჩება, რომ შამპუნის ბოთლში გადავასხა.

— როგორც ვხედავ, „მშრალი კანონის“ მომხრე არ უნდა იყოთ, მესიე ჰარდმენ? — ღიმილით უთხრა მესიე ბუკმა.

— იცით, — თქვა ჰარდმენმა. — ვერ ვიტყვი, რომ „მშრალი კანონი“ დიდად მაღლვებს.

— ოჟ! — შეიცხადა მესიე ბუკმა. — ბრძან ვეფხვის<sup>1</sup> ამბავია. — ეს გამოთქმა საკმაოდ რბილად და მონდომებით წარმოთქვა. — ამერიკელებს როგორი მიმზიდველი და ამავე დროს უცნაური გამოთქმები გაქვთ.

— ამერიკაში ნასვლაზე უარს არ ვიტყოდი, — ჩაურთო ჰუარომ.

— ჰო, ჩვენთან ბევრ მოწინავე მეთოდს აითვისებდით, — უთხრა ჰარდმენმა. — ევროპას ცოტა შენჯლრევა სჭირდება, თორემ სალათას ძილს მიეცემა.

— მართალია, ამერიკა პროგრესის ქვეყანაა, — დათანხმა ჰუარო. — სწორედ ამ მიზეზით ვარ ამერიკელებით აღფრთოვანებული. თუმცა, შესაძლოა, ჩემი ძველმოდურობის ბრალია, მაგრამ ამერიკელი ქალბატონები დიდად მომხიბვლელებად არ მეჩვენებიან, ყოველ შემთხვევაში, ჩემს თანამემამულე ქალბატონებთან შედარებით. ფრანგ ან ბელგიელ გოგონებს ვერავინ შეედრება, ისეთი კეკლუცები და ქალურები არიან.

ჰარდმენმა ფანჯრიდან გახედა თოვლს და წუთიერად გაირინდა.

— შესაძლოა, მართალიც ხართ, მესიე ჰუარო, — უთხრა მან. — მაგრამ მგონია, რომ ყველას თავისი ეროვნების ქალი მოსწონს. — ისე მოჭუტა თვალები, თითქოს თოვლმა მოსჭრაო. — თვალისმომჭრელია, არა? — შენიშნა მან. — იცით, ჯენტლმენებო, ეს ამბავი უკვე ნერვებზე მოქმედებს. მკვლელობა, დიდთოვლობა და, რაც ყველაზე აუტანელია,

<sup>1</sup> ბრძან ვეფხვი — იატაკეჭეშა დაწესებულება, რომელიც „მშრალი კანონის“ დროს, იმავე „აკრძალვის პერიოდში“, არალეგალურად ყიდდა აღკოშოლიან სასმელს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეს უმოქმედობა ბოლოს მიღებს. უქმად ჯდომას არ ვარ ჩვეული.

— ჭეშმარიტად დასავლური მოუსვენარი სულის პატრონი ხართ, — ლიმილით შენიშნა პუარომ.

გამყოლმა ბარგი უკან დაბრუნა და ისინიც მორიგ კუპეში გადავიდნენ. პოლკოვნიკი არბეთნოთი კუთხეში მოკალა-თებულიყო, ჩიბუხს ენეოდა და უურნალის კითხვით იქცევდა თავს.

პუარომ ვიზიტის მიზანი აუხსნა. პოლკოვნიკს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ორი ტყავის ჩემოდანი აღმოაჩნდა.

— ბარგის დარჩენილი ნაწილი ზღვით გავგზავნე, — აუხსნა მათ.

პოლკოვნიკს, როგორც სამხედრო პირს შეეფერება, აკუ-რატულად შეეფუთა ყველაფერი, ამიტომ მისი ბარგის თვა-ლიერებას დიდი დრო არ დასჭირვებია. პუარომ ჩიბუხის საწმენდების შეკვრა შენიშნა.

— ყოველთვის ამ ტიპის საწმენდებს ხმარობთ? — ჰე-თხა არბეთნოთს.

— დიახ, თუკი ვიშოვი.

— აჲა, — თავი დააქნია პუარომ. ეს საწმენდი ზუსტად იმას ჰერცინა, მოკლულის კუპეში იატაკზე რომ იპოვა.

დერეფანში რომ გამოვიდნენ, ექიმმა კონსტანტინმა აზრი გამოთქვა ამის შესახებ.

— Tout de même<sup>1</sup>, და მაინც, — ჩაილაპარაკა პუარომ. — ძნელი დასაჯერებელია. ეს თითქოს არ ზის dans son caractère<sup>2</sup>, ხოლო თუკი ამას დავუშვებთ, მაშინ მასზე უნდა მივიტანოთ ეჭვი.

მომდევნო კუპეს კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ეს თავადის ქალ დრაგომიროვას კუპე გახლდათ. კარზე მიუკაკუნეს და თავადის ქალის ბოხი ხმაც გაისმა:

— Entrez!<sup>3</sup>

<sup>1</sup> Tout de même (ფრ.). — და მაინც;

<sup>2</sup> Dans son caractère (ფრ.). — მის ხასიათში;

<sup>3</sup> Entrez (ფრ.). — შემობრძანდით.

მესიე ბუკმა ითავა ახსნა. თავაზიანად და მოკრძალებით დაიწყო საუბარი.

თავადის ქალმა მშვიდად მოუსმინა, გომბეშოს ჭახეზე ემოცია არ დასტყობია.

— თუკი უამისობა არ იქნება, ბატონებო, მაშ, შეუდექით საქმეს, — მშვიდად თქვა თავადის ქალმა. — გასაღებები ჩემს მოახლეს აქვს. ისიც დაგესწრებათ ჩხრეკისას.

— თქვენი გასაღებები ყოველთვის მოახლეს აქვს ხოლმე, მადამ? — დაინტერესდა პუარო.

— რასაკვირველია, მესიე.

— ლამით საბაჟოზე რომ მოითხოვონ მებაჟეებმა ჩემოდნების გახსნა?

მოხუცმა არისტოკრატმა მხრები აიჩეჩა.

— არა მგონია. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, გამყოლი ჩემს მოახლეს მოუხმობს.

— გამოდის, თქვენს მოახლეს ენდობით, მადამ?

— მგონი, უნინაც მოგახსენეთ, — მშვიდად მიუვო თავადის ქალმა. — ვისაც არ ვენდობი, იმას სამუშაოზე არც ავიყვან.

— დიახ, — ჩაილაპარაკა პუარომ. — ნდობა ჩვენს დროში ერთ რამედ ლირს. ალბათ, ჯობია, უბრალო, მაგრამ სანდო ქალი გემსახურებოდეს, ვიდრე გაპრანჭული ქალი, ვთქვათ, ვინმე პარიზელი.

თავადის ქალი ჭკვიანი შავი თვალებით მიაჩერდა პუაროს.

— რაზე მიმანიშნებთ, მესიე პუარო?

— არაფერზე, მადამ. სრულიად არაფერზე.

— ცხადია, მიმანიშნებთ. მიგაჩნიათ, რომ ჩემს ტუალეტზე ელეგანტური ფრანგი ქალი უნდა ზრუნავდეს?

— ეს უფრო იქნებოდა თქვენი საკადრისი, მადამ.

დრაგომიროვამ თავი გააქნია.

— შმიდტი ჩემი ერთგულია. — ბოლოს სიტყვას ხაზი გაუსვა. — *Devotion – c'est impayable.*<sup>1</sup>

<sup>1</sup> *Devotion – c'est impayable* (ფრ.). — ერთგულება შეუფასებელია.

გერმანელი ქალი გასაღებებით ხელში დაბრუნდა. თავადის ქალმა მის მშობლიურ ენაზე დაავალა ჩემოდნების გახსნა და ისიც დააყოლა, ბატონებს მიეხმარეო. თვითონ კი დერეფანში გავიდა და თოვლს დაუწყო ცქერა. პუაროც მასთან დარჩა, ქალბატონის ნივთების ჩერეკა კი მესიე ბუკს მიანდო.

დრაგომიროვამ სევდიანი ღიმილით შეხედა დეტექტივს.

— ჩემს ჩემოდნებში რა აწყვია, მესიე, არ ნახავთ?

— ეს უბრალო ფორმალობაა, მადამ, — თავი გააქნია პუარომ.

— დარწმუნებული ბრძანდებით?

— თქვენს შემთხვევაში, დიახ.

— არადა, კარგადაც ვიცნობდი და ძალიან მიყვარდა სონია არმსტრონგი. ახლა რას ფიქრობთ? რომ კასეტისნაირი ნაძირალა კაცის მკვლელობით ხელს არ გავისვრიდი? შესაძლოა, მართალიც იყოთ.

ქალბატონი ორიოდე წუთს დუმდა. მერე განაგრძო:

— იცით, ასეთ კაცს რას ვუზამდი? მსახურებს დავუძახებდი, ისე გავამათრახებდი, რომ სიკვდილის პირამდე მივიყვანდი, მერე კი სანაგვეზე მოვისვრიდი. ჩემს ახალგაზრდობაში სწორედ ასე იქცეოდნენ, მესიე.

პუაროს ხმა არ ამოულია, მხოლოდ ყურადღებით უსმენდა.

ქალბატონმა უცებ აღელვებულმა მიმართა:

— რას გაჩუმებულხართ, მესიე პუარო. საინტერესოა, რას ფიქრობთ?

პუარომ თვალი გაუსწორა.

— ახლა იმას ვფიქრობდი, ქალბატონო, რომ თქვენი ძალა თქვენს ნებაშია და არა მკლავში.

თავადის ქალმა დრაგომიროვამ თავის გამხდარ, შავი აბრეშუმის ხელთათმანიან და ბეჭდებით დახუნძლულ თითებს დახედა, კლანჭებს რომ მიუგავდა.

— მართალია, — თქვა მან. — მკლავში ძალა აღარ მაქვა. ოღონდ არც კი ვიცი, ეს უნდა მწყინდეს თუ მიხაროდეს.

მერე უეცრად თავისი კუპესკენ შებრუნდა, სადაც მისი მოახლე ჩემოდნებში უკან აღაგებდა მის ნივთებს.

თავადის ქალმა მესიე ბუკა მობოდიშება შეაწყვეტინა.

— საბოდიშო არაფერი გაქვთ, მესიე, — უთხრა მას. — მკვლელობა მოხდა ბოლოს და ბოლოს. ცხადია, რამე უნდა იღონოთ. მორჩია და გათავდა.

— *Vous êtes bien aimable, Madame.*<sup>1</sup>

დამშვიდობებისას ქალბატონმა ოდნავ დაუკრა თავი მა-  
მაკაცებს.

მომდევნო ორ კუპეში კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა. მესიე  
ბუკი შეყოვნდა და თავი მოიფხანა.

— ჯანდაბა! — კბილებში გამოსცრა. — ეს გვინდოდა  
ახლა? დიპლომატიური პასპორტები აქვთ და მათი ბარგი  
ჩხრეკას არ ექვემდებარება.

— საბაჟო ჩხრეკას არა, მაგრამ მკვლელობა სულ სხვა  
საქმეა.

— ვიცი. მაგრამ მაინც, გართულება სულ არ გვჭირდება.

— ნუ დარდობთ, მეგობარო. გრაფი და გრაფინია გონიე-  
რი ხალხი ჩანს. ხომ ნახეთ, როგორ თავაზიანად მიგვიღო  
თავადის ასულმა დრაგომიროვამ.

— ის ნამდვილად დიდი ქალბატონია. ცხადია, ესენიც  
ცისფერსისხლიანები არიან, მაგრამ გრაფი რაღაც მრისხანე  
ბუნების მეჩვენა. არ მოეწონა, როდესაც ვუთხარით, თქვენი  
ცოლი უნდა დავკითხოთო. ეს ამბავი კი უფრო მეტად განა-  
რისხებს. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება, რომ საერთო  
არაფერი ჰქონდეთ მომხდართან. ახლა უსიამოვნება სულ  
არ მჭირდება.

— ვერ დაგეთანხმებით, — უთხრა პუარომ. — დარწმუ-  
ნებული ვარ, რომ გრაფი ანდრენი ყველაფერს სწორად გაგ-  
ვიგებს. რაც უნდა იყოს, ვცადოთ მაინც.

და სანამ მესიე ბუკი შეპასუხებას მოასწრებდა, პუარომ  
მე-13 კუპეს კარზე დააკაკუნა.

შიგნიდან ხმა გაისმა:

<sup>1</sup> *Vous êtes bien aimable, Madame* (ფრ.). — თავაზიანი ბრძანდებით, მადამ.

— Entrez!

გრაფი კუთხეში იჯდა კართან და გაზეთს კითხულობდა. გრაფინიას კი მოპირდაპირე მხარეს, ფანჯარასთან მოეკეცა ფეხები. ქალბატონს ზურგს უკან ბალიში ედო და ეტყობოდა, რომ ეძინა.

— უკაცრავად, გრაფო, — დაიწყო პუარომ. — მოგვიტევეთ, ასე რომ შემოგეჭერით. საქმე ის გახლავთ, რომ მთელ მატარებელში ვამონმებთ ბარგს, ყველა მგზავრის ბარგს. ეს უბრალო ფორმალობაა. მაგრამ უამისოდ არ გამოდის. მესიე ბუკი ბრძანებს, რომ თქვენ დიპლომატიური პასპორტები გაქვთ და შეგიძლიათ, ამის თავიდან აცილება მოითხოვოთ.

გრაფი წამით დაფიქრდა.

— გმადლობთ, — თქვა მან. — მაგრამ არ მგონია, რომ თავი გამონაკლისად უნდა ჩავთვალო. მგონი, ჯობია, რომ ჩვენი ბარგიც ისევე შეამონმონ, როგორც დანარჩენი მგზავრების.

თავის მეუღლეს მიუბრუნდა.

— იმედი მაქვს, საწინააღმდეგო არაფერი გექნება, ელენა?

— რა თქმა უნდა, არა, — წარბშეუხრელად უპასუხა ცოლმა.

ამას სწრაფი და ზერელე დათვალიერება მოჰყვა. პუარო, მლელვარება რომ დაეფარა, პატარ-პატარა შენიშვნებს გამოთქვამდა:

— ჩემოდანზე ეტიკეტი სულ დაგსველებიათ, მადამ, — უთხრა გრაფინიას, როდესაც მის ინიციალებიან და გვირგვინიან ლურჯ მაროკოულ ჩემოდანს იღებდა.

გრაფინიას არაფერი უთქვამს. სახეზე ემჩნეოდა, რომ ამ საქმიანობას უკვე მოებეზრებინა მისთვის თავი, ამიტომაც იმავე კუთხეში ფეხმოკეცილი უხალისოდ იყურებოდა ფანჯრიდან.

პუარომ პირსაბანის თავზე ჩამოკიდებული კარადის უჯრა გამოაღო და წამიერად შიგ ჩაიხედა, იქ ღრუბელი, სახის კრემი, ფხვნილი და „ტრიონალის“ პატარა ბოთლი იდო.

ერთმანეთს თავაზიანად დაემშვიდობნენ და სამივე კუპედან გამოვიდა.

რიგითობით მისის ჰაბარდის ყოფილი კუპე, მოკლულის და პუაროს კუპეები მოდიოდა.

უკვე მეორე კლასის ვაგონში იმყოფებოდნენ. პირველ კუპეში მე-10 და მე-11 ადგილები მერი დებენჰემსა და გრეტა ოლსონს ეკავათ, რომელსაც ჩასძინებოდა, მაგრამ მამაკაცების შესვლისას ხმაურზე გამოეღვიძა.

პუარომ იგივე შესავალი ტექსტი წარმოთქვა.

შვედ ქალბატონს აღელვება დაეტყო, მერი დებენჰემი სრულიად ინდიფერენტული სახით იჯდა. პუარომ შვედ ლედის მიმართა:

— თუ ნებას დაგვრთავთ, მადმუაზელ, ჯერ თქვენს ბარგს გადავავლებთ თვალს, მერე კარგი იქნებოდა, თუ არ დაიზარებდით და ამერიკელ ლედის მოინახულებდით. მეორე ვაგონში გამოვუყავით ერთ-ერთი კუპე, რადგან უნებლიერ აღმოჩენამ ძალზე შეამტოთა. მართალია, მისთვის ყავა შევუკვეთე, მაგრამ მგონია, რომ ახლა ყველაზე მეტად ხმის გამცემი სჭირდება.

კეთილშობილ ქალბატონს გული თანაგრძნობით აევსო. ცხადია, მაშინვე ამერიკელ ქალბატონს მიაკითხავდა. რა გასაკვირია, რომ ეს ამბავი მისი ნერვული სისტემისთვის დიდი დარტყმა იქნებოდა, შეიცხადა მადმუაზელ ოლსონმა, ისედაც როგორ განიცდიდა მატარებლით მგზავრობასა და ქალიშვილის დატოვებასო. შვედმა ლედიმ მაშინვე დააპირა წასვლა, მერე უცებ შემობრუნდა, მისი ჩემოდანი გახსნილი იყო, ნიშადურის მარილს წავიღებო, გადაწყვიტა.

დერეფანში სწრაფად გავიდა და მისის ჰაბარდისკენ გასნია. ამასობაში მისი ბარგის შემოწმება დაიწყეს, რომელიც უკიდურესად ლარიბული აღმოჩნდა. თანაც, ეტყობა, ჯერ არ შეუმჩნევია, რომ მისი ქუდის ყუთიდან მავთულნული იყო ამოღებული.

მის დებენჰემმა წიგნი გადადო. მერე პუაროს მიაშტერდა. როცა პუარომ სთხოვა, გასაღები მომეცითო, უყოყმანოდ გაუწოდა ჩემოდნის გასაღები. პუარომ ჩემოდანი გახსნა.

— რატომ გაგზავნეთ შვედი ლედი, მესიე პუარო? — ჰე-  
თხა მერიმ.

— მე, მადმუაზელ? იმიტომ, რომ ამერიკელი ქალბატო-  
ნისთვის მიეხედა.

— მშვენიერი საბაბია, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ სა-  
ბაბი.

— ვერ მიგიხვდით, მადმუაზელ.

— მე კი მგონია, რომ კარგადაც მიმიხვდით, — გაიღიმა.

— გინდოდათ, რომ მარტო დავრჩენილიყავით. ხომ ასეა?

— პასუხს თავადვე მკარნახობთ, მადმუაზელ?

— მე როგორ გიკარნახებთ? მაგრამ ხომ ამას ფიქრობ-  
დით?

— მადმუაზელ, ერთი ანდაზა მახსენდება...

— გალმა შეედავე, გამოლმა შეგრჩებაო? ამისი თქმა  
გინდოდათ? უნდა ალიაროთ, რომ გამჭრიახობა და მიხვე-  
დრილობა არ მაკლია. ამა თუ იმ მიზეზით, აკვიატებული  
გაქვთ აზრი, რომ ამ ბინძურ საქმეზე რამე უნდა ვიცოდე. ეს  
მოკლული კაცი მანამდე არასდროს მინახავს.

— მდიდარი ფანტაზია გქონიათ, მადმუაზელ.

— ეს ფანტაზია სულაც არ არის. მაგრამ მგონია, რომ  
მინიშნებებით და სიტყვის ბანზე აგდებით ზედმეტ დროს  
ვკარგავთ, ამას ჯობია, ადგეთ და პირდაპირ მკითხოთ.

— დროის დაკარგვა რომ არ გეყვარებათ, ეს აშკარაა.  
პირდაპირ საქმეზე გადასვლა გირჩევნიათ. გულახდილო-  
ბა უფრო მოგწონთ. კეთილი და პატიოსანი, რაკი ასეა, მეც  
ლიად დაგისვამთ კითხვას: სირიიდან რომ მოვდიოდით,  
თქვენს საუბარს მოვკარი ყური. კონის სადგურში ბაქან-  
ზე ჩავედი, რომ, როგორც ინგლისელები ამბობთ, ფეხები  
გამემართა. ლამე იყო და თქვენი და პოლკოვნიკის საუბარი  
გავიგონე. თქვენ უთხარით, ახლა არა, მერე, ყველაფერი  
რომ დამთავრდება, როცა ყველაფერი მორჩებაო. და რას  
გულისხმობდით, მადმუაზელ, ამ სიტყვებით?

მერიმ მყისიერად უპასუხა:

— გონიათ, კაცის მოკვლას ვგულისხმობდი?

— აქ კითხვებს მე ვსვამ, მადმუაზელ!

მის დეპენცემმა ამოიოხრა და სულ ერთი წუთით ჩაფიქრდა, მერე წამოდგა და განაგრძო.

— ამ სიტყვებს თავისი არსი და მნიშვნელობა ჰქონდა, მესიე, მაგრამ თქვენ ვერ გაგიმხელთ. თუმცა, შემიძლია პატიოსანი სიტყვა მოგცეთ, რომ მისტერ რეთჩეთისთვის მატარებელში ამოსვლამდე თვალიც კი არასოდეს მომიკრავს.

— ანუ ამ სიტყვების ახსნაზე უარს მეუბნებით?

— დიახ, თუკი ასე გნებავთ, რომ უნოდოთ, უარს გეუბნებით. ეს სიტყვები ერთი საქმეს ეხებოდა... რომელიც უნდა შემესრულებინა.

— ეს საქმე უკვე შესრულებულია, ხომ?

— რას გულისხმობთ?

— ყველაფერი უკვე დასრულებულია, ხომ?

— რატომ გვინდია?

— მისმინეთ, მადმუაზელ, სხვა ამბავსაც გაგახსენებთ. სტამბოლში ჩასვლის დღეს მატარებელი შეყოვნდა. ძალიან აღელვებული ბრძანდებოდით. არადა, როგორი თავდაჭერილი და მშვიდი ბუნების ხართ. მაშინ თავსაც კი ველარ აკონტროლებდით.

— გადასაჯდომი ვიყავი და მეშინოდა, არ დამაგვიანდეს-მეთქი.

— ასეც თქვით, მაგრამ, „აღმოსავლეთის ექსპრესი“ სტამბოლიდან ყოველდღე გადის. რომც ვერ მიგესწროთ, ოცდაოთხ საათზე მეტს მაინც არ დაკარგავდით.

მის დეპენცემს ამ ხნის განმავლობაში პირველად შეეტყო, რომ ლელავდა.

— ალბათ, ვერ წარმოიდგენთ, რომ ლონდონში მეგობრები მელოდებიან და ერთი დღის დაგვიანებასაც კი შეიძლება არა მხოლოდ გეგმების ჩაშლა, არამედ სერიოზული უსიამოვნებაც მოჰყვეს.

— ოჟ, აი, თურმე რა ყოფილა. მაშ, მეგობრები გელოდებიან? და არ გინდათ, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოთ?

- ბუნებრივია.
- რა უცნაურია...
- რა არის უცნაური?
- ამ მატარებლით ხომ მაინც ვყოვნდებით. თან უარეს უხერხულ ვითარებაშიც ამოვყავით თავი: აქედან ვერც დეპეშას გაგზავნის კაცი, ვერც საერთაშორისო თუ ქალაქთა-შორისო... თუ როგორ უნდა ითქვას?
- საქალაქთაშორისო ტელეფონს გულისხმობთ?
- ჰო, ჰო! ინგლისურად ენა დამება.
- მერი დებენჰემს უნებლიერ გაელიმა.
- მაგისტრალური ტელეფონი ჯობდა, ჩვენ ასე ვუწოდებთ, — გაუსწორა ახალგაზრდა ლედიმ. — დიახ, მართლაც ძალიან უსიამოვნოა, როცა ვერც დეპეშას გზავნი და ვერც ტელეფონით რეკავ.
- და მაინც, მადმუაზელ, ახლა სულ სხვაგვარად იქცევით. მოუთმენლობას აღარ ამჟღავნებთ. მშვიდად და ფილოსოფიურად მსჯელობთ.
- მერი დებენჰემი განითლდა და ტუჩზე იკინა. ღიმილის გუნებაზე აღარ იყო.
- არ გიპასუხიათ, მადმუაზელ.
- უკაცრავად. არ მეგონა, რამე თუ უნდა მეპასუხა.
- გუნება-განწყობილება გეცვლებათ, მადმუაზელ?
- ხომ არ გვინიათ, რომ ცოტა აზვიადებთ, მესიე პუარო?
- პუარომ ხელები გაშალა, თითქოს ბოდიშს უხდისო.
- შესაძლოა, ეს პროფესიული ნაკლია. დეტექტივები მოსმენილში მხოლოდ ლოგიკას ეძებენ, გუნება-განწყობილების ცვლილებას კი არ ითვალისწინებენ.
- მერი დებენჰემმა ყური არ ათხოვა მის სიტყვებს.
- პოლკოვნიკ არბეთნოთს კარგად იცნობთ, მის დებენჰემ?
- პუაროს მოეჩვენა, თითქოს თემის შეცვლამ ქალიშვილს შვება მოჰვევარა.
- პირველად ამ მოგზაურობისას შევხვდი.

— შეგიძლიათ, დაუშვათ, რომ მოკლულს იცნობდა?

უარის ნიშნად გააქნია თავი.

— დარწმუნებული ვარ, რომ არ იცნობდა.

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

— მისი საუბრიდან გამომდინარე.

— ამის მიუხედავად, მადმუაზელ, მოკლულის კუპეში იატაკზე დავარდნილი ჩიბუხის საწმენდი ვიპოვეთ. პოლკოვნიკი არბეთნოთი კი ერთადერთი მამაკაცია მთელ მატარებელში, ვინც ჩიბუხს ეწევა.

პუარო კარგად დაუკვირდა ქალის ემოციას, მაგრამ მის დებენჰემს არც გაოცება გამოუხატავს, არც სხვა რამ ემოცია, მხოლოდ, მშრალად მიუგო:

— ნონსენსია. სრული აბსურდი. პოლკოვნიკი არბეთნოთი დედამიწაზე უკანასკნელი ადამიანია, ვისზეც შეიძლება ეჭვი მიიტანოთ მკვლელობაში, თუნდაც მხოლოდ თეორიულად.

გულის სილრმეში პუაროც ეთანხმებოდა მერის. თუმცა, სხვა რამ უთხრა:

— უნდა შეგახსენოთ, მადმუაზელ, რომ კარგად არ იცნობთ მას.

მერიმ მხრები აიჩეჩა.

— სამაგიეროდ, ამ ტიპის ადამიანებს ვიცნობ კარგად.

— ახლაც არ გნებავთ, რომ იმ სიტყვების შინაარსი გამიმხილოთ? — ფრთხილად ჰქითხა პუარომ. — რა უნდა დამთავრდეს?

მის დებენჰემმა ცივად უპასუხა:

— მეტი ალარაფერი მაქვს სათქმელი.

— არა უშავს, მაინც გავარკვევ, — არ შეეპუა ერკიულ პუარო.

თავი დაუკრა, კუპედან გავიდა და კარიც გაიხურა.

— თქვენი აზრით, ეს ჭკვიანური საქციელი იყო, მეგობარო? — ჰქითხა მესიე ბუკმა. — ახლა თვითონ თავდაცვით პოზიციაში გადავა და პოლკოვნიკიც იმავე პოზიციას დაიკავებს.

— Mon ami, თუ კურდლლის დაჭერა გინდა, სოროში კვერნა უნდა შეუშვა და თუ სოროში კურდლელია, გარეთ გამოვარდება. ესაა და ეს, სხვა არაფერი გამიკეთებია.

ისინი ჰილდეგარდ შმიდტის კუპეში შევიდნენ.

ქალი სრულიად მშვიდად და თავაზიანად შეხვდა.

პუარომ საწოლზე დადებულ, პატარა გახსნილ ჩემოდანს ჩახედა. წამის შემდეგ გამყოლს მიუბრუნდა და დიდი ჩემოდანი ჩამოალებინა.

— გასალებები? — იკითხა მან.

— ჩაკეტილი არ გახლავთ, მესიე.

პუარომ საკეტი გადასწია და გახსნა.

— აჟა! — თქვა და მესიე ბუკს შეხედა. — გახსოვთ, რა გითხარით? აბა, ერთი ამას შეხედეთ!

ზედაპირზე ნაჩეარევად დახვეული გამყოლის უნიფორმა იდო.

გერმანელი ქალის უემოციო სახე სწრაფად შეიცვალა.

— ვაი! — შეჰკივლა ქალმა. — ეს ჩემი არ არის. მე არ ჩამიდვია. რაც სტამბოლიდან გამოვედით, ამ ჩემოდანში არც ჩამიხედავს. მართალს მოგახსენებთ, სრულ სიმართლეს გეუბნებით, — ხან ერთს შეხედა მუდარით, ხან მეორეს.

პუარომ ნაზად მოჰკიდა მკლავზე ხელი და დაუყვავა.

— არა, არა, ნუ დარდობთ, ყველაფერი კარგადაა. არ ინერვიულოთ. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ უნიფორმას თქვენ არ დამალავდით ჩემოდანში, ასევე იმაში, რომ მშვენიერი მზარეული ხართ. ხომ ასეა? ხომ გემრიელ კერძებს ამზადებთ?

გამწარებულ ქალს უნებურად გაელიმა.

— დიახ, მართლაც კარგი ხელი მაქვს. ჩემი ყველა ქალბატონი ამბობდა ხოლმე, რომ...

უცებ შეჩერდა, პირი დააღო და შეშინებულმა შეხედა პუაროს.

— არა, არა, — დაუყვავა პუარომ. — გარწმუნებთ, ყველაფერი კარგადაა. მე თვითონ გიამბობთ, ეს ამბავი როგორ მოხდა. ეს იმ კაცის ნახელავია, რომელსაც თქვენ მოჰკარით

თვალი, მოკლულის კუპედან რომ გამოვიდა და კინალამ რომ შეგეჯახათ. კიდევ უარესი მისთვის. ეგონა, რომ ვერავინ დაინახავდა. მერე რა ხდება? ეს უნიფორმა როგორმე უნდა მოიცილოს, რადგან უკვე საფრთხეს უქმნის, — პუარომ თვალი მესიე ბუკსა და ექიმ კონსტანტინისკენ გააპარა, რომლებიც ყურადღებით უსმენდნენ. — ხომ ხედავთ, გარეთ თოვლია. ამ თოვლმა კი ყველა გეგმა ჩაუშალა. სხვაგან სად დამალავდა ტანსაცმელს? ყველა კუპე დაკავებულია. ამიტომ, კუპეებს დაუარა და რომელიც თავისუფალი ნახა, იქ შევიდა. იფიქრა, ეს იმ ქალის კუპე იქნება, მე რომ შემეჩებაო. ჰოდა, უცებ შემოძვრა, სწრაფად გაიხადა ფორმა და თაროზე ჩემოდანში ჩადო. აქაოდა, კარგა ხანს ვერც აღმოაჩენენ.

— მერე? — ვერ მოითმინა მესიე ბუკმა.

— ამაზე უნდა დავფიქრდეთ, — პუარომ გამაფრთხილებელი მზერით შეხედა.

უნიფორმა აიღო. ზემოდან მესამე ლილი აკლდა. მერე ჯიბეში ჩაცურა ხელი და გასაღები ამოილო, რომლითაც გამყოლები კუპეებს აღებენ.

— აი, ახსნა, თუ როგორ შეეძლო ადამიანს დაკეტილ კუპეებში უპრობლემოდ შესვლა, — თქვა მესიე ბუკმა. — მისის ჰაბარდს სულ ამაოდ ვუსვამდით კითხვებს. რაღა მნიშვნელობა აქვს დაკეტილი იყო თუ არა კუპეების დამაკავშირებელი კარი, როცა ეს კაცი უპრობლემოდ გააღებდა?! ბოლოს და ბოლოს, თუკი საძილე ვაგონის გამყოლის უნიფორმა იშოვა, გასაღების შოვნას რაღა დაუდგებოდა წინ?

— მართლაც, რა დაუდგებოდა წინ? — კითხვა დაუბრუნა პუარომ.

— აქამდეც უნდა მივმხვდარიყავით. გახსოვთ, მიშელმა რომ თქვა, ზარის ხმაზე რომ მივედი, მისის ჰაბარდის კუპედან დერეფანში გამავალი კარი ჩაკეტილი იყომ?

— ასეა, მესიე, — ჩაერთო გამყოლი. — იმიტომაც ვიფიქრე, ლედის მოეჩვენა-მეთქი.

— ახლა ყველაფერს ნათელი ეფინება, — განაგრძო მე-

სიე ბუკმა. — შესაძლოა, მეზობელ კუპესთან დამაკავშირებელი კარის ჩაკეტვაც უნდოდა, მაგრამ მისის ჰაბარდის მოძრაობას მოჰკრა ყური და დაფრთხა.

— ახლა მხოლოდ წითელი კიმონო დაგვრჩა საპოვნელი,  
— თქვა პუარომ.

— მართალია. დანარჩენი ორი კუპე კი მამაკაცებს უკავიათ.

— მაინც უნდა გავჩერიკოთ.

— ჰო, რა თქმა უნდა! თანაც, თქვენი ნათქვამიც კარგად მახსოვს.

ჰექტორ მაქქუინს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა კუპეს გაჩერეკასთან დაკავშირებით.

— როგორც იქნა, ჩემთვისაც მოიცალეთ, — თქვა სევდიანი ლიმილით. — ვგრძნობ, რომ მთელ მატარებელში ყველაზე საეჭვო ადამიანი მე ვარ. ისლა დაგრჩენიათ, რეთჩეთის ანდერძი იპოვოთ, რომლითაც მთელ ფულს მე მიტოვებს და საქმეც გამოძიებულია.

მესიე ბუკმა უნდობლად გადახედა.

— ვიხუმრე, — სწრაფად დასძინა მაქქუინმა. — ცენტ-საც არ დამიტოვებდა სინამდვილეში. მხოლოდ მიყენებდა, ენების ცოდნა, მოგეხსენებათ, საჭირო რამეა. მარტო ინგლისურად თუ ლაპარაკობ, თან ამერიკული აქცენტით, არ გაგიმართლებს. მართალია, დიდი ლინგვისტი არც მე გახლავართ, მაგრამ მაღაზიებსა და სასტუმროებში ფრანგულად, გერმანულად და იტალიურად ჩემს სათქმელს გავაგებინებ.

ჩვეულებრივზე ხმამაღლა გამოუვიდა ნათქვამი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემოდნები თვითონვე დაუწყო წინ გასაჩერეკად, აშკარა იყო, გული საგულეს არ ჰქონდა.

— არაფერია, — განაცხადა პუარომ. — მაკომპრომეტირებელი ანდერძიც არსად ჩანს!

მაქქუინმა შვებით ამოისუნთქა.

— გულზე მომეშვა, — სცადა გახუმრება.

ბოლო კუპეში შევიდნენ. ზორბა იტალიელისა და რეთჩე-

თის მსახურის ჩემოდნების ჩხრეკამ არავითარი შედეგი არ გამოილო.

სამი მამაკაცი ვაგონის ბოლოში გაჩერდა და ერთმანეთს მიაშტერდა.

— აწი რა ვქნათ? — იკითხა მესიე ბუკმა.

— ისევ ვაგონ-რესტორანში დავბრუნდეთ, — უპასუხა პუარომ. — ახლა უკვე ყველაფერი ვიცით, რისი ცოდნაც შეიძლება. მგზავრთა ჩვენებები მოვისმინეთ, მათი ბარგი გავჩერიკეთ, თავადაც რაღაც ვნახეთ... ვინმეს დახმარების იმედად აღარ უნდა ვიყოთ. აწი ჩვენ უნდა გავანძრიოთ ტვინი.

ჯიბეში სიგარეტის ამოსალებად ხელი ჩაიყო, მაგრამ კოლოფი ცარიელი აღმოჩნდა.

— მალე შემოგიერთდებით, — უთხრა კონსტანტინსა და ბუკს. — სიგარეტი დამჭირდება. მართლაც ძალიან რთული და უჩვეულო საქმეა. ვის ეცვა მენამული კიმონო? ახლა სად არის? ნეტავ, ვიცოდე. რაღაც არის ამ საქმეში ისეთი... რაღაც ფაქტორი, რაც ხელიდან მისხლტება. ჩახლართული საქმეა, რადგან განზრახ არის გართულებული. მაგრამ უნდა დავფიქრდეთ და ვიმსჯელოთ. უკაცრავად, ამნუთას მოვალ.

სწრაფად გაუყვა დერეფანს თავისი კუპესკენ. ერთ-ერთ ჩემოდანში სიგარეტი ეგულებოდა. ჩემოდანი ჩამოილო და გახსნა.

უეცრად უკან დაიხია და გაოცებული ჩააშტერდა.

ტანსაცმლის ზემოდან აკურატულად დაკეცილი მეწამული კიმონო დაინახა, სწორედ ის, დრაკონები რომ ეხატა.

— აჲა, — ჩაიბურდლუნა. — გასაგებია. ეს უკვე გამოწვევაა. ძალიანაც კარგი, გამოწვევა მიღებულია.

ნაცილი III

# ეჩიურ პუანტ მოვალეობა და ფიქრის ეძღვა

## 1. ჩოგალი მათბანი

მესიე ბუკი და ექიმი კონსტანტინი საუბრობდნენ, როდესაც ვაგონ-რესტორანში პუარო შევიდა. მესიე ბუკი დათრგუნვილად გამოიყურებოდა.

— Le voilà<sup>1</sup>, — წამოიძახა ამ უკანასკნელმა პუაროს დანახვაზე და როდესაც მისი მეგობარი დაჯდა, დაამატა: — ამ საქმეს თუ გახსნით, mon cher, სასწაულის არსებობასაც დავიჯერებ!

— ასე არ გასვენებთ?

— ბუნებრივია, არ მასვენებს. ვერ გამიგია, სად თავია და სად — ბოლო.

— ვერც მე, — კვერი დაუკრა ექიმმა და პუაროს ინტერესით შეხედა. — მართალი გითხრათ, — განაგრძო მან. — ვერც კი ვხვდები, ანი რა უნდა ვქნათ.

— ვერ ხვდებით? — ცალყბად ჰეითხა პაურომ. მერე პორტსიგარი ამოილო ჯიბიდან და წვრილ სიგარეტს მოუკიდა. ეტყობოდა, რომ რაღაცაზე ფიქრობდა. — ამ საქმეში სწორედ ეს მომწონს. პროცედურების ჩატარების ჩვეულებრივ საშუალებებს მოკლებული ვართ. ამბობენ კი დაკითხული მგზავრები სიმართლეს? იქნებ, ტყუიან? ამის გაგების არანაირი საშუალება არ გაგვაჩინია, გარდა მსჯელობისა. ეს ტვინის სავარჯიშოსავით არის.

<sup>1</sup> Le voilà (ფრ.). — აი, ისიც.

— ეს ყველაფერი კარგი, — ჩაერთო მესიე ბუკი. — მაგრამ რამე ხელჩასაჭიდს მიაგენით?

— აკი მოგახსენეთ? მხოლოდ მგზავრების ჩვენებები გვაქვს და ის, რაც საკუთარი თვალით ვნახეთ.

— ჰო, მგზავრთა ჩვენებები! დაკითხვამ არც არაფერი მოგვცა.

პუარომ თავი გააქნია.

— ვერ დაგეთანხმებით, მეგობარო. მგზავრთა ჩვენებებში არაერთი საინტერესო დეტალი გამოიკვეთა.

— მართლა? — უნდობლად იკითხა მესიე ბუკმა. — რატომლაც ვერ შევამჩნიე.

— იმიტომ, რომ კარგად არ უსმენდით.

— მაშ, მითხარით, რა გამოვტოვე?

— მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. აი, პირველი მოწმის, ახალგაზრდა მაქქუინის ჩვენება. ერთი ძალიან საინტერესო ფრაზა თქვა.

— წერილების შესახებ?

— არა, წერილებზე არა. მთლად ციტირება არ გამომივა, მაგრამ დაახლოებით ასეთი რამ თქვა: ბევრს ვმოგზაურობდით, მისტერ რეთჩეთს მსოფლიოს ნახვა უნდოდა, მაგრამ უცხო ენების არცოდნა უშლიდა ხელს, მე კი, თარჯიმნისა და გიდის მოვალეობას უფრო ვასრულებდი, ვიდრე მდივნისასო. — პუარომ მზერა ექიმიდან მესიე ბუკზე გადაიტანა.

— რა? ნუთუ ვერ მიხვდით? ეს უკვე აღარ გეპატიებათ, ახლა მეორედ მოისმინეთ მისი ნათქვამი და ისევ არ მიაქციეთ ყურადღება. არადა თქვა, მარტო ინგლისურით, ისიც ამერიკული ინგლისურით, ფონს ვერ გახვალო.

— იმის თქმა გსურთ, რომ... — მესიე ბუკი მთლად დაიბნა.

— ოჳ, მაინცდამაინც უნდა დაგიმარცულოთ? მოკლედ, მისმინეთ. მისტერ რეთჩეთმა ფრანგული არ იცოდა. მაგრამ ნუხელ მის ზარზე გამყოლი რომ მივიდა და დაუკაკუნა, კუპედან ფრანგულად გამოეპასუხნენ, შემეშალაო. თანაც ამის სათქმელად ისეთი ფრაზა იხმარეს, რომელსაც ცუდი

ფრანგულის მცოდნე ვერ იხმარდა: Ce n'est rien. Je me suis trompé, ანუ, შემეშალა, ნუ შეწუხდებითო.

— მართალია, — წამოიძახა გაოცებულმა კონსტანტინმა. — ეს როგორ გამოგვრჩა! მახსოვს, ეს სიტყვები ხაზგასმითაც კი წარმოთქვით, როდესაც მის ნათქვამს გვიმეორებდით. ახლა ვხვდები, რატომ არ გაითვალისწინეთ გაფუჭებული საათი. პირველს რომ ოცდასამი წუთი აკლდა, რეთჩეთი უკვე მკვდარი იყო...

— და გამყოლს მკვლელმა გასცა პასუხი! — დაასრულა აღტაცებულმა მესიე ბუკმა.

პუარომ უარის ნიშნად ხელი ასწია.

— მოდით, მკითხაობას ნუ დავიწყებთ. ნურც იმაზე მეტს წარმოვიდგენთ, ვიდრე ვიცით. სჯობს, ასე ვთქვათ: პირველს რომ ოცდასამი წუთი აკლდა, რეთჩეთის კუპეში სხვა ადამიანი იმყოფებოდა და ის ან ფრანგი იყო, ან კარგად ფლობდა ფრანგულს.

— როგორ ფრთხილობთ, *mon vieux*...

— ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავინიოთ წინ. იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ იმ დროს რეთჩეთი უკვე მკვდარი იყო, არ გვაქვს.

— ხომ თქვით, ყვირილმა გამაღვიძაო.

— დიახ, მართალია.

— ერთი მხრივ, — თქვა დაფიქრებით მესიე ბუკმა, — ეს აღმოჩენა დიდად არ ცვლის საქმეს. მეზობელი კუპედან ხომ გაიგონეთ ფეხის ხმა. ხოლო ის ვიღაც, რეთჩეთი კი არა, სულ სხვა კაცი იყო. რა თქმა უნდა, დანაშაულის კვალის წასაშლელად სისხლიანი ხელები დაიბანა და მაკომპრომეტირებელი წერილიც დაწვა. მერე შეიცადა, სანამ ყველაფერი მიწყნარდებოდა, და რეთჩეთის კუპეს კარი შიგნიდან ჩაკეტა, მეზობელ კუპესთან დამაკავშირებელი კარით მისის ჰაბარდის კუპეში შევიდა და იქიდან დერეფანში გავიდა. ჩვენც ხომ ასე ვფიქრობდით, ოღონდ იმის გამოკლებით, რომ რეთჩეთი ნახევარი საათით ადრე მოკლეს, ხოლო საათის ისრები განგებ გადასწინეს, რომ დამნაშავეს ალიბი ჰქონიდა.

— არცთუ საიმედო ალიბია, — თქვა პუარომ. — საათის ისრები 1 საათსა 15 წუთზე იყო გაჩერებული, ანუ ზუსტად იმ დროზე, როცა მკვლელმა დანაშაულის ადგილი დატოვა.

— მართალია, — დაეთანხმა მესიე ბუკი, თუმცა დაიბნა.

— მაგრამ მაშ, ეს საათი რაღას გეუბნებათ?

— თუ ისრები გადასწიეს, ხაზს ვუსვამ, თუ-მეთქი, მაშინ ის დროა მნიშვნელოვანი, რომელსაც ისრები გვიჩვენებს. ჩვეულებრივ ამას ის გააკეთებდა, ვისაც მითითებულ დროს, პირველ საათსა და 15 წუთზე, მყარი ალიბი ექნებოდა.

— დიახ, დიახ, — დაადასტურა ექიმმა. — სავსებით ლოგიკურია.

— იმ დროსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუ როდის მოხვდა რეთჩეთის კუპეში მკვლელი. როდის მიეცა იქ შეღწევის შესაძლებლობა? თუ ნამდვილი გამყოლი სიმართლეს გვეუბნება, მაშინ მკვლელს მსხვერპლის კუპეში შესაღწევად მხოლოდ ვინკოვცეში მიეცემოდა ამის შესაძლებლობა. როცა ვინკოვცის სადგურიდან გამოვიდა მატარებელი, გამყოლი დერეფნის ბოლოში იჯდა და მთელ დერეფანს ხედავდა, ამ დროს გამყოლისფორმიანი ადამიანისთვის ყურადღება რომ არავის მიექცია, ნამდვილ გამყოლს ეს თვალთახედვიდან ნამდვილად არ გამოეპარებოდა. მაგრამ ვინკოვცეში გაჩერების დროს გამყოლი მატარებლიდან ჩავიდა ანუ თავდამსხმელს გზა გაეხსნა.

— მაშ, როგორც აქამდეც ვფიქრობდით, ერთ-ერთი მგზავრის ჩადენილია. ისევ იქ დავბრუნდით, საიდანაც დავიწყეთ. მაგრამ საკითხავია, მაინც ვინ? — იკითხა მესიე ბუკმა.

პუაროს გაელიმა.

— სია შევადგინე, — თქვა მან. — თუ გადახედავთ, იქნებაზრზე მოხვიდეთ.

მესიე ბუკმა და ექიმმა კონსტანტინმა ყურადღებით ჩაიკითხეს სია. გარკვეული ხელით იყო ჩამოწერილი მგზავრების ვინაობა, მათი დაკითხვის თანამიმდევრობის მიხედვით.

ჰერცოგ მაქსუსი — ამერიკის ქვეშევრდომი. ადგილი 6, მეორე კლასი.

მოტივი — შესაძლოა, მსხვერპლთან ურთიერთობისას გასჩენოდა.

ალიბი — ღამის 12-დან 2-მდე (შუალამიდან 01:30-მდე პოლკოვნიკი არბეთნოთი ადასტურებს, 01:15-დან 02:00-მდე გამყოლი ადასტურებს).

სამხილი მის წინააღმდეგ — არავითარი.

საეჭვო გარემოება — არავითარი.

გამყოლი პირი მიშებული — საფრანგეთის ქვეშევრდომი.

მოტივი — არავითარი.

ალიბი — შუალამიდან 2 საათამდე (ე. პ.-მ დერეფანში იმ დროს დაინახა, როცა რეთჩეთის კუპედან 00:37-ზე ზარის ხმა გაისმა. 01-დან 01:16-მდე ამას ორი გამყოლი ადასტურებს).

სამხილი მის წინააღმდეგ — არავითარი.

საეჭვო გარემოება — საძილე ვაგონის გამყოლის ნაპოვნი უნიფორმა მის სასარგებლოდვე მეტყველებს, რადგან, სავარაუდოდ, განგებ იყო შეგდებული, რათა ეჭვი მასზე გადაეტანათ.

ედვარდ მასთერმენი — ინგლისის ქვეშევრდომი, ადგილი 4, მეორე კლასი.

მოტივი — შესაძლოა, მსახურად მუშაობისას მსხვერპლთან ურთიერთობისას გასჩენოდა.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე (ადასტურებს ანტონიო ფოსკარელი).

საეჭვო გარემოება — სამხილი მის წინააღმდეგ — არავითარი, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ნაპოვნი უნიფორმა ყველაზე მეტად მისი ზომისაა. მეორე მხრივ კი, ნაკლებსავარაუდოა, რომ ფრანგული კარგად იცოდეს.

მისის ჰაბარდი — ამერიკის ქვეშევრდომი, ადგილი 3, პირველი კლასი.

მოტივი — არავითარი.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე — არავითარი.

საეჭვო გარემოება ან სამხილი მის წინააღმდეგ — მის კუპეში შესული მამაკაცის შესახებ მონათხრობი ჰარდმენისა და ქალბატონი შემიდტის ჩვენებებით მტკიცდება.

გრეტა ოლსონი — შვედეთის ქვეშევრდომი, ადგილი 10, მეორე კლასი.

მოტივი — არავითარი.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე (ადასტურებს მერი დებენჰემი).

შენიშვნა: უკანასკნელმა ნახა ცოცხალი რეთჩეთი.

თავადის ჩალი დრაგონიოვა — საფრანგეთის ნატურალიზებული ქვეშევრდომი, ადგილი 14, პირველი კლასი.

მოტივი — ახლოს იცნობს არმსთრონგების ოჯახს, სონია არმსთრონგის ნათლიაა.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე (ადასტურებენ გამყოლი და მოახლე).

საეჭვო გარემოება ან სამხილი მის წინააღმდეგ — არავითარი.

გრაფი ანდრენი — უნგრეთის ქვეშევრდომი, დიპლომატიური პასპორტით, ადგილი 13, პირველი კლასი.

მოტივი — არავითარი.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე (ადასტურებს გამყოლი, თუმცა არა 01:00-დან 01:15-მდე პერიოდს).

გრაფინია ანდრენი — როგორც ზემოთ, ადგილი 12.

მოტივი — არავითარი.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე „ტრიონალი“ დალია და ეძინა (ადასტურებს მეუღლე და „ტრიონალის“ ფლაკონი კარადაში).

პოლკოვინი არბეთნოთი — ბრიტანეთის ქვეშევრდომი, ადგილი 15, პირველი კლასი.

მოტივი — არავითარი.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე; 01:30-მდე ესაუბრებოდა მაქქუინს. შევიდა თავის კუპეში და აღარ გამოსულა (ადასტურებენ მაქქუინი და გამყოლი).

საეჭვო გარემოება ან სამხილი მის წინააღმდეგ — ჩიბუ-ხსანმენდი.

საირუს ჰარდენი — ამერიკის ქვეშევრდომი, ადგილი 16, პირველი კლასი.

მოტივი — უცნობია.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე კუპედან არ გამოსულა (ადასტურებენ მაქქუინი და გამყოლი).

საეჭვო გარემოება ან სამხილი მის წინააღმდეგ — არავითარი.

ანტონიო ფოსკარელი — ამერიკის ქვეშევრდომი (წარმოშობით იტალიელი), ადგილი 5, მეორე კლასი.

მოტივი — უცნობია.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე (ადასტურებს ედვარდ მასთერმენი).

საეჭვო გარემოება ან სამხილი მის წინააღმდეგ — არავითარი, გარდა იმისა, რომ მკვლელობის იარაღი თეორიულად მის ხასიათს შეესაბამება (მესიე ბუკის აზრით).

მერი დეპენდენი — ბრიტანეთის ქვეშევრდომი, ადგილი 11, მეორე კლასი.

მოტივი — არავითარი.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე (ადასტურებს გრეტა ოლსონი).

საეჭვო გარემოება ან სამხილი მის წინააღმდეგ — ე.პ.-მ მისი საუბარი მოისმინა, მან კი განმარტებაზე უარი განაცხადა.

ჰილდეგარდ შეიდო — გერმანიის ქვეშევრდომი, ადგილი 8, მეორე კლასი.

მოტივი — არავითარი.

ალიბი — შუალამიდან 02:00-მდე (ადასტურებენ გამყოლი და მისი ქალბატონი).

შენიშვნა: მგზავრთა ჩვენებებს ამყარებს გამყოლის ჩვენება, რომ შუალამიდან 01:00-მდე მისტერ რეთჩეთის კუპეში არავინ შესულა (სანამ თვითონ გავიდოდა მეზობელ ვაგონში) და 01:15-დან 02:00-მდე.

— ეს საბუთი, როგორც ხვდებით, მხოლოდ ჩამონათვალია ჩვენებებისა, რომლებიც შეძლებისდაგვარად მარტივად დავაწყვე, — მიმართა პუარომ დამსწრეთ.

მესიე ბუკი დაიჯღანა და ისე დაუბრუნა ფურცელი.

— ეს ქალალდი სინათლეს ვერ ჰქონის საქმეს, — თქვა მშრალად.

— იქნებ, ეს მეორე საბუთი უფრო მოგეწონოთ, — ოდნავ შესამჩნევი ლიმილით უთხრა პუარომ და სულ სხვა ფურცელი გაუწოდა.

## 2. პილ პილება

ფურცელზე ეწერა:

ახსნა სჭირდება

1. ვისია H-ინიციალიანი ცხვირსახოცი?
2. ჩიბუქსანმენდი პოლკოვნიკ არბეთნოთს დაუვარდა  
თუ ვინმე სხვას?
3. ვის ეცვა მენამული კიმონო?
4. ვის ეცვა გამყოლის ფორმა?
5. რატომ არის საათის ისრები 01:15-ზე გაჩერებული?
6. მკვლელობა ამ დროს მოხდა თუ არა?
7. იქნებ უფრო ადრე მოხდა?
8. იქნებ უფრო გვიან მოხდა?
9. დარწმუნებული ვართ, რომ რეთჩეთის მკვლელობა  
ერთი ადამიანის ჩადენილია? იქნებ მეტის?
10. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას მიყენებული ჭრი-  
ლობების ხასიათი?

— მოკლედ, მოდით, ვნახოთ, რა შეგვიძლია, — თქმა მე-  
სიე ბუკმა, რომელსაც ამ ჩამონათვალმა გონიერა გაუნათა.  
— ცხვირსახოცით დავიწყოთ. თანამიმდევრულად და ლო-  
გიკურად მივყვეთ.

— რასაკვირველია, — უთხრა კმაყოფილმა პუარომ და  
თავი დაუქნია.

მესიე ბუკმა დიდაქტიკური ტონით განაგრძო:

— ინიციალი H სამ ადამიანს უკავშირდება: მისის ჰა-  
ბარდს, მის დებენჟემს, რომლის მეორე სახელი ჰერმონია,  
და მოახლე ჰილდეგარდ შმიდტს.

— და ამ სამეულიდან რომელზე უფრო გაქვთ ეჭვი?

— ძნელი სათქმელია. მაგრამ მაინც მის დებენჟემს და-  
ვასახელებდი. იქნებ, ახლობლები სწორედ ამ სახელით მი-  
მართავენ. ამას გარდა, ეს გარკვეულ ეჭვსაც ბადებს. იმ  
საუბარზე მოგახსენებთ, თქვენ რომ მოჰკარით ყური, mon  
cher, რომელიც მართლაც უცნაური იყო, თან არც აგიხსნათ.

— მე რომ მკითხოთ, ამერიკელ ქალბატონზე უფრო მივიტანდი ეჭვს, — თქვა ექიმმა კონსტანტინმა. — ცხვირსახოცი ძალიან ძვირფასი ჩანს, ამერიკელებს კი, მოგეხსენებათ, უყვართ ნივთებში ფულის ყრა.

— ანუ მოახლეს ორივე გამორიცხავთ? — იკითხა პუარომ.

— დიახ. მისივე თქმისა არ იყოს, ასეთი ცხვირსახოცი მხოლოდ ძალიან მდიდარ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს.

— და მეორე კითხვა: ჩიბუხსანმენდი პოლკოვნიკ არბეთნოთს დაუვარდა თუ ვინმე სხვას?

— აქ უფრო რთულად გვაქვს საქმე. ინგლისელებს ხანკლის ხმარება არ სჩვევიათ. ამაში გეთანხმებით, მე უფრო მგონია, რომ ვიღაცამ განგებ დააგდო ჩიბუხის საწმენდი, რომ ინგლისელზე მიგვეტანა ეჭვი.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, მესიე პუარო, — შენიშნა ექიმმა, — ორი სამხილი ერთ დანაშაულთან დაკავშირებით ცოტა არასერიოზულად ულერს. ეგ ცხვირსახოცი, რომელზეც ანი აღარავინ იტყვის, ჩემიაო, შემთხვევით დაუვარდა ვიღაცას. ჩიბუხსანმენდი კი ყალბი სამხილი მგონია. ამ თეორიის განსამტკიცებლად კი იმას მოგახსენებდით, რომ პოლკოვნიკ არბეთნოთს არავითარი მღელვარება არ დასტყობია და არც ის დაუმალავს, რომ სწორედ ამგვარ საწმენდს იყენებს.

— მართალს ბრძანებთ, — დაეთანხმა პუარო.

— კითხვა 3: ვის ეცვა მენამული ფერის კიმონო? — განაგრძო მესიე ბუკმა.

— სიმართლე ვითხრათ, წარმოდგენაც კი არ მაქვს. თქვენ ხომ არ გაქვთ რამე შენიშვნა ამ საკითხზე, ექიმო კონსტანტინ?

— არავითარი.

— მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ ხელი მოგვეცარა. შემდეგ საკითხზე მსჯელობა მაინც შეიძლება. ვის ეცვა გამყოლის ფორმა? ქალს თუ მამაკაცს? შესაძლოა, რამდენიმე ადამიანი ვახსენოთ კიდეც, ვისაც ეცმებოდა. ჰარდმენი, პოლკოვნი-

კი არბეტნოთი, ფოსკარელი, გრაფი ანდრენი და ჰექტორ მაქქუინი ძალიან მაღლები არიან. მისის ჰაბარდი, ჰილდე-გარდ შმიდტი და გრეტა ოლსონი კი საკმაოდ სრულები და არ ჩაეტეოდათ. გვრჩება მსახური, მის დებენჰემი, თავადის ქალი დრაგომიროვა და გრაფინია ანდრენი, თუმცა ვერც ერთ მათგანზე ეჭვს ვერ მიიტანს კაცი! ერთი მხრივ გრეტა ოლსონი და მეორე მხრივ ფოსკარელი იფიცებიან, მის დე-ბენჰემსა და მსახურს გარეთ ფეხი არ გაუდგამთო. ჰილდე-გარდ შმიდტი თავს დებს, თავადის ქალი თავის კუპეში იყო, გრაფმა ანდრენმა კი გვითხრა, ჩემმა მეუღლემ ძილის წამალი დალიაო. მაში, გამოდის, რომ არც ერთ მათგანს არაფერი ჩაუდენია, რაც აბსურდია.

— როგორც ჩვენი ძველი მეგობარი ევკლიდე<sup>1</sup> იტყოდა,  
— ჩაილაპარაკა პუარომ.

— რომელიმე ამ ოთხიდან უნდა იყოს, — თქვა ექიმმა. — თუ, რა თქმა უნდა, იმას არ დავუშვებთ, რომ ვილაცამ გა-რედან შეა მოალწია და მერე საიმედო სამალავი იპოვა, რაც უკვე გამოვრიცხეთ.

მესიე ბუკი შემდეგ კითხვაზე გადავიდა.

— კითხვა 5: რატომ არის საათის ისრები 01:15-ზე გა-ჩერებული? აქ მხოლოდ ორ ახსნას ვხედავ. ეს ან მკვლელ-მა გააკეთა, რომ ალიბი შეექმნა, რადგან დერეფნიდან ხმა მოესმა და იძულებული გახდა შეყოვნებულიყო, ან... მოიცა-დეთ... მოიცადეთ... მგონი, რაღაც აზრი მომივიდა.

პუარო და კონსტანტინი მოთმინებით იცდიდნენ, სანამ მესიე ბუკი აზრების ჩამოყალიბებას ცდილობდა.

— როგორც იქნა! — წამოიძახა ბოლოს. — ისრები გამ-ყოლისფორმიანი მკვლელის გადაწეული არ იქნება. ეს იმან ჩაიდინა, მეორე მკვლელს რომ ვუწოდებთ, ცაციამ ანუ მენა-მულკიმონოიანმა ქალმა. ის გვიან მივიდა შემთხვევის ადგი-ლზე და ისრები უკან გადასწია, რომ წინა მკვლელს დაპრა-ლებოდა მომხდარი, თვითონ კი მშრალად გამოსულიყო.

<sup>1</sup> ევკლიდე — (დაახ. ძვ. ნ. 325-265) ელინიზმის ეპოქის მათემატიკოსი ალე-ქსანდრიიდან.

— ბრავო! — შეაქო ექიმმა კონსტანტინმა. — წარმოსახვაც ამას ჰქვია.

— ფაქტობრივად, — თქვა პუარომ. — გამოდის, სიბნელუში ჩაურტყამს დანა, ვერც კი მიმხვდარა, რომ მისი მსხვერპლი უკვე მკვდარი იყო, მაგრამ რატომდაც უფიქრია, ჯიბეში საათი ექნებაო, ამოუცლია, ბრძად გადაუწევია ისრები და ზედ კვალიც კი დაუჩინევია.

მესიე ბუკმა პუაროს ცივად შეხედა.

— უკეთეს ვერსიას გვთავაზობთ?

— ამწუთას ვერა, — უპასუხა პუარომ. — მიუხედავად ყველაფრისა, — განაგრძო მან, — მაინც მგონია, რომ ვერც ერთი თქვენგანი საათთან დაკავშირებულ საინტერესო დეტალს ვერ ჩასწვდა.

— ეს 6 კითხვას უკავშირდება? — ჰკითხა ექიმმა კონსტანტინმა. — კითხვაზე, ხსენებულ დროს მოხდა თუ არა მკვლელობა, გადაჭრით გიპასუხებთ, რომ არა.

— გეთანხმებით, — თქვა მესიე ბუკმა. — შემდეგ კითხვაზე, უფრო ადრე ხომ არ მოხდა, გიპასუხებთ. თქვენც ასე ფიქრობთ, ექიმო?

ექიმმა კვერი დაუკრა.

— დიახ, მაგრამ კითხვას, უფრო გვიან ხომ არ მოხდა, შეიძლება ასევე დადებითი პასუხი გაეცეს. თქვენს თეორიას ვეთანხმები, მესიე ბუკ, და მგონი, მესიე პუაროც გეთანხმებათ, თუმცა კი არ სურს, ნინასწარ გზა მოიქრას. პირველი მკვლელი 01:15-ზე ადრე გამოჩნდა, მაგრამ მეორე მკვლელი აშკარად ხსენებულ დროზე გვიან უნდა შესულიყო რეთჩეთის კუპეში. და რაკი ზოგიერთი ჭრილობა მარცხენა ხელითაა მიყენებული, ვგონებ, ურიგო არ იქნებოდა, გაგვეგო, მგზავრთაგან რომელია ცაცია?

— ამ თეორიას ბოლომდე არ უარვყოფ, — თქვა პუარომ. — ალბათ, შეამჩნევდით, რომ ყველა მგზავრს ან ხელი მოვაწერინე, ან მისამართი დავაწერინე. თუმცა, ვერც ასე გამოიტან საბოლოო დასკვნას, რადგან ზოგიერთი ადამიანი მარცხენა ხელით ერთ რამეს აკეთებს, მარჯვენით კი

მეორეს. ზოგი მარჯვენა ხელით წერს, მარცხენა ხელით კი გოლფს თამაშობს. მაგრამ ეს მაინც რაღაცას მიგვანიშნებს. ყოველმა დაკითხულმა მგზავრმა კალამი მარჯვენა ხელით გამომართვა, თავადის ასულ დრაგომიროვას გამოკლებით, რომელმაც წერაზე უარი განაცხადა.

— დრაგომიროვა გამორიცხულია, — დაასკვნა მესიე ბუკმა.

— მეტვება, იმხელა ძალა ჰქონდეს, მარცხენა ხელით ეგეთი ლრმა ჭრილობა მიაყენოს ვინმეს, — ეჭვი გამოთქვა ექიმმა კონსტანტინმა. — ჭრილობა ძლიერი ხელით არის მიყენებული.

— ზოგადად ქალის ძალას აღემატება თუ მხოლოდ მოხუც დრაგომიროვაზე ამბობთ?

— არა, ასე არ ვიტყოდი. ქალი კი შეძლებს ძლიერად დარტყმას, მაგრამ თავადის ქალ დრაგომიროვასნაირი ხნიერი და სუსტი ადამიანი — ვერა.

— აქ საკითხი სხვაგვარადაც შეგვიძლია, დავაყენოთ: იქ-ნებ, სულიერმა სიძლიერემ ფიზიკურს სძლია? — ჩაურთო პუარომ. — თავადის ქალ დრაგომიროვას ძლიერი ხასიათი და უდიდესი ნებისყოფა აქვს. მაგრამ მოდით, დროებით ეს საკითხი გვერდზე გადავდოთ.

— და 9 და 10 კითხვებზე გადავიდეთ? ანუ ერთმა ადამიანმა მოკლა თუ არა რეთჩეთი და როგორ ავხსნათ ჭრილობების ხასიათი? სამედიცინო თვალსაზრისით სხვა ახსნას ვერც მე ვხედავ. თუკი ვივარაუდებთ, რომ ერთმა ადამიანმა ჯერ სუსტად დაარტყა დანა, მერე — ძლიერად, პირველად მარცხენა ხელით, მერე — მარჯვენით და კიდევ ნახევარ სა-ათა დარჩა მის კუპეში, რომ უკვე გვამისთვის ერტყა და ერ-ტყა ხანჯალი, მგონი, ეს სრული უაზრობაა.

— კი ბატონო, — თქვა პუარომ. — უაზრობა დავარქვათ. მაგრამ ორი მკვლელობის თეორია ლოგიკური გვონიათ?

— აბა, სხვა რა ახსნა უნდა მოეძებნოს? თანაც, თქვენც ამავეს არ ამბობდით?

პუარომ წინ გაიხედა.

— მეც ამავეს ვეკითხები ჩემს თავს და პასუხი ვერ მი-  
პოვია, — ბელგიელი დეტექტივი სავარძელში მოკალათდა.  
— ამიერიდან, ყველაფერი აქ გადაიხარშება, — თქვა და შუ-  
ბლზე მიიკაკუნა თითი. — მომხდარს დეტალურად განვიხი-  
ლავთ და ზედმეტს ყველაფერს მოვაშორებთ. ჩვენ წინაშეა  
ფაქტები, წესისა და რიგის მიხედვით ჩამონერილი. უკლე-  
ბლივ ყველა მგზავრი აქ იჯდა და ერთმანეთის მიყოლე-  
ბით გვაძლევდნენ ჩვენებებს. რისი გაგებაც შეიძლებოდა,  
ყველაფერი შევიტყვეთ... — მეგობრულად გაულიმა მესიე  
ბუკს. — გახსოვთ, რომ ვხუმრობდით, მთავარია, კარგად  
მოკალათდე და დაფიქრდე, ჭეშმარიტება თავისით მოვაო?  
ჰოდა, ახლა სწორედ ამ თეორიის პრაქტიკაში გამოცდას  
ვაპირებ, აქ, თქვენ თვალწინ. მოდით, სამივემ დავხუჭოთ  
თვალები და ვიფიქროთ... ერთ-ერთმა, ან რამდენიმემ, ამ  
მგზავრთაგან რეთჩეთი მოკლა. საკითხავია, რომელმა მათ-  
განმა?

### 3. ჩამაფიქრებელი ჩატარები

მთელი თხუთმეტი წუთი გავიდა, სანამ ვინმე ხმას ამოილებდა.

მესიე ბუკმა და ექიმმა კონსტანტინმა პუაროს მითითება გაითვალისწინეს. ცდილობდნენ, არეულ-დარეული დეტალების ლაბირინთში რამე კონკრეტული, ხელჩასაჭიდი ეპოვათ.

მესიე ბუკის აზრი ამ გზით წარიმართა:

— რასაკვირველია, დინჯად უნდა ვიფიქრო. მაგრამ ამდენი ხანია უკვე, ვფიქრობ... პუაროს ალბათ, ინგლისელი გოგო ჰელინია გარეული მომხდარში. ვერაფრით ვარწმუნებ, რომ ცდება. ინგლისელები მეტისმეტად გულცივი ხალხია. იქნებ იმიტომ, რომ ასეთი გამხდრები არიან... მაგრამ ეს ახლა რა შუაშია?! ეტყობა, იტალიელის ნახელავი მართლა არ არის... სამწუხაროა. ხომ არ ტყუის ინგლისელი მსახური, როდესაც ამბობს, კუპედან არ გასულაო? მაგრამ რატომ უნდა იტყუებოდეს? ინგლისელის მოსყიდვა იოლი საქმე როდია. საერთო ენას ვერ გამონახავს კაცი. ყველაფერი თავდაყირაა. ნეტავ, ვიცოდე, როდის გავალნევთ აქედან. ალბათ, სამაშველო ჯგუფები უკვე მოდიან. ამ ქვეყნებში ყველაფერს ნელა აკეთებენ... საათები გავა, სანამ ვინმე რამეს მოისაზრებს. აქაურ პოლიციასთანაც რა ძნელია საქმის დაჭერა, დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე და სულ ეჩვენებათ, სათანადო პატივით არ გვეპყრობიანო. ალბათ, ერთ ამბავს ატეხენ მომხდარზე, ყოველდღე ხომ არ ხდება მსგავსი რამ. გაზეთები ათასი ტყუილ-მართლით აჭრელდება...

მესიე ბუკის ფიქრები ისევ ძველ მიმართულებას დაუბრუნდა, თუმცა ამ მიმართულებით უამრავი ჰქონდა ნაფიქრი.

ექიმი კონსტანტინი კი ამგვარად მსჯელობდა:

— რა უცნაურია ეს პატარა კაცი. გენიოსია? თუ აფე-

რისტი? გახსნის ამ საიდუმლოს? საეჭვოა. გამოსავალს ვერ ვხედავ. თავგზა ამებნა... იქნებ ყველა ტყუის... მაგრამ არც ეს შველის საქმეს. ცრუობენ თუ სიმართლეს ამბობენ, საქმე კიდევ უფრო იხლართება. ეს ჭრილობებიც რა უცნაურად არის მიყენებული... ვერაფერი გამიგია... გაცილებით მარტივად იქნებოდა საქმე, რომ ჩაეცხრილათ. ბოლოს და ბოლოს გამოთქმა „თოფიანი ყაჩალი“ ხომ სწორედ თოფის ან ზოგადად ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას გულისხმობს. ამერიკელებს კი თოფიანი განგსტერები არ დაელევათ. კაი უცნაური ქვეყანაა ეს ამერიკა! ნეტავ, ერთი ჩამიყვანა იქ. პროგრესი მაგათ უნდა დაიკვეხონ. შინ რომ დავბრუნდები, დემეტრიუს ზოგონე უნდა ვნახო, ამერიკაშია ნამყოფი, თან თანამედროვე იდეები ანუხებს... ნეტავ, ზია რას აკეთებს ახლა? ჩემმა ცოლმა ეს ამბავი რომ გაიგოს... — ფიქრებში პირადი საკითხები შეეპარა.

ერკიულ პუარო გაუნძრევლად იჯდა.

კაცი იფიქრებდა, სძინავსო.

უეცრად თხუთმეტწუთიანი გარინდების მერე წარბები ასწია, მსუბუქად ამოიოხრა და ჩაილაპარაკა.

— ბოლოს და ბოლოს, რატომაც არა? ხოლო თუ ასეა, ეს ყველაფერს ახსნის.

თვალები გაახილა და კატასავით მწვანედ აუელვარდა. მერე წყნარად თქვა:

— Eh bien. მე ვიფიქრე, თქვენ?

ფიქრებში წასული მამაკაცები მოულოდნელობისგან კინალამ შეხტნენ.

— მეც ვიფიქრე, — დამნაშავესავით თქვა მესიე ბუკმა.

— მაგრამ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივედი. დანაშაულის ამოხსნა თქვენი ხელობაა და არა ჩემი, მეგობარო.

— მეც სრულიად სერიოზულად დამაფიქრა ამ საკითხმა, — ურცხვად განაცხადა ექიმმა კონსტანტინმა და ძლივს გამოერკვა ინტიმური დეტალებით აღსავსე ფიქრებიდან. —

უამრავი შესაძლო თეორია მომივიდა თავში, მაგრამ ვერც ერთი ვერ მაკმაყოფილებს.

პუარომ მეგობრულად დაუქნია თავი, თითქოს უნდოდა ეთქვა:

— სწორია, ასეც უნდა გეთქვათ. თქვენი ნათქვამი სწორედაც რომ წამადგება.

გადაიხარა, მკერდი გამოსწია, ულვაშზე ხელი გადაისვა და ისე დაიწყო საუბარი, თითქოს, ორატორი საჯარო შეკრებაზე გამოდისო.

— მეგობრებო, გონიერაში ყველა ფაქტს გადავხედე და მგზავრთა ჩვენებებიც გავიხსენე, შედეგად კი ერთი ახსნა მაქვს, რომელიც ჯერ ნისლითაა მოცული, მაგრამ წესით, ჩვენთვის ცნობილი ფაქტების გაგებაში უნდა დაგვეხმაროს. ძალზე უცნაური ახნაა, ამიტომ არ ვიცი, ზუსტად გამოდგება თუ არა. ამის გასარკვევად, კონკრეტული ცდის ჩატარება მომინევს. ჯერ დამაფიქრებელ დეტალებზე მინდა შევჩერდე. მოდით, მესიე ბუკის პირველი შენიშვნით დავიწყოთ, რომელიც ვაგონ-რესტორანში შემოსვლისთანავე წარმოთქვა. მან ასეთი რამ თქვა: აქ ყველა სოციალური ფენის, ასაკის და ეროვნების ადამიანები არიანო. ამგვარი ფაქტი კი წელიწადის ამ დროს დიდი იშვიათობაა. ათენი-პარიზის და ბუქარესტი-პარიზის ვაგონები, მაგალითად, თითქმის ცარიელია. ის მგზავრიც არ გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომელიც არ გამოცხადდა. მგონი, ეს მნიშვნელოვანი ამბავია. არის ერთი შეხედვით შეუმჩნეველი დეტალები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანი მგონია. აი თუნდაც, მისის ჰაბარდის სააბაზანო ჩანთის ადგილმდებარეობა, მისის არმსტრონგის დედის გვარი, მისტერ ჰარდმენის საგამოძიებო მეთოდები, მისტერ მაქეუინის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ მისტერ რეთჩეთმა თვითონვე დაწვა მიღებული ბარათი, თავადის ქალ დრაგომიროვას სახელი და ცხიმის ლაქა უნგრულ პასპორტზე.

ორივე მამაკაცი შეაჩერდა პუაროს.

— ეს დეტალები რამეს გეუბნებათ? — იკითხა პუარომ.

— სრულიად არაფერს, — გულწრფელად უპასუხა მესიე ბუქმა.

— არც მესიე ექიმს?

— საერთოდ ვერ მივხვდი, რაზე ლაპარაკობთ.

მესიე ბუკი ამასობაში მეგობრის მიერ ნახსენები ერთა-დერთი ნივთიერი დეტალის ძებნას შეუდგა, პასპორტების დასტა აიღო, მერე დასტიდან გრაფის და გრაფინიას პას-პორტები გამოაძრო და ყურადღებით გახსნა.

— ამას გულისხმობდით? ამ ლაქას?

— დიახ. მართლაც ახალი ლაქაა. ყურადღება თუ მიაქ-ციეთ, რა ადგილას არის?

— იქ, სადაც გრაფის ცოლის სახელი წერია, უფრო სწო-რად, დასაწყისში. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდე-ბი, რას გულისხმობთ ამით.

— მე მეორე კუთხიდან შევხედავდი. მოდით, მკვლე-ლობის ადგილას ნაპოვნ ცხვირსახოცს დავუბრუნდეთ. როგორც წელან ალინიშნა, ინიციალი H სამ ადამიანს უკავ-შირდება: მისის ჰაბარდს, მის დებენჟემს და მოახლეს, ჰი-დეგარდ შმიდტს. მოდით ახლა, ამ ცხვირსახოცს სულ სხვა კუთხით შევხედოთ. ეს ნივთი, მეგობრებო, ძალიან ძვირ-ფასია — *an objet de luxe<sup>1</sup>*, ხელნაკეთი, პარიზში მოქარგული. რომელ მგზავრს შეეძლო ამგვარი ცხვირსახოცის შეძენა, ინიციალის პატრონს თუ არ ვიგულისხმებთ? ალბათ, ყვე-ლაზე ნაკლებად მისის ჰაბარდს, რომელსაც დახვეწილ გე-მოვნებაზე პრეტენზიაც კი არ აქვს. არც მის დებენჟემს — მისი წრის ინგლისელი ქალები ტილოს ფაქიზ ცხვირსახო-ცებს ამჯობინებენ ბატისტის ორასფრანკიან ზიზილ-პიპი-ლებს. ცხადზე ცხადია, მოახლე ვერ და არ შეიძენდა. მაგრამ მატარებელში ორი ქალბატონია, რომელიც უარს არ იტყო-

<sup>1</sup> *An objet de luxe* (ფრ.). — ფუფუნების საგანი.

და ამგვარი ნივთის შეძენაზე. მოდით, ვცადოთ და ეს ქალბატონები როგორმე დავაკავშიროთ ასო H-სთან. ორიდან ერთ-ერთი თავადის ქალი დრაგომიროვაა...

— რომლის ნათლობის სახელიც ნატალიაა, — ირონიულად ჩაურთო მესიე ბუკმა.

— ზუსტადაც. და მისი სახელი პირდაპირ ეჭვს ალძრავს. მეორე ქალბატონი კი გრაფინია ანდრენია, რომლის სახელიც მყისვე თვალში გეცემათ, როგორც...

— თქვენ გეცემათ, ალბათ!

— კეთილი, მე მეცემა. მისი ნათლობის სახელი ხომ პასპორტში ცხიმის ლაქით არის დაფარული. კაცი იფიქრებს, შემთხვევით მოხდაო. აბა, წარმოიდგინეთ, ელენას მაგივრად, ჰელენა რომ ერქვას. მთავრული „ჴ“, იგივე H კი იოლი გადასაკეთებელია მთავრულ „ე“-დ ანუ E-დ. ხოლო თუკი ცხიმის ლაქითაც მოვსვრით, ეს მანიპულაცია თვალში საცემი აღარ იქნება.

— ჰელენა! — წამოიძახა მესიე ბუკმა. — აი, მესმის აზრი!

— რასა კვირველია, აზრია! ჩემი ვარაუდის დასტურს ვეძებ და ვპოულობ კიდეც. ჩხრეკისას გრაფინიას ერთ-ერთი ჩემოდნის ეტიკეტი სველი იყო. სწორედ ის ეტიკეტი, რომელიც მისი სახელის პირველ ასოს ფარავს. გამოდის, ეტიკეტი დაუსველებიათ და სხვა ადგილზე დაუკრავთ.

— თითქმის დამარწმუნეთ, — თქვა მესიე ბუკმა. — მაგრამ გრაფინია ანდრენი ამისთანა... წარმოუდგენელია...

— ახლა კი, მეგობარო, აბა, დაფიქრდით და ამ საქმეს სულ სხვა კუთხიდან შეხედეთ. როგორ უნდა გამოჩენილიყო ეს მკვლელობა ხალხის თვალში? არც ის დაგავინყდეთ, რომ დიდთოვლობამ მკვლელს პირვანდელი გეგმები ჩაუშალა. მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ თოვლი სულ არ არის და მატარებელიც ჩვეული მარშრუტითა და სისწრაფით განაგრძობს გზას. მაშინ რა მოხდებოდა? მკვლელობას, დიდი ვარაუდით, მხოლოდ და მხოლოდ იტალიის საზღვარ-

ზე შევიტყობდით. იტალიის პოლიციაც ალბათ, ამავე ჩვენებებს მოისმენდა. მუქარის წერილებს მისტერ მაქქუინი წარადგენდა, მისტერ ჰარდმენი თავის ამბავს მოჰყვებოდა, ხოლო მისის ჰაბარდი სიამოვნებით უამბობდა დიდს თუ პატარას თავის კუპეში აღმოჩენილი მამაკაცის შესახებ და არც ნაპოვნი ლილი დაავინებოდა ვინმეს. ჩემი აზრით, მხოლოდ ორი რამ იქნებოდა სხვაგვარად. მამაკაცი მისის ჰაბარდის კუპეთი პირველ საათამდე ისარგებლებდა, ხოლო გამყოლის უნიფორმას რომელიმე ტუალეტში მიაგდებდნენ.

— იმის თქმა გინდათ, რომ?..

— იმის თქმა მინდა, რომ მკვლელის გეგმის მიხედვით, უნდა გვეფიქრა, რომ გარედან შემოაღწია. ალბათ, ივარაუდა, ეგონებათ, მკვლელი ბროდში ჩავიდაო, სადაც მატარებელი 00:58 ჩერდება. დერეფანშიც ვინმე აუცილებლად შეეჩებოდა გამყოლისფორმიანს, მერე ამ ფორმას თვალში მოსახვედრ ადგილას დააგდებდნენ და ყველას ეგონებოდა, რომ მკვლელი მატარებლიდან ჩავიდა. შესაბამისად, დარჩენილ მგზავრებზეც ეჭვს აღარავინ მიიტანდა. აი, მეგობრებო, ასეთი სახე უნდა მისცემოდა ამ მკვლელობას. მაგრამ მატარებლის მოულოდნელმა გაჩერებამ ყველაფერი შეცვალა. შესაძლოა, სწორედ ამის გამო დარჩა მკვლელი მსხვერპლის კუპეში ასე დიდხანს. ელოდა, მატარებელი როდის დაიძრებაო. მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ ამაოდ იცდიდა. იძულებული გახდა, გეგმაც შეცვალა, რადგან ახლა უკვე ყველა მიხვდებოდა, რომ მკვლელი ჯერ კიდევ მატარებელში იმყოფებოდა.

— დიახ. დიახ, — მოუთმენლად თქვა მესიე ბუკმა. — ახლა ყველაფერს ვხვდები. მაგრამ ეს ცხვირსახოცი საიდანლა გაჩნდა?

— ცხვირსახოცს შემოვლითი გზით დავუბრუნდები. თავიდანვე უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ საქმეში მუქარის წე-

რილები თვალის ასახვევად იყო გამოყენებული. შესაძლოა, ეს პუნქტი რომელიმე ამერიკული საგამოძიებო რომანიდან ისესხეს. აშკარა სიყალბეა და ცხადია, პოლიციის შეცდომაში შესაყვანად შემოაგდეს. აი, საკუთარ თავს რა უნდა ვკითხოთ: მოტყუფდა კი ამ წერილებით რეთჩეთი? როგორც ჩანს, არა. მისტერ ჰარდმენისთვის მიცემულ ინსტრუქციაში, რეთჩეთმა სრულიად კონკრეტული მტერი მიუთითა, რომელსაც, წესით, კარგად იცნობდა. თუკი, ცხადია, ჰარდმენის მონაყოლს დავიჯერებთ. მაგრამ რეთჩეთმა ერთი მართლაც განსხვავებული შინაარსის წერილი მიიღო, სადაც არმსთრონგების ბავშვზე იყო მინიშნებული, აი, ის, მის კუპეში რომ ვიპოვეთ, ჰატარა დამწვარი ფრაგმენტი. თუ მანამდე ვერ აცნობიერებდა, ამ წერილით რეთჩეთი აუცილებლად მიხვდებოდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა. ის წერილი კი, როგორც უკვე აღვნიშნე, უცხოს არ უნდა ჩავარდნოდა ხელში. ამიტომაც მკვლელმა მისი განადგურება გადაწყვიტა, რითაც მეორე შეცდომა დაუშვა. პირველ კერზე მოულოდნელმა ნამქერმა შეუშალა ხელი, მეორედ კი მაშინ არ გაუმართლა, როცა დამწვარი წერილი იქვე დატოვა, რას იფიქრებდა, რომ ნაწილის ნაკითხვას მაინც მოვახერხებდით. ამ წერილის განადგურების სურვილი მხოლოდ ერთ რამეს უნდა მიუთითებდეს: მატარებელში არმსთრონგების ოჯახთან დაახლოებული ერთი პირი მაინც იმყოფება და თუ წერილს ვინმე იპოვიდა, ეჭვს სწორედ ამ პირზე აიღებდნენ.

ახლა იმ ორ სამხილზე გადავიდეთ, ჩვენ რომ ვიპოვეთ. ჩიბუხსანმენდზე არ შევჩერდები. მის შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი ვიმსჯელეთ. მოდით, ცხვირსახოცზე ვისაუბროთ. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ეს ცხვირსახოცი ვიღაც ქალს, ვისი სახელიც ასო ჩ-ით იწყება, შემთხვევით დაუვარდა მის კუპეში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დანაშაულის ჩამდენი და ცხვირსახოცის მფლობელი ერთი და იგივე პიროვნებაა.

— ზუსტად, — თქვა ექიმმა კონსტანტინმა. — ქალი მიხ-

ვდა, რომ ცხვირსახოცი სწორედ მსხვერპლის კუპეში დარჩა  
და ახლა თავისი სახელის დამალვას ცდილობს.

— ნაუცბადევ დასკვნებს აკეთებთ! ასე სწრაფად მეც კი  
მოვერიდებოდი დასკვნის გამოტანას.

— გვაქვს კი სხვა არჩევანი?

— რასაკვირველია. წარმოიდგინეთ, რომ დანაშაული  
ჩაიდინეთ და გინდათ, სხვას გადააბრალოთ. მატარებელში  
კი არის ადამიანი, ქალი, რომელიც არმსთრონგების ოჯახ-  
თანაა დაკავშირებული. წარმოიდგინეთ, რომ დანაშაულის  
ადგილზე იმ ქალის კუთვნილ ცხვირსახოცს ტოვებთ. მას  
დაჰკითხავენ, არმსთრონგების ოჯახთან მისი კავშირი გამ-  
უღავნდება და *et voilà*: მოტივიც სახეზეა და ნივთიერი მტკი-  
ცებულებაც.

— მაგრამ ამ შემთხვევაში, — შეედავა ექიმი, — ეს ადა-  
მიანი უდანაშაულო გამოდის, მაშ, რატომლა იმალება?

— მართლა ასე ფიქრობთ? ამგვარად, როგორც წესი,  
სასამართლო ფიქრობს ხოლმე. ადამიანის ბუნებას საკმაოდ  
კარგად ვიცნობ, მეგობარო, და შემიძლია, დაგარწმუნოთ:  
ნებისმიერ უდანაშაულო ადამიანს, რომელიც კი წარმოი-  
დგენს, რომ შეიძლება, მევლელობის საქმეზე დაჰკითხონ,  
თავგზა ებნევა და ათასგვარ სისულელეს სჩადის. არა, არა,  
ცხიმის ლაქა და სახელის პირველი დამაეჭვებელი ასო და-  
ნაშაულს როდი ამტკიცებს, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ  
გრაფინია ანდრენი რაღაც მიზეზით თავის ვინაობას გულ-  
მოდგინედ მალავს.

— გგონიათ, რომ მას არმსთრონგების ოჯახთან რამე  
აკავშირებს? ხომ თქვა, ამერიკაში ნამყოფი არ ვარო.

— ზუსტად. ინგლისურად უცხოური აქცენტით ლაპა-  
რაკობს, თავის საუცხოო გარეგნობასაც ხაზს უსვამს. მა-  
გრამ მისი ვინაობის გაგება რთული მაინც არ არის. წელან  
მისის არმსთრონგის დედა ვახსენე, ლინდა არდენი. ეს ქალი  
საკმაოდ ცნობილი მსახიობი იყო, წარმოიდგინეთ, შექსპი-

რის პიესებშიც კი თამაშობდა. გაიხსენეთ „როგორც გენებოთ“<sup>1</sup>, არდენის ტყითა და როზალინდათი. სწორედ აქედან აიღო ფსევდონიმი — ლინდა არდენი. დიახ, მსოფლიოში ამ სახელით ცნობილი ქალის ნამდვილი სახელი სულ სხვა იყო. შეიძლება, გვარად გოლდენბერგიც კი ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ ძარღვებში ევროპული სისხლი უჩქეფდა, ცენტრალურ ევროპული, ვინ იცის, ებრაულიც. თავის დროზე ამერიკაში ხომ უამრავი ერის შვილი გადასახლდა. მოკლედ, ჯენტლმენებო, მე ვფიქრობ, რომ ეს ახალგაზრდა ქალი მისის არმსტრონგის უმცროსი და უნდა იყოს, ანუ ლინდა არდენის უმცროსი ქალიშვილი, რომელიც დისშვილის გატაცებისას თვითონაც ბავშვი იქნებოდა. შემდეგ კი გაიზარდა და ვაშინგტონში უნგრეთის ატაშეს, გრაფ ანდრენს გაჰყვაცოლად.

— მაგრამ თავადის ქალმა დრაგომიროვამ ხომ თქვა, ინგლისელს გაჰყვაცოლადო.

— რომლის გვარიც ვერ გაიხსენა! აბა, მეგობრებო, რას იტყვით, ჰელენა თუ არა ეს სიმართლეს? დრაგომიროვას ქალს ლინდა არდენი ისე უყვარდა, როგორც არისტოკრატებს უყვართ ხოლმე დიდი მსახიობები. ერთ-ერთი ქალიშვილი მოუნათლა კიდეც. როგორ ფიქრობთ, ასე უცბად დაავინწყდებოდა მეგობრის ქალიშვილის ქმრის გვარი? რაღაც არ მგონია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დრაგომიროვა ცრუობს. იცოდა, ჰელენა მატარებელში რომ იყო, ნახა კიდეც. როგორც კი რეთჩეთის ვინაობა შეიტყო, მაშინვე მიხვდა, რომ ეჭვის ჩრდილი ჰელენას მიადგებოდა. სწორედ ამიტომაც იცრუა, მეგობრის ქალიშვილის სიძის გვარი არ მახსოვსო, თუმცა ინგლისელი რომ იყო, ის ახსოვდა. ამის თქმით, სიმართლეს სულ დაგვაშორა.

ვაგონის კარში ერთ-ერთი გამყოლი შემოვიდა და მამაკაცებს მიუახლოვდა. მესიე ბუკს მიმართა:

<sup>1</sup> „როგორც გენებოთ“ — უილიამ შექსპირის პასტორული კომედია, რომელიც, სავარაუდოდ, 1599-1600 წლებში დაიწერა.

— ვახშმობის დროა, მესიე, გავაწყო სუფრა? დაგვიანდა  
კიდეც.

მესიე ბუკმა პუაროს შეხედა. ამ უკანასკნელმა თავი  
დაუკრა.

— რასაკვირველია, გააწყონ სუფრა.

გამყოლი გავიდა. ჯერ ზარის ხმა გაისმა, შემდეგ კი გამ-  
ყოლის:

— პირველი რიგი. *Le dîner est servi. Premier dîner.*

წიგნის ელექტრონული ვერსია  
ძოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**  
***www.PDF.ChiaturaINFO.GE***

## 4. ცხიმის ძაჯა უნგრევ პასკონიშვი

პუარო მესიე ბუკთან და ექიმ კონსტანტინთან ერთად დაჯდა მაგიდასთან. ვაგონ-რესტორანში მყოფთაგან გუნებაზე არავინ ჩანდა. ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ. მისის ჰაბარდიც კი უჩვეულოდ ჩუმად იყო. დაჯდომისას ჩაიდუღლუნა:

— ჭამის თავი სულ არ მაქვს, — დაინუნუნა მან, თუმცა შვედმა ლედიმ, რომელსაც მასზე ზრუნვა ეკისრებოდა, გაამხნევა და მისის ჰაბარდმაც ყველაფერი დააგემოვნა, რაც კი სუფრასთან მოიტანეს.

სანამ სუფრას გააწყობდნენ, პუარომ მთავარ გამყოლს მაჯაში წაავლო ხელი და ყურში რაღაც უჩურჩულა. ექიმი კონსტანტინი მიხვდა, რას ეხებოდა საქმე. გრაფ და გრაფინია ანდრენებს ყველაზე გვიან ემსახურებოდნენ და ანგარიშის გასწორების დროსაც აცდევინეს. შესაბამისად, ცოლ-ქმარს ყველაზე ბოლოს მოუწიათ ვაგონის დატოვება. როდესაც უნგრელები კარისკენ წავიდნენ, პუარო წამოხტა და უკან მიჰყვა.

— უკაცრავად, მადამ, ცხვირსახოცი დაგივარდათ, — პუარომ გრაფინიას ოთხად დაკეცილი ბატისტის მონოგრამიანი ხვირსახოცი გაუწოდა.

მან გამოართვა, დახედა და უკანვე დაუბრუნა.

— შეგეძალათ, მესიე, ჩემი ცხვირსახოცი არ გახლავთ.

— თქვენი არ არის? დარწმუნებული ხართ?

— სრულიად, მესიე.

— კი მაგრამ, მადამ, ზედ თქვენი ინიციალი ჩანს — H.

გრაფმა უეცარი მოძრაობა გააკეთა, თუმცა პუარომ ყურადღება არ მიაქცია, რადგან გრაფინიას მისჩერებოდა.

ახალგაზრდა ქალმა პუაროს დაუინებულ მზერას თვალი გაუსწორა და მიუგო:

— არ მესმის, მესიე, რას ბრძანებთ. ჩემი ინიციალებია

E.A.

— არ მგონია. თქვენ ხომ ჰელენა გქვიათ და არა ელენა. ჰელენა გოლდენბერგი ბრძანდებით, ლინდა არდენის უმცროსი ქალიშვილი, მისის არმსთრონგის და.

ორიოდე წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გრაფისაც და გრაფინიასაც მიტკლისფერი დაედოთ.

ჰუარომ უფრო რბილად განაგრძო:

— უარყოფას აზრი არ აქვს. განა ასე არ არის?

— რა უფლებით... — გრაფი გაცხარდა.

ცოლმა სიტყვა შეაწყვეტინა, პირზე ხელი ააფარა.

— არ გინდა, რუდოლფ, მე მათქმევინე. უარყოფას აზრი არ აქვს, ეს ჯენტლმენი მართალს ამბობს, ამიტომ ვკობია, დავსხდეთ და ისე ვისაუბროთ.

გრაფინიას სრულიად შესცვლოდა ხმა. ცოცხალი სამხრეთული კილო შერჩა, თუმცა უფრო მკაფიოდ და თავისუფლად განაგრძო საუბარი. ახლა უკვე ნამდვილი ამერიკელი ლაპარაკობდა.

გრაფი გაჩუმდა, ცოლის თხოვნას დაემორჩილა და ორივენი ჰუაროს ნინ დასხდნენ.

— თქვენი სიტყვები, მესიე, სრული სიმართლეა, — უთხრა გრაფინიამ. — მე ჰელენა გოლდენბერგი ვარ, მისის არმსთრონგის უმცროსი და.

— ამ დილით ჩემთან ეს ფაქტი არ გიხსენებიათ, ქალბატონო.

— დიახ, არ მიხსენებია.

— გამოდის, რაც თქვენ და თქვენმა მეუღლემ მითხარით, მტკნარი სიცრუეა.

— მესიე! — გაბრაზებით წამოიძახა გრაფმა.

— წუ ცხარობ, რუდოლფ. მესიე ჰუარო უხეშად მოიხსენიებს ფაქტებს, მაგრამ სიმართლეს ბრძანებს.

— მიხარია, ასე იოლად რომ ეთანხმებით ჩემს სიტყვებს, მადამ. ახლა მაინც მეტყვით ამის მიზეზს და ასევე იმას, თუ რატომ შეცვალეთ პასპორტში სახელი?

— ეს მე გავაკეთე, — ჩაურთო გრაფმა ანდრენმა.

ელენამ მშვიდად განაგრძო:

— ცხადია, ჩემს მიზეზს — ჩვენს მიზეზს — ხვდებით, მესიე პუარო. იმ კაცმა ჩემი დისწული მოკლა, რამაც ჩემი დის სიკვდილი გამოიწვია და ჩემს სიძეს ცხოვრება დაენგრა. ეს სწორედ ის სამი ადამიანია, ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა და მთელ სამყაროს წარმოადგენდა ჩემთვის!

ბოლო სიტყვები გულამოსკვნით წარმოთქვა. დიახ, ჰელენა მართლაც დედამისის ღირსეული შვილი იყო, ქალისა, რომელიც თავისი ემოციური თამაშით აუდიტორიას აჯადოებდა და ცრემლს ალვრევინებდა.

გრაფინიამ უფრო მშვიდად განავრძო.

— მატარებელში მყოფთაგან ყველაზე მეტად მე მქონდა მისი მოკვლის მიზეზი.

— და თქვენ არ მოგიკლავთ, მადამ?

— რას ბრძანებთ! ვფიცავ, თითიც არ დამიკარებია, მესიე პუარო. ჩემს მეუღლესაც შეუძლია, დაიფიცოს, რომ როგორადაც უნდა მნდომოდა ამ არამზადის იმქვეყნად გასტუმრება, მსგავს რამეს ვერასდროს ჩავიდენდი.

— ჯენტლმენებო, მეც პატიოსან სიტყვას გაძლევთ და ვფიცავ, რომ ჰელენა წუხელ კუპედან საერთოდ არ გამოსულა, — თქვა გრაფმა. — როგორც უკვე მოგახსენეთ, ძილის წამალი ჰქონდა დალეული. ის სრულიად უდანაშაულოა.

პუარომ რიგრიგობით შეხედა ცოლ-ქმარს.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, — გაიმეორა გრაფმა.

პუარომ მსუბუქად გააქნია თავი.

— თუმცა პასპორტში სახელის შეცვლაზე უკან არ დაიხიეთ.

— მესიე პუარო, — გრაფმა გულწრფელად და მგზნებარედ დაიწყო. — ჩემი მდგომარეობაც გაითვალისწინეთ. როგორ გვიხდით, ავიტანდი, რომ ჩემი მეუღლე რაღაც ბინძური დანაშაულის მონაწილედ მიეჩნია ვინმეს? ცხადია, ვიცოდი, რომ ბრალი არაფერში მიუძღვოდა, მაგრამ არმსთრონგების ოჯახთან ნათესაური კავშირის შესახებ სიტყვაც რომ დასცდენოდა, ეჭვს მაშინვე მასზე მიიტანდნენ. მერე დაჰკითხავდნენ და შესაძლოა, დაეპატიმრებინათ

კიდეც. რაკი დავითარსეთ და ამ ადამიანთან ერთ ვაგონში მოვხვდით, მეტი უსიამოვნება თავიდან რომ აგვერიდებინა, გადავწყვიტეთ, ჩემი მეუღლის ნამდვილი ვინაობა დაგვემალა. მაგრამ არ გეგონოთ, მესიე, რომ ყველაფერი მოგატყუეთ: ჩემი ცოლი წუხელ მართლა არ გამოსულა კუპედან.

ისე გულწრფელად ლაპარაკობდა გრაფი, რომ შეუძლებელი იყო შეკამათება.

— მე არ გეუბნებით, თქვენი არ მჯერა-მეთქი, — ნელა შეაპარა პუარომ. — ვიცი, ძველისძველი და საამაყო ოჯახიდან ბრძანდებით. მართლაც დიდი უსიამოვნება იქნებოდა თქვენთვის, თქვენი მეუღლე რომ პოლიციაში აღმოჩენილიყო. ეს სრულიად გასაგებია, მაგრამ რით შეგიძლიათ იმის ახსნა, თქვენი მეუღლის ცხვირსახოცი მოკლულის კუპეში რომ აღმოჩნდა?

— ეგ ცხვირსახოცი ჩემი არ არის, მესიე, — უპასუხა გრაფინიამ.

— მიუხედავად ამ ინიციალისა?

— მიუხედავად ამ ინიციალისა. მსგავსი ცხვირსახოცები კი მაქვს, მაგრამ ზუსტად ასეთი, არა. მესმის, რომ თქვენი დარწმუნების იმედი არ უნდა მქონდეს, მაგრამ გეფიცებით, ეს ცხვირსახოცი ჩემი არ არის.

— იქნებ ვინმემ განგებ დააგდო მის კუპეში, რომ ეჭვი თქვენზე აელოთ?

გრაფინიას გაეღიმა.

— მაინც გინდათ, რომ ვთქვა, ჩემია-მეთქი? მესიე პუარო, გთხოვთ, მერწმუნეთ: ეგ ნივთი ჩემი არ არის, — ქალი სრულიად გულწრფელად ლაპარაკობდა.

— თუკი ეს ცხვირსახოცი თქვენი არ არის, მაშინ, პასპორტში სახელის შეცვლა რამ გაიძულათ?

ამჯერად გრაფმა უპასუხა.

— იმან, რომ ყური მოვკარით, ინიციალიანი ცხვირსახოცი უპოვიათო. სანამ დაკითხვაზე მოვიდოდით, მანამდე მოვილაპარაკეთ. ჰელენას ვუთხარი, რომ გაიგონ, შენი სახელის პირველი ასო „ჸ“ არის, აუცილებლად შენზე მოი-

ტანენ ეჭვს და მკაცრად დაკითხვას ვერ ასცდები-მეთქი. ასე კი, ჰელენა ელენად გადავაკეთეთ და ვიფიქრეთ, ზედ-მეტ თავის ტკივილს ავირიდებდით.

— იცით, გრაფო, რომ დამნაშავის ყველა ნიშანი გახასია-  
თებთ? — მშრალად უთხრა პუარომ. — იშვიათი გამჭრია-  
ხობა და კანონის სრული უპატივცემულობა.

— ოჟ, რას ბრძანებთ?! — ახალგაზრდა ქალი წინ გად-  
მოიხარა. — მესიე პუარო, ჩემმა მეუღლემ ხომ აგიხსნათ,  
როგორც იყო ყველაფერი. — გრაფინია ფრანგულიდან ინ-  
გლისურზე გადავიდა. — შეშინებული ვიყავი, გული გახეთ-  
ქაზე მქონდა, ხომ ხვდებით. ისედაც რა საშინელება გამო-  
ვიარეთ და ახლა კიდევ ყველაფერი ერთმანეთს წაეწყო... ამ  
დამთხვევაზე მოგახსენებთ. თანაც, ეჭვმიტანილი გავხდე-  
ბოდი და შეიძლება დაპატიმრებაც არ ამცდენოდა. ამ ამბა-  
ვმა თავზარი დამცა. ნუთუ სულ არ გესმით, მესიე პუარო?

მისი სასიამოვნო, დაბალი ხმა ვედრებით იყო აღსავსე,  
ტყუილად ხომ არ იყო დიდი მსახიობის, ლინდა არდენის ქა-  
ლიშვილი.

პუარომ პირქუშად შეხედა.

— თუ გნებავთ, რომ დაგიჯეროთ, მადამ, და სულაც არ  
მითქვამს, არ მინდა დაგიჯეროთ-მეთქი, მაშინ თქვენც უნ-  
და გამინიოთ დახმარება.

— მე გაგინიოთ დახმარება?

— დიახ. მკვლელობის მიზეზს ფესვები წარსულში აქვს,  
როდესაც თქვენს ოჯახში ის ტრაგედია დატრიალდა და ასე  
დაგამნუხრათ სიყმანვილეში. მიამბეთ ეს წარსული, მადამ,  
რომ ახსნა ვუპოვო მომხდარს.

— და რა გაინტერესებთ ჩემი წარსულიდან? ცოცხალი  
აღარავინაა, — ბოლო სიტყვას კვნესა ამოაყოლა და ორ-  
ჯერ კიდევ გაიმეორა: — აღარავინ. აღარავინ... რობერტი...  
სონია... ჩემი საყვარელი დეიზი. ისეთი ტკბილი იყო, ისეთი  
ბედნიერი, უსაყვარლესი კულულები ჰქონდა. ბავშვზე ყვე-  
ლას მზე და მთვარე ამოგვდიოდა.

— კიდევ ერთი მსხვერპლიც იყო, მადამ, არაპირდაპირი მსხვერპლი, შეიძლება, ითქვას.

— საწყალი სიუზენი? ჰო, სულ დამავიწყდა. პოლიციამ დაჰკითხა. დარწმუნებული იყვნენ, რომ მომხდართან რაღაც კავშირი ჰქონდა, მაგრამ რომც ჰქონოდა, ალბათ უნებლიერ კავშირი ექნებოდა. შეიძლება, სისულელით ვიღაცასთან წამოსცდა, როდის გაჰყავდა ბავშვი სასეირნოდ. საწყალი, მომხდარის მერე ლამის შეიშალა, თავს იდანაშაულებდა, ეგონა, ყველაფერი მისი ბრალი იყო, — გრაფინიას გააკანკალა. — ფანჯრიდან გადახტა. ოჟ, რა საშინელება იყო.

სახეზე ხელები აიფარა.

— რა ეროვნებისა იყო, მადამ?

— ფრანგი.

— რა გვარის იყო?

— აბსურდულად ულერს, მაგრამ არ მახსოვს. მახსოვს, ყველა სიუზენს ვეძახდით. როგორი მოღიმარი, გულლია ქალიშვილი იყო. დეიზიზე გიუდებოდა.

— ბავშვის მომვლელი იყო, ხომ?

— დიახ.

— და ძიძა ვინდა იყო?

— ვინ და ჰოსპიტალში მომვლელის კურსდამთავრებული სთენგელბერგი. ისიც დეიზისა და ჩემი დის ერთგული იყო.

— ახლა კი, მადამ, მინდა, კარგად დაფიქრდეთ, სანამ კი-თხვაზე მიპასუხებდეთ. სანამ ამ მატარებელში ამოხვიდოდით, ვინმე ნაცნობმა ხომ არ გნახათ?

ქალი დეტექტივს მიაჩერდა.

— ნაცნობმა? არა, არავინ მახსენდება.

— თავადის ქალ დრაგომიროვაზე რას მეტყვით?

— ოჟ, თავადის ქალი! ცხადია, ვიცნობ. მეგონა, ვინმე სხვას გულისხმობდით... იმ წარსულიდან.

— სწორედ იმ წარსულზე გკითხეთ, მადამ. აბა, კარგად დაფიქრდით. თუნდ ქალი იყოს, თუნდ მამაკაცი, არ არის გამორიცხული, რომ გარევნობა ჰქონდეს შეცვლილი.

- ჰელენა თითქოს ფიქრებმა წაიღო.
- არა, დარწმუნებული ვარ, არავინ შემხვედრია.
- იმხანად თქვენ მოზარდი იქნებოდით, ჰოდა, ნუთუ არავინ იყო ისეთი, ვინც თქვენს სწავლას აკონტროლებდა, ვინც გივლიდათ?
- დიახ, როგორ არა. ერთი ქალი იყო, ჩემი გუვერნანტი და სონიას მდივანი. ინგლისელი ქალბატონი იყო, უფრო სწორად, შოტლანდიელი, ახოვანი, უღალთმიანი.
- რა გვარის იყო?
- მის... ფრიბოდი.
- ახალგაზრდა თუ ასაკოვანი?
- იმ დროს ასაკოვნად მეჩვენებოდა, მაგრამ ორმოცხე მეტის არ იქნებოდა. თუმცა ჩემს ჩაცმულობასა და ყოველდღიურ საკითხებს სიუზენი აგვარებდა.
- სახლში სხვა არავინ გყოლიათ?
- მხოლოდ მსახურები.
- და ლრმად დარწმუნებული ბრძანდებით, მადამ, რომ მატარებელში არავინ გეცნობათ?
- გრაფინიამ აშკარად გულწრფელად უპასუხა:
- არავინ, მესიე. სულ არავინ.

## 5. თავარის ქად ძრამინოვას სახელი

როდესაც გრაფი და გრაფინია გავიდნენ, პუარომ ბუკსა და კონსტანტინს გახედა.

— ხედავთ, — მხნედ თქვა. — რაღაც წინსვლა გვაქვს.

— მშვენიერი ნამუშევარია, — გულწრფელად მიუგო მესიე ბუკმა. — ჩემი მხრივ, ვერასოდეს მივიტანდი გრაფ-სა და გრაფინიაზე ეჭვს. მეგონა, მათ წყობიდან ვერაფერი გამოიყვანდა. ალბათ, ეჭვიც არ გეპარებათ, რომ გრაფინიას ჩადენილია მკვლელობა, ხომ? არადა, დასანანია. იმედია, სიკვდილით არ დასჯიან. შემამსუბუქებელი გარემოებებიც ხომ არსებობს. რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა და მორჩია.

— ფაქტობრივად, დარწმუნებული ხართ, რომ მისი ჩა-დენილია?

— ძვირფასო მეგობარო, განა, შეიძლება, არ იყო დარწ-მუნებული? მეგონა, რბილად იმიტომ ელაპარაკებოდით, რომ სანამ თოვლის ტყვეობიდან არ დაგვიხსნიან და პოლი-ცია არ მოგვისწრებს, საქმის გართულებას მოერიდეთ.

— გრაფის პატიოსანი სიტყვისა არ გვერათ, როცა ამტ-კიცებს, ჩემი მეუღლე კუპედან არ გასულაო?

— Mon cher, აბა, სხვას რას იტყოდა? ცოლს აღმერთებს და მისი გადარჩენა უნდა. ტყუილსაც კარგად ამბობს, არის-ტოკრატიული მანერით. სიცრუის მეტი რა უნდა იყოს მისი სიტყვები?

— იცით, ალბათ, უცნაურ რამეს ვამბობ, მაგრამ მგონია, რომ მართალს უნდა ამბობდეს.

— არა, არა, ცხვირსახოცი არ დაგავიწყდეთ. ცხვირსა-ხოცი ხელჩასაჭიდი სამხილია.

— ცხვირსახოცთან დაკავშირებით სულაც არ ვარ დარწ-მუნებული. თუ გახსოვთ, ყოველთვის გეუბნებოდით, ცხვირ-სახოცის მფლობელთან დაკავშირებით შეიძლება ორი ვა-რიანტი არსებობდეს-მეთქი.

— სულერთია... — მესიე ბუკმა სიტყვა შეაწყვიტა. ვაგონის ბოლოში კარი გაიღო და თავადის ქალი დრაგომიროვა შემოვიდა. ქალბატონი ჯიქურ წამოვიდა მათკენ და სამივე მამაკაცი ფეხზე წამოდგა.

დრაგომიროვამ პუაროს ისე მიმართა, დანარჩენები აინუნშიც არ ჩაუგდია.

— დარწმუნებული ვარ, მესიე, — დაიწყო მან, — რომ ჩემი ცხვირსახოცი გაქვთ.

პუარომ გამარჯვებულის თვალით გახედა მეგობრებს.

— ამაზე ბრძანებთ, მადამ?

ბატისტის დაკეცილი ცხვირსახოცი გაუწოდა.

— დიახ, ესაა. კუთხეში ჩემი ინიციალიც აქვს.

— კი მაგრამ, ქალბატონო, აქ ასო „H“ წერია, — უთხრა პუარომ. — თქვენ კი, თუ არ ვცდები, ნატალია გქვიათ.

თავადის ქალმა ცივად შეხედა.

— სწორია, მესიე. ჩემს ცხვირსახოცებს ყოველთვის რუსული ასოები აწერია. ეს რუსული ასო ზუსტად ამ ინგლისურ ასოსავით იწერება.

მესიე ბუკი შეკრთა. ამ პირქუში ქალბატონის თანდასწრებით ის თავს უხერხულად და დაბნეულად გრძნობდა.

— ამ დილას რატომ დაგვიმალეთ, რომ ცხვირსახოცი თქვენია.

— არც გიკითხავთ, — მშრალად შეეპასუხა დრაგომიროვა.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ, მადამ, — სთხოვა პუარომ.

ქალმა ამოიოხრა.

— ჯდომას და დგომას ერთი ფასი აქვს, — თქვა და დაჯდა. — ტყუილად დროს ნუ დავკარგავთ, ბატონები. ახლა მკითხავთ, თქვენი ცხვირსახოცი მოკლულის კუპეში როგორ ალმოჩნდათ. მე კი გიპასუხებთ, რომ წარმოდგენაც კი არ მაქვს.

— მართლა არ გაქვთ წარმოდგენა?

— ოდნავადაც კი.

— მოგვიტევეთ, ქალბატონო, მაგრამ რამდენად სარწმუნოა თქვენი სიტყვები?

პუარომ ეს ფრაზა რაც შეიძლება ტაქტიანად წარმოთქვა.

თავადის ქალმა აგდებულად უპასუხა:

— ალბათ, იმაზე მიმანიშნებთ, გრაფინია ანდრენზე რომ არ გითხარით, მისის არმსთრონგის უმცროსი და არის-მე-თქი.

— გამოდის, სრულიად განზრახ შეგვიყვანეთ შეცდომაში.

— რასაკვირველია. თუ დამჭირდებოდა, იმავეს გავაკეთებდი. დედამისი ჩემი მეგობარი იყო. ერთი რამ მინდა, იცოდეთ, ბატონებო: მე ერთგულებას, მეგობრობას, ოჯახსა და წარმომავლობას ყველაზე მეტად ვაფასებ.

— და სამართლიანობის აღდგენაზე რას იტყვით? ეს რომელ ადგილზეა თქვენს ჩამონათვალში?

— ამ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ სამართლიანობამ, თუნდაც მკაცრმა, უკვე იზეიმა.

პუარო თავადის ქალისკენ გადაიხარა.

— გთხოვთ, ჩემი მდგომარეობაც გაითვალისწინეთ, მალამ. ცხვირსახოცთან დაკავშირებით როგორ უნდა გენდოთ? იქნებ, გინდათ მეგობრის შვილს უსიამოვნება აარიდოთ?

— აჟ, ახლა მივხვდი, რასაც გულისხმობთ, — ღიმილის-გან სახე დაემანქა. — ჩემი სიტყვების შემოწმებას რა უნდა. პარიზში იმ ადამიანების მისამართს მოგცემთ, ვინც ცხვირსახოცებს მიმზადებს. შეგიძლიათ, უჩვენოთ და მაშინვე გეტყვიან, რომ შარშან ჩემი შეკვეთით დაამზადეს. ეს ცხვირსახოცი ჩემია, მესიე, — ამ სიტყვებით ადგა. — სხვა კითხვა გაქვთ კიდევ?

— თქვენი მოახლე თუ იცნობდა ამ ცხვირსახოცს, ამ დილით რომ ვუჩვენეთ?

— უნდა ეცნო. რა, ნახა და არაფერი თქვა? ესე იგი, ერთგულება გამოუჩენია.

მერეამაყად გვერდზე თავგადახრილმა დატოვა ვაგონ-რესტორანი.

— ასეც ვფიქრობდი, — რბილად ჩაიბურტყუნა პუარომ. — მცირედი ყოყმანი შევნიშნე მის მოახლეს, როდესაც ცხვირსახოცზე ვკითხე, ვისია-მეთქი. ორჭოფობდა, ეთქვა თუ არა, ჩემი ქალბატონისააო. თუმცა, მე ის უფრო მაფიქრებს, რამდენად შეესაბამება ეს ფაქტი ჩემი გამოძიების მთავარ მიმართულებას. მგონი, შეესაბამება.

— ოჟ! — წამოიძახა მესიე ბუკმა მისთვის დამახასიათებელი მანერით. — რა საშინელი ბებერია!

— შეეძლო, რეთჩეთი მოეკლა? — ჰკითხა პუარომ ექიმს. კონსტანტინმა თავი გააქნია.

— ღრმა ჭრილობებს, რომლებმაც სიკვდილი გამოიწვია, ეს ქალბატონი ვერ მიაყენებდა. ასეთი სუსტი ქალი ასე ღონივრად ვერ ჩაარტყამდა.

— ზედაპირულ ჭრილობებს თუ მიაყენებდა?

— კი, მიაყენებდა.

— ახლა იმაზე ვფიქრობ, — თქვა პუარომ, — ამ დილით რომ ვუთხარი, თქვენი ძალა თქვენს ნებისყოფაშია და არა მკლავში-მეთქი. ეს ერთგვარი მახეიყო. მაინტერესებდა, მარცხენა ხელზე დაიხედავდა თუ მარჯვენაზე. თუმცა ამაოდ ორივეზე ერთდროულად დაიხედა. მაგრამ ძალიან უცნაური პასუხი კი გამცა: მკლავში ძალა აღარ მაქვს. ოღონდ არც კი ვიცი, ეს უნდა მწყინდეს თუ მიხაროდესო. უცნაური ნათქვა-მია, რაც კიდევ უფრო მარწმუნებს, რომ ჩემი ვერსია სწორია.

— თუმცა, ცაციას ვინაობა მაინც ვერ დავადგინეთ.

— ვერა. ჰო, მართლა, შენიშნეთ, რომ გრაფ ანდრენს ცხვირსახოცი მარჯვენა უბეში ედო?

მესიე ბუკმა თავი გააქნია. ჯერ ისევ იმაზე ფიქრობდა, რაც ბოლო ნახევარ საათში შეიტყო.

— ტყუილი... და ისევ ტყუილი. გამკვირვებია, რამდენი ტყუილი გვითხრეს დღეს, — ჯუჯლუნებდა თავისთვის.

— ჯერ სად ხართ, — ხალისიანად უთხრა პუარომ.

— ასე გგონიათ?

— გულიც კი დამწყდება, კიდევ რომ არ მოვისმინო ტყუილები.

— საშინელებაა ასეთი ორპირობა, — თქვა მესიე ბუკმა.

— მაგრამ, მგონი, მართლა გსიამოვნებთ, — საყვედურით უთხრა პუაროს.

— ორპირობას თავისი უპირატესობა აქვს, — აუხსნა პუარომ. — ორპირს თუ ტყუილში გამოიჭერ და სიმართლეს მიახლი, იცით, რას იზამს? დაგეთანხმებათ, თან გაოცების ნიღაბს აიფარებს სახეზე. მთავარია, მიხვდე, ტყუილი რაში მდგომარეობს, რომ საქმეს თავი და ბოლო გაუგო. ყოველ მგზავრს ცალ-ცალკე ვაკვირდები, ვისმენ მათ ჩვენებას და ვფიქრობ, თუკი ამას და ამას მატყუებს, რაში სჭირდება ეს ტყუილი, ამით რა ხეირს ნახულობს-მეთქი. ანუ სიცრუის მიზეზს ვუღრმავდები. პასუხსაც ვაგნებ, თუკი იტყუებიან, გაითვალისწინეთ, თუკი იტყუებიან-მეთქი, მაშინ საკითხავია, რა მომენტში იტყუებიან და რა მიზნით-მეთქი, აი, ესაა უმთავრესი. ჩემი ეს მეთოდი გრაფინია ანდრენთან წარმატებული გამოდგა. ახლა კი ამ მეთოდს სხვა მგზავრებზეც გამოვიყენებთ.

— დავუშვათ, მეგობარო, ეს თქვენი ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა?

— ჰოდა, სულ ცოტა, ერთ ადამიანს ყოველგვარი ეჭვი მოეხსნება.

— აჲ, გამორიცხვის მეთოდი აგირჩევიათ!

— ზუსტად.

— შემდეგი ვინ გვყავს მიზანში?

— მიზანში *rukka sahib*, პოლკოვნიკი არბეთნოთი გვყავს.

## 6. მეორე გასაუბრება პოლკოვნიკ აჩაუთნოთიან

პოლკოვნიკ არბეტნოთს აშკარად ეტყობოდა, რომ თავი მოაბეზრეს, როცა მეორედ გამოიძახეს და ვაგონ-რესტო-რანში შევიდა. ძალიან უკმაყოფილო სახე ჰქონდა.

— გისმენთ! — თქვა დაჯდომისას.

— ბოდიშს გიხდით, მეორედ რომ გაწუხებთ, — უთხრა პუარომ. — მაგრამ არის კიდევ რაღაც, რაზეც, ჩემი ლრმა რწმენით, თქვენ შეგიძლიათ პასუხის გაცემა.

— მართლა? რაღაც არ მგონია.

— დასაწყისისთვის ამ ჩიბუხსანმენდს მინდა დახედოთ.

— მერე?

— თქვენია?

— არ ვიცი. პირად ნიშანს არ ვუკეთებ მსგავს ნივთებს.

— ის თუ იცით, პოლკოვნიკო არბეტნოთ, რომ სტამბო-ლი-კალეს მატარებელზე ერთადერთი ადამიანი ხართ, ვინც ჩიბუხს ეწევა?

— თუკი ასეა, ესე იგი, ჩემი ყოფილა.

— და თუ იცით, სად ვიპოვეთ ეს ჩიბუხსანმენდი?

— ოდნავი წარმოდგენაც კი არ მაქვს.

— მოკლული მგზავრის კუპეში.

პოლკოვნიკმა არბეტნოთმა წარბები აზიდა.

— ხომ ვერ აგვიხსნიდით, პოლკოვნიკო არბეტნოთ, რო-გორ მოხვდა ეს ნივთი იქ?

— თუ იმას მეკითხებით, მე დავაგდე იქ თუ არა, მაშინ, გეტყვით, არა-მეთქი.

— საერთოდ თუ შესულხართ მისტერ რეთჩეთის კუპეში?

— იმ კაცისთვის ხმაც კი არასდროს გამიცია.

— არც ხმა გაგიციათ და არც მოგიკლავთ?

პოლკოვნიკმა ისევ ირონიულად აზიდა წარბები.

— ეს რომ გამეკეთებინა, არა მგონია, ამის თაობაზე თქვენ-თვის მეცნობებინა. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მომი-კლავს ეგ კაცი.

— აჲა, გასაგებია, — ჩაილაპარაკა პუარომ. — თუმცა,  
მნიშვნელობა არა აქვს.

— უკაცრავად?

— მნიშვნელობა არ აქვს-მეთქი.

— ოჲ! — აშკარად გაოგნებულმა არბეთნოთმა პუაროს  
პირქუშად შეხედა.

— რადგან, როგორც ხედავთ, — განაგრძო პუარომ, —  
ამ ჩიბუხსანმენდს დიდი მნიშვნელობა მაინც არ აქვს. თა-  
ვადაც შემიძლია თერთმეტი ახსნა მოვუძებნო ამ საგნის იმ  
კუპეში მოხვედრას.

არბეთნოთი მიაშტერდა.

— სიმართლე გითხრათ, სულ სხვა მიზეზით მსურდა თქვე-  
ნინახვა, — განაგრძო პუარომ. — მისის დებენჰემი ალბათ უკვე  
გეტყოდათ, რომ კონის სადგურში თქვენი საუბრიდან რამდე-  
ნიმე წინადადებას მოვკარი ყური.

არბეთნოთს პასუხად არაფერი უთქვამს.

— მან გითხრათ, ახლა არა, ყველაფერი რომ დასრულ-  
დება, მერე, როცა ყველაფერი მორჩებაო. იცით, რას გუ-  
ლისხმობდა ამ სიტყვებში?

— მომიტევეთ, მესიე პუარო, მაგრამ უარს ვაცხადებ, ამ  
კითხვაზე გიპასუხოთ.

— Pourquoi?<sup>1</sup>

პოლკოვნიკმა უკმეხად მიუგო:

— მგონი, თავად მის დებენჰემს უნდა ჰქითხოთ ნათქვა-  
მის მნიშვნელობა და აზრი.

— უკვე ვკითხე.

— და მანაც უარი გითხრათ პასუხზე?

— დიახ.

— ჰოდა, ალბათ, თავადვე უნდა ხვდებოდეთ, რომ მეც  
ვერაფერს გეტყვით.

— ლედის საიდუმლოს არ გასცემთ?

— თუ გნებავთ, ასე განმარტეთ.

---

<sup>1</sup> Pourquoi (ფრ.). — რატომ.

- მის დებენჰემმა მითხრა, ჩემს პირად საქმეს ეხებოდაო.
- მერე, თქვენც დაუჯერეთ, ხელს რა გიშლით?
- ის, რომ, პოლკოვნიკო არბეთნოთ, მის დებენჰემი ერთ-ერთია, ვინც ყველაზე მეტ ეჭვს იწვევს.
- სისულელეა, — თბილად თქვა პოლკოვნიკმა.
- სისულელე სულაც არ გახლავთ.
- მის წინააღმდეგ რა უნდა გქონდეთ?
- თუნდაც ის ფაქტი, რომ მის დებენჰემი არმსთრონგების სახლში ბავშვის გატაცების დროს გუვერნანტად მსახურობდა.

წუთიერად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

პუარომ ოდნავ დაიქნია თავი.

- აი, იმაზე მეტი ვიცით, ვიდრე თქვენ გეგონათ. თუკი მის დებენჰემი უდანაშაულოა, მაში, ეს ფაქტი რად დაგვიმალა? რატომ მითხრა, ამერიკაში არასდროს ვყოფილვარო?

პოლკოვნიკმა ჩახველა.

— ზუსტად იცით, რომ არ გეშლებათ?

- არ მეშლება, პოლკოვნიკო. რატომ მომატყუა მის დებენჰემმა?

პოლკოვნიკმა მხრები აიჩეჩა.

— ჯობია, მას ჰქითხოთ. და მაინც მგონია, რომ ცდებით.

პუარომ მიმტანს გასძახა და ისიც ვაგონის ბოლოდან გამოჩინდა.

- მიბრძანდით და მე-11 კუპეში რომ ინგლისელი ლედია, აქ დამიძახეთ. იმედია, ინებებს მოსვლას.

— Bien, Monsieur.

მამაკაცი გავიდა. ოთხივე მამაკაცი დუმდა. პოლკოვნიკი გაშეშებული სახე ჰქონდა და ემოციის ნასახს არ გამოხატავდა.

მიმტანი დაბრუნდა.

— ლედი მიბრძანდება, მესიე.

— გმადლობთ.

ორიოდე წუთში მის მერი დებენჰემი ვაგონ-რესტორანში გამოჩინდა.

## 7. მერი ჩებენჭემის ვინაობა

ქუდი არ ეხურა. თავი გამომწვევად გადაეხარა უკან, თმაც უკან გადაევარცხნა და ნესტოები დაბერვოდა, ძალიან ლამაზი იყო და ხომალდის ქიმზე მდგარ ფიგურას წააგავდა.

ერთი წამით არბეთნოთს შეანათა თვალები, სულ ერთი წამით. მერე პუაროს ჰქითხა:

— ჩემი ნახვა გნებავდათ?

— თქვენთვის კითხვის დასმა მინდოდა, მადმუაზელ. ამ დილით რატომ მოგვატყუეთ?

— მოგვატყუეთ? ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ.

— ის ფაქტი დაგვიმალეთ, რომ არმსთრონების ოჯახში დატრიალებული უბედურების დროს თქვენ მათთან ცხოვრობდით. არადა, მითხარით, ამერიკაში არასდროს ვყოფილვარო.

პუაროს არ გამოჰქონდა, რომ ქალი შეცბა, თუმცა მაშინვე აიყვანა თავი ხელში.

— დიახ, — თქვა მან, — მართალია.

— არა, მადმუაზელ, ეს სიცრუეა.

— ვერ ვამიგეთ. მართალია, რომ მოგვატყუეთ-მეთქი, ეს ვიგულისხმე.

— ოჟ, ესე იგი, ადასტურებთ?

მერის გაელიმა.

— ცხადია, რაკი მამხილეთ, რაღას დაგიმალავთ.

— ახლა მაინც ხართ გულწრფელი, მადმუაზელ?

— სხვა რაღა დამრჩენია.

— სწორედ ასეა. ახლა კი, მადმუაზელ, შეიძლება გკითხოთ, რატომ დაგვიმალეთ სიმართლე?

— მე მგონი, ეს ისედაც ნათელია, მესიე პუარო.

— ჩემთვის არ არის ნათელი, მადმუაზელ.

მერიმ მშვიდად და მტკიცედ უთხრა:

— დამოუკიდებლად მიწევს თავის რჩენა.

— ანუ?

მერიმ დახრილი თვალები ასწია და პუაროს შეხედა.

— იცით თუ არა, მესიე პუარო, როგორი ბრძოლაა საჭირო, რომ წესიერი სამსახური იშოვო და შეინარჩუნო? როგორ ფიქრობთ, მკვლელობასთან დაკავშირებულ ოჯახში ნამუშევარ გოგოს, რომლის ფოტოც ინგლისურ გაზეთებში არაერთხელ გამოქვეყნებულა, საშუალო ფენის დიასახლისი იოლად აიყვანს ქალიშვილების გუვერნანტად?

— არ მესმის, რატომ არ უნდა აიყვანოს, თუკი გუვერნანტს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია.

— დანაშაული ჩაუდენია თუ არა, ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, მესიე პუარო, საქმე გახმაურდა. აქამდე მიმართლებდა. ყოველთვის კარგი სამსახური მქონდა, კარგი ანაზღაურებით. სულაც არ ვაპირებდი გამერისკა და ვინმეს შეეტყო, სადაც ვმუშაობდი, თუ ამის გადაუდებელი აუცილებლობა არ იქნებოდა.

— მოდით, იმას მე განვსჯი, მადმუაზელ, იყო გადაუდებელი აუცილებლობა თუ არა.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— სხვა თუ არაფერი, შეგეძლოთ, ვინაობათა დადგენაში მაინც დამხმარებოდით.

— რას გულისხმობთ?

— განა შესაძლოა, მადმუაზელ, რომ გრაფინია ანდრენიში მისის არმსთრონგის უმცროსი და ვერ გეცნოთ, რომლის აღმზრდელიც იყავით ნიუ-იორკში?

— გრაფინია ანდრენიში? არა! — თავი გააქნია. — შესაძლოა, უცნაურად გეჩვენოთ, მაგრამ ვერ ვიცანი. მას ხომ პატარას ვიცნობდი. უკანასკნელად სამი წლის წინ ვნახე. სიმართლე გითხრათ, ვიღაცას კი მივამსგავსე, მაგრამ ვერ ვიცანი. ისეთი უცხოური იერი აქვს, რომ იმ ამერიკელ სკოლის მოსწავლესთან ვერაფრით დავაკავშირებდი. ვაგონ-რესტორანში შესვლისას ერთადერთხელ მოვკარი თვალი და ისიც ტანსაცმელს უფრო მივაქციე ყურადღება, ვიდრე მის სახეს, — თქვა და ოდნავ გაილიმა. — ეს ქალებს გვახასიათებს, თანაც... მე ჩემი სადარდელი მაქვს.

— მაგ საიდუმლოს ვერ გამიმხელთ, მადმუაზელ?

პუარომ ძალიან თბილი და კეთილგანწყობილი ხმით მიმართა.

— ვერა... არ შემიძლია! — დაბალი ხმით უპასუხა მერიმ.

და უეცრად თავი ჩაქინდრა, სახე ხელებში ჩამალა და ისეთი ქვითინი ატეხა, ლამის გულიც ამოაყოლა.

პოლკოვნიკი წამოხტა და ქალიშვილს გვერდით დაუდგა.

— თქვენ ეი, მომისმინეთ... — განრისხებული პოლკოვნიკი პუაროს მიუბრუნდა. — ძვალ-რბილს გაგიერთიანებთ, თქვე კაცმაცუნა!

— მესიე! — შესძახა მესიე ბუკმა.

არბეთნოთი ისევ ქალიშვილს მიუბრუნდა.

— მერი, ღვთის გულისათვის...

მერი წამოდგა.

— არა უშავს, კარგად ვარ. კიდევ გჭირდებით, მესიე პუარო? თუ დაგჭირდით, იცით, როგორ მნახოთ. ღმერთო ჩემო, ეს რა დამემართა... რა იდიოტივით მოვიქეცი, — თქვა და ვაგონიდან გაიქცა.

არბეთნოთი სანამ გაეკიდებოდა, პუაროს მოუბრუნდა.

— მის დებენჰემს ამ საქმესთან არაფერი აკავშირებს, არაფერი! გასაგებია? იცოდეთ, თუ კიდევ შეაწუხებთ, ჩემთან გექნებათ საქმე, — დაიმუქრა და ვაგონიდან გავიდა.

— გაბრაზებული ინგლისელი მამაკაცების ყურება მომნონს, — თქვა პუარომ. — როდესაც ბრაზდებიან, გამოთქმების შერჩევით აღარ იწუხებენ თავს.

მაგრამ მესიე ბუკს სულაც არ აინტერესებდა ინგლისელების ემოციური რეაქცია, თავისი მეგობრის მოხერხებულობით იყო აღფრთოვანებული.

— *Mon cher, vous êtes épatant!*<sup>1</sup> — წამოიძახა გაოცებულმა. — მორიგი ჯადოსნური მიგნება.

— წარმოუდგენელია, როგორ მიაგენით ასეთ რამეს! — გაოცება ვერც ექიმმა კონსტანტინმა დამალა.

<sup>1</sup> *Mon cher, vous êtes épatant* (ფრ.). — ჩემო ძვირფასო, გადასარევი ხართ.

— ოჟ, ამჯერად ქათინაურს ვერ მივიღებ. ეს მიგნება როდი იყო. გრაფინია ანდრენმა თვითონ მითხრა.

— Comment?<sup>1</sup> წარმოუდგენელია!

— გახსოვთ, რომ ვკითხე, გუვერნანტი ან კომპანიონი ხომ არ გყოლიათ-მეთქი? უკვე ვხვდებოდი, რომ თუ მერი დებენ-ჰემს ამ ოჯახთან რაიმე კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა, მათ სახლში აღმზრდელად ან კომპანიონად უნდა ემუშავა.

— დიახ, მაგრამ გრაფინიამ სრულიად განსხვავებული ქალი აღნერა.

— დიახ. შუახნის მაღალი წითური ქალი, ფაქტობრივად, მის დებენჰემის საპირისპირო პიროვნება ყველა თვალ-საზრისით. მერე უცებ გვარის გამოგონება მოუხდა და აქ უკვე ქვეცნობიერმა ასოციაციამ გასცა. გახსოვთ, რა გვარი მოუფიქრა გუვერნანტს? ფრიბოდი!

— მერე?

— ჰოდა, შესაძლოა, არც კი იცოდეთ, მაგრამ ლონდონში არსებობს მაღაზია, რომელსაც ბოლო დრომდე „დებენჰემ ფრიბოდი“ ერქვა. რაკი გვარი დებენჰემი უტრიალებდა თავში, ასოციაციით სწორედ ეს გვარი გაახსენდა და გუვერნანტის გვარადაც ის დაასახელა. ამიტომაც მითხრა, ფრიბოდიო. მე კი მაშინვე მივხვდი.

— კი მაგრამ, ეს ხომ მორიგი ტყუილია? რატომ მოიქცა ასე?

— ალბათ, ერთგულების გამო. ეს ცოტა ართულებს საქმეს.

— ღმერთო ჩემო! — ამოიხსრა მესიე ბუკმა. — ამ მატარებელში ყველა როგორ იტყუება!

— სწორედ ის უნდა გავიგოთ, რატომ, — მიუგო პუარომ.

<sup>1</sup> Comment (ფრ.). — როგორ.

## 8. შემდგრომი ბასარუსი აღმოჩენები

— აწი აღარაფერი გამაოცებს, — თქვა მესიე ბუკმა. — აღარაფერი! ამ მატარებლის ყველა მგზავრმა ერთხმად რომც დაიწყოს მტკიცება, არმსთრონგების სახლში ვმუშაობდიო, ოდნავადაც კი არ გავოცდები.

— მეტად საფუძვლიანი შენიშვნაა, — უთხრა პუარომ.  
— არ გინდათ, მოისმინოთ, რას იტყვის იტალიელი, თქვენ ყველაზე საეჭვო მგზავრად რომ მიგაჩნიათ?

— რამე მორიგი აღმოჩენით გინდათ, გაგვაოცოთ?

— სწორედაც რომ.

— მართლაც უჩვეულოზე უჩვეულო საქმეა, — თქვა ექიმმა კონსტანტინმა.

— არა, სრულიადაც ჩვეულებრივია.

მესიე ბუკმა კომიკოსივით ასწია ხელები:

— ეს თუ ჩვეულებრივი საქმეა, მეგობარო... — ფანტაზიამ უღალატა და მაღალფარდოვანი სიტყვები ვეღარ შეარჩია.

პუარომ მიმტანს სთხოვა, ანტონიო ფოსკარელის დაუძეთო.

ახოვანი იტალიელი ვაგონში შემოსვლისას თვალებს შეშინებულივით აცეცებდა და რომელილაც დიდ დატყვევებულ ცხოველს ჰგავდა.

— რა გინდათ?! — იკითხა გაბრაზებულმა. — მეტი აღარაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი, აღარაფერი-მეთქი, ვერ გაიგეთ? Per Dio... — ხელი დაჲკრა მაგიდას.

— დიახ, რაღაც კიდევ გაქვთ სათქმელი, — მკაცრად უთხრა პუარომ. — სიმართლე!

— სიმართლე? — წამიერად პუაროს შეავლო თვალი. მისი თავდაჯერებულობა და გამბედაობა თვალსა და ხელშუა გაქრა.

— დიახ, დიახ. არც ისაა გამორიცხული, რომ სიმართლე ისედაც ვიცი. მაგრამ თუ გვეტყვით, თქვენთვისვე აჯობებს.

— ამერიკელი პოლიციელივით მელაპარაკებით. ისლა გაკლიათ, მითხრათ: „ამოყაფე, რაც იცი, დროზე ამოყაფე!“

— ოჟ, გამოდის, ნიუ-იორკის პოლიციასთან ურთიერთობის გამოცდილება გქონიათ.

— არა, არა, არასდროს. ჩემ წინააღმდეგ მათ არაფერი აქვთ, თუმცა ძალიან კი უნდოდათ, ეპოვათ.

პუარომ მშვიდად უთხრა:

— არმსთრონგების საქმეს გულისხმობთ? მათი მძლოლი იყავით, ხომ?

იტალიელს თვალი თვალში გაუყარა. ეს ზორბა კაცი ისე დაპატარავდა, როგორც ბუშტი, რომლიდანაც ჰაერი გამოუშვეს.

— თუკი იცით, რაღას მეკითხებით?

— ამ დილით რატომ მოგვატყუეთ?

— საქმიანი მიზეზი მქონდა. თანაც, იუგოსლავის პოლიციას არ ვენდობი. იტალიელები სძულთ და არ გამახარებენ. უსამართლოდ მომექცევიან.

— ან სამართლიანად მოგიზლავენ?

— არა, არა. წუხანდელ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ მაქვს. კუპედან ფეხი არ გამომიდგამს. ამას ის ინგლისელიც დაადასტურებს, სახე რომ ჩამოსტირის. ის ლორი... ანუ რეთჩეთი მე არ მომიკლავს. ვერაფერს დამიმტკიცებთ.

პუარო ქაღალდის ფურცელზე რაღაცას წერდა, თუმცა ამ სიტყვებზე ახედა და მშვიდად უთხრა:

— ძალიან კარგი. შეგიძლიათ, წახვიდეთ.

ფოსკარელი გაოცებული დარჩა.

— ხომ ხვდებით, რომ მე არ მომიკლავს? ამას ვერც ჩავიდენდი.

— ხომ გითხარით, შეგიძლიათ, წახვიდეთ-მეთქი.

— თქვენ პირი შეკარით. გინდათ ცილი დამწამოთ, იმ ვიღაც ლორის მკვლელობაში, რომელიც კარგა ხნის წინ უნდა დაესვათ ელექტროსკამზე. სამარცხვინოა, ამდენ ხანს ცო-

ცხალი რომ დადიოდა. მის ადგილას მე რომ ვყოფილიყავი...  
ჩემთვის რომ მოესაჯათ...

— მაგრამ მის ადგილას თქვენ არ ყოფილხართ. ბავშვის  
გატაცებასთან თქვენ ხომ არაფერი გაკავშირებთ.

— ამით რისი თქმა გინდათ? ის ბავშვი ყველას თვალის-  
ჩინი იყო. ტონიოს მეძახდა. მანქანაში რომ იჯდა, ისე გაინ-  
ვდიდა ხოლმე ხელებს, თითქოს საჭესთან ზისო. ყველა ალ-  
მერთებდა. ბოლოს პოლიციაც კი მიხვდა ამას. ულამაზესი  
ბავშვი იყო.

ხმა აუკანკალდა და თვალები აუცრემლიანდა. მერე ქუს-  
ლებზე მკვეთრად შეტრიალდა და ვაგონიდან გავიდა.

— პიეტრო! — დაიძახა პუარომ.

ვაგონ-რესტორნის მიმტანმა ლამის მოირბინა.

— მეათე ნომრიდან შვედ ქალბატონს სთხოვეთ, მოვი-  
დეს.

— Bien, Monsieur.

— მორიგი ეჭვმიტანილი? — იყვირა მესიე ბუკმა. —  
დაუჯერებელია! ამას ნამდვილად ვერ დავიჯერებ. გეუბნე-  
ბით, შეუძლებელია-მეთქი.

— Mon cher, უნდა გავარკვიოთ. თუნდაც აღმოჩნდეს, რომ  
ყველა მგზავრს ჰქონდა რეთჩეთის მოკვლის მოტივი, ეს მო-  
ტივი უნდა დავადგინოთ, რადგან ეს მკვლელობის გახსნის  
ერთადერთი გზაა.

— უკვე თავი მიბრუის, — ამოიოხრა მესიე ბუკმა.

გრეტა ოლსონი მიმტანმა ფრთხილად მოაცილა, რადგან  
შვედი ქალბატონი მწარედ ტიროდა.

პუაროს წინ დაესვენა სკამზე და სახეზე დიდი ცხვირსა-  
ხოცი აიფარა.

— თავს ნუ იტანჯავთ, მადმუაზელ. ასე ნუ დარდობთ,  
— პუარომ მხარზე გადაუსვა ხელი. — რამდენიმე სიტყვით  
გვითხარით სიმართლე. პატარა დეიზი არმსტრონგის ძიდა  
თქვენ იყავით, ხომ?

— მართალია, მართალი... — ატირებულმა ძლივს წარ-

მოთქვა. — ანგელოზი იყო, პატარა, საყვარელი, ყველას ენდობოდა, ყველას მიმართ ალერსიანი იყო. იმ წყეულმა კაცმა კი მოგვტაცა, სასტიკად გაიმეტა, დედამისიც როგორ განირა და ის ბავშვიც, რომ უნდა დაბადებულიყო. ამას ვერ გაიგებთ, ვერ მიხვდებით... თქვენ ხომ არ ყოფილხართ იქ, არ იცით, რა უბედურება დაატყუდა იმ ოჯახს. ამ დილასვე უნდა მეთქვა სიმართლე, მაგრამ ვერ გავბედე — შემეშინდა. არა-და, როგორ გამიხარდა იმ წყეულის სიკვდილი, სხვა ბავშვებს ვეღარ გაამნარებს და ვეღარ დახოცავს-მეთქი. ღმერ-თო! ლაპარაკის თავიც აღარ მაქვს, სიტყვები არ მყოფნის...

უფრო გულამოსკვნით ატირდა ქალი.

პუარომ ისევ გადაუსვა მხარზე ხელი.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, ვხვდები, ქალბატონო, ყველაფერს ვხვდები. მეტ კითხვას აღარ დაგისვამთ. ისიც საკმარისია, ჩემი ეჭვი რომ დაადასტურეთ. ნამდვილად მეს-მის თქვენი.

გრეტა ოლსონი სლუკუნით წამოდგა და ხელის ცეცებით წავიდა კარისკენ. კარს რომ მიაღწია, შემომავალ კაცს შეეჯახა.

ეს მსახური მასთერმენი იყო.

პირდაპირ პუაროსთან მივიდა და მისთვის ჩვეული აულელ-ვებელი, უემოციო ხმით მიმართა:

— იმედი მაქვს, უდროო დროს არ შემოგეჭერით, სერ. ვიფიქრე, ჯობია, მივიდე და სიმართლე ვალიარო-მეთქი. პირველი მსოფლიო ომის დროს პოლკოვნიკ არმსტრონგის შიკრიკი ვიყავი, ომის მერე მსახურად ამიყვანა ნიუ-იორკში. ვწუხვარ, ეს ფაქტი ამ დილით რომ დავმალე. სწორად არ მო-ვიქეცი, სერ, ამიტომაც მოვედი, რომ გამოვასწორო. იმედი მაქვს, საწყალ ტონიოს არ დასდებთ ბრალს. ბებერი ტონიო ბუზსაც კი არავის აუფრენს. თანაც, შემიძლია, დავიფიცო, რომ წუხელ კუპედან არ გამოსულა. ასე რომ, ხომ ხვდებით, სერ, მაგ დანაშაულს ვერ ჩაიდენდა. ტონიო, მართალია, უცხოელია, მაგრამ ფაქიზი სულის ადამიანია. იმ მკვლელ

იტალიელებს კი არ ჰგავს, რომელთა ფოტოებითაც გაზეთებია აჭრელებული.

მერე გაჩუმდა.

პუარომ ჯიქურ შეხედა:

— დაასრულეთ სათქმელი?

— სულ ესაა, სერ.

ინგლისელი შეყოვნდა, მაგრამ რაკი პუარომ აღარაფერი უთხრა, ოდნავ თავი დაუკრა და ისევე თავდაჭერილად და უემოციოდ გავიდა, როგორც შემოვიდა.

— ეს, იმაზე დაუჯერებელი ამბავია, ვიდრე დეტექტიურ რომანებში წერენ, — თქვა ექიმმა კონსტანტინმა.

— გეთანხმებით, — თქვა მესიე ბუკმა. — თორმეტი მგზავრიდან ცხრამ არმსთრონგების საქმესთან კავშირი დაადასტურა. გეკითხებით, შემდეგ რა იქნება? ან შემდეგი ვინ იქნება?

— ამ კითხვაზე თითქმის მაქვს პასუხი, — უთხრა პუარომ. — აგერ, ჩვენი ამერიკელი გამომძიებელიც გამოჩნდა, მისტერ ჰარდმენი.

— ნუთუ ესეც იმისთვის მოდის, რომ რამე აღიაროს?

სანამ პუარო უპასუხებდა, ამერიკელი უკვე მათ მაგიდასთან იდგა. შეშფოთებულმა სამივეს თვალი მოავლო.

— ხომ ვერ ამიხსნით, რა ხდება ამ მატარებელში? ნამდვილი საგიურეთია.

პუარომ შეხედა და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— დარწმუნებული ხართ, მისტერ ჰარდმენ, რომ არმსთრონგებთან მებალედ არ მუშაობდით?

— ბალი არ ჰქონიათ, — მოკლედ მოუჭრა ჰარდმენმა.

— იქნებ, მსახურად მუშაობდით?

— ამ თანამდებობისთვის შესაფერი მანერები არ მაქვს. არა, არმსთრონგების ოჯახთან არაფერი მაკავშირებს, მაგრამ უკვე მგონია, რომ ამ თვალსაზრისით ერთადერთი გამონაკლისი ვარ. ხვდებით, რას ვამბობ?

— ვხვდები და ცოტა უცნაურადაც მეჩვენება ეს, — თავაზიანად უპასუხა პუარომ.

- სასაცილოა პირდაპირ, — წამოისროლა მესიე ბუკმა.
- ამ დანაშაულზე რამე ვარაუდი ხომ არ გაქვთ, მისტერ ჰარდმენ? — დაინტერესდა პუარო.
- არა, სერ, წარმოდგენა არ მაქვს. ვერაფრით ამიხსნია. ცხადია, ყველა ვერ იქნება დამნაშავე, მაგრამ რომელ მათგანს მიუძღვის ბრალი, ვერ ვხვდები. ამდენი რამ როგორ გაარკვიეთ? ახლა ეს ყველაზე მეტად მაინტერესებს.
- მივხვდი.
- მაშ, ყველაზე მიხვედრილი კაცი ყოფილხართ. ამ ამბავს მთელ ქვეყანას მოვდებ.
- მისტერ ჰარდმენი საზურგეს მიაწვა და აღფრთოვანებით შეხედა პუაროს.
- მომიტევეთ, — უთხრა ჰარდმენმა, — მაგრამ თქვენი შემხედვარე ამას ვერავინ დაიჯერებს. ქედს ვიხრი თქვენ წინაშე. გულწრფელად გეუბნებით.
- ძალიან კეთილი ბრძანდებით, მისტერ ჰარდმენ.
- სულაც არა. თანაც, უნდა ვალიარო, რომ უკან ჩამომიტოვეთ.
- და მაინც, — თქვა პუარომ. — საქმე ჯერ ისევ გაუხსნელია. განა შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, ვინ მოკლარეთჩი?
- მე გამომრიცხეთ, — მყისვე მიუგო მისტერ ჰარდმენმა. — მე ვერაფერს ვიტყვი. თქვენით კი მართლა აღტაცებული ვარ. დარჩენილ ორზეც ხომ არ მიხვდით რამეს, ამერიკელ ლედისა და მოახლე ქალზე? იმედია, ამ საქმეში ისინი მაინც არ არიან გარეული.
- თუკი, ჩვენს პატარა კოლექციაში მათ არმსთრონგების მზარეულისა და მნექალის თანამდებობებზე არ მივუჩენთ ადგილს, — ლიმილით თქვა პუარომ.
- რა გითხრათ, ანი ამქვეყნად აღარაფერი გამაკვირვებს, — მორჩილად თქვა მისტერ ჰარდმენმა. — საგიუეთია, ნამდვილი საგიუეთი! სხვა არ ვიცი, რა ვუწოდო ამ ამბავს.
- ოჰ, mon cher, ასე დამთხვევათა უსასრულო ჯაჭვი გა-

მოგვივა, — შენიშნა მესიე ბუკმა. — ამ საქმეში ყველა ხომ  
ვერ იქნება ჩარეული.

პუარომ შეხედა.

— ვერ გაგიგიათ, საერთოდ ვერაფერი გაგიგიათ, —  
უთხრა მესიე ბუკს. — მითხარით, იცით, ვინ მოკლა მისტერ  
რეთჩეთი?

— თქვენ თუ იცით? — არ შეეპუა მესიე ბუკი.

პუარომ თავი დაუკრა.

— დიახ, უკვე რა ხანია ვიცი. იმდენად ნათელია ყველა-  
ფერი, რომ მიკვირს, თქვენ რატომ ვერ მიხვდით, — მერე  
ჰარდმენს შეხედა და მასაც ჰერითხა: — ვერც თქვენ მიხვ-  
დით?

დეტექტივმა თავი გააქნია და გაოცებული მიაჩირდა  
პუაროს.

— არ ვიცი, საერთოდ ვერაფერს ვხვდები. რომელი მათ-  
განია მკვლელი?

პუარო ერთხანს დუმდა, მერე კი თქვა:

— თუ არ დამზარდებით, მისტერ ჰარდმენ, ყველას აქ  
მოუყარეთ თავი. ორი შესაძლო ვერსიაა ამ საქმეში და მინ-  
და, ორივე წარმოგიდგინოთ.

## 9. კუარო ორ ვერსიას გვთავაზობს

ვაგონ-რესტორანში მგზავრები შემოვიდნენ და მაგი-დებს მიუსხდნენ. ყველას მეტ-ნაკლებად ერთნაირი გამომე-ტყველება ჰქონდა, სახეზე მოლოდინი და შიში ეტყობოდათ. შვედი ლედი ისევ ტიროდა, ამერიკელი ლედი კი აწყნარებდა.

— თავი ხელში აიყვანეთ, ძვირფასო. ყველაფერი კარგად იქნება. ასე ნუ იკლავთ თავს. ჩვენ შორის მკვლელი რომც იყოს, ეს თქვენ ნამდვილად არ იქნებით. რომელი ჭკუათამ-ყოფელი მიიტანს თქვენზე ეჭვს. აქ იჯექით, გვერდიდან არ მოგშორდებით, ნუ დარდობთ, — ამერიკელი ლედი გაჩუმ-და, როცა პუარო წამოდგა.

გამყოლი კარისკენ წავიდა:

- თუ თქვენი ნება იქნება, დავრჩები, მესიე.
- რასა კვირველია, მიშელ.

პუარომ ჩაახველა.

— ბატონებო და ქალბატონებო, თავს უფლებას მივცემ, ინგლისურად ვილაპარაკო, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ეს ენა მეტ-ნაკლებად ყველა თქვენგანს ესმის. ჩვენ აქ სემუელ ედვარდ რეთჩეთის, იმავე კასეტის მკვლელობის გამოსაძიებლად ვიმყოფებით. დანაშაულის ორი შესაძლე-ბელი ვერსია გამოიკვეთა. ორივეს ახლავე მოგახსენებთ და შემდეგ მესიე ბუკსა და ექიმ კონსტანტინს ვთხოვ, თავად განსაჯონ, რომელი მათგანია სწორი.

ფაქტები ყველასთვის ცნობილია. მისტერ რეთჩეთი ამ დილით აჩეხილი იპოვეს. უკანასკნელად წუხელ, 12:37-ზე ნახეს ცოცხალი, როდესაც კუპედან ვაგონის გამყოლს ელა-პარაკებოდა. მის ჯიბეში ნაპოვნი საათი დაზიანებულია და ორის თხუთმეტ წუთზეა გაჩერებული. ექიმმა კონსტანტინ-მა, ვინც გვამი იპოვა, დაასკვნა, რომ მკვლელობა შუალამის თორმეტიდან ორ საათამდე უნდა მომხდარიყო. პირველის ნახევარზე, როგორც იცით, მატარებელი ნამქერში მოჰყვა და გაჩერდა. მას მერე მატარებლიდან გაქცევას ვეღარავინ მოახერხებდა.

ნიუ-იორკის საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლის, მისტერ ჰერდენის, ჩვენებით (რამდენიმე ადამიანმა მისკენ მიატრიალა თავი) დავადგინეთ, რომ მის კუპეს, მე-16 კუპეს სულ ბოლოში წინ ვერავინ ჩაუვლიდა ისე, რომ მას ვერ დაენახა. აქედან გამომდინარე, ისლა გვრჩება, რომ მკვლელი სტამპოლი-კალეს შემადგენლობის მგზავრებში ვეძებოთ.

ეს, როგორც მოგახსენეთ, ერთ-ერთი ვერსიაა.

— როგორ? — შესძახა მესიე ბუკმა.

— ალტერნატიულ ვერსიასაც ახლავე მოგახსენებთ. ძალზე მარტივია. მისტერ რეთჩეთს კონკრეტული მტერი ჰყავდა, რომლისაც ეშინოდა. მან მისტერ ჰერდენს მტერი აღუნერა და გააფრთხილა, მკვლელობის მცდელობა სტამპოლიდან გამოსვლის მეორე ლამეს არის მოსალოდნელიო.

ახლა კი, ქალბატონებო და ბატონებო, იმას მოგახსენებთ, რომ მისტერ რეთჩეთმა იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე თქვა. მისი მტერი, სავარაუდოდ, ბელგრადში ან ვინკოვცში ამოვიდა მატარებელში პოლკოვნიკ არბეთნოთისა და მისტერ მაქქუინის მიერ ღიად დატოვებული კარით. დამნაშავეს ხელი მიუწვდებოდა გამყოლის უნიფორმაზე, რომელიც თავისი სამოსის ზემოდან ჩაიცვა და სათადარივო გასაღებიც იშოვა, რომლითაც მისტერ რეთჩეთის კუპეში შეაღწია. მისტერ რეთჩეთს ძილის წამალი ჰქონდა დალეული. ამ ადამიანმა სასტიკად აჩეხა რეთჩეთი და დამაკავშირებელი კარით მისის ჰერდენის კუპეში გავიდა, საიდანაც თავს უშველა...

— ჴო, აშკარად ასეა, — თავის დაქნევით დაუდასტურა მისის ჰერდმა.

— გავლისას სატევარი მისის ჰერდის კარზე ჩამოკიდებულ სააპაზანო ჩანთაში ჩააგდო. შემთხვევით, უნიფორმაზე ღილიც მოსწყდა. მერე კუპედან გაძვრა და დერეფანს გაუყვა. ცარიელ კუპეში ჩემოდანი ნახა და სასწრაფოდ ჩაჩურთა უნიფორმა, ორიოდე წუთის შემდეგ კი ჩვეულებრივი ტანსაცმლით მატარებლის დაძვრამდე ვაგონიდან ჩავიდა, ამისთვის კი იმავე კარით ისარგებლა, რომლითაც ამოვიდა.

ყველამ ამოიხმა.

— საათზე რას იტყვით? — იკითხა მისტერ ჰარდმენმა.

— სწორედ საათი გვაძლევს ყველაფრის ახსნას. მისტერ რეთჩეთს ცარბროდში ისრების ერთი საათით უკან გადაყვანა დაავიწყდა. მისი საათი ჯერ კიდევ აღმოსავლეთ ევროპის დროზეა, რაც თავისთავად ერთი საათით წინ უსწრებს ცენტრალური ევროპის დროს. პირველის თხუთმეტი წუთი იყო, როდესაც რეთჩეთი მოკლეს და არა ორის თხუთმეტი წუთი.

— კი მაგრამ, ეს განმარტება ხომ აბსურდულია, — წამოიყვირა მესიე ბუკმა. — აბა, ვინ უპასუხა გამყოლს მისი კუპედან, პირველს რომ ოცდასამი წუთი აკლდა? ეს ან რეთჩეთი უნდა ყოფილიყო, ან მისი მკვლელი.

— რა აუცილებელია. იქნებ, მესამე პირი იყო, რომელიც რეთჩეთთან სალაპარაკოდ შევიდა და ის მოკლული აღმოაჩინა. სწორედ მან დარეკა ზარი გამყოლის გამოსაძახებლად. მერე კი, როგორც ხვდებით, გულმარეჩხი უყო და შეშინდა, აქაოდა, მე არ დამაბრალონო, ამიტომაც რეთჩეთის მაგივრად გამოელაპარაკა.

— შესაძლებელია, — უხალისოდ ჩაილაპარაკა მესიე ბუკმა.

პუარომ მისის ჰაბარდს შეხედა.

— დიახ, მადამ, რისი თქმა გნებავდათ?

— იცით, არც კი ვიცი, რისი თქმა მინდოდა. თქვენ გვინიათ, მეც დამავიწყდა საათის უკან გადაწევა?

— არა, მადამ. მე ვფიქრობ, რომ მამაკაცის ფეხის ხმა ძილში ჩაგესმათ. მერე კი გესიზმრათ, თითქოს თქვენს კუპეში იმყოფებოდა ვიღაც, შეშინებულს გამოგეღვიძათ და გამყოლი გამოიძახეთ.

— იცით, მგონი, ასეც იყო. — დაეთანხმა მისის ჰაბარდი.

თავადის ქალი დრაგომიროვა პუაროს დაუინებული მზერით უყურებდა.

— ჩემი მოახლის ჩვენებას როგორ ახსნით, მესიე?

— ძალიან მარტივად, მადამ. თქვენმა მოახლემ თქვე-

ნი ცხვირსახოცი იცნო, მაგრამ მერე თქვენი დაცვა სცადა, თუმცა ეს არ გამოუვიდა. ის მართლაც გადაეყარა გამყოლისფორმიან მამაკაცს, ოლონდ ბევრად უფრო ადრე, ვინკოვცში. ჩვენ კი გვითხრა, რომ ერთი საათის შემდეგ ნახა, როცა ჩემი ქალბატონისთვის წყალი მიმქონდაო, რაც ალიბად გამოგადგებოდათ.

თავადის ქალმა თავი დააქნია.

— ყველაფერი მოგიფიქრებიათ, მესიე. აღფრთოვანებული ვარ თქვენით.

დუმილი ჩამონვა.

მაგრამ ყველა შეხტა, როდესაც მოულოდნელად ექიმმა კონსტანტინმა მაგიდას მუშტი დაარტყა.

— არა! — თქვა მან. — არა და კიდევ ერთხელ არა! ეს ახსნა არაფრად ვარგა. უამრავი შეუსაბამობაა. დანაშაული ასე არ მომხდარა, რაც მესიე პუარომ მშვენივრად უნდა იცოდეს.

პუარომ გაკვირვებულმა შეხედა.

— ვატყობ, მეორე ვერსიის დრო დადგა. — თქვა მან. — მაგრამ ხელალებით ნურც პირველს უკუაგდებთ, იქნებ, მოგვიანებით სწორედ ეს ვერსია გაიზიაროთ.

მერე ისევ მგზავრებს მიუბრუნდა.

— არსებობს დანაშაულის მეორე სავარაუდო ვერსიაც. მოგახსენებთ, როგორ მივედი ამ ვერსიამდე. როდესაც ყველას ჩვენება მოვისმინე, საზურგეს მივეყრდენი, თვალები დავხუჭე და ფიქრი დავიწყე. გარკვეული დეტალები ყურადღების ღირსად მივიჩნიე. ეს დეტალები ჩემს კოლეგებს ჩამოვუთვალე. ზოგიერთი უკვე ავხსენი, ცხიმის ლაქა პასპორტზე და ასე შემდეგ. ახლა იმ დეტალებზე მოგახსენებთ, რომლებიც არ ამიხსნია. პირველი და უმნიშვნელოვანესი შენიშვნა ის გახლავთ, მესიე ბუკმა რომ გააკეთა სტამბოლიდან გამოსვლის პირველსავე დღეს ვაგონ-რესტორანში, მაგიდასთან ჯდომისას. მან ხაზი გაუსვა, მატარებელში ყველა ფენისა და ეროვნების მგზავრი იმყოფებაო.

თავიდან დავეთანხმე და ცოტა მოგვიანებით რომ დავ-

ფიქრდი, მივხვდი, რომ ასეთი ჭრელი საზოგადოება მხოლოდ ამერიკაში თუ მოიყრიდა თავს. უფრო ხატოვნად რომ მოგახსენოთ, ამერიკაში ერთ ოჯახშიც შეიძლება იყოს სულ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი: იტალიელი მძლოლი, ინგლისელი გუვერნანტი, შვედი ძიძა, გერმანელი მოახლე და ა. შ. სწორედ ამან მიმიყვანა აღმოჩენების იმ სქემამდე, სადაც თითოეული პერსონაჟი არმსთრონგების ოჯახში სხვადასხვა პოსტზე ისე გავანაწილე, როგორც რეჟისორი უნანილებს როლებს მსახიობებს. საბოლოოდ კი, მეტად საინტერესო და სასურველი შედეგი მივიღე.

გარდა ამისა, გონიერაში თითოეული მგზავრის ჩვენება ცალ-ცალკე გავიაზრე და უცნაური დასკვნებიც გავაკეთე. პირველად მისტერ მაქეუინს ჩამოვართვი ჩვენება. ჩემი პირველი გასაუბრება მასთან სრულიად დამაკმაყოფილებელი გახლდათ. მაგრამ მეორე დაკითხვისას უცნაური შენიშვნა გააკეთა. ავუხსენი, რომ არმსთრონგების ოჯახთან დაკავშირებული ბარათი აღმოვაჩინეთ-მეთქი. მან თქვა: კი მაგრამ... ნუთუ ეგ ბებერი ძალი ასე დაუდევრად მოიქცაო?

მაშინვე მივხვდი, რომ სათქმელი გადააკეთა. ვივარაუდოთ, რომ უნდოდა ეთქვა: „ნუთუ არ დაწვეს?!“ ამდენად მას ბარათის არსებობაც უნდა სცოდნოდა და მისი დაწვის ამბავიც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ან მკვლელია ან მკვლელის თანამზრახველი. კეთილი და პატიოსანი.

ახლა მსახურზე მოგახსენებთ. მითხრა, ჩემი ბატონი მატარებლით მგზავრობისას ყოველთვის ძილის წამალს სვამდაო. ეს, შესაძლოა, სიმართლეს შეეფერებოდეს, მაგრამ დალია კი ნუხელ რეთჩეთმა წამალი? მისი ბალიშის ქვეშ ამოდებული პისტოლეტი ამ განცხადებას აბათილებს. რეთჩეთი წუხელ ფხიზლად ყოფნას აპირებდა. ხოლო ის ნარკოტიკი, რომელიც დაულევია, აშკარად შეაპარეს. მერედა, ვინ? ან მისტერ მაქეუინმა, ან მსახურმა.

ახლა მისტერ ჰარდმენის ჩვენებას გავეცნოთ. თავიდან კი დავუჯერე, რაც თავისი პიროვნებისა და საქმიანობის

შესახებ მითხრა, მაგრამ როდესაც ის მეთოდები ახსენა თუ როგორ უნდა დაეცვა რეთჩეთი, მისი მონაყოლი, არც მეტი არც ნაკლები, სრულ აბსურდად მივიჩნიე. მოკლულის დაცვის ერთადერთი საშუალება ის იქნებოდა, რომ მის კუპეში შესულიყო და ლამე იქ გაეტარებინა, ანდა სადმე ისეთ ადგილას გაჩერებულიყო, საიდანაც რეთჩეთის კუპეს ადევნებდა თვალყურს. მისი ჩვენებიდან კი ისე გამოდიოდა, რომ მკვლელობას სხვა ვაგონში მყოფი უბრალოდ ვერ ჩაიდენდა, ესე იგი სტამბოლი-კალეს ვაგონში მყოფს უნდა მოეკლა. ეს ფაქტი უცნაურად და ამავე დროს საინტერესოდ მომეჩვენა, ამიტომაც მცირე ხნის შემდეგ ისევ დავუბრუნდი ამ ვარაუდს.

ალბათ, უკვე არც ის იქნება თქვენთვის უცხო ამბავი, რომ მის დებენჰემის და პოლკოვნიკ არბეთნოთის საუბარს მოვკარი ყური. საინტერესოდ ის დეტალი მომეჩვენა, რომ პოლკოვნიკი მას სახელით მიმართავდა, რაც აშკარად მოწმობდა, რომ ახლოს იცნობდა. არადა, წესით, პოლკოვნიკს ახალგაზრდა ქალბატონი სულ რამდენიმე დღის გაცნობილი უნდა ჰყოლოდა. მაგრამ ინგლისელი მამაკაცის ხასიათს კარგად ვიცნობთ, მით უფრო პოლკოვნიკის ტიპისას, როგორც უნდა შეუყვარდეთ ახალგაზრდა ქალი, თუნდაც ერთი ნახვით, საკმაოდ ნელა მოქმედებენ და ცდილობენ, მოვლენები არ დააჩქარონ. ამიტომაც არ გამჭირვებია იმის მიხვედრა, რომ მისის დებენჰემი და პოლკოვნიკი კარგა ხნის ნაცნობები უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა კი უცხოებად გვიჩვენებდნენ თავს. გარდა ამისა, მის მერიმ ტერმინი „მაგისტრალური ტელეფონიც“ ახსენა, რასაც, როგორც მოგეხსენებათ, ამერიკაში იყენებენ ხოლმე.

გადავიდეთ შემდეგ მოწმეზე, მისის ჰაბარდზე, რომელმაც გვითხრა, რომ იწვა და შესაბამისად, ვერ დაინახავდა, დამაკავშირებელი კარი საკეტით იყო ჩაკეტილი თუ არა, ამიტომაც მის ოლსონს სთხოვა შემოწმება. საქმე ისაა, რომ მისის ჰაბარდის ეს განცხადება სიმართლე იქნებოდა იმ შემთხვევაში, ვთქვათ, მე-2, მე-4 ან თუნდაც მე-12 კუპეში

რომ ყოფილიყო, რადგან ლუნ ნომრებში კარის სახელური საკეტის ქვემოთაა, ხოლო კენტ ნომრებში — ზემოთ, მას კი მე-3 კუპე უკავია, ამიტომაც მისი სააბაზანო ჩანთა ვერ დაფარავდა საკეტს. ამ ჩვენების შეუსაბამობამ მიმიყვანა დასკვნამდე, რომ მისის ჰაბარდმა ეს ყველაფერი მოიგონა.

ნება მიძოძეთ, ორიოდ წუთით დროის ფაქტორსაც შევეხო. ჩემი აზრით, დაზიანებულ საათთან დაკავშირებით ყველაზე საინტერესო მისი პოვნის ადგილია — რეთჩე-თის პიუამის ჯიბე, სრულიად შეუფერებელი და უცნაური ადგილი საათის შესანახად. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საწოლის თავთან საათის კაუჭია. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ საათი ჯიბეში განგებ ჩაუდეს. მაშასადამე, დანაშაული ორის თხუთმეტ წუთზე არ მომხდარა.

რა გამოდის, რომ დანაშაული უფრო ადრე მოხდა? უფრო ზუსტად კი, პირველს რომ ოცდასამი წუთი აკლდა? ჩემი მე-გობარი მესიერ ბუკი ამ ვარაუდს იმიტომ იზიარებს, რომ სწო-რედ ხსენებულ დროს გაისმა ყვირილი და გამეღვიძა. მაგრამ რეთჩეთი რომ იმნამს მძიმედ დაეჭრათ, ასე ვერ იყვირებდა. თუკი ყვირილის თავი ჰქონდა, მაშინ როგორმე თავდამსხ-მელის მოგერიებასაც მოახერხებდა და შესაბამისად, ბრძო-ლის რამე კვალიც დარჩებოდა.

მახსოვს, მისტერ მაქქუინმა ორჯერ გამამახვილებინა ყუ-რადღება (მეორედ საკმაოდ უხეშადაც), მისტერ რეთჩეთმა ფრანგული არ იცოდაო. ჰოდა, მეც დავასკვენი, რომ თორმე-ტი საათისა და ოცდაჩვიდმეტი წუთის ამბავი ჩემთვის გათა-მაშებული კომედია იყო.

საათის ამბავი კი იოლი მისახვედრია, დეტექტიურ რომა-ნებში ხშირად იყენებენ ხოლმე ამგვარ სატყუარებს. ალბათ ივარაუდეს, რომ საათის ამბავს მალევე მივხვდებოდი, მერე ჩემივე საზრიანობა აღმაფრთოვანებდა და დავასკვნიდი, თუკი რეთჩეთმა ფრანგული არ იცოდა, ესე იგი, პირველს რომ ოცდასამი წუთი აკლდა, კუპედან ვერაფრით გამოეხ-მაურებოდა გამყოლს და ამ დროს უკვე მოკლულიც იქნე-

ბოდა-მეთქი. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ თორმეტ სა-ათსა და ოცდაჩვიდმეტ წუთზე მისტერ რეთჩეთს წამლის ზემოქმედებით ლრმა ძილით ეძინა.

თუმცა ცბიერებამ თავისი მაინც ქნა. მე კარი გავაღე და დერეფანში გავიხედე, რა დროსაც ფრანგული ფრაზა მართლაც გავიგონე. ჩლუნგი უნდა ვიყო, ამ სატყუარას რომ წამოვგებოდი. თუ საჭირო გახდებოდა, მისტერ მაქქუინი მეტყოდა, უკაცრავად, მესიე პუარო, მაგრამ მისტერ რეთჩეთმა ფრანგული საერთოდ არ იცოდა და ეტყობა, სხვისი ხმა გაიგონეთო.

ახლა გვაინტერესებს, რა დროს მოხდა რეალურად მკვლელობა? და ვინ მოკლა რეთჩეთი?

ჩემი აზრით, და ეს მხოლოდ ჩემი აზრია, რეთჩეთი სადღაც ორი საათისთვის მოკლეს, რადგან ექიმს მიაჩნია, რომ უფრო გვიან არ არის მოკლული.

და მეორე კითხვა, ვინ მოკლა რეთჩეთი? — პუარო გაჩუმდა და აუდიტორიას გადახედა. ყველა ყურადღებით უსმენდა, გასუსულები მისჩერებოდნენ. ისეთი სიჩუმე იყო, კაცი ბუზის გაფრენას გაიგონებდა.

პუარომ დინჯად განაგრძო:

— გაოგნებული ვიყავი იმის გამო, რომ არავის უმტკიც-დებოდა ბრალი, ანუ ყოველი მგზავრის ალიბის უცნაურად ამყარებდა სხვა მგზავრი, ანუ სრულიად უცხო ადამიანი, არადა, მანამდე ერთმანეთს ხომ არ იცნობდნენ; ასე მაგალითად, მისტერ მაქქუინი და პოლკოვნიკი არბეთნოთი ერთმანეთს უქმნიდნენ ალიბის, ანალოგიური მდგომარეობა იყო ინგლისელ მსახურსა და იტალიელს შორის, შვედლედისა და ინგლისელ გუვერნანტს შორის. ერთი გაფიქრება კი გავიფიქრე, ყველა ერთად ხომ ვერ იქნება ამ საქმეში გარეული-მეთქი.

მერე კი, ბატონებო, ყველაფერს მივხვდი. მკვლელობაში ყველა იყო გარეული. აბა, არმსთრონგების ოჯახის ამდენი ნაცნობი ერთი და იმავე მატარებლით როგორ იმგზავრებდა სრულიად შემთხვევით. ეს შეუძლებელი იყო. აქ უკვე

შემთხვევითობა კი არა, განზრახვა გამოიკვეთა. მერე უცებ პოლკოვნიკის სიტყვები გამახსენდა, რომ მითხვა, ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა თორმეტი უნდა იყოსო. ვაგონში კი მართლაც თორმეტი მგზავრია. რეთჩეთსაც ზუსტად თორმეტი ჭრილობა აქვს მიყენებული. და კიდევ ერთი გარემოება არ მაძლევდა მოსვენებას: წელიწადის ამ დროს ძალიან საეჭვოდ არის სტამბოლი-კალეს ვაგონი სავსე.

რეთჩეთმა ამერიკაში მართლმსაჯულებას დააღნია თავი, არადა, აქ ორი აზრი არ არსებობს, ნამდვილად დამნაშავე იყო. წარმოვიდგინე თორმეტი ნაფიცი მსაჯულისგან შემდგარი სასამართლო, რომლებმაც მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და გარემოებათა გამო, იძულებული გახდნენ, განაჩენი თავად მოეყვანათ სისრულეში. და სწორედ ამ ვარაუდის წყალობით მოეფინა ყველაფერს სინათლე.

ეს საქმე მოზაიკასავით წარმოვიდგინე, სადაც თითოეულ მგზავრს მისთვის განკუთვნილი ადგილი ეკავა. მოზაიკა კი ისე იყო ანუკობილი, რომ თუ რომელიმე მგზავრს ეჭვის ჩრდილი მიადგებოდა, სხვა მგზავრის ან მგზავრების ჩვენება სრულიად აქარნყლებდა ამ ეჭვს და საქმეს კიდევ უფრო ართულებდა და ხლართავდა. ჰარდმენის ჩვენება იმ შემთხვევისთვის იყო განკუთვნილი, თუკი ვინმე უცხოს დაპბრალდებოდა მომხდარი და მას ალიბი არ აღმოაჩნდებოდა. სტამბოლის ვაგონის მგზავრებს არაფერი ემუქრებოდათ. მათი ჩვენებების ყოველი წვრილმანი წინდაწინვე იყო გათვლილ-გაანგარიშებული. მთელი ეს ამბავი მახვილგონივრულ თავსატეხს წააგავდა, რომლის თითოეული დეტალის გამოცნობას გამოსაძიებელი საქმის კიდევ უფრო მეტად ჩახლართვა მოსდევდა. როგორც ჩემმა მეგობარმა მესიე ბუკმა შენიშნა, ამ საქმის გახსნა სრულიად წარმოუდგენელი ჩანდა, და მიზანიც სწორედ ამგვარი შთაბეჭდილების შექმნა იყო.

მაგრამ ხსნის კი ეს ვერსია ყველაფერს? დიახ, ხსნის. ჭრილობების ხასიათით დგინდება, რომ რეთჩეთს ყოველი ჭრილობა სხვადასხვა პირმა მიაყენა. ამას დაუმატეთ მუ-

ქარის ყალბი წერილები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სამხილად იყო შემოგდებული. ცხადია, ნამდვილი წერილებიც იქნებოდა, სადაც რეთჩეთს ატყობინებდნენ, რაც ელოდა, მაგრამ მისტერ მაქქუინმა ის წერილები გაანადგურა და ყალბით შეცვალა. ჰარდმენის ნათქვამი, თითქოს რეთჩეთმა მცველად აიყვანა, თავიდან ბოლომდე სიცრუეა. მითური ტანმორჩილი, ქალისხმიანი შავგვრემანი კაცის ამბავიც მოგონილია, რადგან ასეთი გარეგნული მონაცემები არც ერთ გამყოლს არ აქვს, თანაც ამ ვერსიის თანახმად, კაცი იოლად მიიტანდა ეჭვს ქალზეც და მამაკაცზეც.

მატარებელში მგზავრის ხანჯლით აჩეხა ერთი შეხედვით უცნაური ჩანს, მაგრამ თუ გარემოებებს კარგად დავუკვირდებით, ეს იარაღი ყველაზე ხელსაყრელია. სატევარს ნებისმიერი იოლად გამოიყენებდა, ძლიერიც და სუსტიც, თანაც ამ იარაღს არავითარი ხმა არ გააჩნია. წარმომიდგენია, თუმცა, არაა გამორიცხული, ვცდებოდე, როგორ შედის სათითაოდ ყველა მგზავრი რეთჩეთის ჩაბნელებულ კუპეში მისის ჰაბარდის კუპედან და სატევარს ურტყამს. ამის ჩამდენები ვერასოდეს გაიგებენ, კონკრეტულად ვინ მოუსწრაფა რეთჩეთს სიცოცხლე.

ბოლო წერილი, რომელიც სავარაუდოდ, რეთჩეთს ბალიშზე დაუდეს, დამწვარია. არმსთრონგების ოჯახის უბედურებასთან დამაკავშირებელი სამხილები რომ არ აღმოჩენილიყო, ალბათ, ამ მატარებლის ვერც ერთ მგზავრზე ვერ მივიტანდი ეჭვს. ეს საქმე ვიღაც შავგვრემან, ქალისხმიან, ტანმორჩილ კაცს გადაბრალდებოდა და ისიც, ვთქვათ, ბროდის სადგურში ჩავიდოდა და გაუჩინარდებოდა. ერთი-ორი მგზავრიც გამოჩნდებოდა, ვინც იტყოდა, ჩემი თვალით დავინახე, ბროდის სადგურში როგორ ჩავიდა ასეთი და ასეთი მგზავრიო.

ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა, როდესაც შეთქმულებს ნამჭერმა გეგმის ეს ნაწილი ჩაუშალა, თუმცა, ალბათ, სასწრაფოდ მოითათბირეს და განაჩენის დაუყოვნებლივ აღსრუ-

ლების გადაწყვეტილება მიიღეს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ მათგანზე შეიძლებოდა ეჭვის მიტანა, რასაც თვითონაც ხვდებოდნენ, ამიტომაც ათასგვარ საშუალებას მიმართეს, რომ საქმის გამოძიება უფრო და უფრო გართულებულიყო. ორი, ასე ვთქვათ, სამხილი რეთჩეთის კუპეში სრულიად შეგნებულად დატოვეს — პირველი სამხილი პოლკოვნიკ არბეთნოთზე აჩენდა ეჭვს (რომელსაც მტკიცე ალიბი ჰქონდა და რომლის კავშირსაც არმსტრონგების ოჯახთან თითქმის ვერავინ დაამტკიცებდა) და მეორე ვითომ სამხილს — ცხვირსახოცს თავადის ქალ დრაგომიროვაზე შეეძლო ეჭვის გაჩენა, მაგრამ საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის, სუსტი აღნაგობისა და ფოლადზე მტკიცე ალიბის წყალობით, რომელსაც მოახლე და გამყოლი უქმნიდნენ, ვერც მას დასდებდა ვინმე ბრალს.

კიდევ უფრო რომ აერიათ ჩვენთვის თავგზა, გამოგონილი წითელკიმონოიანი ქალის კვალში ჩაგვაყენეს. აქაც ისე მოაწყვეს ყველაფერი, რომ ამ ქალის არსებობა დამეჯერებინა. ჩემს კარზე რაღაც მოაბრახუნეს. მეც ავდექი, გარეთ გავიხედე და დერეფნის ბოლოს წითელ კიმონოს მოვკარი თვალი. თუმცა, ჩემ გარდა ეს კიმონო ისეთმა გონიერმა ადამიანებმაც დაინახეს, როგორებიცაა გამყოლი, მისტერ მაქეუინი და მის დებენჟემი. ცოტა მოგვიანებით კი, როდესაც ვაგონ-რესტორანში მვზავრების დაკითხვას ვაწარმოებდი, ვიღაცამ, ვისაც აშკარად უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა, ჩემოდანში ეს წითელი კიმონო ჩამიდო. ვისია ეს კიმონო, ჩემთვის უცნობია. კარგა ხანს გრაფინია ანდრენის მეგონა, მაგრამ მისი ბარგი რომ შევამოწმეთ, იქ დახვენილი შიფონის მოსასხამები ეწყო და არა ხალათები.

როგორც კი მაქეუინმა შეიტყო, რომ საგულდაგულოდ დამწვარი წერილის ფრაგმენტი გადარჩა, სადაც სიტყვა არმსტრონგი იკითხებოდა, სასწრაფოდ შეატყობინა დანარჩენებს. სწორედ იმ დროს შეირყა გრაფინია ანდრენის პოზიცია და ამიტომაც დაფაცურდა მისი მეულლე, რომ ცოლის პასპორტი დაეზიანებინა. მაგრამ აქაც არ გაუმართლათ.

ყველა ერთხმად შეთანხმდა, არმსთრონგების ოჯახთან ყოველგვარი კავშირი უარეყოთ. იცოდნენ, რომ მათ ჩვენებებს ვერაფრით გადავამოწმებდი და იფიქრეს, დეტალებს არ ჩაუღრმავდებაო, დიდი-დიდი, კონკრეტულად რომელი-მე ერთზე მიმეტანა ეჭვი.

კიდევ ერთი დეტალი დაგვრჩა განსახილველი. თუკი დავუშვებთ, რომ დანაშაულის სცენა სწორად წარმოვსახე, არა-და, მჯერა, რომასეა, გამოდის, საძილევაგონების გამყოლიც გარეული ყოფილა ამ საქმეში. ხოლო თუ ასეა, ამ სპექტაკლს თორმეტის ნაცვლად ცამეტი პერსონაჟი ჰყოლია. და ჩვეულებრივი კითხვის ნაცვლად, ამდენი კაციდან ვინ არის დამნაშავე, იბადება კითხვა, ვინ არის უდანაშაულო.

ჰოდა, ძალიან უცნაურ დასკვნამდე მივედი. ეს დასკვნა კი იმაში მდგომარეობს, რომ პირი, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ დანაშაულში, სწორედ იმის-თვის იყო გამიზნული, რომ მთელი ეჭვები სწორედ მისკენ მიმართულიყო. ახლა გრაფინია ანდრენს ვგულისხმობ. გულწრფელად გავოცდი, როდესაც მისმა მეუღლემ, გრაფ-მა, სინდისი დაიფიცა, ჩემი ცოლი მთელ ლამე კუპედან არ გასულაო. შეიძლება ითქვას, ცოლს გულწრფელად გამოე-სარჩილა.

ხოლო რაკი ასეა, გამოდის, პიერ მიშელი ყოფილა თორმეტიდან ერთ-ერთი მსაჯული. ეს ფაქტი კი როგორ ავხსნათ? ის ხომ წესიერი და სანდო ადამიანია, რომელიც წლებია, რაც ამ კომპანიაში მუშაობს და იმ პირთა რიცხვს არ განეკუთვნება, იოლად რომ გადაიბირებ და დანაშაულის ჩადენაში ჩაითრევ. ესე იგი, პიერ მიშელიც არმსთრონგებთან დაახლოებული პირი ყოფილა. ეს კი სრულიად დაუჯერებლად უდერს. მერე გამახსენდა, რომ ის ძიძა, თავი რომ მოიკლა, ფრანგი იყო. აქედან გამიჩნდა ვარაუდი, რომ ის უბედური პიერ მიშელის ქალიშვილი უნდა ყოფილიყო. ეს კი ყველაფერს ხსნიდა, იმასაც კი, თუ რატომ იქნა არჩეული დანაშაულის სცენად მატარებელი. ამ დრამაში ვისი პარტია დაგვრჩა დასადგენი? ჰოლკოვნიკ არბეთნოთს არმსთრონ-

გების ოჯახის მეგობრის ადგილს ვარგუნებდი. არაა გამორიცხული, რომ ორ პოლკოვნიკს ერთად ებრძოლა. მოახლე ქალ ჰილდეგარდ შმიდტზეც მოგახსენებთ ორიოდე სიტყვით, მე მას არმსთრონგების ოჯახში, შეიძლება ვცდები კიდეც, სამზარეულოში უფრო ვხედავ. დარწმუნებული ვარ, კარგი მზარეული უნდა იყოს. მახე დავუგე და ისიც გაება. ვუთხარი, დარწმუნებული ვარ, რომ მშვენიერი მზარეული იქნებით-მეთქი. მან კი მიპასუხა, დიახ, ალბათ, ასეა, რადგან ჩემი ყველა ქალბატონი ამავეს ამბობდაო. არადა, თუ მხოლოდ მოახლედ მუშაობ, შენს ქალბატონს საიდან ეცოდინება, კარგი მზარეული ხარ, თუ ცუდი?

ახლა ჰარდმენის ჯერია, რომელსაც ერთი შეხედვით, არმსთრონგების ოჯახთან ვერ დააკავშირებ. მხოლოდ იმის წარმოდგენა შემეძლო, რომ იმ ფრანგი გოგონას შეყვარებული უნდა ყოფილიყო. უცხოელი ქალების ხიბლზე ჩამოვუგდე სიტყვა და ზუსტად იმ შედეგს მივაღწიე, რომელსაც ველოდი. თვალზე ცრემლი მოადგა და თავი იმით იმართლა, თოვლმა მომჭრა თვალიო.

და კიდევ, მისის ჰაბარდი რომ არ გამოგვრჩეს, ისიც უნდა ვახსენო. მისის ჰაბარდმა, მე ვიტყოდი, ამ დრამაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. რაკი რეთჩეთის მეზობლად ეკავა კუპე, მთელი ეჭვი მისკენ მიიმართა. საქმე ისე განვითარდა, რომ ფაქტობრივად ალიბიც კი არ გააჩნდა. საკმაოდ რთული როლი კი ერგო, ჭკუამხიარული ამერიკელის, თავგადაკლული დედისა და მოსიყვარულე ბებიის, რომელიც მსახიობს უნდა შეესრულებინა. მაგრამ არმსთრონგების ოჯახში მსახიობიც ხომ იყო: მისის არმსთრონგის დედა — ლინდა არდენი, მსახიობი და თან, როგორი...

ჰუარო გაჩუმდა, რომ სული მოეთქვა.

უეცრად სრულიად განსხვავებული ხმით მისის ჰაბარდმა მეოცნებესავით წარმოთქვა:

— სულ კომედიურ როლებზე ვოცნებობდი, — ისევ მეოცნებე ხმით განავრძო: — სააბაზანო ჩანთის ამბავი მართლაც სულელური გამოვიდა. ეს იმას ადასტურებს, რომ როლი კარ-

გად არ გვეკონდა მომზადებული. აქეთობისას გავითამაშეთ ეს სცენა, მაგრამ მაშინ ეტყობა, ლუწ კუპეში ვიყავი. კარის საკეტი სახელურს მაღლა იქნებოდა თუ სახელურს დაბლა, ყურადღება არ მიმიქცევია, — სკამზე ოდნავ შესწორდა და პუაროს შეხედა. — უკვე ყველაფერი იცით, მესიე პუარო. არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ, მაგრამ თქვენც კი გაგიჭირდებათ იმ საზარელი დღის წარმოდგენა ნიუ-იორკში. მწუხარებამ კინალამ ჭკუიდან შემშალა. მსახურებიც შავ დღეში იყვნენ. პოლკოვნიკი არბეთნოთიც იქ იმყოფებოდა. ჯონ არმსთონგის უახლოესი მეგობარი გახლდათ.

— ომში სიკვდილს გადამარჩინა, — ჩაილაპარაკა არბეთნოთმა.

— ჰოდა, მაშინ გადავწყვიტეთ, ვინ იცის, იქნებ, სიგიურემ დაგვრია ხელი, რომ სასიკვდილო განაჩენი, რომელსაც კასეტიმ მაშინ თავი დააღწია, ჩვენ აღგვესრულებინა. თორმეტნი ვიყავით, უფრო სწორად, თერთმეტნი, რადგან სიუზენის მამა საფრანგეთში იმყოფებოდა. თავიდან ვიფიქრეთ, რომ კენჭი გვეყარა, ვისი ხელით უნდა აღსრულებულიყო სამართალი, მაგრამ ბოლოს ეს გზა ვარჩიეთ, თორმეტი მსაჯულის აზრი მძლოლმა ანტონიომ მოგვაწოდა, მერიმ ჰექტორ მაქქუინთან ერთად ყველა დეტალი გათვალა. ჰექტორი ჩემს სონიას აღმერთებდა და სწორედ მან აგვიხსნა, თუ როგორ დაიხსნა კასეტიმ ფულის წყალობით თავი.

ჩვენი გეგმის სრულყოფას დიდი ხანი დასჭირდა. ჯერ რეთჩეთს უნდა ჩავდგომოდით კვალში. საბოლოოდ ეს საქმე ჰარდმენს მივანდეთ და გაართვა კიდეც თავი. მერე ვცადეთ, რომ კასეტისთან როგორმე დაგვესაქმებინა მასთერმენი და ჰექტორი, ან ერთ-ერთი მაინც. ესეც გამოგვივიდა. მერე სიუზენის მამას ვკითხეთ რჩევა. პოლკოვნიკ არბეთნოთს ძალიან უნდოდა, რომ თორმეტნი ვყოფილიყავით. ასე უფრო კანონიერად მიაჩნდა. ხანჯლის გამოყენება დიდად არ უნდოდა, მაგრამ დაგვთანხმდა, რომ ასე სირთულეებს ავირიდებდით. სიუზენის მამაც სიამოვნებით შემოგვიერთ-

და. სიუზენი მისი ერთადერთი შევილი იყო. ჰექტორისგან გავიგეთ, რომ რეთჩეთი ადრე თუ გვიან აღმოსავლეთიდან დაბრუნებას აპირებდა და სწორედ „აღმოსავლეთის ექსპრესით“ წამოვიდოდა. და რაკი პიერ მიშელი ამ მატარებელზე მუშაობდა, გადავწყვიტეთ, ეს შანსი ხელიდან არ გაგვეშვა. გარდა ამისა, თავიდან ავიცილებდით იმასაც, რომ უცხო პირები არ გაგვერია ამ საქმეში.

ბუნებრივია, ჩემი სიძეც ჩავაყენეთ საქმის კურსში და დაიუინა, მეც უნდა წამოვიდეო. მაქქუინმა ისე მოაწყო, რომ რეთჩეთის გამომგზავრება პიერ მიშელის მორიგეობას დამთხვეოდა. სტამბოლი-კალეს მატარებელზე ყველა ვაგონის დაჯავშნა გადავწყვიტეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა, ერთი კუპე უკვე გაყიდული აღმოჩნდა. კომპანიის დირექტორს ბევრად ადრე დაეჯავშნა. მისტერ ჰარისი, ცხადია, მითია. მისტერ მაქქუინის კუპეში რომ უცხო შესახლებულიყო, ბევრ რამეში შეგვეშლებოდა ხელი, მაგრამ უკანასკნელ მომენტში თქვენ მოხვედით და... — ლინდა გაჩუმდა. — აი, განაგრძო ისევ, ახლა ყველაფერი იცით, მესიე პუარო. რას აპირებთ? რაკი ეს საქმე გამოიძიეთ, იქნებ მთელი ბრალი მე დამაკისროთ, მხოლოდ და მხოლოდ მე. იმ გარეწარს თორმეტჯერაც სიამოვნებით ჩავცემდი სატევარს. მან დამიღუპა ქალიშვილი და ორივე შვილიშვილი, ის, რომელიც მოიტაცა და ისიც, ჯერ რომ არ დაბადებულიყო, ვინ იცის ახლა ცოცხალი და ბედნიერი იქნებოდა. სხვა ცოდვებიც ჰქონდა: დეიზიმდე არაერთი ბავშვი ჰყავდა მოტაცებული და მომავალში ვინ იცის, კიდევ რამდენ ოჯახს გააუბედურებდა. საზოგადოებას მისთვის განაჩენი კარგა ხნის გამოტანილი ჰქონდა, ჩვენ მხოლოდ აღვასრულეთ. მაგრამ ამ საქმეში ამდენი ხალხის ჩართვა რა აუცილებელია. ესენი ყველა დიდსულოვანი, კეთილი ადამიანები არიან, საწყალი მიშელი, თითქოს ტანჯვა აკლდა... მერისა და პოლკოვნიკს კი ერთმანეთი უყვართ...

საოცარი ხმა ჰქონდა, ამ სავსე სივრცეში ექოდ ვრცელდებოდა მისი ლრმა, ემოციური, გულის გამგმირავი ხმა, რო-

მელსაც არაერთხელ მოუყვანია აღტაცებაში ნიუიორკელი  
მაყურებელი.

პუარომ მეგობარს შეხედა.

— თქვენ ამ კომპანიის დირექტორი ხართ, მესიე ბუკ, —  
მიმართა მას. — თქვენ რას იტყვით?

მესიე ბუკმა ჩაახველა.

— ჩემი აზრით, მესიე პუარო, — დაინტ მან. — თქვენი<sup>1</sup>  
პირველი ვერსია სწორი იყო, სავსებით სწორი. ვფიქრობ,  
სწორედ ეს ვერსია უნდა შევთავაზოთ იუგოსლავის პოლი-  
ციას, როცა ჩვენამდე მოაღწევენ. მეთანხმებით, ექიმო?

— რასაკვირველია, გეთანხმებით, — უთხრა ექიმმა კონს-  
ტანტინმა. — ხოლო რაც შეეხება სამედიცინო ექსპერტიზას,  
ჰმ... ერთი-ორი შეცდომა გამეპარა.

— და რაკი დანაშაულის ჩემი ვერსია უკვე გაგაცანით, —  
თქვა პუარომ, — მაქვს პატივი, ამ საქმეზე ხელი ავიღო.

წიგნის ელექტრონული ვერსია  
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

*www.PDF.ChiaturaINFO.GE*

# საჩივავი

## ნაცილი I

### ზაფხული

1. „ტოროსის ექსპრესში“ მნიშვნელოვანი მგზავრი ადის.....	5
2. სასტუმრო „ორქათლიანი“.....	16
3. პუარო უარს ამბობს საქმის გამოქიმავი	24
4. ყვირილი ღამით .....	32
5. დანაშაული.....	36
6. ეპი.....	48
7. ცხელარი.....	56
8. არმსტრონგის გატაცების საქმე .....	67

## ნაცილი II

### მოხათა ჩვენებაში

1. საჭილე ვაგონის გამყოლის ჩვენება .....	71
2. მდივნის ჩვენება .....	77
3. პირალი მსახურის ჩვენება.....	82
4. ამერიკელი ლელის ჩვენება .....	88
5. შვედი ქალგატონის ჩვენება .....	96
6. რუსი თავალის ქალის ჩვენება.....	101
7. გრაფ და გრაფინა ანდრევის ჩვენება.....	108
8. კოლკოვიკ არგეთნოთის ჩვენება.....	114
9. მისურ ჰარდების ჩვენება.....	123
10. იტალიელის ჩვენება .....	130
11. მის დეპენდენტის ჩვენება.....	135
12. გერმანელი მოახლის ჩვენება.....	140
13. მგზავრთა ჩვენებების შეჯამება .....	147
14. იარალი, როგორც სამხილი .....	155
15. მგზავრთა ჩარჩო, როგორც სამხილი.....	163

## ნაცილი III

### ერკიულ პუარო მოკალათშება და ფიქრებს ეძღვა

1. რომელი მათგანი .....	179
2. ათი კითხვა .....	187
3. დამაფიქრებელი დეტალები.....	193

4. ცხილის დაქა უნგრულ პასპორტზე.....	203
5. თავადის ეპლ დრაგომინოვას სახელი .....	210
6. მეორე გასაუბრება პოლყოვის არჩევნობა.....	215
7. მერი დეპარტემენტის ვინაობა.....	218
8. შემდგომი გასაოცარი აღმოჩენები .....	222
9. კუარო მრ ვერსიას გვთავაზობს .....	229